

ISSN 1512-0546

საქსელო მოსამბე

სამედიცინო-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი, 2018 წ. №13-14

©Maito Lukhutsidze

საგურამ მთაბაბუა

N13-14, 2018

საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

**BULLETEN OF FORESTRY
INTERNACIONAL
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

ЛЕСНОЙ ВЕСТНИК
МЕЖДУНАРОДНЫЙ
НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

თბილისი

UDC (უაკ) 630 (051.2)
ს-307

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი – **რევაზ ობოლაძე**

ტელ.: 223 72 19, 593 24 75 27

სარედაქციო კოლეგია: თამაზ დომარე ბიძინა თავაძე

წევრები: შოთა ჭალაგანიძე, რევაზ ჩაბელიშვილი, გვანჯი მანია, ჯუმბერ კუჭუხიძე, რეზო ვასაძე, თეიმურაზ კანდელაკი, ლერი ჭოჭუა, ჯუმბერ ლომიძე, ზაურ ბალაღ-წარაშვილი, ბორის ბოქოლიშვილი, მერაბ ღვალა, ბიორგი ბაგოშიძე, სოლომონ მასაური, პეტრე ღუნდუა, თამაზ ქურდიანი, ლაურა ნაჭყვია, ლევან გოცირიძე, ბიორგი ქავთარაძე, ვანო კაკუნიძე, ალექსანდრე (ალიკო) აფციაური, არჩილ სუპატაშვილი, ჯუმბერ ბოიკო, ნუზარ გერსამია, მარინა კურტანიძე, ეკა სურციძე, ირინე ჯავახაძე, დავით რობაქიძე, ნათია იორდანიშვილი, გურამ სურციძე, ნანა ჩხუბანიშვილი.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები: დანიელ რიგლინგი (შვეიცარია), კირილ სოტიროვსკი (მაკედონია), ანატოლი კეტროვი (რუსეთი), გარი იაზიჩი (ისრაელი), უვე კიისი (გერმანია).

კოორდინატორები: რევაზ იმნაძე, რამაზ ტყემალაძე, ნიკა საჩხარაძე (რუსეთი, ირაკუტსკი), ნოდარ მაშანიშვილი, ზაქრო ჩიხრაძე, ივო მაჭიშვილი, ავთანდილ ქაჯანია, დემან ბლიაძე, თენგიზ მებრეველი, ჯიჟჟერ ბაბუხაძე, უჩა ჯავახიძე, ბიძინა ნერსეზაშვილი, ნიკა საბანიძე, ვასილ მაისურაძე, მარინე სუჯაშვილი.

ბასუხისმგებელი მდივანი: ჯულიეტა კაჯარიანი

ტელ: 593-63-07-97

ტექნიკური რედაქტორი: ჯონი გეგვერიძე ტელ: 593 97-86-70

გამომცემელი: ინდ/მეწარმე რევაზ ობოლაძე 593 24-75-27

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნანა მასურაშვილი ტელ.: 593 50-42-44

დაიბეჭდა: შპს „საქართველოს პროფკავშირების“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგიის წევრები, რედაქტორები და კოორდინატორები მოწვეული არიან სასოციალური საწყისებზე (ანაზღაურების გარეშე).

ფასი 8 (რვა) ლარი

ტირაჟი 100 ეგზემპლარი

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: ბატეთის ტბა ქარელის მუნიციპალიტეტში.

ვებგვერდი: www.dspace.nplg.gov.ge/handle/1234/112155

UDC (ჯვჯ) 630 (051.2)

ბ-307

Главный редактор - Реваз Оболадзе

тел. 223-72-19, 593 24 75 27

Редакционная Коллегия: председатель Бидзина Тавадзе.

Члены Коллегии: Шота Чалаганидзе, Реваз Чагелишвили, Гванджи Мания, Джумбер Кучухидзе, Резо Васадзе, Теимураз Канделаки, Лери Чочуа, Джумбер Ломидзе, Заур Баламцаришвили, Борис Боколишвили, Мераб Двали, Георгий Гагошидзе, Соломон Махаури, Петре Дундуа, Тамаз Курдиани, Лаура Начкебия, Леван Гоциридзе, Георгий Кавтарадзе, Вано Папунидзе, Александре Апциаури, Арчил Супаташвили, Джумбер Бойко, Нугзар Герсамия, Марина Куртанидзе, Ека Хурцидзе, Ирине Джавахадзе, Давид Робакидзе, Натия Иорданишвили, Гурам Хурцидзе, Нана Чхубианишвили.

Иностранные члены Коллегии: Даниел Риглинг (Швейцария), Кирил Сотировски (Македония), Анатолий Петров (Россия), Гари Ябич (Израиль), Уве Киис (Германия).

Ответственный секретарь: Джулиета Казарян.

UDC (უკუ) 630 (051.2)

6-307

Editor in Chief - Revaz Oboladze

tel. 223-72-19, 593 24 75 27

The Editorial Board: Chairman Bidzina Tavadze.

Members of Colleges: Shota Chalaganidze, Revaz Chagelishvili, Gvanji Mania, Jumber Kuchukhidze, Rezo Vasadze, Lery Chochua, Levan Jumber Lomidze, Zaur Balamtsarishvili, Boris Bokolishvili, Merab Dvali, Giorgi Gagoshidze, Solomon Makhauri, Petre Dundua, Tamaz Kurdiani, Laura Nachkebia, Levan Gotsiridze, Giorgi Kavtaradze, Vano Papunidze, Alexander Aptsiauri, Archil Supatashvili, Jumber Boyko, Nugzar Gersamia, Marina Kurtanidze, Eka Khurtsidze, Irina Javakhadze, David Robakidze, Natia Iordanishvili, Guram Khurtsidze, Nana Chkhubianishvili.

A Foreign Member Colleges: Daniel Rigling (Switzerland), Cyril Sotirovski (Macedonia), Anatoly Petrov (Russia), Gary Yabich (Israel), Uwe Kees (Germany).

Executive secretary: Julieta Ghazaryan.

შინაარსი

I. სატყეო მეურნეობის განვითარების პრობლემები

პლან რიზერდენიძე

საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების სტრატეგია უახლეს
სუთფლადში (2017-2021 წწ) 7

ბიძინა თაყაძე

გარემოს გაჭურჭიანება და ტყეების დეგრადაციის პრობლემები 18

ლევან გოცირიძე, უჩა ჯანგირაშვილი

სანქარი ბორჯომის ხეობის საკურორტო ტყეებში 24

II. საიურიდიკო მიღონებები ხელ მეურნეობის ღვანდომილ მუშაკებს

ვალთდია (ვლადიმერ) ზედგინიძე - 80 27

ლერი ჭოჭუა - 80 31

გურამ ხურციძე - 75 34

გიორგი გავთუშიძე - 60 37

გურამ ორჯონიძე - 80 39

ჯონი გეგერიძე - 70 41

III. სოციალური პრობლემები

ირინე ჯაჭვასაძე

საქართველოს საპენსიო რეფორმა 43

IV. მოგონებები და ნარკვევები

რევაზ ობოლაძე

ოცდაათი წელი სატყეო მეურნეობის მართვის რესპუბლიკურ ორგანოებში
(1973-2003 წლები) 55

რევაზ ობოლაძე

მოგონებები საქართველოს ტყეების პირველი რესპუბლიკური
დათვალიერების შესახებ 40 წლის შემდგომი გადასახედიდან 65

ნოდარ დუმბაძე, ჯანუღ ჩარაჰიანი

„მინც სიტუაციით ჰყვავისა“ 66

მამსიძე ზაქარიაძე

მისეილ მურვანოვილი - ტყეების აღორკინების დიდოსტატი,
გამოჩენილი მართველი მეთყვე და ამაგდარი 76

მამსიძე ზაქარიაძე

აღიღუა ნინუა - რესპუბლიკის დამსახურებული მეთყვე,
სატყეო საქმის დიდოსტატი და მოაგაბა 78

<u>მეხსიერე ზეღვინიქა</u>	
ლავრენტი ზეღვინიქა - სიკეთის უმეოქმედი	81
 V. საზუო მათიანა	
<u>ნესტან ბაგაური, რევაზ ობოლაქა</u>	
ისტორიის მწვანე ფურცლები ანუ რას მოგვითხრობენ ეპიკურიანები სატყუო და სამონადირეო საქმიანობის უსასებ ფარნავაზიდან ერთიანი საქართველოს დაუღამდე	86
ამიერკავკასიაში ტყემოფუცობის მათიანა	96
 <u>ანტონ აოსი</u>	
საქართველოში ტყის მრეწველობის ჩასახვის და განვითარების მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი (1875-1975 წლები)	119
 VI. საქართველოს ზევიის და საზუო საქმის ამბობართა სსოვნა	
ალექსანდრე მარჯანიშვილი	138
დიმიტრი (კონდრატი) სებაშვილი	141
 <u>ნუგზარ გერსამია</u>	
ვალერიან ალექსის ქე მარღანი	144
 გამოთხოვევა	
მაცვალა კუჭავა	148
 VII. საოცრებათა საქმაროში	
 <u>ჰ. იანკოვსკი</u>	
კონსტანტინე იანკოვსკის რამდენიმე ეკოლოგიური ნარკვევი (მტიუდი) ტაიგის საოცარ გუნებაზე და მის აღმეიანებზე	150
 VIII. ანალიზი ნიგნევი	
მეტყვევის ცნობარი	161

I. საბუნებრივი მემკვიდრეობის პრობლემატიკა

ქობა ჩიბურდანიძე

საქართველოს სატყეო სექტორის ბანკითარების სტრატეგია უახლოეს სუბსიდიურ (2017-2021 წწ)

არსებული მდგომარეობა

ტყეებს საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% უჭირავს და საერთო ჯამში 2 620 676 ჰექტარს ფარავს. საქართველოს ტყეების 95-98%-მდე ბუნებრივია და დაახლოებით 98% განლაგებულია დიდი და მცირე კავკასიონის ქედების კალთებზე. საქართველოს ტყეები ძალიან განსხვავებულია ქვეყნის ცხრა კლიმატური ზონის გამო, ტენიანი სუბტროპიკებიდან მუდმივი თოვლის ზონამდე. წიფელი (*Fagus orientalis*) და სოჭი (*Abies nordmanniana*) საქართველოს ტყეების გაბატონებული სახეობებია. ნაძვი (*Picea orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), მუხა (*Quercus spp.*), წაბლი (*Castanea sativa*), ფიჭვი (*Pinus spp*) და მურყანი (*Alnus*), ასევე საქართველოსთვის დამახასიათებელი და ფართოდ გავრცელებული სახეობებია.

საქართველოში ტყეების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურება მრავალფეროვანია:

- უპირველეს ყოვლისა, ტყეები წარმოადგენს მცენარეთა მრავალი ენდემური და რელიქტური სახეობის თავშესაფარს და გლობალური თვალსაზრისით იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველების საცხოვრებელ ადგილს;

- რადგან ტყეების უმეტესობა მთი-

საა, ისინი არსებით როლს თამაშობს წყლის რეგულირებასა და ნიადაგის დაცვაში. შესაბამისად, ტყის არამდგრადი მეთოდებით ექსპლუატაცია ხშირად იწვევს ნიადაგის ეროზიას, წყალდიდობის საფრთხის ზრდას და წყლის ნაკლებობას;

- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს პირველი განახლებული ორწლიანი ანგარიშის (2013 წ. ინვენტარიზაცია) თანახმად, საქართველოს ტყეების მიერ შთანთქმული ნახშიროქსიდის რაოდენობა უტოლდება ქვეყნის მიერ სათბურის აირების ემისიების 25.16%-ს;

- ტყეებს მნიშვნელოვანი კულტურული, სარეკრეაციო და სოციალური ფუნქციები აქვს, რადგან ტყეები საქართველოში ხილის, თხილის და კაკლის, სოკოს, სამკურნალო მცენარეების, თაფლისა და სხვა არამერქნული პროდუქტის წყაროა, რომელსაც სოფლის მოსახლეობა აგროვებს;

- დაბოლოს, რაც უმნიშვნელოვანესია, ტყეები მერქნული რესურსის წყაროა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ტყეების 100% სახელმწიფო საკუთრებაა. თუმცა, მის ცალკეულ უბნებში 2006-2012 წლებში, კერძო კომ-

პანიებზე გაიცა გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიები (5-20 წლით) ტყის მერქნული რესურსების გამოსაყენებლად. ინვენტარიზაციის გარეშე ტყის კერძო კომპანიებისათვის გადაცემა, მითუმეტეს შეზღუდული რესურსით განპირობებული სუსტი ზედამხედველობის პირობებში, შეფასებულია, როგორც ტყის მდგრად მართვისთან შეუსაბამო პრაქტიკა. ასეთი მიდგომის შედეგად, სატყეო მეურნეობის მდგრადი პრაქტიკის დამკვიდრების ნაცვლად, დამატებითი გამოწვევები გაჩნდა. დღეის მდგომარეობით, ტყეების 7% კვლავ ლიცენზირებულია 38 მფლობელზე და ყველაზე ხანგრძლივი დროით გაცემული ლიცენზიების ვადა 2029 წელს იწურება.

უკანონო ჭრა, ტყის დაავადებები და ტყის ხანძრები ძირითადი საფრთხეებია საქართველოს ტყის ეკოსისტემისათვის. ტყის ლიცენზირების არსებული რეჟიმში, კერძო ინვესტორების მიერ ტყის რესურსების გამოყენების მონიტორინგისთვის სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და შესაძლებლობების ნაკლებობა, ტყის მცველთა არასაკმარისი რაოდენობა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეშაზე მაღალი მოთხოვნა იმ ფაქტორთაგანაა, რომლებიც განაპირობებს ტყეებში უკანონო საქმიანობას. მავნებლებისა და პათოგენური სოკოების მიერ გამოწვეული დაავადებები ტყის ეკოსისტემისთვის კიდევ ერთი საფრთხეა. კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ნაძვის, წაბლის, კოლხური ბზისა და ფიჭვის ხეები ძლიერ ზიანდება მავნებელ-დაავადებების მიერ. მართალია, 2013 წლის ივნისში დაიწყო გარკვეული ქმედებები, რომლის მიზანი იყო ტყის დაავადებათა მართვა (მაგალითად, ნაძვის ქერქიჭამია ხოჭოს წინააღმდეგ), მაგრამ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო ამ მიმართულებით. ტყეებისადმი მიყენებული დამატებითი ზიანის მიზეზია

ტყის ხშირი ხანძრები. ოფიციალური სახელმწიფო სტატისტიკის თანახმად, 2008-2014 წლებში საქართველოში წელიწადში საშუალოდ 24 ტყის ხანძარი აღინიშნა, რომელმაც საშუალოდ ყოველწლიურად 200 ჰექტარი ტყის ფართობი დააზიანა. განსაკუთრებული საფრთხის წინაშე წიწვოვანი შემადგენლობის ტყეები დგას. ტყეებსა და ქარსაცავ ზოლებში ხანძრების გაჩენის მთავარი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გაჩენილი ცეცხლია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, სახეზეა ტყის ეკოსისტემების დეგრადირება. ჯერჯერობით, არ არსებობს დეტალური და სრული მონაცემები ტყეების შემადგენლობასა და მდგომარეობაზე, რადგან 1990-ის შემდეგ ქვეყანაში არ ჩატარებულა ტყის ფონდის ეროვნული ინვენტარიზაცია. 2013 წლიდან ქვეყანამ განაახლა ინვენტარიზაციის პროცესი, მაგრამ შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო სრული პროცესის დასრულებას და ტყეების შესახებ განახლებული და ყოველისმომცველი ინფორმაციის შექმნას კიდევ რამდენიმე წელიწადი დასჭირდება.

ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვის მიზნით 2000 წლიდან სატყეო სექტორში არაერთი რეფორმა განხორციელდა. მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობის გამო პროცესები თანმიმდევრულად ვერ განვითარდა. საკანონმდებლობის, სტრუქტურულმა და ხელმძღვანელობის ხშირმა ცვლილებამ, ადამიანური და ტექნიკურ რესურსში ინვესტიციების ნაკლებობამ ვერ უზრუნველყო ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება. არამდგრადი პროცესების შედეგად დარგმა დაკარგა პოპულარობა, რამაც განაპირობა მაღალკვალიფიციური კადრების გადინება. მოცემულმა ფაქტორებმა გამოიწვია ტყის მართვის ორგანოების შესაძლებლობების დაქვეითება.

ინსტიტუციური ჩარჩო და ძირითადი
დანიშნულებული მხარეები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ეროვნულ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული სატყეო პოლიტიკის შემუშავებაზე, ასევე მის განხორციელებასა და აღსრულებაზე, მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების საშუალებით. ეროვნულ დონეზე სატყეო პოლიტიკის შემუშავება, სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის პასუხისმგებლობაა, ხოლო აღმასრულებელ უწყებას წარმოადგენს: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო და სააგენტოს რეგიონული სამსახურები, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო და სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებულ ტყის ფონდს მართავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები, გარდა დაცული ტერიტორიებისა. აღსრულების კონტროლი სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვითი ზემდამხედველობის დეპარტამენტის ფუნქციაა, რომელიც ტერიტორიული ორგანოების საშუალებით ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

გარდა ზემოაღნიშნული სახელმწიფო სტრუქტურებისა, ტყეების მართვაში ჩართულია ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელიც მართავს თუშეთის დაცულ ლანდშაფტს და მასში შემავალ ტყის ფართობებს. ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც მართავს თბილისის ირგვლივ არსებულ მწვანე ნარგავებს (ტყეებს). ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტრო კიდევ ერთი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც, მიწის გამოყენებასთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია ტყის მართვაში.

სატყეო სექტორში სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები არიან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კერძო კომპანიები და საზოგადოება, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ვასილ გულიაშვილის სახელობის სატყეო მეურნეობის ინსტიტუტი დღეისთვის საქართველოს მთავარი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა, რომელიც ატარებს ფუნდამენტურ თეორიულ ექსპერიმენტულ კვლევებს სატყეო მეურნეობის დარგში. ინსტიტუტი ასევე მონაწილეობს საკონსულტაციო საქმიანობაში, თუმცა არ გააჩნია საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები. რაც შეეხება კერძო კომპანიებს, აღსანიშნავია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები და ის კომპანიები, რომლებიც სახელმწიფოს დაკვეთით ახორციელებენ ტყის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

სამართლებრივი და პოლიტიკური
ჩარჩო

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 233 მუხლის თანახმად საქართველო აღიარებს ტყის მდგრადი მართვის მნიშვნელობას და ივალდებულებს „მიიღოს ზომები, რათა ხელი შეუწყოს ტყის საფარის კონსერვაციას, ებრძოდეს ტყის უკანონო ჭრას და შესაბამისად, უკანონო ვაჭრობას“. ვალდებულების ასეთი ფორმულირება გარკვეულ მოქნილობას ანი-

ჭეხს საქართველოს საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი ზომების შერჩევაში აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად საჭირო ქმედებები დეტალურადაა გაწერილი საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკაში.

ქვეყნის კიდევ ერთი, საერთაშორისო დონეზე დეკლარირებული ვალდებულება გამომდინარეობს მდგრადი განვითარების მიზნებიდან. კერძოდ, მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთი ამოცანაა ყველა სახის ტყისთვის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, ტყის კარგვის შეჩერება, დეგრადირებული და გაჩეხილი ტყეების აღდგენა და ტყის საფარის ზრდა. საქართველომ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის ნაწილმა, აიღო პირობითი პასუხისმგებლობა 2030 წლისთვის ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვასა და ტერიტორიის აღდგენა/გატყიანებაზე.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებების გარდა, საქართველო ჩართულია „კონტინენტის ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობი პანევროპულ პოლიტიკურ პროცესში“. ასევე, საქართველო არის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის მხარე და ტყესთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია ეროვნულ ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც შემუშავდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მდგრადი ეკოსისტემების, მათ შორის, ტყეების შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კუთხით, ასევე კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების შერბილებისთვის.

გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციისადმი წარდგენილ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ მიხედვით კლიმატის ცვლილების შესარბილებლად საქართველო კანონდარსრულების გაუმჯობესებისა და ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვის ვალდებულებას იღებს.

„საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (2013 წ.) დამტკიცებული ეროვნული სატყეო კონცეფცია არის მთავარი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ტყის მართვის პრინციპებს და აწესებს პრიორიტეტულ მიმართულებებს სატყეო მეურნეობის დარგის განვითარებაში. ტყის მართვის დაგეგმვის გაუმჯობესება, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, ტყის საკუთრების ყველაზე სათანადო პრაქტიკის განსაზღვრა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ასპექტებზე რეაგირება და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება, ასევე განათლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, კონცეფციაში განსაზღვრულია როგორც მთავარი პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში მდგრადი სატყეო სამეურნეო საქმიანობის დასანერგად.

ტყეების დაცვის, ტყის მართვისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობა კარგადაა გაცნობიერებული „საქართველო 2020“-ში. სტრატეგიაში ხაზგასმულია ტყის ეკოსისტემებისა და მათ მიერ გაწეული მომსახურებების (რეკრეაცია, წყლის რეგულირება, ნიადაგის დაცვა და სხვ.) როლი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. 2013 წელს აღნიშნული დადგენილების მიღებით, საქართველოს პარლამენტმა გამოხატა თავისი მტკიცე ნება, სახელმწიფო

დონეზე შეუწყოს ხელი ტყის მდგრად მართვას.

არსებული ტყის კოდექსი (1999 წ.) მოძველებულია და არ პასუხობს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად რეგულირდება კანონქვემდებარე აქტებით, კერძოდ, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს 242 დადგენილება, „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს 241 დადგენილება, და „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივლისის 179 დადგენილება. საკანონმდებლო ხარვეზების დასაფარად და სამართლებრივი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად მომზადდა ტყის კოდექსის ახალი პროექტი, რომლის დამტკიცება იგეგმება უახლოეს მომავალში.

ეროვნული პოლიტიკა სატყეო სექტორში ყალიბდება ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით. საერთაშორისო და ეროვნული მიზნების მისაღწევად ქვეყანაში მიმდინარეობს ტყის რეფორმის პროცესი.

პრობლემები და პრიორიტეტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოში არ ჩატარებულა ტყის ინვენტარიზაცია ქვეყნის მასშტაბით. ინფორმაციის არარსებობის პირობებში კითხულია ტყის მართვის გრძელვადიანი გეგმების შემუშავება და ეფექტიანი ქმედებების განხორციელება. ასევე სუსტია და გაუმჯობესებას საჭიროებს ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა, რათა დროულად გამოვლინდეს გადაუ-

ღებელი გამოწვევები და დაიგეგმოს და განხორციელდეს საჭირო ღონისძიებები. ტყის მდგრადი მართვისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა არათანმიმდევრული და მოძველებული კანონმდებლობა, რომელიც ვერ პასუხობს ვერც ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტებს სატყეო მეურნეობის დარგში და ვერც საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს. ამიტომ, ტყის მდგრადი მართვის მისაღწევად, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, სხვა საერთაშორისო მოთხოვნებისა და საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად, აუცილებელია, ერთის მხრივ არსებობდეს ყოვლისმომცველი და ზუსტი ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი შემადგენლობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის, და ა. შ. შესახებ და მეორეს მხრივ, შესაბამისი კანონმდებლობა (ტყის კოდექსი და კანონქვემდებარე აქტები), რომელიც საერთაშორისო ვალდებულებების გარდა უპასუხებს ადგილობრივ საჭიროებებსაც.

მრავალი წლის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ტყეებზე, კერძოდ შეშასა და მერქნულ და არამერქნულ რესურსზე, ტყის დეგრადაციის მიზეზი გახდა. გარდა ამისა, ტყის დეგრადაციას იწვევს ტყეში საქონლის არარეგულირებული ძოვება, სახეზეა „გადაძოვების“ მნიშვნელოვანი პრობლემა. სატყეო გზების არარსებობა აიძულებს ადგილობრივ მოსახლეობას ჭრისთვის განკუთვნილი ფართობების ნაცვლად შეშა ტყის ახლომდებარე ტერიტორიაზე მოიპოვოს, ხშირად უკანონოდ. ეს ზეწოლა ტყეებზე კიდევ უფრო მძიმდება ტყის დაავადებებით და ადგილობრივი მოსახლეობისა და ტყის ვიზიტორების დაუდევრობის გამო გაჩენილი ხანძრებით. ამიტომ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ენერჯის ალტერნატიული

წყაროების მიწოდება, ასევე ტყის დეგრადაციის თავიდან აცილება და დეგრადირებული ფართობების აღდგენა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც ხელს შეუწყობს ტყის ეკოსისტემების სათანადო ფუნქციონირებას.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მეტყვეობის მიმართ ინტერესი დაბალი იყო. ბევრმა მეტყვევ ინჟინერმა და ტექნიკოსმა დატოვა სატყეო სექტორი. ახალგაზრდების მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰქონდა სურვილი ესწავლა სატყეო საქმე და ემუშავა ამ სექტორში, რის შედეგადაც დღეის მდგომარეობით, კვალიფიციური სატყეო კადრი არასაკმარისია.

ტყის მართვაში ჩართული ყველა უწყების შესაძლებლობების გაძლიერება და სატყეო მეურნეობის კუთხით განათლების სისტემის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სატყეო მეურნეობაში არსებული და მოსალოდნელი გამოწვევების საპასუხოდ. ტყის მართვა შესაბამის კვალიფიკაციასა და ცოდნას მოითხოვს ყველა დონეზე, ტყის მცველებით/რეინჯერებით დაწყებული და უმაღლესი მმართველობით სტრუქტურაში დასაქმებული პერსონალით დამთავრებული. შესაბამისად, აუცილებელია სატყეო სექტორში მომუშავეთა რეგულარული და საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების მექანიზმის დანერგვა, ფორმალური და არაფორმალური განათლების, ასევე სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავება პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან გამოცდილების/ცოდნის გაზიარების მიზნით.

ბოლოს, ასევე მნიშვნელოვანია ტყის ფუნქციების გაფართოება მერქნული და არამერქნული პროდუქტის გამოყენების მიღმა. კერძოდ, ხელი უნდა შეეწ-

ყოს და წახალისდეს ტყის გამოყენება სარეკრეაციო მიზნით. ამისათვის კი საჭიროა ტყის კონკრეტული სარეკრეაციო სივრცეების განსაზღვრა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა. შ., რაც ხელს შეუწყობს მდგრადი ეკოტურიზმის განვითარებას ტყის ფონდის ტერიტორიაზე და შესაბამისად, წახალისებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლის გაჩენას.

ზემოთ აღწერილი გამოწვევების შესაბამისად მიღწეული უნდა იქნეს შემდეგი გრძელვადიანი მიზნები (2030) და 5-წლიანი ამოცანები:

მიზანი: ტყეების საერთო მდგომარეობისა და ეკოლოგიური ფუნქციების გაუმჯობესება, საქართველოში ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვის გზით.

ამოცანები:

ამოცანა 1: საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება და ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვა;

ამოცანა 2: ტყეზე ზეწოლის შემცირება საწვავის ალტერნატიული წყაროების გამოყენების წახალისებით და ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება;

ამოცანა 3: ტყის პოლიტიკის, მართვის და მაკონტროლებელი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება;

ამოცანა 4: ტყის ეკოსისტემის მომსახურების გამოყენების ხელშეწყობა;

ამოცანა 5: სატყეო განათლების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

სამომქმედო გეგმა

ქმედება	ინდიკატორები	ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსება სუქარი	განმახორციელებელი ორგანო	პარტნიორი ორგანიზაცია(ებ)	შესაძლო რისკები	ვადები
ამოცანა 1: საკანონმდებლო ჩარისი გაუმჯობესება და ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვა.							
1.1	ახალი „ტყის კოდექსის“ შემუშავება და მიღება	საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი ტყის კოდექსი	დონორის გრანტი	მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საკანონმდებლო ცვლილებების მიღების გაჭიანურება	2017-2018
1.2	ტყის კოდექსიდან გამომდინარე კანონმდებლური აქტების შემუშავება და მიღება	მიღებული კანონმდებლური აქტები	დონორის გრანტი	მსოფლიო ბანკი, GIZ	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საკანონმდებლო ცვლილებების მიღების გაჭიანურება	2018-2019
1.3	ტყის მდგრადი მართვის ეროვნული პრინციპების, კრიტერიუმების, კრიტერიუმების და ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა	შემუშავებული დოკუმენტი ტყის მდგრადი მართვის ეროვნული პრინციპების, კრიტერიუმების და ინდიკატორების შესახებ ეროვნულკანონმდებლობაში ასახული პრინციპები და კრიტერიუმები	დონორის გრანტი	GIZ	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	პროცესის გაჭიანურება	2018 - 2021
1.4	ტყის ეროვნული აღრიცხვა (ინვენტარიზაცია)	მოწადებული ეროვნული დონის ტყის ინვენტარიზაციის ანგარიში	14 680 000	GIZ	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარდას	დაფინანსების ნაკლებობა კვალიფიციური თანამშრომლების ნაკლებობა	2017-2020
1.5	ტყის მართვის დონის აღრიცხვა (ინვენტარიზაცია) პროორბიტული რეგონებში და მართვის გეგმების შემუშავება	ტყის მართვის დონის ინვენტარიზაციის ანგარიში შემუშავებული ტყის მართვის გეგმების ქარიშხლის ტყის ფონდის ტერიტორიის სულში 40%-სთვის	3 740 000	სახელმწიფო ბიუჯეტი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	დაფინანსების ნაკლებობა კვალიფიციური თანამშრომლების ნაკლებობა	2017-2021
1.6	საქართველოს ტყეების საზღვრების დადგენა და რეგისტრაცია	საქართველოს ტყის ფონდის დაზუსტებული დარეგისტრირებული გარესაზღვრები	დონორის გრანტი	დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	დაფინანსების ნაკლებობა	2018-2021

1.7	ტყის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის შემუშავება	შემუშავებული ტყის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის დასრულება	3700000	GIZ	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	დაფინანსების ნაკლებობა	2017 - 2020
1.8	ტყეების და სატყეო მიწების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით კატეგორიები	ტყეების და სატყეო მიწების განსაზღვრული კატეგორიები	გაივალისწინებ ულია არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში	სახელმწიფო ბიუჯეტი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ტყისა და სატყეო მიწების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით კატეგორიების დადგენის ნაკლებობა	2019-2021
ანოტაცია 2: ტყეზე ზეწოლის შემცირება საწვავის ალტერნატიული წყაროების გამოყენების წახალისებით და ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება							
2.1	მოსახლეობისა და საჯარო უწყებების სათბობი რესურსით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება	დამტკიცებული ენერჯი-დეფიციტის აღმოფხვრის მოკლე და საშუალო-კვანძო პროგრამები მოკლე და საშუალოვადიანი პროგრამები შემცირებული შემოსავლების მოხმარება	დონორის გრანტი	დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	პროგრამის შემუშავება/მიღების გაჭიანურება	2018-2021
2.2	ალტერნატიული სათბობი ენერჯის მოსახლეობისა და საჯარო უწყებებისთვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა	სატყეო და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებისგან დამზადებული ბიომასა ბიომასის გამოყენებისგან დაზოგილი ხე-ტყის რაოდენობა	დონორის გრანტი	დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	დაფინანსების ნაკლებობა	2018-2021
2.3	ტყის დეგრადირებული ფართობების აღდგენის ეროვნული გეგმის შემუშავება და გამოვლენილი დეგრადირებული ტყისპრიორიტეტული ფართობების აღდგენა	ა) შემუშავებული ეროვნული გეგმა ტყის დეგრადირებული ფართობების აღსადგენად ბ) აღდგენილი დეგრადირებული ფართობების სულ მცირე 30% პრიორიტეტების მიხედვით	დონორის გრანტი	დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	დაფინანსების ნაკლებობა	2018-2021
2.4	ტყეში საქონლის მოცემის რეგულირება	ტყეში გამოყოფილი საქონლის მოცემის ადგილები და დადგენილი კვანძები და შესაბამისი რეჟიმი	გაივალისწინებ ულია არსებული ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში დონორისგან	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ტყის მართვის ორგანოები	პროცესის გაჭიანურება	2019-2021

2.5	მავრებელ-დაავადებების გავრცელების საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კვლევების განხორციელება, ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	ჩატარებული კვლევები; შექმნილი მავრებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებათა გეგმები; ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების ფართობები ტყეში	გათვალისწინებული არსებული ადმინისტრაციული რეესურსის ფარგლებში დონორის გრანტი	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ტყის მართვის ორგანოები	დაფინანსების ნაკლებობა	2017-2021
ამოცანა 3: ტყისპოლიტიკის, მართვისა და მკონტროლული უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება							
3.1	სატყეო პოლიტიკის შემუშავებული ორგანოს შესაძლებლობათა შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და ინსტიტუციური გაძლიერება	შექმნილი სატყეო პოლიტიკის ორგანოს შეფასებისასგარეშე; რეკომენდაციები სატყეო პოლიტიკის შემუშავების ორგანოს ორგანიზაციის ოპტიმიზაციისთვის განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები	დონორის გრანტი	GIZ, ევროკავშირი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	რეკომენდაციების განხორციელების გაჭიანურება	2017-2021
3.2	ტყის მართვის ორგანოების შესაძლებლობათა შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და ინსტიტუციური გაძლიერება	შექმნილი ტყის მართვის ორგანოების შეფასების ანგარიში; რეკომენდაციები ტყის მართვის ორგანოების ოპტიმიზაციისთვის განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები	დონორის გრანტი	GIZ, WWF, ევროკავშირი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ტყის მართვის ორგანოები (ეს, დტს, აჭარის ა/რ-ს, ანმეტის მუნიციპალიტეტი)	რეკომენდაციების განხორციელების გაჭიანურება	2017-2021
3.3	ტყის მკონტროლული ორგანოების შესაძლებლობათა შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და ინსტიტუციური გაძლიერება	ტყის მკონტროლული ორგანოების შეფასების ანგარიშის შემუშავება რეკომენდაციები ტყის მკონტროლული ორგანოების ოპტიმიზაციისთვის განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები	დონორის გრანტი	GIZ, ევროკავშირი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გზდ, ეს და დტს) აჭარის ა/რ შესაბამისი სააგენტოები	რეკომენდაციების განხორციელების გაჭიანურება	2017-2021

ამოცანა 4: ტყისეკოსისტემის მდგრადი განვითარების მონიტორინგის ხელშეწყობა

4.1	ტყევის მრავალფუნქციური პოტენციალის შეფასება	შეფასებული, განსაზღვრული და კლასიფიცირებული ტყეები შემდგომ კატეგორიების მისედვით: 1. დაცული 2. დაცვითი 3. საკურორტო და რეკრეაციული 4. სამეურნეო;	გათვალისწინებულა არსებული რესურსების ფარგლებში დონორის გრანტი	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აჭარის არ შესაბამისაა გენტი	ტექნიკური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა	2017-2021
4.2	საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა	დონორის გრანტი	დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	დაფინანსების ნაკლებობა	2017-2021

ამოცანა 5. სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

5.1.	სატყეო სექტორში დასაქმებულთა მომზადება/გადამზადების უწყვეტი სისტემის შექმნა	ჩამოყალიბებული ტრენინგების სქემა და ტრენინგმოდულები გამოკვეთილი პროორიტეტული მიმართულებებისთვის; დატრენინგებული ყველა ახალი თანამშრომელი სამუშაოს დაწყების თავდაპირველ ეტაპზე	გათვალისწინებულა არსებული ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში, დონორის გრანტი	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ტყის მართვის და ზედამხედველობის ორგანოები,	დაფინანსების ნაკლებობა	2018-2021	
5.2	სკოლისა და სკოლამდელი ასაკის პატრულების, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელ-	შემუშავებული რეკომენდაციები სასწავლო პროგრამების გურიკოლუ მების გაუმჯობესებასთან	გათვალისწინებულა არსებული ადმინისტრაციული რესურსის	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ტყის მართვის და ზედამხედველობის	რეკომენდაციების განხორციელების გაჭიანურება	2018-2021

	შეწობა და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა სატყეო დარგში სასწავლო პროგრამების/კურსკულუმების პროექტში	დაკავშირებით სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედებული სატყეო დარგში სასწავლო მოდულური/კურიკულუმები	ფარგალაშვილი დონორის გრანტი			ორგანიზები,		
5.3	სატყეო დარგში სამეცნიერო-კვლევითი მსტირუსებთან თანამშრომლობის გაძლიერება და კვლევების ორგანიზება	გაფორმებული თანამშრომლობის მექანიზმები სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან დაწესებული/განხორციელებული ერთობლივი სამეცნიერო პროექტები/კვლევები	დონორის გრანტი	დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ტყის მართვის და ზედამხედველობის ორგანიზები,	დაფინანსების ნაკლებობა	2018-2021
5.4	ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის გაზრდა და ინტერესებული ჯგუფებისთვის ტყის ფუნქციების მნიშვნელობის შესახებ	შეგზავნილი და ადაპტირებული საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტური მექანიზმები	გაივალისწინებ ული არსებული ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში დონორი სერანტი	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ტყის მართვის და ზედამხედველობის ორგანიზები,	დაფინანსების ნაკლებობა	2018-2021

გარემოს გაჭუჭყიანება და ტყეების დებრადაციის პრობლემები

გარემოს დაჭუჭყიანების პრობლემა დღეს დამოკლეს მახვილივით ჰკიდია კაცობრიობის თავზე. ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარებისა და დაუხვეწავი ტექნოლოგიური პროცესების გამო ბინძურდება წყლები, ნიადაგები, ჰაერი და ყოველგვარი ეკოსისტემა, რის გამოც საფრთხე ემუქრება თვით სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს გაჭუჭყიანების მავნე ზემოქმედება ტყეებზე, რადგან, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ისინი იძლევიან პლანეტის ცოცხალი ორგანიზმებისათვის საჭირო ჟანგბადის 60 %-ზე მეტს.

ატმოსფეროს გაჭუჭყიანების პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ტყეებზე შეცნობილ იქნა ჯერ კიდევ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, მაგრამ ინტერესი ამ მოვლენისადმი განსაკუთრებით გაიზარდა ამ ბოლო ხუთი ათეული წლის განმავლობაში, როდესაც ჯერ ჩრდილოეთ ამერიკაში, შემდეგ კი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მკვეთრად გამოვლინდა და ტყეებს დაეტყო „ეკოლოგიური სტრესის“ ნიშნები.

აღნიშნული მოვლენის შესასწავლად ყველგან დაიწყო მეტ-ნაკლებად ინტენსიური სამეცნიერო გამოკვლევები. დაგროვილი მრავალრიცხოვანი მასალის საფუძველზე, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დედამიწაზე ტყეების გლობალური დეგრადაცია გამოწვე-

ულია სხვადასხვა მიზეზებით, რომელთა შორის მთავარ როლს უნდა ასრულებდეს ანთროპოგენული ფაქტორები და პირველ რიგში, ე.წ. სამრეწველო გაჭუჭყიანება.

ტყეების გლობალური დეგრადაციისა და ხმობის პროცესებში ბევრი რამ შესწავლილია. ბევრიც კიდევ თავის მკვლევარს მოეღის. ადამიანისათვის ესოდენ არასასურველი ფენომენის – ტყეების დეგრადაციისა და გარემოს გაჭუჭყიანებას შორის კავშირურთიერთობის შესახებ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება და ჰიპოთეზა, რომელთაც დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ამ პრობლემას მრავალი იდუმალი მხარე ახლავს, რაც პასუხის გაცემას მოითხოვს. ერთი კი აშკარაა – ტყეების დეგრადაციის პროცესის გაძლიერება დაემთხვა ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის აღმავლობას.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჰაერის დაჭუჭყიანების მთავარი შედეგი ის კი არაა, რომ გამაჭუჭყიანებელი წყაროს უშუალო სიახლოვეს სწრაფად იღუპებიან ტყეები, არამედ მთავარია მეტაბოლიზმისა (ნივთიერებათა ცვლა) და სახეობრივი შემადგენლობის თანდათანობითი, შეუმჩნეველი ცვლილებანი, რაც უზარმაზარ ფართობებზე მიმდინარეობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. აი, რატომ არის, რომ ყოველივე ეს საერთაშორისო მნიშვნელობის ხასიათს

იძენს და მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა წინაშე სვამს ატმოსფეროს გააჭუჭყიანების, ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობების დამუშავების, ტყის ეკოსისტემების დეგრადაციის პროცესების შეცნობისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლის საკითხს.

ამჟამად ტყეებზე მავნე ზემოქმედების მიხედვით გამოყოფენ სამი მთავარი ჯგუფის ფაქტორებს:

1. თხევადი და მყარი სამრეწველო გამონაყოფები, ძირითადად, გოგირდისა და აზოტის მჟავები, სხვადასხვა მეტალები;

2. აიროვანი გამონაყოფები – გოგირდისა და აზოტის ჟანგეულები, ოზონი, წყალბადის ზეჟანგი და სხვა;

3. გარემოში აზოტის სხვადასხვა შენაერთების დაგროვება.

მჟავები მავნე ზემოქმედებას ახდენენ უშუალოდ მცენარეებზე, განსაკუთრებით ფოტოსინთეზსა და ფოთლების წყლის რეჟიმზე; ნიადაგში მათი დაგროვება უარყოფითად მოქმედებს აზოტის ფიქსაციაზე, მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობაზე, მღიერებისა და ხავსების განვითარებაზე და ა.შ.

მავნე აირების, პირველ რიგში კი, გოგირდისა და აზოტის ჟანგეულების, ოზონისა და სხვათა უარყოფითი ზემოქმედება ვლინდება კუტიკულისა და ფოთლის ცვილისებრი დამცავი ფენის, ბაგეების ნორმალური მუშაობის, წყალმომარაგების, სუნთქვისა და სხვა პროცესების დარღვევაში, რაც აძლიერებს სტრესულ მდგომარეობას და აჩქარებს მცენარეთა დაღუპვას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მესამე ჯგუფის ფაქტორი – აზოტის სხვადასხვა შენაერთების დაგროვება, რის გამოც თანდათანობით მცირდება აზოტის (N) და მისი ჟანგეულის (NO₃) შეფარდება (ამ უკანასკნელის გაზრდის

ხარჯზე). ამის წყალობით იცვლება მიკროორგანიზმების მოქმედება და შიდა-ნიადაგობრივი პროცესების აქამდე ჩამოყალიბებული წონასწორობა. ვარაუდობენ, რომ ასეთი პროცესები გამოიწვევს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის გაზრდას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს მცენარეთა გამძლეობას დაბალი ტემპერატურისადმი – სიცივისადმი, ამას კი შეიძლება ჯერ კიდევ ჩვენს მიერ გაუცნობიერებელი მოვლენები მოჰყვეს.

ფაქტია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს, როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივი მოქმედებებით, შეუძლიათ გამოიწვიონ ტყეების კვდომა და დეგრადაცია ასეთია მკვლევართა საერთო აზრი.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად (განსაკუთრებით კი ჩრდილო ამერიკასა და გერმანიაში) დადგენილია ის ძირითადი ბიოლოგიური დონეები ტყის მცენარეულობის მიმართ, რომლებზეც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ჰაერის გააჭუჭყიანებამ. ეს დონეებია:

I. ციტოლოგიური და ბიოქიმიური ცვლილებები, ენზიმების აქტიურობა, მემბრანების გამტარიანობა, ორგანელების (უჯრედის ჩანართების) მთლიანობა, ოსმოსური პოტენციალი;

II. ფიზიოლოგიური ფუნქცია (ფოტოსინთეზი, ტრანსპირაცია, სუნთქვა, ბაგეების მოქმედება, ნივთიერებათა განაწილება, ფესვისმიერი შთანთქმა და ა.შ.);

III. ხეების ზრდა ინდივიდუალური თვალსაზრისით;

IV. ტყის პროდუქტიულობა (კონკურენცია), სუქცესიები (შემადგენლობითი ცვლილებანი), კვდოვანება, აღდგენა და ა.შ.)

ჰაერის გააჭუჭყიანების უარყოფითი მოქმედება იწყება I და II ბიოლოგიურ დონეებზე და ვლინდება III და IV დონეზე, ხეებისა და ტყეების სასიცოცხლო ენერჯის თანდათანობით შემცირება

მგრძობიარეს ხდის მათ აბიოტური და ბიოტური სტრესებისადმი.

გამოყოფენ სამი კატეგორიის სტრესებს (წინასწარგანმწყობი, აღმძვრელ-გამომწვევი და ხელშემწყობი), რომელთაც თავიანთი სტრესული აგენტები (გამომწვევები) ახლავთ.

პირველისათვის ესენია – კლიმატური პირობები, ნიადაგის ტენიანობა და საკვები ელემენტები, პატრონ მცენარის გენოტიპი, ჰაერის გამაჭუჭყიანებლები, კონკურენცია;

მეორისათვის – მწერებისმიერი დეფოლიაციები (ფოთოლცვენა და ფოთლების დაზიანება), ყინვები, გვალვები, მარილები, მექანიკური დაზიანებანი, ჰაერის გამაჭუჭყიანებლები, სოკოვანი დაავადებანი;

მესამისათვის – ქერქის მანებლები, სოკოვანი დაავადებანი, ვირუსები, კონკურენცია;

ჰაერის გამაჭუჭყიანებლები შეიძლება მოქმედებდნენ როგორც, წინასწარგანმწყობი, ისე აღმძვრელ-გამომწვევი სტრესების სახით. პოტენციური ურთიერთობა ჰაერის გამაჭუჭყიანებლებს და ბუნებრივ სტრესებს შორის იძლევა, მრავალმხრივი ჰიპოთეზების საბაზს.

პირველი სიგნალი, რამაც დღის წესრიგში დააყენა ტყეების კვდომისა და ჰაერის ინდუსტრიული გაჭუჭყიანების ურთიერთობის საკითხის ყოველმხრივი შესწავლა, ეს იყო 1950 წელს – ჩრდილო ამერიკაში, ტენესის ინდუსტრიული კორიდორის აღმოსავლეთში, კომბერლენდის პლატოზე დაწყებული თეთრი ფიჭვის ხმობა, რომელზეც რაიმე მნიშვნელოვანი ენტო ან ფიტოორგანიზმები არ აღმოუჩენიათ.

შემდეგ თანდათანობით ცნობილი გახდა მრავალი სახეობის დაზიანებისათუ ხმობის შემთხვევები (და თანაც დიდ ფართობებზე) – მაგალითად, ნიუ-ჯერსის შტატში – მოკლეწიწვიანი და მთის ფიჭ-

ვების, ნიუ-იორკის შტატში და სხვა რეგიონებში – წითელი ნაძვის, ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატებში წიფლის, ნეკერხლის, იფნის, მუხების და ა. შ. ხმობა.

მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ცალკეული მერქნიანი სახეობებისა და, საერთოდ, ტყეების მასობრივი დაზიანებების მიზეზი უნდა ყოფილიყო ატმოსფეროს დაბინძურება სხვადასხვა აგენტებით და, კერძოდ, გოგირდისა და აზოტის ჟანგულებით. მიუთითებენ, რომ მარტოდენ 20 წლის განმავლობაში (1950-1970 წწ) გოგირდის ორჟანგის რაოდენობა ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთში გაიზარდა 110%-ით, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი 40%-ით. სველი გოგირდის დალექვამ აღმოსავლეთ შტატებში ერთ ჰექტარზე წლიურად შეადგინა 11,7-დან 18,1 კილოგრამამდე. ანალოგიური მდგომარეობა იყო აზოტის თავლსაზრისითაც. ამავე შტატებში აზოტის ჟანგულების წილმა მქაურ წვიმებში 20 პროცენტი შეადგინა, ხოლო დალექვის ხარისხმა ჰექტარზე 4-10, ზოგჯერ კი 35,6 კილოგრამამდე.

ბოლო 50 წლის მანძილზე სხვადასხვა სახეობათა მასობრივი დაზიანებისა და ხმობის ტალღამ გადაუარა ევროპასაც და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. დაახლოებით 60-ნი წლების ბოლოდან დასავლეთ გერმანიაში თავი იჩინა თეთრი სოჭის წიწვების უცნობმა დაავადებამ. იგი პირველად აღინიშნა ხნოვან ხეებზე და სწრაფად გავრცელდა ისეთ ადგილებში, რომლებიც ინდუსტრიული ზონებიდან მოშორებული იყო. სიმპტომები – გაყვითლება და წიწვების ცვენა თავიდან გვალვებისაგან გამოწვეულად მიიჩნეეს, მაგრამ იგი სწრაფად გავრცელდა ჩვეულებრივ ფიჭვსა და სხვა წიწვიანებზე და შემდეგ – ფოთლოვანებზეც (წიფელი, მუხა, მურყანი და ა.შ.).

ევროპაშიც ტყეების დეგრადაციის

მიზეზების ასახსნელად წამოყენებული იქნა სხვადასხვა მოსაზრებანი, როგორცაა: ნიადაგში ალუმინისა და სხვა მძიმე მეტალების დაგროვებით გამოწვეული ტოქსიკურობა ფოთლების კვებით ჯაჭვში მაგნიუმის შემცირება, საერთო სტრესის ჰიპოთეზა და სხვა. მათ შორის ყველაზე ფართო გაგრძელება და პოპულარობა მოიპოვა მოსაზრებამ მქავეური წვიმების შესახებ, რომელთა მთავარ ნაწილს შეადგენენ გოგირდისა და აზოტის შენაერთები.

დადგინდა, რომ ბოლო ათწლეულებში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გოგირდორქანგის რაოდენობა გაიზარდა 80 პროცენტით, გოგირდის სველმა დალექვამ მქავეური წვიმების შედეგად წლიურად შეადგინა 24,7 კგ/ჰა-ზე, ხოლო აზოტის დალექვის ხარისხი მარტოდენ დასავლეთ გერმანიაში აღმოჩნდა ჰექტარზე 17-დან 73 კგ-მდე.

ამგვარად, ამერიკასა და ევროპაში ტყეების გლობალური დეგრადაციის ერთერთ მთავარ მიზეზად აღიარეს სამრეწველო გამონაბოლქვები, რაც შემდეგ მქავეური წვიმების სახით ვლინდება.

რასაკვირველია, საერთო ბუნებრივ-სამრეწველო პროცესებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იყო ჩათრეული. კავშირის მასშტაბითაც მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის გამოკვლევები, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ტყეების კვდომის ფაქტების გამომხიურება არ ხდებოდა და კვლევა-ძიებას შედარებით უფრო ზოგადი მიმართულება ახასიათებდა.

უფრო გვიან კი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი სამრეწველო კომპლექსების მახლობლად თუ უფრო მოშორებით ადგილი ჰქონდა უზარმაზარ ფართობებზე ტყეების არათუ შესამჩნევ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, არამედ ინტენსიურ ხმობასაც კი. მაგალითად, ჯერ

კიდევ 1968 წელს ბრატსკისა და ნორილსკის რაიონებში დაწყებული ფიჭვისა და ლარიქსის კორომების დეგრადაცია და ხმობა. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბრატსკის კომპლექსში უხვად გამოიყოფოდა ფტორისა და გოგირდის მავნე შენაერთები, ხოლო ნორილსკში კი გოგირდისა. ასევე საინტო მაგალითია კოლის ნახევარკუნძულზე სპილენძი-ნიკელის კომბინატის მუშაობა, რომლის წყალობითაც 50 და მეტი კილომეტრი რადიუსის ზონაში ტყეებში მკვეთრად იყო გამოხატული ქლოროზები და ნეკროზები; წიწვის სიცოცხლის ხანგრძლივობა ორჯერ შემცირებული; მიმდინარეობდა ტოტების სწრაფი ხმობა, ვარჯების გამეჩხერება და ა.შ. უფრო მეტიც, გაირკვა, რომ ამ კომბინატის გამონაბოლქვების წყალობით დეგრადაციას განიცდიდნენ ტყეები მეზობელი ფინეთის ტერიტორიაზეც, რის საფასურადაც საბჭოთა კავშირი ყოველწლიურად სოლიდურ ჯარიმას იხდიდა.

აღმოჩნდა, რომ მარტო ეს კომბინატი ყოველწლიურად ჰაერში უშვებდა 250-280 ათასი ტონა გოგირდის ორქანგს, რომელშიც ნიკელის, სპილენძისა და კობალტის შენარევები იყო. ასეთი მაგალითები გამონაკლისი როდია.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები აშკარად მიუთითებს პრობლემის სირთულესა და აქტუალურობაზე. ამიტომაც, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მკვეთრად დგას დღის წესრიგში ტყის ეკოსისტემებში მიმდინარე ცვლილებების შესწავლის, მათი გადარჩენისა და ამასთან დაკავშირებით ეკოლოგიურად სუფთა ტექნიკური მოწყობილობების შექმნის საკითხი.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში? ჰაერის გაჭუჭყიანება (განსაკუთრებით სამრეწველო კომპლექსების აუზებში) რომ მაღალ დონეზე იყო, ამას არაერთგზის გამოქვეყნებული

მასალები მოწმობს. მარტო ის რად ღირს, რომ ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად თვითვეულ თბილისელზე 400 კგ-ზე მეტი მანეე გამონაბოლქვის მკერვი ნალექი მასა მოდიოდა მაღალი სამრეწველო კომპლექსების არსებობის პერიოდში.

საჭიროა შესწავლილი იქნეს საქართველოს ტყის ეკოსისტემის სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობა და მისი კავშირი გარემოს გაჭუჭყიანებასთან. ამისათვის პირველ რიგში, საჭიროა, სხვა მონაცემებთან ერთად გვექონდეს პასუხი კითხვებზე: მოდის თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე „მუავური წვიმები“ და, თუ მოდის, რა ინტენსივობით და რა კონცენტრაციით; როგორია მათი განაწილება რეგიონების, ან წარმოშობის მიხედვით, ე.ი. რამდენი შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივ წარმოშობილად და რამდენი – მეზობელი ტერიტორიებიდან შემოსულად; როგორია ნიადაგების მუავიანობის ცვალებადობის ხარისხი ამასთან დაკავშირებით და ა.შ.

ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ ვარაუდის დონეზე გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება. კერძოდ, 70-იან წლებში აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალში აღინიშნა იმერული მუხის ხმობისა და დეგრადაციის პროცესი, რაც დღესაც გრძელდება. აქ ჩატარებულმა სატყეო პათოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საქმე უნდა გვექონდეს ფაქტორთა კომპლექსის უარყოფით ზემოქმედებასთან, როგორცაა – კლიმატური ანომალიები, ფოთლის მდრღნელი მავნებლების გამძლე პოპულაციების ჩამოყალიბება, ბაქტერიული და სოკოვანი ავადმყოფობანი, კორომების ამონაყრითობა და ა.შ. მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ნაკრძალი მდებარეობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გაგლენის ზონაში. ეს ქარხანა კი ათეული წლების განმავ-

ლობაში ინტენსიურად აბინძურებდა და აბინძურებს გარემოს. სრულიდაც არაა გამორიცხული, რომ ქარხნის უხვმა მანეე გამონაბოლქვმა გამოიწვიოს რელიქტური და ენდემური სახეობის იმერული მუხის დასუსტება და, აქედან გამომდინარე, ხმობის პროცესი; დაბეჯითებით პასუხის გაცემა ამ კითხვაზე შეიძლება მხოლოდ ნაკრძალში მცენარეთა ბიოქიმიური გამოკვლევებისა და ნიადაგების ქიმიური ანალიზის საფუძველზე (ქარხნის გამონაბოლქვების შემადგენლობასთან კავშირში), რაც, სამწუხაროდ ჯერჯერობით არ ჩატარებულა.

მრავალი ათეული წელია ჩვენში მიმდინარეობს მესამეული პერიოდის რელიქტის, საქართველოს ფლორის ერთერთი მშვენიერების, ჩვეულებრივი წაბლის ხმობისა და დეგრადაციის პროცესი. გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს რთულ პროცესთან, სადაც ანთროპოგენური ფაქტორების ფონზე გააქტიურდა წაბლის ქერქის კიბოს გამომწვევი სოკო – კრიფონექტრია პარაზიტოკა, რომელმაც თავის დროზე მთლიანად გაანადგურა ამერიკული წაბლის ტყეები.

აქაც ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ წაბლის ხმობა განსაკუთრებული ინტენსივობით აღინიშნებოდა ისეთი სამრეწველო კომპლექსების ზონაში, როგორცაა ტყიბული, ტყვარჩელი და ჭიათურა, რაც ნებით თუ უნებლიედ გვაფიქრებინებს, რომ სამრეწველო გამონაბოლქვები უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ წაბლის ეკოსისტემებში მიმდინარე პროცესებზე.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ სამრეწველო გამონაბოლქვების ზემოქმედებით გამოწვეულ ტყის ეკოსისტემების დეგრადაციის პრობლემებს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, ჯერ-ჯერობით, ძველებური სამრეწველო კომპლექსები მოგონებად დარჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, ავტო-

მობილიზაციის ბუმმა მგონი კიდევაც გადააჭარბა ადრინდელს თავისი უარყოფითი გამონაბოლქვებით.

ამ პრობლემების შესწავლას ისიც აბრკოლებს, რომ ბოლო ორი ათი წლის მანძილზე სატყეო სისტემამ, როგორც თეორიულმა, ისე პრაქტიკულმა სრული ფიასკო განიცადა: გაუქმდა სატყეო ინსტიტუტი და დღეს მეტყვევ-მეცნიერი სანთლით საძებარია; გაუქმდა სატყეო მეურნეობები თავიანთი პრაქტიკოსი მეტყვევებით და დღეს არავინ იცის რამდენი

ტყე გვაქვს საქართველოში, რამდენი იჭრება ყოველწლიურად და როგორია ტყეების სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობა; ტყის კულტურების გაშენების ადრინდელ მასშტაბებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ასეთია ჩვენი სატყეო სისტემისა და გარემოს დაცვის სავალალო მდგომარეობა, რაც კარდინალური ცვლილებების განხორციელებას მოითხოვს და საჭიროებს.

ხანძარი ბორჯომის ხეობის საკურორტო ტყეებში

ბორჯომის რაიონში, სოფელ დაბის სიახლოვეს 2017 წლის 20 აგვისტოს გაჩენილმა ხანძარმა დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, – ქვეყნის გარეთაც. ეს რეზონანსი იყო შემაშფოთებელი და დიდი გულისტკივილით სავსე. ბევრი ითხოვდა ხანძრის ჩაქრობაში უშუალო მონაწილეობის მიღებას. რომ იტყვიან, ბუნების დასაცავად აღსდგა ერი და ბერი. შეიქმნა რესპუბლიკური ხანძრის ლიკვიდაციის საგანგებო შტაბი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვიციანიშვილის განკარგულებით. შტაბმა წალკერში დაიდო ბინა. ხანძრის ჩასაქრობად დახმარების თხოვნით მიმართეს მეზობელი ქვეყნების ხელმძღვანელობასაც: აზერბაიჯანს, სომხეთს, ბელარუსს, თურქეთს და სხვათა შორის, რუსეთსაც (რუსეთს შემდეგ უარი ეთქვა დახმარებაზე).

საგულისხმოა, რომ ცეცხლი ტყეში კი არ გაჩნდა, ღია ადგილზე 2008 წლის ნახანძრალზე არსებულ ხმელ-ნახანძრალ ტოტებს, ხმელ ბალახს და წინა წლებში დარგულ ნერგებს მოეკიდა. სოფელ დაბაში არიან ხანძრის დაწყების მხილველები. მათ თქვეს, რომ სოფლიდან 1,5 კმ-ის დაშორებით შეამჩნიეს კვამლი. ძლიერმა ქარმა უცებ ხანძრის არეალი გაზარდა. სოფლის მცხოვრებლები, რაიონის მეხანძრეები, მაშველები და მეტყვეები შეტყობისთანავე ადგილზე გაჩნდნენ, მაგრამ უგზოობის გამო ხანძრის კერამდე ტექნიკა ვერ მივიდა და შიშვე-

ლი ხელებით უმკლავდებოდნენ გამძვინვარებულ სტიქიას. თბილისიდან გამოძახებული ვერტმფრენი სადამოს ხუთი საათისთვის უკვე შეუდგა ცეცხლის ჩაქრობას, მაგრამ გაძლიერებული ხანძრის ლოკალიზება ვერ მოხერხდა.

ხანძრის ჩაქრობას უნარიანად ხელმძღვანელობდა საგანგებო შტაბი. 23 აგვისტოს სტიქიას უკვე რვა ვერტმფრენი, 300-მდე მეხანძრე და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 500 თანამშრომელი ებრძოდა. მეორე დღეს შეყვანილი იქნა ჯარის ნაწილები. 1000-მდე ჯარისკაციც ეკვეთა სტიქიას, მაგრამ გვაღვა, ქარი და მიუდგომელი რელიეფი თავისას შერებოდა, აქა-იქ ჩნდებოდა ხანძრის ახალი კერები. სოფელ ყვიბისის მხრიდან გაიჭრა 800 მეტრი სიგრძის სამანქანე გზა, რამაც საშუალება მისცა სახანძრო მანქანებს ახლოს მისულიყვნენ სტიქიის კერებთან.

ერთობლივი ძალებით და თავგანწირვით ხანძარი მეშვიდე დღეს ჩაქრა. 120 ჰექტარზე განადგურდა ტყე, აგრეთვე ადრეულ ნახანძრალზე დარგული ათასობით ნერგი. 2008 წელს გაჩენილმა ხანძარმა კი 1000 ჰექტარზე არსებული ტყე შეიწირა.

რა იყო (და რა არის) ხანძრის გაჩენის მიზეზი? ვერსია ბევრნაირია: დაუდევრობა, გვაღვა, დივერსია, ბოიკოტი, საბოტაჟი, უპასუხისმგებლობა, შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ და ა.შ. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები

წინასწარჩვენო მანიპულაციებისათვის იყენებდნენ ხანძრის თემას. ბევრი რუსეთს აბრალებდა, დივერსია იყო თუ არა, ეს სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების საქმეა, ჩემი აზრით კი, საქართველოში ხანძრების გაჩენის წყარო ადამიანების დაუდევრობა და უპასუხისმგებლობაა; მიმდინარე ზაფხულში კი ხანძრების გაჩენას ხელი შეუწყო აქამდე საქართველოში არნახულმა გვაღვამ. მოგეხსენებათ, გლობალურმა დათბობამ ყველა ქვეყანაში კლიმატის ცვალებადობა გამოიწვია. აი, ბორჯომის ხანძრის დღეებში, 16-დან 23 აგვისტოს ჩათვლით, ხანძრების გაჩენის სტატისტიკა ასეთი იყო: საქართველოში აღირიცხა 366 ხანძრის გაჩენის შემთხვევა. აქედან სამცხე-ჯავახეთში – 279, კახეთში – 51, შიდა ქართლში – 16, ქვემო ქართლში – 7, მცხეთა-მთიანეთში – 6, იმერეთში – 5, აფხაზეთში – 2. ხანძრების სიმრავლე იყო ჩვენს მეზობელ ქვეყნებში: სომხეთში – 40, აზერბაიჯანში – 281, თურქეთში – 1724, რუსეთში – 59663 (!). შეცდომად უნდა მივიჩნიოთ რუსებისგან დახმარება რომ არ მიიღო ჩვენმა ხელისუფლებამ. ახლა რუსოფობები ამბობენ: მათ ქვეყანაში ამდენი კოლოსალური რაოდენობის ხანძარი იყო, თავისი თავისთვის ვერ მოუფლიათ, ჩვენ როგორ უნდა დაგვხმარებოდნენო. სინამდვილეში ისინი წარმატებით აქრობენ ამ პატარა-პატარა ხანძრებს და ასევე წარმატებით ესმარებიან სხვა ქვეყნებსაც ხანძრების ჩაქრობაში. აი, ამისი მაგალითი. ბორჯომში ხანძრის გაჩენის წინ, 16 აგვისტოს, სომხეთში გაჩნდა დიდი ხანძარი, რომელიც ფართობით ბორჯომის ხანძარმოკიდებულ ადგილს აჭარბებდა. რუსების ცეცხლმქრობმა თვითმფრინავმა „ილ-76“-მა, რომელიც ერთდროულად 40 ტონა წყალს ასხამს

ხანძრის კერას, ეს სტიქია ერთ დღეში ჩააქრო! ჩვენც რომ დახმარება მიგვედ, ბორჯომის რაიონში ათასობით ხე გადარჩებოდა, ანუ ქვეყანას დიდი სიმდიდრე დაეზოგებოდა. შესაძლოა, აქაც ერთ დღეში (თუნდაც ორში) ჩამქრალიყო ხანძარი!

ტყე საქართველოს დიდი სიმდიდრეა და მას დიდი გაფრთხილებაც უნდა. ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი წესრიგში არა გვაქვს. ტყე ნადგურდება ხანძრებისგანაც, ბრაკონიერებისგანაც და უბრალოდ, უყურადღებობა-მოუვლელიობისაგან. აქაც სავალალო სტატისტიკა გვაქვს: საქართველოს ქონების 35 პროცენტი ხე-ტყეზე მოდის. ამ დრომდე ბოლომდე არ არის შესწავლილი ტყის როლი ქვეყნის ეკონომიკასა და ენერგეტიკაში. ვერ აილაგმა ბრაკონიერობა.

ბრაკონიერობის შემამფრთხილებელ ფაქტებს ჰქონდა ადგილი ბორჯომის რაიონში. მეტყვევები სხვადასხვა სოფლების მიმდებარე ტყეებში აკავებდნენ სამასალე ხე-ტყით დატვირთულ ავტომანქანებს. სამართალდამცავი ორგანოების და ტყის დაცვის კონტროლის მუშაკებისგან კი აღმკვეთი ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ბრაკონიერები და მათი შეფი „ბიზნესმენები“ ისე გათავხედნენ, რომ აქეთ ემუქრებოდნენ ტყის დაცვის მუშაკებს. გასულ წელს სოფელ რველის სიახლოვეს არსებულ ტყეში, ბორჯომ-ხარაგაულის პარკში ბრაკონიერებთან კამათის დროს სასიკვდილოდ დაჭრეს ტყის მცველი. ბორჯომის ხეობაში ზემოთაღნიშნული ხანძრის დროსაც კი, როდესაც ყველა ხანძრის ჩასაქრობად იყო, რომ იტყვიან, ხელებდაკაპიწებული, ბუნების მტრები ტყის ჩეხვას განაგრძობდნენ. სოფ. ყვიბისის თავზე, ხანძრის სიახლოვეს სამართალდამცვე-

ლებმა დააკავეს სამასალე ხე-ტყით დატვირთული ავტომანქანები, რომლებიც რაიონიდან გასვლას ცდილობდნენ.

შუა ზაფხულში ბორჯომში შეიცვალა პოლიციის რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელობა. მათ ერთ-ერთ ამოცანად დაისახეს ბრაკონიერებთან ბრძოლა. ამ ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო. ტყის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუშაკებთან ერთად მათ აღკვეთეს ტყეში, მიუვალ რამდენიმე ადგილას მომუშავე სახერხი საამქროების მუშაობა. დააკავეს ხე-ტყით დატვირთული ავტომანქანები.

თითქმის ორი ათეული წელია ჩვენი რაიონის ტყეებს ანადგურებს მბეჭდავი ქერქიჭამია. გაზაფხულზე დათბება თუ არა, გამხმარი ხის ქერქში დიდი სისწრაფით მრავლდება, შემდეგ გადადის ჯანმრთელ ხეებზე და მათაც ახმობს. ამ მავნებელთან ბრძოლის ოდნავი დაყოვნებაც კი კატასტროფულ შედეგებს აღწევს. ასეთი უპასუხისმგებლო მიდგომამ მათთან ბრძოლაში დაყოვნებამ და „საბუთების გაფორმების“ გამოდევნებამ თითქმის მთლიანად გაანადგურა ბორჯომელთა ერთ-ერთი საყვარელი და „ისტორიული“ დასასვენებელი ადგილი – ე.წ. „პლატოს ტყე“. მაშასადამე, მხოლოდ ბიოლოგიური მეთოდით ბრძოლა ამ მწერთან არასაკმარისია. დამატებით საჭიროა ბრძოლის მექანიკური და ქიმიური მეთოდები.

ბორჯომის ხეობის საკურორტო ტყეებში გავლა თითქმის შეუძლებელია, იმდენადაა დაბინძურებული უნებართვოდ (თუ ნებართვით) მოჭრილი ხის ტოტებით და ბოლოებით, რაც ტყის დაავა-

ლებების და ხანძრის გაჩენის წინაპირობაა.

ტყე ჩვენი სიმდიდრეა. ამ სიმდიდრეს კი სათანადო დაცვა და მოვლა-პატრონობა სჭირდება. მთლიანად შესაცვლელია საქართველოში ტყის მართვის სისტემა. უნდა აღსდგეს გაუქმებული სატყეო მეურნეობები: საჭიროდ მიგვაჩნია ისევე მოიმატოს ტყის მცველთა რიცხვმა, ტყის მუშაკებს გაეზარდოთ ხელფასები. მაშინ მეტი იქნება მათი პასუხისმგებლობაც.

ტყე მარტო შეშა და მასალა კი არ არის, ის საქართველოს ფილტვებია, ის არის მისი მშვენება. საქართველოს პეიზაჟების მოსანახულებლად მილიონობით ტურისტი ჩამოდის მთელი მსოფლიოდან. თუ გვინდა, რომ განვითარდეს ტურიზმი, უდიდესი მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ ჩვენს დედა-ბუნებას.

როგორც ჩანს, საქართველოში გვალვები მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას მართებს მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები გაატაროს ხანძრების არა მარტო ჩაქრობის, არამედ მათი არწარმოშობისთვისაც. ბორჯომის რაიონში წარმოშობილ ხანძართან ბრძოლამ აჩვენა, რომ ჩვენი მეხანძრეები ტექნიკურად არ არიან სათანადოდ აღჭურვილები, სახელმწიფოს არ ყავს ცეცხლმქრობი თვითმფრინავი, არასაკმარისია ვერტმფრენები. ყოველთვის სხვა ქვეყნები ვერ ჩაგვიქრობენ ხანძრებს. თუ ჩაგვიქრობენ, ამას უდიდესი თანხები ესაჭიროება. საჭიროა ბიუჯეტიდან გამოიყოს სათანადო დამატებითი თანხები დედა-ბუნების მოსავლელად და გადასარჩენად!

II. საიუბილეო მილოცვათი ტყის მეურნეობის ღვანღვრული მუშაკებს

ვალოდია (ვლადიმერ) ზედგინიძე - 80



მიმდინარე წლის ივლისის თვეში დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ზედგინიძეთა სახელოვანი გვარის ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს მეტყვევთა საზოგადოების დამსახურებულ მუშაკს, ტყის მეურნეობის ეკონომიკის დეპარტამენტის პიროვნებას ვალოდია ზედგინიძეს.

ვლადიმერ (ვალოდია) ზედგინიძე დაიბადა 1938 წლის 30 ივლისს ასპინძის რაიონის ულამაზეს სოფელ ზველში, დიდებული მესხური ტრადიციების მქონე ოჯახში.

რესპუბლიკის ცნობილი ეკონომისტი და ჟურნალისტი – ზაზა კაციაშვილი ვალოდია ზედგინიძის ას წელს გადაცემული დედისადმი – სოფიო ლონ-

დარიძისადმი მიძღვნილ ნარკვევებში „ბერდელა“ გადმოგვცემს: „...მესხეთის უმშვენიერეს სოფელ ზველში, ასხუთი წლის სოფიო ლონდარიძეს ვკითხე, მთავრობის დახმარება, ასე ღარი რომ შემოგთავაზეს, უარი რატომ უთხარი-მეთქი, და აი ასე მიპასუხა: „მე პატრონი მყავს, მაგათ თუ შეუძლიათ, საქართველოს მიხედონ და ხალხს უპატრონონო“... ნაღდი ქართველი დედის ამ სიტყვებს ვერაფერს დაუმატებ, რადგან ეს წარმონათქვამი ყოველმხრივ მეტყველებს მის სიღიადეზე.

მამის – ონისიმე ზედგინიძის შესახებ კი თვითონ ვაჟიშვილი ვალოდია ზედგინიძე ასე აღწერს და იხსენებს მამასთან შეხვედრის ერთ ეპიზოდს:

„მე, თხუთმეტი წლის ასაკში დავტოვე სოფელი და სასწავლებლად წავიკვი ბორჯომში. სოფლიდან წამოსვლის წინა დღეს მამაჩემს ვესტუმრე მთაში, საზაფხულო საძოვრებზე – „ფიქლურში“. მამა კარგად გამიმასპინძლდა და აი, რა მითხრა: „შვილო, ერთ რამეს გთხოვ... არ დაეჯახნო და არ წაგაქციოს ფიქრებმა და უაზრო ოცნებებმა, შენი ძალა გამოიყენე ისე, რომ ერთი წუთითაც არ გაჩერდე, იშრომე, იმოძრავე, და შრომა ფიქრს გადაგავიწყებს. რასაც მეტ საქმეს მოჰკიდებ ხელს და ჩაუღრმავდები, ეს საქმეები შენს ფიქრზეც გაიმარჯვებენ. იცოდე ადამიანი სიკვდილს ლოგინში არ უნდა დაელოდოს, სიკვდილმა შრომაში უნდა მოუსწროს. წინააღმდეგ შემთ-

ხვევაში ლოგინს მიჯაჭვული ამოძვრება სული“... იგი წამოდგა, ჯოხი გვერდზე მოისროლა, ხელები მომხვია, გულზე მიმიხუტა... „იცოდე, მტერი არ გაახარო“. ამ სიტყვების მერე კიდევ ერთხელ მებაზორა და გზა დამილოცა“.

ამ დიდი ქართველი გლეხკაცის სამაგალითო მშობლიური დარიგებისათვის, როგორც თვითონ ვ. ზედგინიძე აღნიშნავს თავის მოგონებებში, მას არც არასოდეს არ უღალატია და თავისი უნართა და უანგარო შრომით, სასახელოდ განულო ცხოვრების და მოღვაწეობის ათეული წლები.

როგორც აღვნიშნეთ, მესხეთის უღამაზეს სოფელ ზველში დაამთავრა მან რვაწლიანი სკოლა. მისი მიზანი, ცხოვრებისეული პირობებიდან გამომდინარე, ბავშვობის დროინდელი ოცნება გახლდათ, დაუფლებოდა მეტყვეის რთულ და საინტერესო პროფესიას. ამ მიზნით მიაშურა ბორჯომს და 1954 წელს ჩაირიცხა სატყეო-სამეურნეო ტექნიკუმში. სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, როგორც იგონებს:

„... დავბრუნდი ახალციხეში, სადაც სატყეო მეურნეობაში, დროებით, ტყის მეხანძრე-დარაჯად მოწყობაშიც კი შემექმნა დაბრკოლებები, რის გამოც მოხალისედ (დროზე ადრე) წავიდი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. გამამწესეს ჩრდილოეთ ურალში, სადაც ყინვები 40°-ს სცდებოდა. სწორედ აქ გავატარე სამი ხანგრძლივი წელი და მივიღე საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება. ჩემი მიზანი – უმაღლესში სწავლა იყო. სწორედ დემობილიზაციის შემდეგ, 1961 წელს, თბილისის რკინიგზის სადგურში დამენათევი, გავიდი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სატყეო განხრით, მისაღებ გამოცდებზე. პირველი გამოცდა

იყო ქართულ წერაში. დამის უძინარს, თვალს რული მომეძალა და საწერ მაგიდაზე ჩამთვლიდა. ვიღაცამ შემანჯღრია – გამომაღვიძა (ეს ვიღაცა, როგორც შემდგომ აღვიდგინე, ჩემი მომავალი დეკანი – იასონ (ინო) აბაშიძე იყო: ...გამოცდის დამთავრებას 40 წუთამდე აკლდა (თემა სიზმარში ვნახე და ჩამოვაყალიბე), დავიწყე წერა და თემა ერთი ამოსუნთქვით დავამთავრე. გადათეთრების დრო აღარ მრჩებოდა და ნაშრომი ეგრევე ჩავაბარე... მესამე დღეს, იმედი რომ უკვე გადაწურული მქონდა, დიქტორმა ხაზის რადიოში ჩემი გვარიც გამოაცხადა... დიდი პაუზის შემდეგ წარმოთქვა: „ზედგინიძე ფრიადი“. მომლოდინე ხალხის ტალღა, რომ იტყვიან, შეჩოჩოლდა აღტაცებისაგან, ე.ი. ყველა დაინტერესდა, თუ ვინ ვიყავი ასეთი პატრონიანი... პირველი წარმატებით ფრთაშესხმულმა, ასევე წარმატებით ჩავაბარე სხვა გამოცდებიც და ჩავირიცხე. სტუდენტობის წლებში ვცხოვრობდი სტუდენტოვანში...“

ვ. ზედგინიძემ ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სატყეო და ქალაქის მრეწველობის სამინისტროს ახლადორგანიზებულ სპეციალურ საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროს ნორმატიულ-კვლევით განყოფილებაში ინჟინერ-ნორმადარად. შემდეგ გააგრძელა საქმიანობა ტრესტ „საქმშენინდუსტრიაში“ ინჟინერ-ეკონომისტის თანამდებობაზე. როდესაც აქ ტრესტის ხელმძღვანელობა დარწმუნდა ამ განხრით მის ნიჭსა და უნარში, დააწინაურეს იქვე ტრესტში, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსად. აქედან, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების – გიორ-

გი გიგაურის და ტიტე წერეთლის რჩევით და რეკომენდაციით გადაყავთ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. აღნიშნულ თანამდებობაზე ნაყოფიერად მუშაობის პარალელურად სწავლას იწყებს თბილისის სამთო მეტყევეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის ასპირანტურაში სატყეო მეურნეობის ეკონომიკის განხრით. საკანდიდატო-სამეცნიერო თემად შერჩეულ იქნა პრობლემატური საკითხითის ტყეების ეკონომიკური შეფასების საკითხებზე – ლვოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის ნ. ილევის ხელმძღვანელობით. ამ მიმართულებით ვალოდია ზედგინიძემ წლების მანძილზე გასწია ნაყოფიერი მუშაობა და გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია მთის ტყეების ეკონომიკური შეფასების პრობლემებზე.

1977 წელში რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროდ გარდაქმნის შემდეგ, ვალოდია ზედგინიძე ინიშნება სატყეო მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკის და ფინანსების მთავარი სამმართველოს უფროსად. 1977-1991 წლებში იყო ჯერ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ, სატყეო მეურნეობის და ბუნების დაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური მთავარი სამმართველოს უფროსი.

შემდგომ წლებში იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სიტუაციების დეპარტამენტის ზურგის უფროსი, ხოლო 2002-2006 წლებში – საქართველოს სამთო-სამაშველო სამსახურის დირექტორის მოადგილე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ

თავისი მრავალფეროვანი საინტერესო სამსახურეობრივი მიღვაწეობის სფეროში, მისი მაღალნაყოფიერი მუშაობა განსაკუთრებით გაცხადდა სატყეო მეურნეობის დარგის მასშტაბით, როცა ის სათავეში ჩაუდგა სატყეო მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკურ-საფინანსო საქმიანობას. აღსანიშნავია ამ მიმართებით მისი განსაკუთრებული წვლილი ტყის რესურსების მაღალეფექტური გამოყენების და კვლავწარმოების მიზნით კომპლექსური სატყეო მეურნეობების ფორმირება-ფუნქციონირების, ტყის არამერქნული პოტენციალის მობილიზების, დამხმარე სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების, ტყის მეურნეობაში შრომის ანაზღაურების და მატერიალური სტიმულირების პროგრესული ფორმების მოძიება-დანერგვის ხაზით, რამაც სატყეო დარგის წინსვლა განაპირობა.

ვალოდია ზედგინიძემ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების ეტაპზე შექმნა შესანიშნავი ოჯახი, ამავე ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულ – ცისანა ჭანტურიასთან ერთად, რომელიც შემდეგ წლებში წარმატებით, ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქართველოს სოფლის და სატყეო მეურნეობის დარგებში წარმოების ეკონომიკის და ორგანიზაციის სფეროში..

მათ გაზარდეს შესანიშნავი ვაჟკაცი – ზაზა, რომელიც მშობლის კვალს გაჰყვა და მეტყევე-ინჟინერი გახდა, ხოლო შემდგომ იურისტის პროფესიას დაეუფლა და წარმატებით საქმიანობდა ამ მიმართულებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ნაადრევად შეწყდა მისი სიცოცხლე და უდიდესი ტრამვა მიადგა მის მშობლებს, მის ახალგაზრდა ოჯახს; შეილის დაკარგვით

გამოწვეულ ტკივილს ვერაფერი ვერ მოაშუშებს, მაგრამ განგების ნებით და შეწევნით, ცხოვრება გრძელდება.

ვალოდია ზედგინიძე 80 წლის ასაკში კვლავ აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით და არ იშურებს ენერჯიას ახალ, სასიკეთო საქმეთა ხორცშესახემლად. ამის ნათელი დასტურია მის მიერ წლების მანძილზე, დიდი შრომით და რუდუ-

ნებით შექმნილი შესანიშნავი, უნიკალური გამოკვლევა ზედგინიძეთა სახელოვანი გვარის წარმომავლობის და ისტორიის შესახებ, რომელიც ახლახან გამოიცა ცალკე წიგნად. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და ინტენსიური სასიკეთო საქმიანობა ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ჟურნ. „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით

შოთა ჭალაბანიძე, რევაზ ობოლაძე, თეიმურაზ კანდელაკი, მერაბ დვალის, დავით ბიბაური, გურამ ხურციძე, თენგიზ უჩანეთაშვილი, ლაშრა ნაჭყებია, ეთერ რეხვიაშვილი, ნათია ღუბიაწერი, ბიორბი ბაბოშვიძე, ოთარ დვალისძე, გურამ ორჯონიძეძე, ჯონი ბეშვიძე...

ლერი ჭოჭუა - 80

საქართველოს მეტყვევთა მესამე თაობის თვალსაჩინო
წარმომადგენელი, რესპუბლიკის დამსახურებული მეტყვევ



ლერი კლიმენტის ძე ჭოჭუა დაიბადა 1938 წლის 23 მარტს. 1944 წელს შევიდა მარტვილის (გეგეჭკორის) რაიონის ბობოთის დაწყებით სკოლაში. 1948 წელს სწავლა განაგრძო ამავე რაიონის სერგიეთის საშუალო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაასრულა 1955 წელს. 1956 წელს სწავლა განაგრძო თბილისში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა 1960 წელს. 1960 წლიდან 1993 წლის ჩათლით მუდმივად მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“, ამიერკავკასიის ტყეთმოსწიფის საწარმოში, სადაც მან განვლო სატყეო დარგის სფეროში პროფესიონალ მეტყვევ-სპეციალისტად ფორმირების და ჩამოყალიბების რთული

გზა ინჟინერ-ტექსატორობიდან საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსობამდე (ინჟინერ-ტექსატორი, ტყის ინვენტარიზაციის და დაგეგმვის პარტიის უფროსი, საწარმოს საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსი).

1993-2006 წლებში იყო საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტყის ინვენტარიზაციის და მართვის გეგმების შემუშავების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

2006-2013 წლებში მონაწილეობდა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ პროექტებში, 2013 წელს, ივნისში დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს მთავარ მეტყვევად, სადაც მუშაობდა 2014 წლის მარტამდე, რის შემდეგ განაგრძო მოღვაწეობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს მთავარი მრჩეველის თანამდებობაზე.

მეტად შთამბეჭდავია ლერი ჭოჭუას დამსახურება საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგის მართვის ეფექტიანობის ამაღლებისა და განვითარების საქმეში. ამის ნათელი დასტურია ის, რომ ლერი ჭოჭუა ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში იქნა დასახელებული, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ტყეთმოსწიფის ორმოცდაათ საუკეთესო პროფესიონალთა შორის: მისი უშუალო მონაწილეობით, თანაავტორობით და ხელმძღვანელობით უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შემუშავებულია სატყეო სექტორის განვითარების პრობლემებზე სხვადასხვა რეს-

პუბლიკური (რეგიონალური) და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პროექტები, რომელთა შორის განსკუთრებულად გამოირჩევა:

1. ღერი ჭოჭუას თანაავტორობით ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შექმნილი „კოლხეთის დაბლობის ატლასი“ (1984წ.);

2. საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში, იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „ონის რაიონის მიწათსარგებლობის პროექტი“ (1989-1999 წლები);

3. ტყის ინვენტარიზაცია ლანდ-შაფტურ-ეკოლოგიურ საფუძველზე მსოფლიო ბანკის ეგიდით დაფინანსებული „სატყეო სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში“ (2005-2008 წლები);

4. ალაზნის ჭაღის ტყეების შესწავლა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება (გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „დაცული ტერიტორიების განვითარების პროგრამა“, 2003 წელი);

5. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეგიდით შემუშავებული „საქართველოს ეროვნული ატლასი“ – სტატია „ტყის საფარი“ (2008-2010 წლები);

6. გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ტყის ეკოსისტემები), ჰიდროელექ-

ტრო-სადგურების დატბორვის ზონაში (ნამახვანჰესი, ხულონჰესი, ხრამჰესი);

7. რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს ტყეების ფუნქციონალური ზონირების შესახებ (2011-2012 წწ.);

8. „კლიმატის ცვლილებების პირობებში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“.

ზემოთაღნიშნულ და სხვა საკითხებზე ღერი ჭოჭუა არის სხვადასხვა პუბლიკაციების ავტორი, თანაავტორი, რედაქტორი... უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ ფორუმებში.

2003 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყვეის საპატიო წოდება.

ღერი ჭოჭუა, რომელსაც მიმდინარე წლის მარტში დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს მოღვაწეობას მრჩევლის თანამდებობაზე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო მეურნეობის სააგენტოს ხაზით, უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას მეტყვეთა ახალ თაობას.

ჟურნალ „სატყეო მოამბის“ რედაქცია, თანაკურსელები, მეგობრები გულითადად ულოცავენ ღერი ჭოჭუას – სარედაქციო კოლეგიის აქტიურ წევრს, ამ შესანიშნავ იუბილეს და უსურვებენ ჯანმრთელობას და ოჯახურ ბედნიერებას.



წარმომადგენლები საქართველოს რესპუბლიკიდან: პირველ რიგში მარცხნიდან მეორე –
ლერი ჭოჭუა, მესამე – თენგიზ ჩიხლაძე...

გურამ ხურციძე - 75



დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო მეტყვევს, დარგობრივი სატყეო პროფკავშირული საქმიანობის ცნობილ ორგანიზატორს – გურამ პოლიკარპეს ძე ხურციძეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ათეული წლების მანძილზე მის მიერ გაწეული უანგარო შრომა, ქმედებები სატყეო სექტორში (დარგებში) დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის, მათთვის ღირსეული და უსაფრთხო შრომითი პირობების დამკვიდრების და უკეთესი რეგულაციების შემუშავების საქმეში.

გურამ ხურციძე დაიბადა 1943 წელს ქ. ქუთაისში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1959 წელს. სკოლაში სწავლის პერიოდში პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშად. 1960 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. თბილისში და გურამმა მუშაობა გააგრძელა ქ. თბი-

ლისის „ელექტროგამშვებ“ ქარხანაში. 1961 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. ინსტიტუტში სწავლის წლებში, პარალელურად, მუშაობდა პარტიის ორჯონიკიძის სახელობის რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორად, სადაც გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით საქმისადმი და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე დიდი პასუხისმგებლობით. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქ. თბილისის მეტროს მშენებლობაში, რისთვისაც დაჯილდოვდა საპატიო ორდენით.

1967 წელს, ინსტიტუტის განაწილებით, მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ტყეთმომწეობის საწარმოში ინჟინერთაქსატორად. საქართველოს სატყეო მეურნეობებში ატარებდა ტყეთმომწეობის სამუშაოებს, რის საფუძველზე შემუშავებული ტყის რესურსების მართვის პროექტები ეგზავნებოდა სატყეო მეურნეობებს განსახორციელებლად. 1971 წელს გადაყვანილ იქნა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ ცენტრში ინჟინრად, სადაც მუშავებოდა რეგიონალური სატყეო მეურნეობებისთვის სხვადასხვა საწარმოო ოპერაციებზე გამომუშავების ნორმები და მათი დანერგვის მეცნიერული მეთოდები.

1979 წელს საქმიანობა გააგრძელა ამიერკავკასიის „ტყეთმომწეობის“ საწარმოში უფროს ტაქსატორად. შემდგომ გადაყვანილ იქნა აქვე ექსპედიციის (პარტიის) უფროსად, სადაც მუშაობდა 1983

წლამდე. 1983 წელს, საქართველოს სატყეო, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის დარგობრივი პროფკავშირის მოთხოვნით, გადაყვანილ იქნა რესპუბლიკურ კომიტეტში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1986 წელს საკავშირო პროფკავშირების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გურამ ხურციძე დაინიშნა დარგობრივი პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის შრომის ტექნიკურ ინსპექტორად, ხოლო 2001 წელს საქართველოს სატყეო, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის დარგობრივი პროფკავშირის ყრილობის მიერ არჩეულ იქნა ამავე დარგის პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.

2001-2004 წლებში ის ასრულებდა სატყეო დარგის რესპუბლიკური პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას. 2004 წელს გადაყვანილ იქნა თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. პარალელურად მუშაობდა დარგის პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილედ. 2005-2007 წლებში მუშაობდა თბილისის სატყეო მეურნეობის – ნახშირგორის, ხოლო შემდგომში კოჯრის სატყეოების უფროსად. 2007 წელს დაინიშნა მარნეულის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევედ, ხოლო სატყეო მეურნეობების შეერთების შემდგომ დამტკიცებულ იქნა ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მთავარ მეტყევედ.

2012 წლიდან, საქართველოს მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ყრილობაზე, აირჩიეს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, სადაც მუშაობს ამჟამად.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების XII ყრილობაზე გ. ხურციძე დაჯილდოებულ იქნა სიგელითა და მედლით საქართველოში პროფკავშირული მოძრაობის 110 წლის იუბილესთან დაკავშირებით აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გურამს ჰყავს შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე დარეჯან ლოსაბერიძე, სპორტის ოსტატი მშვილდოსნობაში, საქართველოს ჩემპიონი და საკავშირო შეჯიბრებების არაერთგზის პრიზიორი; სამი შვილი: მათია ხურციძე – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ეკა ხურციძე – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; ლევან ხურციძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მარკეტინგის მაგისტრი; გურამის დედა – გოგლა ფხაკაძე იყო პროფესიით მეან-გინეკოლოგი;

უნდა აღინიშნოს, რომ გურამის მამამ პოლიკარპე (პავლე) ხურციძემ, რომელიც მუშაობდა ქ. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად, წლების მანძილზე აღზარდა ბევრი დამსახურებული კადრი სოფლის მეურნეობის სფეროში. მას შემდეგ, რაც ქ. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, იგი გადაყვანილ იქნა პრორექტორად ახლადდაარსებულ ინსტიტუტში. დასავლეთ საქართველოს ოლქის შექმნის შემდგომ, 1950-იან წლებში, იგი დაინიშნა ამ ოლქის განათლების განყოფილების გამგედ. მას დიდი წვლილი მიუძღვნის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბაზო ტერიტორიის შენარჩუნების, მასზედ ტყის სხვადასხვა სახეობების გაშენების, სატყეო სანერგეების მოწყობის და მოვლა-პატრო-

ნობის საქმეში, რომლის ბაზაზეც შემდგომ დაფუძნდა ქ. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი.

მამამ გურამს ბავშვობიდან ჩაუნერგა ტყის სიყვარული, რამაც მას გადააწყვეტინა სატყეო საქმის სპეციალისტი გამხდარიყო. იგი დღემდე ღირსეულად აგრძელებს მოღვაწეობას სატყეო სფეროში, თავის გამოცდილებას უზიარებს

მეტყვევთა ახალგაზრდა თაობას ტყის მოვლა-პატრონობის, დაცვის, გაშენების, განახლების და ტყის რესურსების რაციონალური, მრავალმიზნობრივი გამოყენების კეთილშობილურ საქმიანობაში.

ველოცავთ ბატონ გურამს ამ დიდებულ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ბედნიერებას და ჯანმრთელობას.

ჟურნ. „სატყეო მოამბის“ რედაქციის სახელით:

მარინე კურტანიძე, შოთა ჭალაბანიძე, მერაბ ღვალი, დავით ბიბაური, ლაურა ნაჭყებია, ბიძინა თაგაძე, რევაზ ოგოლაძე, ვალერიან ზეგბენიძე, თეიმურაზ კანდელაკი, ლერი ჭოჭუა, ბიორბი ბაბოშიძე, ჯონი გეგვიძე, ბურამ ორჯონიკიძე....

გიორგი გაგოშიძე - 60



დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა საქართველოს მეტყვევთა მეოთხე თაობის შესანიშნავ წარმომადგენელს, საქართველოს ტყეების ბიოეკოლოგიის ცნობილ მკვლევარს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორს, სოფლის მეურნეობათა მეცნიერებათა დოქტორს, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს – გიორგი ალექსანდრეს-ძე გაგოშიძეს.

გიორგი გაგოშიძე დაიბადა თბილისში 1957 წლის 18 ოქტომბერს, 1979 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი და მიენიჭა სატყეო მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაცია, რის შემდეგ მუშაობა დაიწყო ამავე ინსტიტუტის ზოგადი მეტყვევობის და დენდროლოგიის კათედრაზე ლაბორანტად. სამსახურთან შეთანხმებით დაუსწრებლად დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსე-

ბული ასპირანტურა და ასპირანტურაში სწავლის წლებში პროფ. იასონ აბაშიძის ხელმძღვანელობით მოამზადა საკვალიფიკაციო ნაშრომი წაბლის ბიოეკოლოგიის საკითხებზე. დისერტაცია დაცული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის აკად. ვასილ გული-საშვილის სახელობის სამთო მეტყვევობის ინსტიტუტის სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1993 წელს და მიენიჭა ბიოეკოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამის შემდეგ მან გააღრმავა კვლევა წაბლის ბიოეკოლოგიის, მისი დაცვის, ფიზიოლოგიურად მდგრადი, შერეული კორომების შექმნის მეთოდოლოგიურ საკითხებზე და 2006 წელს ასევე წარმატებით დაიცვა ამ მიმართებით სადოქტორო დისერტაცია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ვასილ გული-საშვილის სამთო მეტყვევობის ინსტიტუტის სადოქტორო სადისერტაციო საბჭოზე.

მის მიერ მიღწეული წარმატებები უმაღლესი პედაგოგიური განათლების და სატყეო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროში, მოპოვებული იქნა ათეული წლების მანძილზე გაწეული დიდი შრომით და გარჯით. იყო კათედრის ლაბორანტი, ასისტენტი, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ბუნების დაცვისა და მეტყვევობის კათედრის დოცენტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სადაც ამჟამად განაგრძობს მოღვაწეობას.

გიორგი გაგოშიძეს 2000-2017 წლებში

აქტიურად აქვს მიღებული მონაწილეობა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო და შიდაარესპუბლიკურ პროექტებში, რომელთა შორის უპირველესად დავასახელებთ შემდეგ პროექტებს:

1. „საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა“;

2. სამკურნალო არომატულ მცენარეთა გენეტიკური რესურსების დივერსიფიკაცია კავკასიონის სამხრეთ რეგიონში;

3. „გაუდაბნობის პროცესის უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე და მისი შემცირების სატყეო-სამედიცინო რეკონსტიტუციები“;

4. „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე არსებული დაცვითი ტყის ზოლების აღრიცხვის, ფიტოსანიტარული შეფასების, ბუნებრივი გარემოდან ამოღებული ნარგავების ადგილას ახალი ზოლების დაგეგმვა-გაშენებისა და მონიტორინგის წესები“. (აკად. რევაზ ჩაგელიშვილთან ერთად)

გიორგი გაგოშიძე 1990-2017 წლებში აქტიურად იღებს მონაწილეობას მრავალ საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში, რომლებიც მიეძღვნა ჩვენს პლანეტაზე კლიმატის ცვლილების (გლობალური დათბობის), ტყის რესურსების დაცვის, მოვლის და შენარჩუნების პრობლემებს.

მისაბადი და სამაგალითოა გიორგი გაგოშიძის მიერ გაწეული მრავლმხრივი საქმიანობა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადების ხაზით. წლების მანძილზე იყო ათეულზე მეტი სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი, სადოქტორო ნაშრომის ოფიციალური ოპონენტი, სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში სადისერტაციო საბჭოს წევრი.

გიორგი გაგოშიძეს გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ორი სახელმძღვანელო სპეციალურ დისციპლინებში („დენდროლოგია“, „მცენარეთა დაცვა“). არის მრავალი სასწავლო-მეთოდური მითითებების, პროგრამების და რეკომენდაციების ავტორი. რიგი სამეცნიერო სტატიებისა გამოქვეყნებულია და ციტირებულია რამდენიმე საზღვარგარეთის ქვეყნის (ბელგია, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი...) საერთაშორისო სამეცნიერო კრებულებში და ჟურნალებში.

ჟურნალ „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს გიორგი გაგოშიძეს ამ ღამეზე საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 60 წლისთავს, უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ოჯახურ ბედნიერებას.

შოთა ჭალაბანიძე, კეტი დუნდუა, რევაზ ჩაბელიშვილი, ბურამ ხურციძე, რევაზ ობოლაძე, ზაურ ბალაშვარაშვილი, თეიმურაზ კანდელაკი, ბიძინა თავაძე, არჩილ სუპატაშვილი, ზვიად ტიღინაშვილი, ჯონი მეფერიძე, ალექო აფციაური...



მიმდინარე 2018 წლის იანვარში დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა საქართველოს მეტყვეთა მესამე თაობის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს – გურამ ალექსანდრეს ძე ორჯონიკიძეს.

გურამი დაიბადა ხაშურის რაიონის სოფელ ტეხერში, 1938 წლის 17 იანვარს. 1953 წელს დაამთავრა სოფ. ტეხერის რვაწლიანი სკოლა, ხოლო 1958 წელს ქ. რუსთავის №2 მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლა. სწავლის პარალელურად მუშაობდა რუსთავის ხის დამამუშავებელ კომბინატში მუშად.

1958 წელს გაწვეული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში და 1962 წლის თებერვალში, დემობილიზაციის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა ისევ რუსთავის ხის დადამამუშავებელ კომბინატს.

1964 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე. ინსტი-

ტუტის დამთავრების შემდეგ, 1969 წლის თებერვლიდან სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაწილებით მუშაობდა ყაბარდო-ბალყარეთის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სატყეო მეურნეობებში უბნის უფროსის მოადგილედ 1969 წლის დეკემბრამდე. 1970 წლის იანვარში მუშაობას იწყებს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ ცენტრში ინჟინრად, ხოლო შემდეგ გადაყავთ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მატერიალური ბაზანსების განყოფილებაში უფროს ინჟინრად. 1977 წლიდან ინიშნება სახელმწიფო კომიტეტის ტყის კულტურების აღდგენის სამმართველოში უფროს ინჟინრად, ხოლო 1993 წლის ოქტომბერში დაინიშნა ხაშურის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყვეედ. შემდეგ ის მუშაობას აგრძელებს თბილისის ეროვნულ პარკში ტყის დაცვის ინჟინრად, სადაც მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე (2006 წ.).

გურამი კვლავ მხნედ და უნარიანად წარმართავს თავის საქმიანობას. აქტიურად მოღვაწეობს სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჰყავს შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე რუსუდანი უმაღლესი სკოლის პედაგოგია, ხოლო ქალიშვილი ქეთევან (ქეთინო) ორჯონიკიძე გახლავთ სახელგანთქმული ესტრადის მომღერალი, შესანიშნავი პოეტი და ტელემუშაკი.

ჟურნალ „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს ბატონ გურამს საიუბილეო თარიღს და უსურვებს კვლავ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას თავის ძვირფას ოჯახთან ერთად.

P.S გურამი პოეტური სულის მქონე პიროვნებაა და მრავალი სტრიქონი აქვს მიძღვნილი ბუნების, ტყის და საერთოდ, ცხოვრების აქტუალური საკითხებისადმი.

გთავაზობთ მოკლე ამონარიდს მისი ერთერთი ლექსიდან, რომელიც მოხუცი მეტყვევის გულის ამოძახილს და დარღვებას ასახავს მომავალი თაობებისადმი.

მოხუცი მეტყვევის ჩივილი

(გულის ამოძახილი)

„შვილო ტყე არის სიმდიდრე

ჩენი ქვეყნის და ერისა

უჟანგბადობა იცოდე

დამღუპველია ქვეყნისა...

სულიერი და უსულო

წყლით რომ საზრდობს, იცოდე

ვინც ტყეს გაჩეხავს უმიზნოდ

სირცხვილით უნდა იწვოდეს“.

ამინ!

ჟურნ. „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის და ახლო მეგობრების სახელით

მერაბ ღვალდი, გურამ ხურციკე, მარინე სუჯაშვილი, ვალერიან ზედაზნიძე, რევაზ ოგოლაძე, ჯონი ბეჟინიძე, თენგიზ მეტრეველი, ლაშრა ნაჭყებია, ეთერ რეხვიანი, ნათია ღუბინაძე.....

ჯონი გეფერიძე - 70



მიმდინარე წლის თებერვალში 70 წელი შეუსრულდა რესპუბლიკის ზოლტექნიკურ-ვეტერინალური სამსახურის და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მუშაკს – ჯონი ივანეს ძე გეფერიძეს.

ჯონი გეფერიძე დაიბადა 1948 წლის 25 თებერვალს სამტრედიის რაიონის ულამაზეს სოფელ ოფეთში.

აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს ზოლტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე ზოლტექნიკური განხორით. აღნიშნული ინსტიტუტი წარმატებით დაასრულა 1974 წელს. ინსტიტუტში სწავლის წლებში მუშაობდა ქ. თბილისში სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში და საწარმოებში.

1974 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სპეციალობით,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ ვეტსანიტარულ რაზმში ჯერ ვეტტექნიკოსის, ხოლო შემდგომ ვეტექიმის თანამდებობაზე.

1976 წელს გადაჰყავთ ზოლტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი ზოლტექნიკოსის, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

1978 წელში სამუშაოდ გადმოყავთ საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, დამხმარე სოფლის მეურნეობის სამმართველოში მთავარ ზოლტექნიკოსად, სადაც საქმიანობდა 1988 წლამდე. 1988 წელს სამუშაოდ გადადის სატყეო მეურნეობის და ბუნების დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „სატყეოესლში“ ტყის სახეობათა (ჯიშების) თესლების დამზადების თბილის-გარდაბნის საწარმოო უბნის უფროსად. 1997-2004 წლებში მოღვაწეობდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში და პარალელურად საქმიანობდა საქსპორტო ხაზით ტყის თესლების დამზადების და რეალიზაციის ოპერაციებზე. ის ამ წლებში ისე შეესისხლხორცა სატყეო-სამეურნეო საქმიანობას და მიიზიდა ამ დარგმა, რომ გადაწყვიტა მისი მაღალპროფესიულ დონეზე დაუფლება და ამ მიზნით 2005 წელს დაამთავრა თბილისის სატყეო და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი სატყეო-საინჟინრო სპეციალობით, რის შემდეგ განაგრძობს წარმატებულ საქმიანობას სატყეო-სათესლე მეურნეობის წარმოების და ტყის სახეობათა თესლების დამზადების სფეროში. არის ჟურნ. „სატყეო მოამბის“ ტექნიკური რედაქტორი.

ჯონიმ შექმნა შესანიშნავი ოჯახი.

მეუღლე – იზოლდა ჩინჩალაძე რესპუბლიკაში ცნობილი, დამსახურებული ექიმი-თერაპევტია. დედის კვალს გაჰყვა უფროსი ქალიშვილი თამარიც, ხოლო მეორე ქალიშვილი – ნინო, საბანკო სფეროს მენეჯერია. ორთავე დაოჯახებულია.

თამარს ჰყავს ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, ხოლო ნინოს ორი ვაჟი. ვუსურვებთ მათ დაზრდილყვნენ სამშობლოს ერთგულ და სასახელო ადამიანებად.

კვლავ იმრავლოს, იხაროს და იბედნიეროს ჯონი გეფერდის და იზოლდა ჩინჩალაძის დიდებულმა ოჯახმა.

ჟურნ. „სატყეო მთაბის“ სარედაქციო კოლეგიის და ახლო მეგობრების სახელით

ლაურა ნაჭყებია, მერაბ ღვალი, ეთერ რეხვიაშვილი, ნათია ღუბინაძე, ბურამ ხურციკე, ვალერი ზეგბინიკე, ბიორბი ბაბოშიკე, რევაზ ობოლაძე, ბურამ ორჯონიკიძე, ჯემალ ვაშაძე, ბიორბი ყასაბური, თენგიზ მმტრეველი, ამირან ტაბატაძე, ჯიმშერ ბაბუნაძე...

III. სოციალური პრობლემები

ირინე ჯაჰახაძე

საქართველოს საპენსიო რეფორმა

მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთიანი სისტემის შემუშავება დემოკრატიული მოწყობისკენ მიმავალი გარდამავალი ქვეყნების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამ სისტემის უმთავრესი კომპონენტია საპენსიო სისტემა, რომელიც ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: 1. დაუცველ მოქალაქეთა მინიმალური უზრუნველყოფა და 2. სამართლიანობა. არაერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემების მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება.


1. საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმირების რამდენიმე ეტაპი:

საქართველოს საპენსიო სისტემაში რეფორმირების რამდენიმე ეტაპი გაიარა,

რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1995 წელს სოციალური საპენსიო სისტემის შემოღება. დასაწყისში პენსიის რაოდენობა განისაზღვრებოდა მოცემული წლისათვის სახელმწიფო საპენსიო ფონდის შემოსავლების მოცულობით, რომელიც იყოფოდა პენსიონერთა რაოდენობაზე. 1990-იანი წლების ბოლოს არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და არასტაბილურმა ფისკალურმა გარემომ ხელი შეუშალა საპენსიო სისტემის რეფორმების დამტკიცებას და განხორციელებას. 2004 წლამდე სახელმწიფო პენსია ფინანსდებოდა სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ, რომლის საშემოსავლო რესურსი ემყარებოდა დამქირავებლისა და დაქირავებულის საგადახადო შენატანებს, ხოლო 2004 წლიდან სოციალური პროგრამები ფინანსდება საერთო საბიუჯეტო შემოსავლიდან.

სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა წლების მანძილზე

(დიაგრამა 1)



წყარო: შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონები

2012 წლის 1 სექტემბრიდან შემოდგომულ იქნა საპენსიო პაკეტი, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ ასაკით პენსიონერებისათვის. საპენსიო პაკეტით განსაზღვრული ნომინალური ფულადი კომპონენტი 67 წლამდე პენსიონერთათვის შეადგენდა 110, ხოლო 67 წლის ზემოთ ასაკის პენსიონერთათვის – 125 ლარს, ამასთან საპენსიო პაკეტი მოიცავდა საპენსიო ასაკის მქონე პირთა 15 ლარიან დაზღვევას, რომელიც ფინანსდებოდა „ჯანმრთელობის დაზღვევის“ პროგრამიდან. 2012 წელს რეკლასიფიკაციის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა და მარჩუნალდაკარგულთა პენსიას ეწოდა სოციალური დახმარება. 2013 წლის აპრილში განხორციელდა საპენსიო ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსიის ზრდა კერძოდ, ყველა ასაკით პენსიონერისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პენსიის ოდენობა განისაზღვრა 125 ლარის ოდენობით, ხოლო სექტემბრიდან 150 ლარის ოდენობით. მომდევნო მატება იყო 2015 წლის 1 სექტემბრიდან ყველა ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა განისაზღვრა 160 ლარით, ხოლო 2016 წლის 1 ივლისიდან 180 ლარით. 2016 წლის პირველი სექტემბრიდან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით.

საპენსიო ხარჯები შედგება ოთხი ძირითადი კატეგორიისგან:

✓ ასაკით პენსიონერები – საქართველოს ყველა მოქალაქეს საპენსიო ასაკის მიღწევითანავე ენიშნება ასაკობრივი პენსია (სოციალური პენსია), რომელსაც სოციალური დახმარების სახე აქვს. სოციალური პენსია არ არის დამო-

კიდებული ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ან საპენსიო ფონდში წლების განმავლობაში განხორციელებულ ნომინალურ შენატანებზე და არც ნამსახურებ წლებზე. სოციალური პენსიის მიღების კრიტერიუმები საკმაოდ ლიბერალურია. ერთადერთი წინაპირობაა საპენსიო ასაკის მიღწევა. საქართველოს ყველა მოქალაქეს საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე (მამაკაცებისთვის 65 წელი და ქალებისათვის 60 წელი) უფლება აქვს, მოთხოვოს სოციალური პენსია. მოქმედებს გარკვეული გამონაკლისები, როგორცაა – ორმაგი მოქალაქეობა და საჯარო სამსახურში დასაქმება. საპენსიო ასაკამდე პენსიაში გასვლის უფლება ნებადართული არ არის. მოქალაქეებს უფლება აქვთ საპენსიო ასაკში ფორმალურ სექტორში გააგრძელონ მუშაობა და იმავდროულად მიიღონ სოციალური პენსია. მხოლოდ საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოქალაქეებს ეზღუდებათ პენსიის მიღების უფლება;

✓ შშმ პირთა სოციალური დახმარება – ყველა შშმ პირი იღებს სოციალურ დახმარებას (2012 წლამდე აღნიშნულ დახმარებას უწოდებდნენ ინვალიდობის პენსიას) არსებობს შშმ პირების ორი კატეგორია: I კატეგორია და II კატეგორია. დახმარების მოცულობა დამოკიდებულია პიროვნებისათვის მინიჭებულ შშმ სტატუსზე. დახმარების მიმღებ შშმ პირთა 90%-ზე მეტს სწორედ II კატეგორია აქვს მინიჭებული. I კატეგორიას მიეკუთვნებიან მოქალაქეები, რომლებსაც ბევრად სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ; როგორცაა, მაგალითად: ომში ან სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს მიღებული დაზიანებები, მოვალეობის შესრულების დროს დაინვალიდებული პირები, მძიმე დაავადების მქონე მოქალაქეები და სხვა;

✓ კომპენსაციის მიმღებთა კატეგორია – საჯარო სექტორის თანამშ-

რომლების სპეციალურ კატეგორიას ეძლევა სახელმწიფო კომპენსაცია. სპეციალური კატეგორიის პენსია უფრო მაღალია, ვიდრე სოციალური პენსია და მისი ოდენობის დაანგარიშება თითოეული ბენეფიციარისათვის ინდივიდუალურად ხდება. ასეთი კატეგორიის ბენეფიციარებს არჩევანის უფლება აქვთ და სპეც. პენსიის ნაცვლად შეუძლიათ მიიღონ სოციალური პენსია. ორივე სახის პენსიის მიღება ნებადართული არაა (არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, მაგალითად: მარჩენალდაკარგულები რომელთაც აღნიშნული შეზღუდვა არ ეხებათ).

✓ მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრების დახმარება – მარჩენალდაკარგულთა დახმარება (2012 წლამდე ეწოდებოდა მარჩენალის პენსია) გაიცემა ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების საფუძველზე, რომლის მოთხოვნის უფლება აქვს 18 წლამდე, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს.

არსებობს მეხუთე კატეგორია: სხვადასხვა – რომელიც აერთიანებს სამხედრო ოპერაციების დროს დაღუპულთა ოჯახის წევრებს, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებს და ა.შ.

სახელმწიფო პენსიის გამოყოფის პასუხისმგებლობა აკისრია სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც საქართველს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია.


2. საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობა

ასაკობრივ პენსიას (სოციალური პენსია), რომელსაც სოციალური დახმარების სახე აქვს საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ნულოვან პილარს უწოდებენ. მისი მიზანია მთლიანი მოსახლეობის დაფარვა და თანაბარი ოდენობის

პენსიით უზრუნველყოფა. სოციალური პენსია უფრო ღირებულია ქალეზისთვის, ვიდრე მამაკაცებისთვის, რადგან ისინი შედარებით მაღალ ჩანაცვლების კოეფიციენტს იღებენ. საქართველოში, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, ქალები, მამაკაცებთან შედარებით იღებენ უფრო დაბალ ხელფასს. ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, საპენსიო ასაკი 5 წლით ადრე უწევთ. გარდა ამისა, ქალეზის სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მაღალია და შესაბამისად, ქალ პენსიონერთა რაოდენობა გაცილებით მაღალია. ამასთან, საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და შობადობის დონის შემცირება თვალსაჩინო ტენდენციაა, რამაც, თავის მხრივ, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება გამოიწვია. შემცირებული რაოდენობის სამუშაო ძალის მოსახლეობას უწევს მზარდ საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის არაპირდაპირი ფორმით დაფინანსება.

არსებული სოციალური პენსიის ფარგლებში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს პენსიონერს ინფლაციური მოვლენებისგან. მსგავსი მექანიზმის არ არსებობის შემთხვევაში პენსიის მსყიდველუნარიანობა დროთა განმავლობაში დაეცემა, რაც საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბესთან ბრძოლის ამოცანის შესრულებას გაართულებს. საჭიროა სოციალური პენსიის ინდექსაცია ინფლაციასთან, რაც ერთის მხრივ გააძლიერებს პენსიის ეფექტურობას სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით და მეორეს მხრივ – გაამყარებს სისტემის ფისკალურ მდგრადობას. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, არსებობს სხვადასხვა ინდექსაციის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავენ პენსიის ყოველ-

მოსახელობის საპენსიო უზრუნველყოფის პროცენტული წილი სახელმწიფო ბიუჯეტში



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონები (შესაბამისი წლების)


წლიურ ზრდას. ქვეყნების უმეტესობა ცდილობს, პენსია გაზარდოს ინფლაციის შესაბამისად მაინც. ინდექსაციის სხვა ვარიანტები მოიცავს ნომინალურ მშპ-სთან ან საშუალო ხელფასთან ზრდას ან შერეული ტიპის ინდექსაციას (რაც ნიშნავს, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდის წლებში ინდექსაციის კოეფიციენტი უფრო მაღალია).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საპენსიო რეფორმები ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

✓ იზრდება პენსიაზე გასვლის ასაკი. 2050 წლისათვის ევროპის ეკონომიკისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების უმეტესობაში საპენსიო ასაკი სულ მცირე 67 წელი გახდება. ზოგიერთმა ქვეყანამ საპენსიო

სოციალური პენსიის ხანაცვლების კოეფიციენტების ტენდენციები

(დიაგრამა 3)



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ასაკის ინდექსაცია მოახდინა სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. ისეთ ქვეყნებში, სადაც დამატებითი შემოსავლების მობილიზება რთულია, მოხდა ქალებისა და მამაკაცების საპენსიო ასაკის თანდათანობით გათანაბრება. აღნიშნული სტრატეგია შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, შეინარჩუნოს არსებული პენსიის დონე და დაიცვას ჩანაცვლების კოეფიციენტი. სხვა მიდგომებისაგან განსხვავებით, საპენსიო ასაკის გაზრდა უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას.

✓ ქვეყნები ცდილობენ უფრო მეტად საინტერესო გახადონ კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემები და ამავდროულად, ხელი შეუწყონ ახალგაზრდა თაობის სტიმულირებას, ახალი მიდგომები შემუშაონ მეტის დაზოგვის კუთხით.

საპენსიო სისტემის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი არის ჩანაცვლების კოეფიციენტი. ჩანაცვლების კოეფიციენტი ზომავს პენსიის ადეკვატურობას მთლიანი შემოსავლის დონესთან შედარებით და იგი განისაზღვრება საშუალო პენსიის გაყოფით საშუალო ხელფასზე. არსებული ჩანაცვლების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში 18% არის, რაც ნიშნავს, რომ პენსიონერები ხელფასის დაახლოებით ერთ მეხუთედს იღებენ. სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ჩანაცვლების კოეფიციენტი დაბალია თუმცა, საქართველოში, დაფარვის კუთხით, ბევრად უკეთესი მდგომარეობაა ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც საყოველთაო დაფარვა არ მოქმედებს.

კერძო საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს შექმნას დანაზოგი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამოშვებული ხელფასის და საშუალებას მისცემს მიიღოს უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ფისკალური სტაბილურობის

გათვალისწინებით, კერძო დაგროვებითი პენსია ყველაზე ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობის გაუმჯობესების კუთხით. მხოლოდ სოციალური პენსიის მეშვეობით ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა, ან თუნდაც შენარჩუნება, არარეალისტური იქნება.

საპენსიო შემოსავლების დივერსიფიკაცია აუმჯობესებს ჩანაცვლების კოეფიციენტს და ამცირებს საპენსიო რისკებს. დაგროვებითი სისტემის დანერგვაზე ან არსებული კომპონენტის გაძლიერებაზე ფიქრი მიზანშეწონილია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც დემოგრაფიულ დაბერებას განიცდიან. დანაზოგების სისტემა მოქალაქეს საშუალებას აძლევს უკეთ დაგეგმოს მომავალი საპენსიო შემოსავალი, რაც საშუალებას იძლევა არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სოციალური უზრუნველყოფის პაკეტზე.

3. საპენსიო სისტემები (მ.შ საჯარო მოხელეებისთვის) დემოკრატიულ ქვეყნებში

ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში საჯარო მოხელეები სპეციალურად შექმნილი დამოუკიდებელი საპენსიო სქემით სარგებლობენ, ზოგიერთ ქვეყნებში საჯარო მოხელეების საპენსიო უზრუნველყოფა სხვა სამსახურებისგან დამოუკიდებელი სქემის მიხედვით ხდება. სხვა შემთხვევებში საპენსიო უზრუნველყოფა ზოგადი სქემით განისაზღვრება და საჯარო მოხელეთათვის დამატებების გათვალისწინებული გარკვეული სქემით.

საპენსიო სქემის შემუშავების პროცესში შეიძლება იყოს ორი მიდგომა: პენსია – როგორც გახანგრძლივებული, მაგრამ შემცირებული ხელფასი, რომელსაც უხდიან მომსახურე პერსონალს ჯამაგირის მსგავსად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და პენსია – როგორც მუშაო-

ბის პერიოდში ხელფასიდან გადაღებული აკუმულირებული სახსრების გაცემა. ამისთვის იქმნება საპენსიო საზოგადოება, ან ფონდები სადაც ირიცხება საპენსიო შენატანები.

შესაბამისად არსებობს ორი საპენსიო სისტემა:

✓ Pay-as-you-go-ს (გადახდა შემდგომში – PAYG) – საპენსიო ვალდებულებები იფარება უწყვეტად, როდესაც ამის დრო დგება. წინასწარი დაფინანსება ამ დროს არ ხდება და არც რაიმე კაპიტალი არის სარეზერვოდ გადახდილი სამომავლო საპენსიო გადახდებისთვის. მომუშავე თაობა აფინანსებს პენსიაზე გასულ თაობას, შესაბამისად პენსიაზე გასვლის შემდეგ მათ პენსიას მომავალი თაობები დააფინანსებენ. სისტემა მისაღები რომ გახდეს სამუშაოს მიმცემს უნდა ჰქონდეს შემოსავლის სანდო და გრძელვადიანი წყარო პენსიების დასაფარავად. დემოგრაფიული კლების პირობებში ეს სქემა სიძნელეებს განიცდის;

✓ Pre-funding (წინასწარი ფონდირება) – ნიშნავს, რომ სამომავლოდ ხდება მარაგის შექმნა საპენსიო გადახდისათვის წინასწარი ფინანსებით. ეს ხდება გასამრჯელოს მიღების პერიოდში. ანუ, სახელმწიფო თავის თავზე იღებს მომუშავეს (და მისი დამქირავებლისაგან) საპენსიო გადასახადების აღებას, აკუმულირებას და მართვას, იმისათვის, რომ პენსიაზე გადასვლის შემდეგ ის დაუბრუნდეს პენსიის სახით. სპეციალური ზომებია მისაღები იმისათვის, რომ წინასწარ დაფინანსებული საპენსიო ვალდებულებები გადახდილ იქნას პენსიების მოთხოვნის დროს.

OESD ქვეყნების უმეტესობა პენსიებს იხდის პირველი სისტემის მიხედვით, თუმცა დღევანდელი ტენდენცია მიანიშნებს მეორე სისტემისადმი ინტერესს. მაგალითად პოლანდიური და შვედური მო-

დლები მე-2 სისტემებით არიან ორგანიზებულნი. PAYG-სისტემის მოკლევადიანი უპირატესობა არის საპენსიო პირობების შეცვლის სიმარტივე, რასაც შედეგი მალევე მოყვება. ეს ეხება როგორც უკეთესობისკენ ასევე, უარესობისკენ ცვლილებებს. განსხვავებული მდგომარეობა არის წინასწარი ფონდების სისტემით დაფინანსების შემთხვევაში. ეს უკანასკნელი უფრო სტაბილური და საიმედოა.

4. კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა

დღეისათვის ქვეყნის მთავრობა მიიჩნევს, რომ საჭიროა ფინანსურ წახალისებაზე და მონაწილეთა შენატანებზე დაფუძნებული კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რაც მომავალი თაობის პენსიონერებისათვის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდება. ნაგარაუდებია, რომ კერძო საპენსიო სისტემა (ეფინედ ჩონტრიბუციონ) „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს დაეფუძნება. ასეთი სისტემის თანახმად, კერძო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის ამონაგებსა და დასაქმების ხანგრძლივობაზე (რაც უფრო დიდი ხნის მანძილზე მოხდება პორტფელში ინვესტირება, მით უფრო მაღალი ფინანსური შედეგი დადგება). განსაზღვრული შენატანების პრინციპის თანახმად, მოქალაქის მიერ სამომავლოდ მისაღები სარგებელი პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიერ წლების განმავლობაში გამომუშაებულ ხელფასსა და შენატანებზე. ამრიგად, კერძო საპენსიო სისტემა ბევრად უფრო სამართლიან მიდგომას სთავაზობს მოქალაქეებს. მსგავსი მიდგომის დანერგვის მოთხოვნა არაერთხელ ყოფილა გაქვდებული

საპენსიო რეფორმების საერთაშორისო მიმოხილვა

(დიაგრამა 4)

ქვეყანა	კერძო საპენსიო შენატანების ოდენობა	რეფორმის ამოქმედების თარიღი	მონაწილეობის ფორმა
ბულგარეთი	2% -5%	2002	სავალდებულო<42
ხორვატია	5%	2002	სავალდებულო<40 წლამდე; ნებაყოფლობითი 40-50 წლის
ესტონეთი	6%	2002	სავალდებულოა ახალი თაობის სამუშაო ძალისთვის
უნგრეთი	6% - 8%	1998	ყველასთვის სავალდებულოა
ყაზახეთი	10%	1998	ყველასთვის სავალდებულოა
კოსოვო	10%	2002	სავალდებულოა 55 წლამდე
ლატვია	2% -8%	2001	სავალდებულოა ახალი თაობის სამუშაო ძალისთვის 30 წლამდე, ნებაყოფლობითი 30-50 წელი
ლიტვა	2.5% -5.5%	2004	ნებაყოფლობითი სამუშაო ძალისთვის
მაკედონია	7.42%	2006	სავალდებულოა ახალი თაობის სამუშაო ძალისთვის
პოლონეთი	7.30%	1999	სავალდებულოა ახალი თაობის სამუშაო ძალისთვის 30 წლამდე, ნებაყოფლობითი 30-50 წელი
რუმინეთი	2% -3%	2008	სავალდებულოა 35 წლამდე, ნებაყოფლობითია 36-45 წელი
რუსეთი	3% -6%	2002	სავალდებულოა 1966 წლის შემდგომ დაბადებულთათვის
სლოვაკეთი	9%	2005	სავალდებულოა 1983 წლის შემდგომ დაბადებულთათვის

წყარო: მსოფლიო ბანკის ნაშრომი (Inverting Pyramid, 2014)

საზოგადოების მხრიდან. მთავრობის მიერ ინიცირებული მოდელი იძლევა შესაძლებლობას, რომ კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეები იმავედროულად მიიღებენ არსებულ სოციალურ პენსიას. სოციალური პენსია კერძო პენსიასთან ერთად, უზრუნველყოფს ბევრად უფრო ადეკვატურ ჩანაცვლებების კოეფიციენტს. იმის გათვალისწინებით, რომ კერძო დაგროვებითი საპენსიო სქემით განსაზღვრული შენატანის განაკვეთი 6%-იან, გრძელვადიანი დანაზოგის შემთ-

ხვევაში საშუალო ხელფასის მქონე პირები, ორი საპენსიო სისტემის მეშვეობით დაახლოებით 30%-იან ჩანაცვლების კოეფიციენტს მიიღებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალურ პენსიაზე ხელმისაწვდომობა კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეთათვის ხელს შეუწყობს ახალ სისტემაში გაწევრიანებას.

შენატანების ოდენობა განაწილდება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის. შემოთავაზებული კერძო საპენსიო სისტემა გავრცელდება ფორ-

მაღურ სექტორში დასაქმებული პირების მიმართ 2%+2%+2% პრინციპით. სისტემის სამი მონაწილე მხარე – მთავრობა, დამსაქმებელი და დასაქმებული ყოველთვიურად ახორციელებს 2%-იან შენატანს დასაქმებულის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე, რაც საბოლოო ჯამში უტოლდება 6%-ს. საპენსიო ანგარიშში გაიზრდება შენატანებისა და ფონდის მოგების მიხედვით. ამასთან, 6%-ის ზევით, დამატებითი, ნებაყოფლობითი შენატანი

უნდა იქნას წახალისებული. მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შენატანების, ანუ დასაქმების ხანგრძლივობას. კონსერვატიული საინვესტიციო და ამონაგების სცენარის პირობებში 6%-იან შენატანს, ზომიერი სარგებელი მოაქვს. თუმცა, 2%-ით მეტი შენატანის შემთხვევაში განსაკუთრებით მათ, ვინც 20 წლის განმავლობაში მაინც ახორციელებს შენატანებს საპენსიო სარგებელი გაცილებით მაღალი ექნება.

6%-იანი კონტრიბუცია ხელფასთან მიმართებაში და ყოველთვიური პენსია (დიაგრამა 5)

ყოველთვიური პენსია (ლარი, რეალური)		ხელფასი (ლარებში) - 6% -იანი კონტრიბუცია				
		500	1,000	1,500	2,000	2,500
კონტრიბუციის წლები	10	35	70	104	139	174
	20	94	188	282	376	470
	30	190	380	569	759	949
	40	340	680	1,020	1,361	1,701
ყოველთვიური პენსია (ლარი, ნომინალური)						
კონტრიბუციის წლები	10	54	109	163	218	272
	20	197	395	592	789	987
	30	535	1,070	1,606	2,141	2,676
	40	1,289	2,579	3,868	5,157	6,447

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

რეფორმის ფისკალურ მდგრადობას სახელმწიფოს დაფინანსების კუთხით, უზრუნველყოფს ყველა მხარის მიერ შენატანების განხორციელება. საპენსიო სქემის თანახმად, ფინანსური სტიმულირების კუთხით, მნიშვნელოვანი როლი მთავრობას უჭირავს რათა ფორმალურ სექტორში დასაქმებული მოქალაქეები გაწევრიანდნენ საპენსიო სქემაში. მთავრობის მხრიდან ფინანსური წახალი-

სების მისაღებად მნიშვნელოვანია დამსაქმებლისა და დასაქმებული პირის ფინანსური თანამონაწილეობა. სხვა ქვეყნებთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადი საქართველოში ერთერთი ყველაზე დაბალია (20%), ამიტომაც, საპენსიო შენატანი ყველა მხარემ უნდა გაიზიაროს.

კერძო დაგროვებითი პენსიის სარგებელი, რომელიც სამომავლოდ უნდა იქნეს

მიღებული რატოქმაუნდა დამოკიდებულია ფონდის მომგებიანობასთან, განსაკუთრებით, როდესაც ინვესტირება ხორციელდება გრძელვადიანი პერიოდით. სისტემას უნდა შეეძლოს ყოველწლიური ამონაგების წარმოქმნა, რომელიც ინფლაციის დონეზე მაღალი იქნება. ამასთან რაც უფრო მაღალი იქნება სისტემის მიერ წარმოქმნილი რეალური მოგება, მით უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი მიიღწევა. ამ მიმართულებით საპენსიო ფონდის მომგებიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მთავრობის მიერ შემუშავებულ საინვესტიციო პარამეტრებს და რეგულაციებს. ინვესტირების კონსერვატიული მოთხოვნები და მოკლევადიანი ინსტუმენტებში ინვესტირება საპენსიო ფონდისთვის ნაკლები მოგების მომტანი იქნება. საინვესტიციო პოლიტიკისა და ფონდის გრძელვადიანი მომგებიანობას შორის ბალანსის შესანარჩუნებლად, აუცილებელია რისკების მართვის და საინვესტიციო პარამეტრების სწორად შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა ნებაყოფლობითი მონაწილეობის საფუძველზე მოხდება, მნიშვნელოვანია სავალდებულო პრინციპის არსებობა დამსაქმებელსა და სახელმწიფოს მიმართ. საქართველოში, სადაც 90-იან წლებში დანაზოგების დაკარგვის ფაქტი ჯერ კიდევ ნათლად ახსოვს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს და მოსახლეობის ფინანსური განათლების და შემოსავლების დონე ჯერ კიდევ დაბალია, წმინდა ნებაყოფლობითი მიდგომა საკმარისი არ იქნება დასაქმებული მოქალაქეების დიდი ნაწილის სისტემაში გასაწევრიანებლად. აღსანიშნავია, რომ სისტემის დანერგვის მომენტში ყველა დასაქმებული მოქალაქე ავტომატურად გაწევრიანდება საპენსიო ფონდში, თუმცა მოქალაქეს მონაწილეობაზე უარის თქმის

და სისტემის დატოვების სრული უფლება აქვს. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით:

✓ დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში;

✓ დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია ყველა თვითდასაქმებულისათვის თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში;

✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებული და თვითდასაქმებული პირებისთვის საპენსიო შენატანების დაფინანსება განხორციელდება დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

დასაქმებულს, რომელსაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა ორმოცი (40) წელი და რომელსაც არ სურს იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, უფლებამოსილია, საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად წერილობით მიმართოს საპენსიო სააგენტოს და გაიძღვოს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან სავალდებულო წესით ავტომატურად სქემაში გაწევრიანებიდან ხუთი (5) თვის განმავლობაში, მაგრამ გაწევრიანებიდან არანაკლებ სამი (3) თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმებული რჩება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილედ. ამასთან, დამსაქმებელს ეკრძალება დასაქმებულის დარწმუნება ან გადარწმუნება დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ, ან რაიმე სხვა ფორმით ზემოქმედება.

აღნიშნულ კანონპროექტში არის ასევე განსაზღვრული დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (შემდგომში – საპენსიო სააგენტო) შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია დაგრო-

ვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე. სააგენტოს მიზნებს, უფლებამოსილებებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურას შემუშავებს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. საპენსიო სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობას, გარდა საინვესტიციო საქმიანობისა ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ეროვნული ბანკი ახორციელებს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებას შესაბამისი კანონის მიხედვით.

ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციის მიხედვით საპენსიო დანაზოგები მიმართული პარლამენტის მიერ დაარსებულ არაკომერციულ საპენსიო ფონდში იქნება. იგივე მოდელი ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, სახელმწიფო დასაქმების დანაზოგების ფონდის სახით (National Employment Savings Trust-NEST). ფონდს ეყოლება პროფესიული ნიშნით არჩეული დირექტორთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საინვესტიციო სტრატეგიის განსაზღვრასა და დამტკიცებაზე. საპენსიო ფონდის აქტივების აქტიური მართვის პროცესში ფონდის ხელმძღვანელობა არ იქნება ჩართული. ტენდერის საფუძველზე გადაეცემა აქტივების მართვა აქტივების მართველ კომპანიებს (Asset Management Companies). ფონდის ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია მის ფუნქციონირებასა და სტრატეგიის შემუშავებაზე, მონიტორინგს გაუწევს კომპანიის მიერ აქტივების განთავსებას და საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელებას. საპენსიო ფონდის მიერ აკუმულირებული თანხების ინვესტირება მოხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. საინვესტიციო ინსტრუმენტები და განთავსების პარამეტრები განისაზღვრება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრებისთვის. რასაკვირველი მნიშვნელო-

ვანია, აკუმულირებული კაპიტალის დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით შეზღუდული და არალიკვიდური ადგილობრივი კაპიტალური ბაზრის პირობებში. საერთაშორისო ბაზრებზე ინვესტირება ასევე დაიცავს ფონდში აკუმულირებულ თანხებს სავალუტო რისკისგან, რომელსაც შესაძლოა გავლენა ქონდეს ადგილობრივ ფასებზე. საერთაშორისო დივერსიფიკაციამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ჩანაცვლების კოეფიციენტი. ასაკობრივი ალოკაციის (life-cycle approach) მართვის მიდგომას დაეფუძნება საინვესტიციო სტრატეგია. ხოლო (Portfolio Benchmarking) ოპტიმალური საინვესტიციო პორტფელის შემუშავების მეშვეობით მოხდება საპენსიო ფონდის მენეჯერებისათვის შეფასების ინდიკატორების დადგენა.

დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც მთავრობის თქმით, ღირსეულ სიბერეს უზრუნველყოფს, საქართველოში 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 80 000.0 ათასი ლარი. რეფორმა წარმოადგენს მთავრობის გეგმას საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს გრძელვადიან რისკებს და ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას. რეფორმის მიზანი ერთის მხრივ არის პენსიონერების უკეთ დაცვა სიღარიბისგან, ინდექსაციის მეშვეობით, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს პენსიონერის მსყიდველუნარიანობის დონის შენარჩუნებას, ხოლო მეორეს მხრივ – მომავალი თაობის პენსიონერების უფრო მაღალი

საპენსიო შემოსავლით უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულად დაკავშირებული იქნება დასაქმების პერიოდში მიღებულ შემოსავალთან და საპენსიო ფონდის მოგებასთან. სწორედ ამგვარ სისტემას შეუძლია საშუალება მისცეს ფორმალურ სექტორში დასაქმებულ მოქალაქეებს, უკეთ დაგეგმონ საპენსიო ასაკი და არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებამდე სულ რამდენიმე თვე არის დარჩენილი. როგორც საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები საუბრობენ შემოთავაზებულ საპენსიო სისტემას აქვს რიგი ნაკლოვანებები და იგი ეხება როგორც თავად რეფორმას, აგრეთვე განხილვის პროცესს. ჯერჯერობით მთავრობის ინიცირებული კანონის პროექტის ირგვლივ არის ბევრი შეკითხვა და გაუცემელი პასუხები, რაზეც დამატებითი კონსულტაციები არის საჭი-

რო. კანონპროექტის ავტორების მიერ უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად დღეს არსებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, თუმცა ესევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კანონპროექტის გაუმჯობესების მიმართულებით მოხდება პროექტში ცვლილებების შეტანა. მიზანშეწონილია სხვადასხვა საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება, თუმცა გასათვალისწინებელია საქართველოში არსებული რეალობა.

მნიშვნელოვანია ის გარემოებები, რომ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას გააჩნია ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, ხელს შეუწყობს ადგილობრივი კაპიტალური ბაზრის განვითარებას და საბოლოო ჯამში დადებით ასახვას პოვნებს ეკონომიკურ ზრდაზე.

ორივე ჯავახაძე

საქართველოს საპენსიო რეფორმა

რეზიუმე

ავტორი სტატიაში იხილავს საქართველოს საპენსიო რეფორმას, ასევე სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და შემდგომ აქტივობებს. აქვე ხაზს უსვავს, რომ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთიანი სისტემის შემუშავება დემოკრატიული მოწყობისკენ მიმავალი გარდამავალი ქვეყნების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამ სისტემის უმთავრესი კომპონენტია საპენსიო სისტემა. არსებული სოციალური პენსიის ფარგლებში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს პენსიონერს ინფლაციური მოვლენებისგან. მსგავსი მექანიზმის არ არსებობის შემთხვევაში პენსიის მსყიდველუნა-რიანობა დროთა განმავლობაში დაეცემა, რაც საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბესთან ბრძოლის ამოცანის შესრულებას გაართულებს.

ავტორი სტატიაში ასევე საუბრობს რეფორმის ფისკალურ მდგრადობის ასპექტებზე. შენატანების ოდენობზე, რომელიც განაწილდება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის. ასევე აღნიშნულია, საპენსიო ფონდის მიერ აკუმულირებული თანხების ინვესტირების მნიშვნელობა, როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებში. მნიშვნელოვანია ის გარემოებები, რომ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას გააჩნია ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი კაპიტალური ბაზრის განვითარებას და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

IRINE JAVAKHADZE

PENSION REFORM IN GEORGIA

SUMMARY

In the article the author considers the pension reform in Georgia, the state planned measures and further activities. The author underlines also, that drawing up the united social protection system for the population is one of the significant tasks for the democratic transferred countries. The key component of the system is the pension system. Within the existing social pension there is no mechanism that would protect the protect pensioners from inflation events. In case no such mechanism is found, the pensioners buying ability will decrease in some time, and this will complicate the task of overcoming poverty among the pensioners.

The author shows in the article also the fiscal sustainability aspects of the reform, the volume of inflows, which should be distributed among the employers, the employees and the government. Underlined is the significance of sums investment from the accumulated pension funds to the local and international markets. Important are the circumstances the private accumulated pension system has the effect of economy stimulation, which means mobilization of the long-term financial resources, and this will favor the development of the local capital market and in the long run will positively affect the economic growth.

IV. მოგონებები და ნარკვევები

რევაზ ობოლაძე

ოცდაათი წელი სატყეო მეურნეობის მართვის რესპუბლიკურ ორბანოებში (1973-2003 წლები)

ჩემი ცხოვრების და მოღვაწეობის ეს საუკეთესო ხანა, ძირითადი ბირთვი პროფესიული საქმიანობისა, ორ ნაწილად ყალიბდება: 1. საბჭოური პერიოდის ბოლო ჩვიდმეტწლეული; 2. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან ცამეტი წელი.

1. 1970 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე – იოსებ ჩოდრიშვილი თანამდებობიდან გადააყენეს დამსახურებულ პერსონალურ პენსიაზე გასვლის მოტივით, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული, და მის ადგილზე დაინიშნა, უფრო სწორედ, გადმოიყვანეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებილი მიტროფანე კუჭავა, მანამდე საქართველოში საკმაოდ კარგად ცნობილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. მიტროფანე კუჭავამ ჩოდრიშვილის დროინდელი მაღალჩინოსნები მალევე გადააყენა და თავის მოადგილედ ტყის მეურნეობის საკითხებზე მიიწვია თბილისის ტყის ინსტიტუტის სექტორის გამგე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი (შემდეგ დოქტორი, პროფესორი) გიორგი (გიგო) გიგაური, ხოლო სატყეო მეურნეობის სისტემაში ახლად ფეხადგმული სატყეო-სამრეწველო საქმიანობის ხაზით მოადგილედ

შეარჩია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერანტი, მანამდე სატყეო მეურნეობის სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნამსახური, ასევე ცნობილი სამეურნეო მუშაკი – ტიტე წერეთელი.

მიტროფანე კუჭავამ იმთავითვე გააცნობიერა, რომ ტყის მეურნეობა მეტად თავისებური, სპეციფიკური დარგი გახლდათ და აქ მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების გარეშე ფონს იოლად ვერ გავიდოდა. მას გამოაჩნდა უნარი დროულად გაეაზრებინა ეს ჭეშმარიტება, დარგის მართვის სტრუქტურის ღრმად გაანალიზების საფუძველზე, დამოუკიდებლად შეეფასებინა ვითარება და მიეღო საჭირო გადაწყვეტილებები.

კიდევ ერთი მინიშნება: ყოველივე ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მიტროფანე კუჭავამ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში, ძირფესვიანად გეგმიურად შეამოწმა სატყეო დარგი ადგილებზე და ღრმად ჩაწვდა მისი საქმიანობის არსს.

1972 წელს შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა – ვასილ მუჯანაძის ნაცვლად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად დაინიშნა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც კუჭავასადმი თავიდანვე კარგად განეწყო. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, 1973 წლის მარტში,

გამოვაქვეყნე ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში“ წერილი სატყეო მეურნეობის დარგის ინტენსიური განვითარების გზების შესახებ.

სტატია წაუკითხავს ტიტე წერეთელს, შემდეგ უჩვენებია მ. კუჭავასთვის და მიუჩნევიათ საჭიროდ ჩემი სამუშაოდ მიწვევა ტყის მეურნეობის დარგში სატყეო-ეკონომიკური ანალიზის საკითხებზე. მაშინ ტყის ინსტიტუტში ვმუშაობდი უფროს მეცნიერ-მუშაკად და საკითხი თურმე ინსტიტუტის დირექტორთან – ვასილ გულისაშვილთანაც კი შეუთანხმებიათ. შემდეგ მომიწყო გასაუბრება მ. კუჭავამ და მეც დავთანხმდი გადმოსვლაზე.

ასე დავინიშნე 1973 წლის აპრილში სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის ლაბორატორიის უფროსად. საშტატო განრიგში მყავდა სულ 12 მუშაკი. მოადგილედ დამინიშნეს პროფესიონალი ეკონომისტი გერონტი ბარამიძე, რომელიც მანამდე საქართველოს სატყეო მრეწველობის სამინისტროს აპარატში მუშაობდა შრომის დარგში, მთავარ ეკონომისტად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო მეურნეობის დარგი, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფებოდა და ეს საქმე საკმაოდ კარგად იყო დაყენებული და მოწესრიგებული. რაც შეეხება სატყეო-სამრეწველო საქმიანობას, სატყეო მეურნეობის სისტემაში დარგი ჩამოყალიბების პროცესში (ფორმირების ეტაპზე) იმყოფებოდა და ანალიტიკური თუ საგეგმო-ეკონომიკური საქმიანობა ამ მიმართულებით, შეიძლება ითქვას, მოიკოჭლებდა. მოსაწესრიგებელი იყო გამომუშავების ნორმები, გაფასებები, შრომის ანაზღაურების ფორმები, მატერიალური სტიმულირების საკითხები და სხვა.

1973 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, და შესაბამისად, შრომის საკავ-

შირო სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება სახალხო მეურნეობის დარგებში, მ.შ. სატყეო მეურნეობის სფეროშიც, შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ.

საზგასანძელია, რომ სატყეო მეურნეობის სფეროში სპეციალისტების და მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურება ოდითგანვე ძალზე მწირი გახლდათ. მიზეზული იყო სატყეო-სამეურნეო და ტყის დაცვის სამუშაოებზე დასაქმებული მუშების დღიური განაკვეთებიც.

აღნიშნული დადგენილებით კი, ერთგვარად ყინული დაიძრა: სატყეო მეურნეობების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური (მომსახურე) პერსონალის თვიური სარგოები (ხელფასები) საგრძნობლად იზრდებოდა და მისი ოდენობა პირველად ხდებოდა დამოკიდებული სატყეო მეურნეობის წარმოების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. სულ განსაზღვრული იყო შრომის ანაზღაურების ხუთი ჯგუფი. შრომის ანაზღაურების ჯგუფები დგინდებოდა ე.წ. „ბალებით“, რომელიც გაიანგარიშებოდა სატყეო მეურნეობის ძირითადი საქმიანობის (ტყის გაშენება, მოვლა, დაცვა) სამუშაოთა წლიური მოცულობის, ტყეების სახალხო მეურნეობრივი მიზნობრივი დანიშნულების, სამრეწველო და დამხმარე სოფლის მეურნეობის სამუშაოთა წლიური მოცულობიდან გამომდინარე. ყველაზე დიდი სარგოები (ხელფასები) ენიშნებოდა I კატეგორიაში მოხვედრილ სატყეო მეურნეობათა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. ასევე იყო დიფერენცირებული თვიური ხელფასები სატყეო მეურნეობათა ქვეგანყოფილების – სატყეოების შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე მისაკუთვნებლად. მნიშვნელოვნად იზრდებოდა სატყეოებში დასაქმებული მუშების დღიური სატარიფო განაკვეთებიც.

ამ, მართლაც, საინტერესო სამუშაოს

შესრულება, ე.ი. შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასაყვანად მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა, ჩვენ დაგვევადა, რომელსაც ვახორციელებდით სახელმწიფო კომიტეტის საგეგმო-ეკონომიკურ სამმართველოსთან მჭიდრო კავშირში, მათი ხელმძღვანელობით.

მიტროფანე კუჭავა სტალინური ეპოქის კადრი გახლდათ და მისთვის ნორმირებული განსაზღვრული სამუშაო დღე არ არსებობდა. კერძოდ, დილით ცხადდებოდა სამსახურში 9-10 საათზე, ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით იმყოფებოდა კაბინეტში და მუშაობდა ღამის 12 საათამდე, და უფრო გვიანობამდე. იგივე რეჟიმი ვრცელდებოდა აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებზეც. ამაზე ანეკდოტით დადიოდა დარგის მუშაკებში ასეთი რამ: ერთხელ გვიან ღამით, პეკინის ქუჩაზე, სადაც ჩვენი სახელმწიფო კომიტეტი იმყოფებოდა, გაუვლია მანქანით ფარვიზ მეგრელიშვილს, დიდებულ პიროვნებას, წინა ხელმძღვანელობაში იოსებ ჩოდრიშვილის პირველ მოადგილეს, და რომ შეუნიშნავს გაჩირადნებული ფანჯრები, თავისებური დამახასიათებელი იუმორით უთქვამს: „ნეტა რა გავაფუჭეთ ასეთი და ამდენი ჩვენ ხელმძღვანელობაში ყოფნისას, რომ დღედაღამე მუშაობენ და მაინც ვერ გამოუსწორებიათ“.

ახალი მისული ვიყავი სახელმწიფო კომიტეტში და ჩვეულებრივად წავედი სახლში სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ასე 7 საათისთვის, მეორე დღეს, თავმჯდომარის თანაშემწე გურამ გაჩეჩილაძე მომეპარდა კაბინეტში: „სად იყავი, კუჭავამ მოგიკითხაო“. რომ ვკითხე, რა დროს მომიკითხა-მეთქი, საღამოს 10-ის 20 წუთზეო. მე მაშინ გამეღიმა, მაგრამ შემდეგ მეც მოვტვინე, რომ სანამ უფროსი ადგილზე იყო და მუშაობდა, აპარატის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად, მეც ადგილზე უნდა ვმჯდარიყავი.

პირველად მივლინებაში წასვლა მომიწია მიტროფანე კუჭავასთან ერთად 1973 წლის ივნისში. თავმჯდომარემ მიხმო კაბინეტში და მეუბნება, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი სწავლობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის საკითხებს, მე მავალია ამ მიმართებით აფხაზეთის ა/რ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების შესწავლა და ჩემს ჯგუფში ხართ ჩართულიო. წინასწარი თათბირი მოეწყო ცკ-ს საორგანიზაციო განყოფილებაში. დავერიგეს პროგრამები, რომელიც, მართლაც, მაღალ დონეზე იყო შედგენილი. ცენტრალური კომიტეტიდან ზედამხედველობას გვიწვედა აკაკი ბრეგაძე – რესპუბლიკის ცნობილი პარტიული მუშაკი, წარმოშობით ჩემი სოფლიდან, თითქმის მეზობლად მცხოვრები.

მივლინება მეტად საინტერესოდ წარიმართა. მე გამამწვესეს გუდაუთის რაიონში, გამომიყვეს ცალკე ჯგუფი. შემოვიარეთ რაიონის თითქმის ყველა სოფელი და საბჭოთა მეურნეობა. შევხვდით ადგილობრივ ხელმძღვანელობას, გავესაუბრეთ სოფლის მშრომელ ადამიანებს. შთამბეჭდავი იყო შეხვედრა კოლმეურნეობა „დურიფშის“ კოლექტივთან. ოჯახშიც მიგვიპატიუეს და დიდებულად გაგვიმასპინძლდნენ. შედეგები შეჯამდა აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტში.

ამ ხანებში, განსაკუთრებით გახმაურდა ე.წ. ტყის გარეული ხილის წვენების ფალსიფიკაციის საქმე, რაშიც ჩართული აღმოჩნდა სატყეო მეურნეობის დარგი, როგორც წვენების პირველადი ნედლეულის მწარმოებლები, თუმცა მეტყვევები აქ უშუალოდ დამნაშავენი არ ყოფილან. წვენების ფალსიფიკაციის ბინძური ქმედება განახორციელეს საქმიანობისადმი მიტმასნილმა გარე პირებმა, რამაც სავალალო შედეგები

გამოიღო. ამ საქმეს მ. კუჭავა გადაურჩა, მაგრამ ემსხვერპლა პატიოსანი ხალხი, რომელნიც უნებურად აღმოჩნდნენ ჩართულნი ამ მაქინაციებში.

შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი ეკოლოგიური თვალსაზრისით მთავარი სარგებლობის ჭრების შემცირებისა და შემდგომ რესპუბლიკის მასშტაბით მისი სატყეო მეურნეობის სისტემისათვის წარმოების გადმოცემის შესახებ. საქმეში ჩაერია რესპუბლიკის მთავრობა, რომელთაც ეს საკითხი დასვეს საკავშირო ორგანოების წინაშე. სათანადო განხილვები დადებითად გადაწყდა: მთავარი სარგებლობის ჭრები შემცირდა საქართველოში 1200 ათ. კუბ.მ-იდან 535 ათას კუბ.მ-დე და მისი წარმოება, შესაბამისი სატყეო-სამრეწველო მეურნეობებით გადმოვიდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში.

წინასწარი ხედვით, მძლავრი სატყეო-სამრეწველო საწარმოების გადმოცემით, რომელთაც საკმაოდ გააჩნდათ სათანადო ტექნიკური საშუალებები ტყეკაფების უფრო ეფექტურად ათვისებისა და სატყეო გზების მშენებლობისათვის, ერთგვარად უნდა მომძლავრებულიყო ტყის მეურნეობის დარგი და გაზრდილიყო ტყის ფონდის თითოეული ჰექტრის უკუგება (შემოსავალი) და პროდუქტიულობა. ეს დადებითი მოვლენები საჭირო იყო ასახულიყო რესპუბლიკის პრესაში მეტყვევ-სპეციალიტთა სათანადო პუბლიკაციების სახით. ჩვენ კი ვდუმდით და ამ მიმართებით ნაკლებად ვირჯებოდით, რაზედაც ობიექტურად გვსაყვედურობდნენ ზემდგომი ორგანოები.

ამ მხრივ ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა ჩვენი წერილი გაზეთში „სოფლის ცხოვრება“ სათაურით „სატყეო ჰექტარიც მდიდარი ჰექტარია“, რომელიც გამოქვეყნდა 1976 წლის აპრილში. წერილში დასმული იყო საკითხები ტყის

რესურსების (მერქნული, არამერქნული) კომპლექსური ათვისების, სამთო პირობებისათვის სპეციალური ტექნიკური საშუალებების შექმნის და ტყის მუშაკთა მატერიალური სტიმულირების გაძლიერების, სატყეო საწარმოთა სპეციალიზაციის და კონცენტრაციის შესახებ, რაც სწრაფ რეაგირებას საჭიროებდა.

მაღევე მიტროფანე კუჭავა გაუშვეს დამსახურებულ პენსიაზე და მის ადგილზე დაინიშნა შოთა ჭალაგანიძე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობდა. იგი გახლდათ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, განათლებით ინჟინერ-მექანიკოსი სოფლის მეურნეობის სახით.

დარგის ახალი ხელმძღვანელის დაინიშნიდან რამდენიმე თვის შემდეგ მიღებული იქნა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ (1977), რომელსაც დაექვემდებარა არა მარტო სატყეო მეურნეობები და ახლადგადმოცემული სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, არამედ ნაკრძალებიც და ე.წ. სატყეო-სამონადირეო მეურნეობებიც. ეს იყო პოლიტიკური და სამეურნეო თვალსაზრისით მეტად საჭირო და სწორი ქმედება, რითაც ხორცი შეესხა პრინციპს „ტყეს ერთი პატრონი“.

სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა გიორგი გიგაური. სამრეწველო საქმიანობის სახით კი მინისტრის მოადგილედ გადმოიყვანეს აფხაზეთიდან, ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ ხიშბა, რომელიც გიორგი გიგაურის სამთო-მეტყვეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად გადაყვანის შემდგომ გახდა მინისტრის პირველი მოადგილე. ტყის მეურნეობის სახით მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ღრმად განსწავლული პიროვნება სატყეო სფეროში

ოთარ ბალიაშვილი. შეიქმნა მინისტრის მოადგილის თანამდებობა სატყეო მეურნეობათა დამხმარე სოფლის მეურნეობის დარგების მართვის ხაზით. სატყეო მეურნეობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსად დაინიშნა ტყის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის ცნობილი სპეციალისტი ვლადიმერ ზედგინიძე, რომელიც მანამდე ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

სამინისტროს სატყეო მრეწველობის სამმართველოს უფროსად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან გადმოიყვანეს მეტყვე მეცნიერ-პედაგოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლევან გვაზავა, რომელიც შემდგომ მალევე ისევ დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს, დაიცვა მოსკოვში სადოქტორო დისერტაცია და წლების მანძილზე იყო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, გეოდეზიის კათედრის გამგე. გაერთიანდა ეკონომიკური ანალიზის და ნორმატიულ-კვლევითი დარგობრივი ლაბორატორიები და ორგანიზებული იქნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრი (ცენტრის უფროსი ვახტანგ ჩიხრაძე, მთავარი ინჟინერი რევაზ ობოლაძე). ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით შემოღებული იქნა ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება, რამაც წლების მანძილზე გარკვეულად შეუწყო ხელი ფართო საზოგადოების ჩართვას ჩვენი უნიკალური ტყეების პრობლემების ფართოდ განხილვისა და კონკრეტული ამოცანების გადაჭრის საქმეში.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრის საქმიანობა, სადაც მე მომიწია მუშაობა ცენტრის უფროსის მოადგილედ ხანგრძლივად, თითქმის ათ წელზე მეტი, ძირითადად წარმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. წარმოების და შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემუშავება;

2. დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების პროგრესიული ფორმების შემუშავება-დანერგვა;

3. გამომუშავების და მასალის ხარჯვის პროგრესიული ნორმების შემუშავება-დანერგვა;

4. ხეტყის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის საქმიანობის ანალიზი და ფასების ახალი პროექტების შემუშავება;

5. შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების შემუშავება-დანერგვა;

6. სატყეო მეურნეობის შრომითი კოლექტივების საქმიანობის რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შეჯამება და სხვა.

ამ მიმართულებათა შესაბამისად რესპუბლიკურმა ცენტრმა თავისი ფუნქციონირების 12 წლის განმავლობაში შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა გამომუშავების და მასალის ხარჯვის ნორმები (ნორმატივები) ყველა სატყეო-სამეურნეო (ტყეკაფების გამოყოფა, ტყის მოვლითი, სანიტარული და მთავარი სარგებლობის ჭრების წარმოება), სატყეო-საკულტურო და ტყის დაცვის სამუშაოებზე, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული (საიჯარო) მეთოდები, ხეტყის პროდუქციაზე ახალი პრეისკურანტები, დარგის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების და მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმები, მოვლითი ჭრების წარმოების ახალი ტექნოლოგიები, მთავარი სარგებლობის ჭრებით ტყეკაფის სამუშაოებზე მოდერნიზებული ტრაქტორით მუშაობის რაციონალური მეთოდები და სხვა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მიერ მთავორიანი პირობებისათვის შემუშავებული ტიპური ნორმები და ნორმატივები გამოიცა მოსკოვში რუსულ ენაზე შრომის საკავშირო სახელმწიფო კომიტეტის ნორმატივების ცენტრ-

რალური ბიუროს მიერ. ასევე რესპუბლიკის მასშტაბით გამოიცა და გავრცელდა რეკომენდაციები შრომის ბრიგადული (საიჯარო) ფორმების შემუშავების და გამოყენების შესახებ სატყეო მეურნეობის საწარმოებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე სატყეო მეურნეობათა სამრეწველო საქმიანობის გადაყვანის ორგანიზაციის შესახებ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის მასშტაბით სამრეწველო საწარმოს დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდებზე გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა სსრ კავშირის მთავრობის 1965 წლის სექტემბრის დადგენილებით.

ამ დადგენილების შესაბამისად, რომლის ინიციატორი გახლდათ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე – ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი, კვლავ აღდგენილი იქნა სახალხო მეურნეობის მართვის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოები, რომლებიც 1958 წლიდან აღარ ფუნქციონირებდნენ.

შესაბამისად საქართველოში 1966 წლის 1 იანვრიდან ფორმირებული იქნა სატყეო, ცელულოზა-ქაღალდის და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტრო, მასვე დაექვემდებარა მთავარი სარგებლობის ჭრებით ხეტყის დამზადება, რომელიც 1963-1965 წლებში სატყეო მეურნეობის დარგის ფუნქციაში შედიოდა. სატყეო მეურნეობის სახით კი ორგანიზებული იქნა საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი.

მთავარი სარგებლობის ჭრების სატყეო მეურნეობიდან ჩამოცილების შემდეგ, სამრეწველო საქმიანობა დარგში ძალზე მინეღდა და ატარებდა დამხმარე-

სამეწარმეო ხასიათს სატყეო მეურნეობათა ფართო მოხმარების საამქროთა დონეზე. დაგეგმვის ახალი მეთოდების დანერგვა დაიწყო საერთოდ საქართველოს სამრეწველო საქმიანობაში, მათ შორის ხეტყის მრეწველობაში 1966 წლიდან, მაგრამ სატყეო მეურნეობებში მიზერული დონის სატყეო-სამრეწველო საქმიანობა კარგა ხანს აღარავის გახსენებია, ვიდრე 1970-იანი წლების დასაწყისიდან კვლავ არ დაიწყო მოდონიერება სატყეო მეურნეობებში სამრეწველო საქმიანობამ ე.წ. მოვლითი და სანიტარული ჭრების გაფართოების და ფართო მოხმარების და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გამოშვების (წარმოების) ზრდის კვალობაზე.

ქვეყნის მასშტაბით დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა მნიშვნელოვნად აფართოებდა საწარმოს უფლებებს საკუთარი შემოსავლების (ფინანსების) მობილიზაციის და გამოყენების სფეროში. საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემაში წინა რიგში წამოიწია (პრიორიტეტული გახდა) პროდუქციის რეალიზაცია, მისი ზრდა, საწამოს მოგება და რენტაბელობა. ამასთან ერთად, რაც მთავარია, პროდუქციის რეალიზაციის და წარმოების რენტაბელობის გადიდებით მიღებული დამატებითი მოგების საფუძველზე იქმნებოდა ეკონომიკური სტიმულირების ფონდები, რომლებიც მოიცავდა საწარმოს პერსონალის მატერიალური სტიმულირების, სოცკულტურული და საბინაო მშენებლობის და წარმოების განვითარების ფონდებს. შესაბამისი ნორმატივები ამ ფონდების ფორმირებისათვის, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მტკიცდებოდა რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოსათვის – რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის მიერ, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარებაში მყოფათვის ზემდგომი საკავ-

შირო ორგანოს მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

შთამბეჭდავია, რომ 1966 წლიდან დაწყებული, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა თანდათანობითმა გადაყვანამ დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდებზე, საკმაოდ გააჯანსაღა და ეკონომიკურად და მატერიალურად გააძლიერა შრომითი კოლექტივები. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალის პრემიალური ანაზღაურება; დაიწყო და განხორციელდა საწარმოთა ძალებით მუშა-მოსამსახურეთათვის საბინაო მშენებლობა; მნიშვნელოვანი სახსრები წარიმართა სოცკულტურულ ღონისძიებებზე; წარმოების განვითარების ფონდის სახსრებით დაიწყო და განხორციელდა თანდათანობით საწარმოთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა.

ამით გვინდა ხაზი გაუსვათ იმას, რომ ეს სიკეთე თითქმის ათი წელიწადი სატყეო მეურნეობებს არ შეხებია, რისთვისაც მივიღეთ დავალება საკავშირო სატყეო მეურნეობის კომიტეტიდან მოგვემზადებინა რამდენიმე მეურნეობის სამრეწველო საქმიანობა ამ მიმართებით.

საკავშირო სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში, სსრკ ფინანსთა სამინისტროში სათანადო მასალების წარდგენის შემდეგ მივალწიეთ 1975 წლის დასაწყისიდან დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე ქედის, ხელვაჩაურის და თიანეთის სატყეო მეურნეობების სამრეწველო საქმიანობის გადაყვანა. შემდეგ ახალ სისტემაზე მომუშავეთაგან, მათ დაემატათ რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სისტემის დაქვემდებარებაში ხეტყის მრეწველობის სამინისტროდან გადმოსული წალენჯიხის, გულრიფშის, გაგრის, ამბრო-

ლაურის და ახმეტის სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, რომლებიც 1967-1968 წლებში იყვნენ გადაყვანილი ახალი მეთოდებით მუშაობაზე.

1977 წლიდან, ე.ი. სატყეო მეურნეობის სამინისტროს ჩამოყალიბების დროიდან, დაიწყო ახალი კომპლექსური სატყეო მეურნეობების, სპეციალიზებულ საწარმოების და ორგანიზაციების ფორმირება, კერძოდ: საჩხერის სატყეო მეურნეობის და საჩხერის ხეტყის მრეწველობის საწარმოს ბაზაზე ორგანიზებული იქნა საჩხერის მექანიზირებული კომპლექსური სატყეო მეურნეობა; ამბროლაურის სატყეო მეურნეობისა და სატყეო-სამრეწველო საწარმოს ბაზაზე – ამბროლაურის მექანიზირებული სატყეო მეურნეობა; ამგვარად ფორმირებული იქნა ახმეტის და ახალციხის კომპლექსური სატყეო მეურნეობები; გაფართოვდა წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის სამოქმედო არე, მან წალენჯიხის და სვანეთის ხეტყის დამზადების უბნების გარდა მუშაობა გაავრცელა კოლხეთის დაბლობის, ზესტაფონი-ხარაგაულის, ვანის, ბაღდათის და სხვა რაიონების ტყის მასივებში; ოგანიზებული იქნა სატყეო გზების მშენებლობის სპეციალიზირებული ორგანიზაცია, რომელსაც დაევალა მთავარი სარგებლობის ჭრების ობიექტებში ტყესაზიდი საავტომობილო გზების გაყვანა და შეკეთება.

წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო მეურნეობასა და სატყეო გზების მშენებლობის სპეციალიზირებულ საწარმოში დაინერგა შრომის და წარმოების ორგანიზაციის პროგრესიული ფორმა – საიჯარო კომპლექსური ბრიგადებით მუშაობა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ ობიექტებზე და შემდეგ სხვა საწარმოებში, სადაც კი ის გავრცელდა მოწინავე გამოცდილების სახით, შრომის ნაყოფიერების გაზრდას, მატერიალური რესურ-

სების ეკონომიკურ გამოყენებას (ხარჯვას) და მის საფუძველზე მუშათა მატერიალური სტიმულირების გაძლიერებას.

ასე, რომ 1980-იანი წლებისათვის სატყეო მეურნეობის სასტემაში ისე მოლონიერდა სამრეწველო-საწარმოო საქმიანობა, რომ შეიქმნა ყველა პირობა დარგის მასშტაბით ყველა დანარჩენი სატყეო მეურნეობის სამრეწველო საქმიანობის გადაყვანისათვის ეკონომიკური სტიმულირების ჩვენთვის შედარებით ახალი, მაგრამ სხვებისათვის უკვე ჩვეულებრივ რეჟიმში მუშობის მეთოდებზე. მაგრამ ნათქვამია „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“ და ჩვენც ასე გამოგვივიდა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო.

1978-1990 წლებში მნიშვნელოვანი აღმავლობა განიცადა სატყეო მეურნეობათა ე.წ. დამხმარე სოფლის მეურნეობის დარგებმა, კერძოდ, ტყის არამერქნული რესურსების უნარიანი გამოყენების საფუძველზე შეიქმნა მეცხოველეობის ახალი ფერმები, გაფართოვდა მეფუტკრეობა, მეკურდღლეობა, მელორეობა, ხილკენკროვნების დამზადება, მემცენარეობა; მოეწყო ახალი რეკრეაციული ზონები თბილისის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, კასპის, მცხეთის, თიანეთის და სხვა სატყეო მეურნეობებში; ახალი სული შთაებერა თბილისის ირგვლივ კლდოვანი ფერდობების გამწვანების საქმიანობას, კერძოდ, ქვადორღიანი ნიადაგების დამუშავების ახალი მეთოდების დანერგვით შესაძლებელი გახდა კრწანისის, მარაბდის, თელეთის კლდოვანი ფერდობების გატყვევება.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მიღწევები ფართოდ იქნა გაანალიზებული მეტყვევთა საკავშირო თათბირზე, რომელიც გაიმართა საქართველოში 1986 წლის შემოდგომაზე.

შემდგომში სატყეო მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში შეყვანილი იქნა რესპუბლიკის ბუნების დაცვის

სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურები და ორგანიზებული იქნა საქართველოს სატყეო მეურნეობის და ბუნების დაცვის ერთიანი რესპუბლიკური ორგანო, რამაც კიდევ უფრო აამაღლა და განამტკიცა დარგის პრიორიტეტები;

2. ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, პირველი ხუთწლიანი – 1991-1995 წლები, ეს იყო ქვეყნისათვის დამანგრეველი სამოქალაქო ომის და მისი შემდგომი თანამდევი უარყოფითი მოვლენების მძიმე ხანა.

1991 წელში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნული მთავრობის მოსვლის შემდეგ იცვლება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა. ყალიბდება სოფლის და სატყეო მეურნეობის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაში, რესპუბლიკური გაერთიანება „საქტყემეურნეობის“ ფორმით, შედის სატყეო მეურნეობის დარგიც. მინისტრის პირველ მოადგილედ და „საქტყემეურნეობის“ უფროსად ინიშნება შესანიშნავი პიროვნება, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი მეტყვევ-ინჟინერი თენგიზ ჯაფარიძე.

ეროვნული მთავრობის დამსახურების და შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოფლის მეურნეობას გამოეყო სატყეო დარგი და ფორმირებული იქნა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელად 1993 წელს (დასაწყისში) დაინიშნა პროფესორი ასევე მეტყვევ-ინჟინერი, მეცნიერების კანდიდატი დავით გიგაური, რომელიც მანამდე თბილისის ეროვნული პარკის დირექტორად მუშაობდა. რესპუბლიკის მთავარ მეტყვევად დაინიშნა სატყეო სფეროში ღრმად განსწავლული სპეციალისტი – მერაბ დვალი (მანამდე „საქტყემეურნეობის“ უფროსის მოადგილე).

დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანე-

ლობამ გარკვეული ქმედითი ღონისძიებები განახორციელა ადგილებზე სატყეო მეურნეობათა განმტკიცებისთვის, კერძოდ, სახელმწიფო სატყეო მეურნეობების დაქვემდებარებაში გადმოვიდა ე.წ. ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი, შეიქმნა რამდენიმე ახალი სატყეო მეურნეობა, გაიზარდა ტყისმცველთა საშტატო ერთეულები შესაბამისი დაფინანსებით და სხვ.

მაგრამ იმ პირობებში, როცა ქვეყანა მოცული იყო ენერგეტიკული კრიზისით და ტყე იქცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სათბობით მომარაგების ძირითად წყაროდ, ასევე ძალზე იმატა საზღვარგარეთ სამასალე ხეტყის გატანის მსურველთა რიცხვმა, ტყის ქურდობამ კი სისტემური ხასიათი მიიღო. მეტყვევები უმწეოები აღმოჩნდნენ გამკლავებოდნენ ამ ძალადობას.

დავით გიგაურმა თანამდებობა დატოვა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა ასევე პროფესიით მეტყვევ-ინჟინერი, მეცნიერების დოქტორი გივი ჯაფარიძე.

ედუარდ შევარდნაძემ სატყეო სფეროში არსებული მდგომარეობის გარკვევის და ტყეების შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებათა დასახვის მიზნით 1996 წლის 31 აგვისტოს მოიწვია რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური გაფართოებული სხდომა.

ე. შევარდნაძემ სხდომის შემაჯამებულ სიტყვაში არასაკმარისად ცნო არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დარგში გატარებული ღონისძიებები და დაავალა ახალ ხელმძღვანელობას შედგენილიყო უმოკლეს დროში, სისტემური მიდგომით, სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა ათწლიანი პერიოდისათვის (1998-2008 წლები).

შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა პროგრამის შედგენაზე ოპერატიული კონტროლის განხორციელება.

პროგრამის შემუშავებაში ჩაერთო სახელმწიფო დეპარტამენტის ყველა დარგობრივი სამმართველო, ხოლო სახელმწიფო პროგრამის ჩამოყალიბება-ფორმირება, ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების გაანგარიშება, პროგრამის ეკოლოგიურ-სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა დაევალა სახელმწიფო დეპარტამენტის ეკონომიკური ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის რესპუბლიკურ ლაბორატორიას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი.

უპირველესად განისაზღვრა სახელმწიფო პროგრამის შემუშავების მიზანი, გარდამავალ ეტაპზე სატყეო პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებათა სისტემა ცალკეული სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად.

ღონისძიებათა მთელ ამ სისტემას საფუძვლად დაედო 1992 წელში ბუნების დაცვის გლობალურ პრობლემებზე რიოდე-ჟანეიროს მსოფლიო ფორუმის მიერ მოწოდებული „სატყეო პრინციპები.“

მთავარი ყურადღება გამახვილდა ტყეების მართვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, სადაც ძირითად პრიორიტეტად მიჩნეული იქნა საქართველოს ტყის ახალი კოდექსის შემუშავება და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შედგენა.

სამუშაო ჯგუფის ინტენსიური საქმიანობის შედეგად, 1997 წლის სექტემბრისთვის სახელმწიფო პროგრამას მიეცა საბოლოო სახე და დაიწყო სათანადო მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება მისი რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე წარსადგენად.

პროგრამა განსახილველად და დასამ-

ტკიცებლად გატანილი იქნა რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე 1997 წლის 24 დეკემბერს.

ედუარდ შევარდნაძე პირგაბადრული შემოვიდა სამთავრობო სხდომის დარბაზში, მოგვესალმა და თან დააყოლა: „დღეს მტყვევები გვყავს სტუმრად და ტყის ჰაერი იგრძნობაო“, რაც, უთუოდ, რაღაც კარგის მომასწავებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო.

პროგრამის ძირითადი პარამეტრები სხდომას წარუდგინა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გივი ჯაფარიძემ. შემდეგ დაიწყო განხილვა.

ე. შევარდნაძემ პირველად ეკონომიკის მინისტრს ვლადიმერ პაპავას გახედა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პირველი შეფასება მას უნდა გაეკეთებინა. ყველანი დავიძაბეთ.

ვლადიმერ პაპავამ ხელში შეათამაშა პროგრამის პროექტი და მოკლედ მოჭრა სიტყვა: „პროგრამა მეტად ტევადი და უნიკალურია, აქ უპირველესია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ეს, სათანადოდაა პროგრამაში წარმოდგენილი.“ შვებით ამოვისუნთქეთ. შემდეგ ე. შევარდნაძემ აზრის გამოთქმა სთხოვა სამთო მეტყვევების ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს გიორგი გიგაურს. გიგო გიგაური ჩვეული სიდინჯით ავიდა ტრიბუნაზე და განაცხადა: „თქვენს წინაშე წარმოდგენილია პროგრამა, რომელსაც შეიძლება თამამად ეწოდოს პირველი სრულყოფილი ეროვნული პროგრამა

„ტყე“. შევარდნაძემ გიგოს კვერი დაუკრა: „დიახ, დღეს მართლაც ისტორიული დღეა, ვამტკიცებთ ქართული ტყის აღორძინების პირველ ეროვნულ პროგრამასო“. ეს უკვე პროგრამის მოწონებასაც ნიშნავდა, და იმასაც, რომ მის დამტკიცებაში ეჭვი უკვე აღარ უნდა შეგეპარვოდა.

ე. შევარდნაძემ თავის მოკლე, საბოლოო გამოსვლაში კვლავ აღნიშნა პროგრამის შემუშავებაზე გაწეული სერიოზული საქმიანობის შესახებ და ისიც დააყოლა, რომ 1996 წლის აგვისტოს სხდომაზე სერიოზულად რომ არ გამეწკეპლეთ, დღეს ასეთი კარგი შედეგი არ გვექნებოდაო.

ეს უკვე გამარჯვება იყო და ჯერი გადადიოდა მთავარზე – პროგრამაში ჩამოყალიბებული ქმედებების პრაქტიკულ გამხორციელებაზე.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება მართლაც კარგად დაიწყო: შემუშავდა და დამტკიცდა ახალი „ტყის კოდექსი“ (1999 წ.), შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მაგრამ ახალმა ფინანსურმა კრიზისმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. პროგრამის დაფინანსება თანდათან შემცირდა და, ბოლოს, ნულამდე იქნა დაყვანილი.

2004 წლის დასაწყისიდან პენსიაზე გავედი და ამის შემდეგ სატყეო მეურნეობის მართვის პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობა აღარ მიმიღია.

მოგონებები საქართველოს ტყეების პირველი რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ 40 წლის უმეღბომი გადასახედიდან

ამ შესანიშნავ თაოსნობას საფუძველი ორმოცი წლის წინათ ჩაეყარა.

დადებითი ძვრები კი დაიწყო იქიდან, რაც სატყეო დარგის მართვის სათავეში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, მოვიდნენ ახალი კადრები; სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე ფორმირებული იქნა საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც დაექვემდებარა რეგიონალური სახელმწიფო სატყეო მეურნეობები, სახელმწიფო ნაკრძლები, სატყეო სამონადირეო მეურნეობები, რესპუბლიკის ტყის რესურსების დამზადების საქმიანობა, რითაც ხორცი შეესხა ტყეების მუდმივი და თანაბარი (უწყვეტი) სარგებლობის კლასიკური, ფუძემდებლური პრინციპის მოთხოვნას: „ტყეს ერთი პატრონი“.

სატყეო მეურნეობის დარგის ახალმა ხელმძღვანელობამ, მინისტრის – შოთა ჭალაგანიძის ხელმძღვანელობით, უმოკლეს დროში შეიმუშავა სატყეო მეურნეობის კომპლექსური საქმიანობის ეფექტიანი მართვის პროგრამა, რომელშიც ერთ-ერთ პრიორიტეტად წამოიწია ინიციატივამ – ჩვენი ეროვნული საუნჯის – ტყის მართვის გაუმჯობესების საქმეში, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვის მიზნით, ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების, როგორც ყოველწლიური ღონისძიების, ფართო მასშტაბით ჩატარების შესახებ.

აღნიშნული ინიციატივა მოიწონა რესპუბლიკის მთავრობამ და 1978 წლის 10 მაისს მიიღო სპეციალური დადგენილება „საქართველოს სსრ ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ“.

რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე, დათვალიერების მიზანი გახლდათ სატყეო მეურნეობების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყეების მოვლის, დაცვის და რაციონალურად ათვისება-გამოყენების მდგომარეობის შესწავლა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

დათვალიერება მართლაც ორგანიზებულად დაიწყო. თბილისის შემოგარენში, ქვემო ქართლის ზონაში (მარნეული, თეთრიწყარო, დუშეთი, ბოლნისი, დმანისი) ტყეების დათვალიერებაში, სატყეო დარგის მუშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. ტყეების დათვალიერების გაშუქებას თვისებური ელფერი შემატა მაშინდელ მთავარ რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტის“ აგვისტოს №191-192 ნომრებში, იმ დღეებში გამოქვეყნებულმა საყოველთაოდ ცნობილი ქართველი მწერლების – ნოდარ დუმბაძის და ჯანსუღ ჩარკვიანის შესანიშნავმა წერილმა (ნარკვევმა) „მაინც სიტურფით ჰყვავისა“ (აღნიშნულ ნარკვევი მოგვყავს სრულად):

„მაინც სიტუროფით ჰყვავისა“

ტყე – ქვეყნის სიმდიდრე (გაზ. „კომუნისტი, 1978 წ.
აგვისტო. №191-192)

1.

შავნაბადას ფერდობებს მუხა განაგებდა, ჩვენი ეროვნული ენერჯის სიმბოლო. ცოტა ქვევით, ვერხვები მარადისობდნენ. ეს აღრე, მერე რა მოხდა? ზოგი მტერმა გადაბელა და გადახრუკა, ზოგიც ჩვენმა მამა-პაპურმა ბუხარმა, ზოგიც ნახშირად აქციეს და სახედრებით ქალაქში ჩამოარიგეს. ასეა თუ ისე, დღეს გაჭირვებულად გამოიყურება თბილისის შემოგარენი.

„ქართული ოდის აივნის გვერდით მე მახსოვს მუხა, –

მუხიდან ტყისკენ ბილიკი ფარდად, ვერხვები სწუხან“

ასე გველაპარაკება გალაკტიონ ტაბიძე ძველი ზღაპრებიდან... დიას, შემოგვეცალენ მუხები და ვერხვები, ძელქვები და იფნები. ახლა იმ ძველი ფესვებით სწუხან ხრიოკ ფერდობებზე, სნეულები არიან და ტანი ვეღარ აუყრიათ, ძეძვი და ბუჩქი კი მიწის გამოფიტვისა და სიმშრალის უტყუარი ნიშანია.

„მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრებაო“ – ამბობს ვაჟა-ფშაველა.

ერთი კარგი სიმღერა შეიქმნა ამ ბოლო წლებში, ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის რევაზ ლალიძის სიმღერა. – „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია“, – ასე იწყება იგი. სიმღერა მიზანს აღწევს, კაცის გულამდე დადის და გამყოლი სევდით ფსკერზე იღექება.

ტყე... ვილაპარაკოთ ტყეზე: ტყე ცოცხალი ზღაპარია, ტყე მთელი სოფლის ფიქრია, მისი ღონეა, ტყე თოვლის ფიფქის

წკარუნია, ტყე ჩამოცვენილი ფოთოლია, მიწის სიმწვანეა, მიწის სიყვითლეა, ტყე მოხეტიალე კაცის თავშესაფარია, მარტოკაცის ერთგული მესაიდუმლეა. ტყე შველის ნუკრისა და ქორბუღა ირმის სახლია, ჩვენი ბავშვობის მოგონებათა მწვანე სკივრია. ტყეს თვალები აქვს, ტყეს გული აქვს. ტყე ტირის და ტყე იცინის. ტყე მილიონი ჩიტით დახუნძლული სამოთხეა – ასეთი წარმოდგენაც არსებობს ტყეზე.

მეცნიერები კიდევ უფრო სხვანაირად, მაგრამ ზუსტად და პრაქტიკულად ფიქრობენ ტყეზე, მაგალითად ასე: „ტყეებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ჰავის გაუმჯობესების, ნიადაგის დაცვისა და წყლის რეგულირების საქმეში. ჩვენი ტყეები იცავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ქარებისაგან, ზვავებისაგან, ნიადაგის ჩამორეცხვისაგან, მდინარეებს – დაშრობისაგან. ხელს უწყობენ ჰიდროელექტროსადგურების ნორმალურ მუშაობას, ტყეებს ახლა უფრო ფართოდ იყენებენ ჯანმრთელობის, დასვენებისა და ტურიზმისათვის“. აი, რაში ყოფილა საქმე... რა დასამალია და ბევრმა არც კი იცის, რომ, თუ ჩვენს მთებსა და ჭიუხებს, თუ ჩვენი შემოგარენის ფერდობებს ეროზია შემოეჭრა, მდინარეებში ჭირი მოგეჭამა და წყარომაც, ბორჯომმაც და ნაბეღლაგმაც, საირმეგმაც და ძულურმაც, რომ ეროზიას ჩვენი ფლორისა და ფაუნის ამ პირველსა და დაუძინებელ მტერს, მხოლოდ და მხოლოდ ტყე თუ მოერევა, მხოლოდ და მხოლოდ ტყე თუ გაუბედავს ბრძოლას. სადაც ტყეა, წყალიც იქაა,

მიწაც იქაა და ჰაერიც იქაა. თუ საქართველო სხვათაგან გამოირჩევა წყლითა და ჰაერით, მიწითა და მზით, ამაში დამნაშავეა ტყე – მისი აღმატებულება ტყე, მისი კეთილშობილება და ბრწყინვალეობა.

ჩვენ, საქართველოს ტყეებს მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობთ. რაც შეეხება მეტყევეებს, მეტყევეებზე კიდევ უფრო შორეული წარმოდგენა გვაქვს, დრომოჭმული, პროვინციული, ხანდახან შეურაცხმყოფელიც.

მეტყევეებზე მოსკოვის ტელევიზიამ ფილმი შექმნა. ვისაც კი ის შესანიშნავი ფილმი უნახავს, წარმოდგენაც კარგი შეექმნება მეტყევეთა ცხოვრებაზე. მეტყევეს არც მეცხვარეზე იოლი ცხოვრება აქვს და არც მეზღვაურზე. მეტყევე ისევე დგას ჩვენი სასიცოცხლო ხის სადარაჯოზე, როგორც საზღვარზე ჯარისკაცი, რომელმაც იცის ყოველი გოჯი მიწისა – ეს არის მთელი დიდი სამშობლო, მთელი საბჭოეთი.

რა დასამალია და, დღემდე ტყეს, მიუხედავად უამრავი დადგენილებებისა, დიდი ყურადღება არ ექცეოდა. უფრო ალაღბედზე იყო მიტოვებული, ხშირად ნადირისამარა. მაგრამ დათვმა და მგელმა ტყეს რა დააკლო, რაც გადათვებულმა და გამგელებულმა კაცებმა დააკლეს?

ჩვენში, საქართველოში დიდი ხანია კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ვენახების დათვალიერება, ნათესების დათვალიერება, ხეხილისა, ფერმებისა და ამან, ჩვენი აზრით, უდიდესი ნაყოფი გამოიღო. სხვა არა იყოს რა, გლექსკაცის შრომა უფრო სააშკარაოზე გამოჩნდა და უფრო დაფასდა. აი, ამ წინებზე გაზეთებმა გვაუწყეს ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების დღეები. დიას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს მინისტრთა საბჭომ ამჯერადაც სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

თავიდანვე შევთანხმდეთ და ტყეების

დათვალიერება ბუნების წიაღში შესვლა და წყაროს პირას გაშლილ სუფრასთან ჯდომა არავის ეგონოს.

იქნებ, ვინმე მრუდე ხელის პატრონმა ისეთი ხეც წამოაქცია, მთელ ტყეს რომ გული დასწყვიტა, იქნებ ცუდად გამოხშირა და უნებლიე ბოროტება ჩაიდინა. ამჯერად ეს სპეციალისტებისა და მეცნიერების საქმეა, მათ უკეთ იციან. ამ საქმეში დილეტანტი და მხოლოდ ტყის-მოყვარული პატრიოტი კაცი ვერ ჩაიხედავს და ვერ ჩასწვდება მთელი სიღრმით. არც ამ ხეებით აშენებული მეტყევე უნახავთ. მთავარი სხვა გახლავთ. მთავარია რამდენჯერ გათოსნა მეურნეობამ ახლად დარგული ტყე, რა მოვლა-პატრონობა ჩაუტარა. ამ ერთი უბრალო საქმისათვის ხშირად ყურადღება არავის მიუქცევია და სხვა დაუუინიათ, ხეები მოსჭრეს და გაყიდესო. დიას, ჩვენ შეიძლება არც კი ვიცოდეთ, მაგრამ, თურმე, ხე უნდა მოიჭრას და გამოიხშიროს ისე, როგორც თოხნის დროს სიმინდს მოჭრიან ხოლმე. ეს თემა უფრო გაღრმავებას მოითხოვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, სპეციალისტების მიერ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საგაზეთო თემა არ გახლავთ. დავუშვათ გოდერძის უღელტეხილზე, თუ სოფელ ფაფაში ვინ შეურაცხყო წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყე, ტყეს კანონი იცავს და შეურაცხმყოფელს სასტიკად დასჯიან.

2.

ჩვენ დღეს განვიზრახეთ დაგვეთვალიერებინა მეტყევეთა შრომა. ჯერ ბოლნისისკენ ავიღეთ გეზი, იქიდან დმანისს ვეწვიეთ, ხოლო ხვალ ვაჟას სამშობლოსკენ გავსწევთ.

ჩვენ მეგზურობას გვიწვედა სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გიგაური. შავნაბადას რომ გავუსწორდით, უკვე

გული გაგვინათდა. მათა პოზირებული კალთები ტერასებად არის დაყოფილი და მწვანედ იმზირება. ეს ნიშნავს, რომ იბრძვის და იმარჯვებს მეტყვეის ხელი. ერთი ნაწილი, შუაში მოზრდილი წრე მოტიტვლებულია. აქ არაფერი გამოგედის, ცარიელი კლდეო, – ამბობს გიორგი გიგაური, – აფეთქებაა საჭირო, არადა, არც აფეთქება შეიძლება, ვაითუ, შავნაბადამ იზარალოს, ვაითუ ძეგლის კედლები დაიბზაროსო. არა უშავს, თვითონ ტყე იმძლავრებს და გადმოვა შიშველ ადგილებშიო. ყველაფერზე ფიქრობენ მეტყვეები, ტყეზეც, კლდეზეც, ტაძარზეც, საქართველოს მომავალზეც, ყველაფერზე ფიქრობენ მეტყვეები. შორიდან, მაგრამ თვალნათლივ მოჩანდა კაცის მონღომებული გონებისა და მკლავის ჩანაფიქრი და ახდენილი ოცნებაც.

ხრამზე გადავედით. მზისგულზე იწვის და იხრუკება ველ-მინდორი. ტყეები შორით მოჩანს, თითქოს ისინიც გარედებიან ჩვენი საყვარელი ქართლის ამ აზიურ თაკარას.

მეაგე წყალთან წუთით შეგჩერდით და სულ მალე ბოლნისის სატყეო მეურნეობის დირექციის წინ გავჩერდით. გამოგვეგება ჩვენთვის უკვე დიდი ხნის ნაცნობი ქალაქელი კაცი, პირმშვენიერი, ზრდილი, მზეზე დამწვარი...

მისალმებაც არ გვაცალა და ჩვენმა მეგზურმა ასე წარმოგვიდგინა იგი: გაიცანით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რამაზ შიშნიაშვილი, მოწინავე მეტყვე, რომელიც თავამოდებით იცავს და ზედ დაჰკანკალებს თავისივე პაპის, დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის საყვარელ ტყეებსა და გარემოს.

არსენაც ამ ტყეების შვილია და მართალი აშდულაპიც... თვითონაც გულმა აქეთკენ გამოუწია.

ბოლოს და ბოლოს, მიგვიშვეს ერთმანეთთან, მოვიკითხეთ ერთმანეთი დიდი

ხნის უნახავებმა და მალე მანქანაში ისიც დავიმატეთ. მძღოლს გზა უჩვენა – მარჯვნივ გაუყევით.

სატყეო მეურნეობა, რომელსაც დიდი პაპის კაი შვილიშვილი ხელმძღვანელობს, თითით საჩვენებელია ჩვენს რესპუბლიკაში (თუკი შეიძლება მეორე ადგილი თითით საჩვენებლად ჩაითვალოს).

რამაზ შიშნიაშვილი სატყეოში რომ მივიდა, პატარა საამქროც დახვდა. საამქროში ბარისა და ცულის ტარები კეთდებოდა და ჩვენს მოძმე შუა აზიის რესპუბლიკებს ამარაგებდნენ. ჯერ ბედის დაცინვაა ისიც, რომ ხე ნაჯახს თვითონ სთავაზობს ტარს და ახლა შუა აზიის რესპუბლიკებს რაში სჭირდებდათ ჩვენი ცულის ტარი? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო დახლი და არა საამქრო, რაც სატყეო მეურნეობას არ ეკადრებოდა.

რამაზ შიშნიაშვილმა მუშაობა ასე დაიწყო: თუმცა არსენაც ყაჩაღი იყო. სხვანაირი ყაჩაღი იყო, ახლა ყაჩაღობის დრო არ არისო, და მოყაჩაღო ელემენტები გამოდევნა ტყეებიდან. ახლები ამოუდგნენ მხარში და მიჰყვნენ აღმართს: ტრისტან პოპიაშვილი და შერმადინ ნემსაძე, ვალიკო შაგულაშვილი და ამირხან ალიევი, კიდევ ბევრი, რომელთა ჩამოთვლა შორს წავვიყვანდა. აბრიალებულია კაზრეთის სანერგე თოთო კაკლებითა და ათი ათასი ნამყენი თუთით. ბედნიერება იყო, ჩვენ რომ სანერგეები ვნახეთ, სათესლე ნაკვეთები, ვერეთ წოდებული „სკოლები“, სადაც ნერგები გამოსაცდელად, მოსალონიერებლად და „გასანათებლად“ გადაჰყავთ. აგრეთვე ტყის კულტურები, თვალს ვერ მოსწყვეტდი. ნუ გამეჩქევით, ეს მთაც გადავიაროთ და იქიდან უფრო მოვლილსა და უფრო გახარებულ ახალშენს დაგანახებთო, – გვეუბნებდა რამაზ შიშნიაშვილი, ბოლომდე შეყვარებული თავის საქმეში. ახლა იმ მთაზე გადავდიოდით. საქართველოში

მთებს რა დაღევს და ხუმრობით ვეუბნებოდით: ე კაცო, გვეყოფა, თორემ შეიძლება იქეთ აღმოვჩნდეთ, მთლად საზღვრისაკენ ნუ წავალთ. საზღვარზე კი ტყეების სამშვიდობოდ შრიალებენ.

3.

დმანისისკენ... ჰაერი შეიცვალა. გლეხი რომ იტყვის, ჰაერი ისეთია, კარაქით იჭრება. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცივი წყაროები მორაკრაკებს, ტყის მადლი და ლაზათი, მისივე შნო და ეშხი. აქაურ შავთვალა, ხორბლისფერ გოგონებს ვედროებითა და კალთებით ტყის თხილი მოაქვთ, ზურგზედაც მოუკიდიათ, ხელითაც მოაქვთ, ესეც ტყის მადლია. კაკლის ტყეები დაუბელიათ, აღრეულად დაუბელიათ მრუდე ხელის კაცებს, სამურაბედ ემზადებიან... კაი ფასად გადის მოუვლელი ნიგოზიც. დმანისის სატყეო მეურნეობის დირექტორი ვასო საბაურია. საბაური მოხევეა და მოხეურადაც უქცევს. აქ, დმანისში და ბოლნისში ერთად ცხოვრობენ: იმერელი და რაჭველი, მოხევე და გურული, ქართლელი და კახელი, გასაყოფი არაფერი აქვთ. დასაცავი კი აქვთ – ტყე. ვასო საბაური მიწის შვილია, მიწას იფიცებს და მიწის ერთგულია, გლეხკაცის ჭკუა აქვს და გლეხკაცის სიბრძნე-გამოცდილება. მისი მეურნეობის ნორჩი ტყეები უკიდევანოდ მისდევენ ფერდობებს. რა აკვანში ჩაგიწვენია და დაგიწვევია, რა აკვნიდან ამოგიყვანია და მოგივლია. ასე ჰყავთ ამ მეურნეობაში თითოეული პატარა ხე დარწეული და მოვლილი. ზოგი ხეს რომ დარგავს, გაისად ამის ჩრდილში წამოგორება და პურის ჭამა უნდაო, ამბობს ვასო საბაური. ამ ქონორა უმწეოებს კიდევ ათი-თორმეტი წელი მაინც სჭირდებათ, რომ მიზანს მიაღწიონ, გატყვევდნენ და კაცსაც არგონ და ქვეყანასაცო. დღეის დღით არ ცხოვრობენ ვასო საბაური და ვასოს მეგობარი მეტყვევები

– კობა კაპანაძე, გიორგი ოქრიაშვილი, რომან ჭყონიძე, დავით ხუციშვილი. ეჰე, ათი-თორმეტი წლის იქით ისელებიან და ოცი წლის შემდეგ აქონრილი ტყის შრიალი ესმით. დმერთო, ამრავლე ასეთი ხალხი. ყველა თოხნა ჩატარებულია, ბალახმა არ დაჩაგროს ნერგი, ხოლო რაკი ბალახს ასცდება, მერე ჭირი მოგჭამა, თუ ოდნავ ხელი შეუწყვე, ვეღარ შეახერგებ, მიდის და მიერეკება საქართველოს ლურჯი ცისკენ.

დმანისის სატყეო მეურნეობის მუშებმა ათასობით ხეს გაუხსნეს ცა და სამშვიდობოს გაახედეს. იყო დრო, როცა ნერგებიც არა ჰქონდათ, უამრავი ჰექტარი კი უნდა აეთვისებინათ, ხუთი ათასის მაგივრად ორი ათას რგავდნენ და შორიშორ. ამ არამეცნიერულმა მიდგომამ დღეს დაგვაზარალო, ამბობენ დმანისელები. ახლა სხვანაირად არის საქმე, უფრო მჭიდროთა რგავენ. წესიერი მოვლით გახარებული გაიხარებს, გასახმობი გახმება. ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება დაგერჩა, რომ ბოლნისისა და დმანისის სატყეო მეურნეობები კარგად მუშაობენ, ჟურნალისტებს კი მათზე სასიკეთოთ კალამი არ დასცდენიათ. თუ დასცდენიათ, ძუნწად. ტყეშიც კითხულობენ პრესას, თანაც უფრო სულისთქმითა და ყურადღებით.

ტანძიაში ჩამოვედით საქართველოს დიდი მამის საბა-სულხან ორბელიანის ტაძართან. ამ ტაძართან დიდი მწერლის ბიუსტი იდგა, შესაკეთებლად თბილისს წამოუღიათ და აი, ექვსი წელია ვერ შეუკეთებიათ. ჩვენი წინადადებაა დაუბრუნონ ტანძიას საბას ბიუსტი და ბოლნისის სატყეო მეურნეობა ითავებს მის შეკეთებას. ისე, ტანძია კი ღირსია საბასულხან ორბელიანის რიგიანი ძეგლისა.

4.

ახლა დუშეთისკენ მივიდვართ. დღით აღრიანად წავედით, ისევ ის ხალხი,

უკლებლივ, დილაადრიან იმისთვის, რომ თორმეტ საათზე ფშავში, ჩარგალში, ვაჟა-ობაა, უნდა ჩავუსწროთ.

გულიც იქ იწევს, თვალიცა,
იქ რო მაღალი მთებია,
ვინც რომ გიჟმაჟი გაგზარდა,
ვის ძუძუც პირში გდებია, –
იმათ კალთებზეც მოგვედები
მათ ლოდი გულსამც მდებია.

ცხრა საათისთვის დუშეთის გადასახვევთან ვიყავით. მანქანით დაგვხვდა დუშეთის სატყეო მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ლიპარტელიანი, გვერდით მთავარი მეტყევე დავით ფეიქრიშვილი უზის.

გზაზე ყველას ყველაფერი რიგზე აქვს, სააშკარაოა და მისთვის, მოდი ცოტა გადამალულისაკენ გავუტიოთ, უფრო მიფარებულში, ჭოპორტის სატყეო ვნახოთო, თქვა გიორგი ლიპარტელიანმა და ჩვენმა მანქანებმაც პირი ჭოპორტისაკენ ჰქნეს. სატყეოს უფროსი ლადო ბეწუაშვილი გახლავთ, ტყის კულტურები იქ ნახეთ... ჭოპორტის სატყეომ დაამტკიცა, რა თავგამოდებული სამუშაოები უნდა ჩატარდეს, რომ ძველი შეცდომებით გაჩეხილი ადგილები კვლავ აღადგინო და გარემოს სიცოცხლე დაუბრუნო. ჩვენ ვესაუბრებით დუშეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს გიორგი ლიპარტელიანს.

– ჩვენს რაიონში კულტია ტყისა, მისი მოვლისა და პატივისცემისა. ფშაველი, ხევსური თუ მთიელი კაცი ხის ძირას პურს რომ შეჭამს, ხეს ადღეგრძელებს, შენს ჩრდილს კი ვენაცვალო, გზად მიმავალი წამოდგება და მიიხედ-მოიხედავს, ემანდ ხომ არაფერი დავყარე, მიდამო ხომ არ გავაბინძურეო, ისევ ადგილს დალოცავს, თუ წყაროს ღარი არ უვარგა, ახალს მოურგებს, მოაწესრიგებს და გაუდგება თავის გზას. განა შეიძლება ეგეთ მგზავრს რა საქმეხედაც უნდა

მიდიოდეს, არ გაუმართლოს? არ შეიძლება! ჩვენში ბევრი სატყეოა, რომელმაც საქმითა და ერთგულებით გაითქვა სახელი: ბულაჩაურის სატყეო, რომელსაც ლერი ხეთაგური ხელმძღვანელობს, ანანურისა, რომან ტატიშვილია იქ მეთაური, რაც შეეხება ნიკოლოზ ღვაბერიძეს, ფასანაურის სატყეოს უფროსია, დამსახურებული კაცია. აი თითქმის ორმოცი წელია, რაც მეტყევედ მუშაობს. ტყეში კაცი გვიან ბერდება, მუხასავითაა, არ წაიქცევა, და თუ წაიქცა, მუხაა, თხმელა ხომ არ არის?

დუშეთის რაიონს რომ სატყეო მეურნეობა აქვს, მისი ბადალი ზოგიერთ მოძმე რესპუბლიკას სამინისტროს ჰქონია. 90000 ჰექტარზე გადაჭიმული სიმწვანე და სიმშენიერე სანამყენე პლანტაციებისა, ტყის კულტურებისა, სანერგეებისა. ხელოვნური წიწვოვანი ტყეები უცხო და ხასხასა მდინარეებსავით შეჭრილი ბებერ ტყეებში.

დიდი შთაბეჭდილებებით მოვდივართ ტყიდან – მისი ბრწყინვალეებიდან.

ნაკლი? ნაკლი სად არ არის, ნაკლი ვის არა აქვს, მაგრამ კაცურად სწუხან ამ ნაკლზე და ასწორებენ კიდევაც.

საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ არჩეული ახალი გზა სწორია და მამულიშვილური. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დასაწყისია, ჭეშმარიტ გამარჯვებას კი მომავალი იზეიმებს.

ვაჟაობაზეც ავედით. ეს გახლდათ მართლაც სახალხო დღესასწაული. იდგა მშობლიურ მთებში დიდი ვაჟა-ფშაველას აჩრდილი და საქართველოს მომავალს მოუწოდებდა:

აგრემც ექმნები პაპაშენს
დღეგრძელიო და სრულიო,
ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მინამ გიდგა სულიო,
შვილო, მეც ეგრე ვიყავი,
ეგ არის ჩვენი სჯულიო.
ჩარგულას ქვეით ჭალისკენ მიჰქონდა,

ვაჟას წყაროსაკენ მიჰქონდა უშანგი ჩხეიძის დიდებული და შორეული ხმა. ფშავლის პატარა გოგონები ტოროლე-ბივით აწკრილებდნენ ვაჟას ლექსებს. ხალხური მოქმელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი მწერლები და პოეტები, დოღში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ექვსი ლიტოკელი და ერთი ჭინჭარაული, მოსწონდათ და უყვარდათ ერთმანეთი.

დამთავდრა ზეიმი და ზეიმი გაგრძელდა ჭალაში.

თუშეთი ყოველმხრივ მომზადებული შესხვდა მოზეიმეებს. სპეციალური მანქანებით მოეზიდათ სურსათ-სანოვაგე. ვაჟას წყაროთი აგრილებდნენ გაცხელებულ გულებს დაღლილი მოზეიმენი. იყო ქეიფი, თბილი, რაინდული, ქართული, ოჯახისშვილს რომ შეშვენის, ისეთი. აღდგერძელებდნენ ვაჟას, ჩვენ დიდ მწერლობას, მშვიდობას, სიყვარულს, მეგობრობას, და რაღა თქმა უნდა, საჭიდაო მოედანიც გაეკეთებინათ, ფრენბურთის მოედანიც: სახელდახელოდ კი არა, საშვილიშვილოდ გაეკეთებულს გაგდა... ოღონდ ახალგაზრდობამ გაიხაროსო, ამბობდა გიორგი ლიპარტელიანი.

ყველაფერი კარგად დამთავრდა, ზომიერად, როგორც იტყვიან, უჩხუბრად. მაგრამ რად გინდა? ორმოცდაათი სუფრიდან სამმა თუ იკისრა დაესუფთაგებინა მიდამო და ხის ძირი, სადაც შვება იგრძნო, მოიღხინა და საქართველო აღდგერძელა. ნაომარს გავდა ჩარგლის ჭალა. დიდ ვაჟას რომ წამოეხედნა, იტყოდა: „დეგებსა აქვის ქორწილი“. დღეს მეტყვევებმა მეუზოვეობაც უნდა იკისრონ და უნდა დაგავონ ამხელა ჭალა...

უნებლიედ გიორგი ლიპარტელიანის ნათქვამი გაგვახსენდა: ჩვენი კაცი ხის ძირას პურს რომ შეჭამს, ხეს აღდგერძელებს, შენს ჩრდილს კი ვენაცვლეო, მერე წამოდგება და გზად მიმავალი მიიხედ-მოიხედავს, ემანდ ხომ არაფერი

დავყარე და გარემო ხომ არ გავაბინძურეო. სირცხვილით იწოდა ტყე, რომელსაც თვალი აქვს, გული აქვს და შეგრძნება. რა ქნას მეტყვევებ? ჩვენ თუ არ მოვეხმარეთ?

მოვდიოდით და ყურს გვიხედნიდა ვაჟა-ფშაველას სტრიქონები:

„მაინც კი ლამაზი არის,

მაინც სიტურფით ჰყვავისა“...

P.S. ასე მთავრდება ეს უნიკალური ისტორიული ნარკვევი-შედევი..... ტყეების დათვალიერება კი გრძელდებოდა, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა რაიონებში.....

----- 0 -----

ტყეების დამთვალიერებელი კომისიები ორგანიზებულ იქნა ცალკეული რეგიონების (რაიონების) მიხედვით, რომელთაც თითოეულში ხელმძღვანელობდა რაიონული ადმსკომის თავმჯდომარე, ან მისი პირველი მოადგილე. კომისიაში წარმოდგენილი იყო სატყეო მეურნეობის სამინისტროს მუშაკი, რომელიც ფაქტიურად, როგორც მასპინძელი, წარმართავდა ტყეების დათვალიერების პროცესს. ტყეების დათვალიერება იწყებოდა აგვისტოს მეორე კვირის დასაწყისიდან, ხოლო დადგენილების შესაბამისად, დათვალიერების შედეგების შეჯამება ხდებოდა კვირის ბოლო ორ დღეში, კერძოდ, შაბათ-კვირას. შედეგები ფორმდებოდა მოხსენებითი ბარათის სახით და სათანადო ხელმოწერების შემდეგ გადმოიგზავნებოდა ტყეების დათვალიერების შემაჯამებელ რესპუბლიკურ კომისიაში. რესპუბლიკური კომისია აანალიზებდა რაიონული კომისიების მიერ წარმოდგენილ მასალებს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ვლინდებოდა დათვალიერებაში გამარჯვებული საუკეთესო კოლექტივები.

დადგენილი იყო გამარჯვებულთათვის სამი საკლასო ადგილი შესაბამისი ფულადი პრემიის ოდენობით. გამარჯვებულთა ვინაობა ცნობილი ხდებოდა სექტემბრის პირველ დეკადაში მეტყვევის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

მაშინ, 1978 წლის აგვისტოში, როგორც სამინისტროს წარმომადგენელი, მიმაგრებული ვიყავი ტყეების დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად ქვემო ქართლის ზონაში, კერძოდ, თეთრიწყაროს სატყეო მეურნეობაში.

ის იყო აგვისტოს დასაწყისში შვებულება დამითავრდა, სამსახურში არცკი გამოვცხადებულვარ, ხუთშაბათ დღეს პირდაპირ გავემგზავრე თეთრიწყაროში. მეურნეობა მოწინავეთა რიგებში იდგა ყოველთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მას სათავეში ჩაუდგა შესანიშნავი მეტყვევე სპეციალისტი – გურამ ჩიბურდანიძე. მაგრამ მოხდა ისე, რომ სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში არც დირექტორის, არც კომისიის წევრების ჭაჭანება ვერ ვიხილე. მისაღებში მდივანმა მაცნობა – კვირას მთელი სამინისტროს ხელმძღვანელობა მოდის აქ დათვალიერებაზე და საპატიო სტუმრებიც გვეყოლებაო. ამ საუბარში ვიყავით, რომ ეზოში მანქანა შემოაგელვა გურამ ჩიბურდანიძემ. დამინახა და გაიბადრა: „მეც არაფერი ვიცოდი, გუშინ დამირეკეს, რომ მოვდივართო, ახლა ყველა სატყეო უბანი ტყეშია გასული და კომისიისათვის საჩვენებელ ადგილებს ვაზუსტებთო“ – ჩამიჯინა მანქანაში და სასწრაფოდ გავექანდით ახლომდებარე უბანში – თეთრიწყაროს სატყეოში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სანიმუშო მეტყვევე-სპეციალისტი, დიდებული, უმწიკვლო პიროვნება – არჩილ წიკლაური (შემდგომ წლებში სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყვევე, დირექტორი). არჩილმა შემოგვატარა საუკეთესოდ მოვლილ-გალამაზებული რეკ-

რეაციული უბნები (ე.წ. „პატარა დათვები“, „ვაჟას გორა“ და სხვა); ასევე უმაღლეს დონეზე გაშენებული და საუკეთესოდ მოვლილი იფნის, ცაცხვის, ნეკერხლის, მუხის სანერგეები; კარგად გაკვალული, მოხრეშილი სატყეო გზით შევედით ტყეკაფში, სადაც, მართლაც, სანიმუშოდ იყო მოწყობილი ტექნოლოგიური დერეფნები; თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი ახლად დამზადებულ სამასალე და საშეშე სორტიმენტებს და გამზადებული იყო გამოსაზიდად; მეტყვეური მოთხოვნების შესაბამისად იყო დახურული ტყეკაფის ნარჩენები... შევხვდით სატყეო სანერგის მუშაკებს, რომლებიც თავგამოდებით შრომობდნენ ე.წ. სანერგე-სკოლის ფართობზე. გადავწყვიტეთ, სტუმრები, პირველ რიგში, სწორედ, აქ მიგვეყვანა და შემდგომ შევდგომოდით სხვა უბნების დათვალიერებას. აქედან დავეშვით ასურეთისაკენ, სადაც ვიხილეთ სანიმუშოდ გაშენებული იფნის ე.წ. „მემორიალური პლანტაცია“, რომელიც, მართლაცდა, ამ ნახევრადუდაბნოში მეტყვევეთა მარჯვენის წყალობით შესანიშნავად გრძნობდა თავს და მედგურად მიიწევდა მადლა. შაბათ დილით კი ავედით ე.წ. „ვაჟას გორაზე“ – სოფელ ალექსეევკის თავზე გადმომდგარ, გოლიათი წიფელებით შემოსაზღვრულ წალკოტზე, სადაც უკვე მოეწყობა დასასვენებელი უბანი მორაკრაკე წყაროთი. სწორედ აქ დაგვირგინდებოდა რაიონის ტყეების დათვალიერების ცერემონია...

კვირა დღეს დილის 10 საათისთვის სტუმრებს დავხვდით მარნეულის გზაზე თეთრიწყაროს რაიონის გადასახვევთან. რამდენიმე მსუბუქი მანქანით შემოვიდნენ რაიონის კარიბჭეში. სატყეო მეურნეობის მინისტრმა – შოთა ჭალაგანიძემ ჩვენ, რაიონული კომისიის წარმომადგენლები წარგვადგინა სტუმრებთან, რომელთა შორის გახლდნენ: საქვეყნოდ ცნობილი პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი,

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – გიორგი ნატროშვილი, პოეტი, რეჟისორი (მსახიობი) მერაბ ელიოზიშვილი. მინისტრს თან ახლდნენ მოადგილეები – გიორგი (გიგო) გიგაური, ვლადიმერ ხიშბა და ჯიმშერ (ჯიმი) ჩარკვიანი.

დათვალიერება ასურეთიდან დავიწყეთ, რადგან თეთრიწყაროსკენ მიმავალ გზაზე პირველად სწორედ ასურეთის სატყეო უბნის შემოგარენია გადაშლილი. სატყეო უბნის უფროსმა – ზურაბ ყიფშიძემ, პირველ რიგში გეზი აგვადებინა 60 ჰექტარზე გაშენებული იფნის (კოპიტის) პლანტაციებისაკენ, სადაც დატერასებულ ფერდობებზე ღრმად ჰქონდა მოკიდებული ფეხი ტყის ნარგავებს. პლანტაცია შესანიშნავი ზრდით ხასიათდებოდა და სანიმუშოდ იყო მოვლილი. პლანტაციებიდან გამოვედით და გეზი ავიღეთ სოფელ ჩხიკვთას თავზე მოწყობილი მშრომელთა დასასვენებელი კუთხის, ე.წ. „პატარა დათვის“ სანახებისაკენ. უბანი სანიმუშოდ იყო მოწყობილი: თვალს ახარებდა კარგად ორგანიზებული დასასვენებელი კუთხეები, სასაუზმე მაგიდები, მოწანწკარე წყარო და სხვა. პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა შენიშნა: „ყველაფერი ეს კარგია, თითქოს ვბაძავთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, მაგრამ ჯერჯერობით ეს მაინც ფრაგმენტულია. იქ, მათთან, ტყის ყველა უბანია თითქმის ასე მოწყობილ-გაღამაზებული. თუმცა, დასაწყისისათვის ესეც მეტად მნიშვნელოვანია, რომ სწორ გზაზე ვდგავართო“.

ის იყო გეზი უნდა აგველო თეთრიწყაროს შემოგარენში გაშენებული სანერგეებისაკენ, რომ ჭალაგანიძემ მისმო თავისთან და მეუბნება: ალგეთში თუ იყავი ნაკრძალში, რა ხდებოა. მე ნაკრძალი თუ იყო დათვალიერების პროგრამაში, ისიც კი არ ვიცოდი, ეს დათვალიერების წინა თათბირზე დაუმატებიათ,

რომელსაც მე არ ვესწრებოდი შეგებულებაში ყოფნის გამო. შოთა ჭალაგანიძე მეუბნება: „იქ ლაფანჭამია რომ იყო მოდებული კი ვიცოდი, მაგრამ ასე ღრმად თუ იყო ფეხმოდებული, არ მეგონა. ხიშბა გავაგზავნე ერთი კვირის წინ მდგომარეობის გასარკვევად და თავკუდმოგლეჯილი გამოქცეულა იქიდან ეს საშინელება რომ უხილავს. სასწრაფოდ წადი, აღნუსხე ყველაფერი და რაც საჭიროა დაავადებული ხეების მოსაცილებლად და ტყის გასაწმენდად ყველაფერი დამიზუსტე და წერილობით წარმომიდგინე, სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო“.

გადავწყვიტე იმ საათშივე გაემგზავრებულიყავი, მაგრამ შოთამ შემანერა: „ეხლა სად წახვალ, დღესვე დაურეკე ნაკრძალის დირექტორს ვახტანგ მელიქიძეს, რომ ხვალ დილით რომ ახვალ იქ დაგხვდეს და ყველაფერი გაჩვენოს“.

მინისტრის მითითების შესაბამისად, დღის ბოლოდღე შემოვრჩი თეთრიწყაროში: დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა სანიმუშოდ მოვლილმა სანერგეებმა, სხვადასხვა სახის ტყის კულტურებმა. დათვალიერების ბოლო აკორდი გახლდათ შეკრება ე.წ. „გაუას გორაზე“, რომელიც მეტყვეური პურმარილით დასრულდა.

იმ ღამეს თეთრიწყაროში დავრჩი და იქიდან კი დილით ადრე ავედი მანგლისში, სადაც ალგეთის ნაკრძალის ადმინისტრაცია იყო განთავსებული. ადგილზე დამხვდა ნაკრძალის დირექტორი, ვახტანგ მელიქიძე. გავემგზავრეთ ალგეთის ხეობაში, აღმოსავლეთის ნაძვის – (*Picea Orientales*) გავრცელების არიალის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ანუ ამ სახეობის ნაძვის ბუნებრივი გავრცელების (არეალის) უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთში. სწორედ ამიტომ იყო გამოცხადებული ეს ადგილები ნაკრძალად, რათა შენარჩუნებულიყო მისი, შეიძლება ითქვას, ისტორიული გეოგ-

რაფიის თვალსაზრისით, უნიკალური კორუმპიცი, თუმცა ის, რაც ადგილზე ვიხილეთ, მხოლოდ კატასტროფად შეიძლება შეფასებულიყო: ლაფანჭამია ზეიმობდა და ღრეობდა მასიურად – მავნებლით დაზიანებული გამხმარი და ხმობადი ხეები, ქარისაგან ჩაქცეულ-ჩაღეწილი ერთმანეთში იყო ჩახერგილი ისე, რომ გავლაც კი შეუძლებელი იყო.

გაოგნებული რომ მოვბრუნდი ნაკრძალის ოფისში, ვიხილე დასკვნა სათანადო წინადადებებით, რომელიც ამ ერთი თვის წინ გაუკეთებია ჩვენი სამინისტროს ტყის დაცვის რესპუბლიკურ ლაბორატორიას. მოვლენები სწორად იყო შეფასებული და მოითხოვდნენ დაავადებულ კორუმპიციში აქტიური, ინტენსიური სანიტარული ჭრების განხორციელებას და ფართობების სასწრაფოდ გაწმენდას: დაავადებული ტყის მოჭრილი მასის სასწრაფოდ გამოზიდვას და განადგურებას. აღნიშნული იყო ისიც, რომ ამ სავალალო მდგომარეობამდე ტყის მიყვანაში ღომის წილი მიუძღვოდათ ე.წ. „ვაი მეცნიერებს“, რომლებიც წლების მანძილზე დაუინტერესებლად ითხოვდნენ, რომ ხელი არ გვეხლო ნაკრძალისათვის, რადგან ეს იყო თვითმართვადი ბიოლოგიური კლიმატური ლაბორატორია და ბუნება თითონ წარმართავდა პროცესებს დამოუკიდებლად, ჩვენ კი მხოლოდ ცდისეული დაკვირვება უნდა გვაწარმოებინა და გვესწავლა ბუნებისაგან ბუნებრივი პროცესების მართვა. სწორედ ამ აზრის გაბატონებამ მიგვიყვანა, ძირითადად, არსებულ სავალალო ვითარებამდე. მე, გამოვიყენე ყველა არსებული მასალა, შევადგინე მოხსენებითი ბარათი მინისტრის სახელზე, რასაც სასწრაფოდ მიეცა მსვლელობა.

შეიძლება ითქვას, რომ ტყეების პირველმა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ მაღალ დონეზე, ორგანიზებულად ჩაიარა, მაგრამ ეს ყველაზე ეფექტურად გამოვლინდა საქართველოს სატყეო

მეურნეობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სატყეო მეურნეობებში, ნაკრძალებში, სატყეო-სამონადირეო მეურნეობებში, რომლებშიც დათვალიერების შედეგების ღრმა გაანალიზების საფუძველზე დაისახა კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ეს შესანიშნავი ღონისძიება 1990 წლის შემდეგ დავიწყებამ მიეცა. თუმცა, რომელ ტყის დათვალიერებაზე იყო საუბარი, როდესაც 1991-1993 სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, ენერგეტიკული და ეკონომიკური კრიზისების ფონზე, მოსახლეობა და ტყის გამტაცებლები (საზღვარგარეთ გამზიდველები) ტყეებს ღიად, უმოწყალოდ ჩეხდნენ და ანადგურებდნენ.

რესპუბლიკის მთავრობის ახალ თავმჯდომარედ მოსკოვიდან მოვლინებულმა ედვარდ შევარდნაძემ ტყეებში შექმნილი მძიმე ვითარების ასალაგმავად და წესრიგის დამყარების ღონისძიებათა დასახვის მიზნით, 1996 წლის 31 აგვისტოს მოიწვია მთავრობის გაფართოებული სხდომა. სწორედ ამ სხდომაზე გადაწყდა შემუშავებულიყო საქართველოს სატყეო მეურნეობის აღორძინების და განვითარების ათწლიანი სახელმწიფო პროგრამა. ამავე სხდომაზე სიტყვაში გამოსულმა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა წამოაყენა წინადადება კვლავ აღდგენილიყო ჟამთა სიავის გამო მივიწყებული შესანიშნავი ღონისძიება – ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება. შემოთავაზებული წინადადება მოიწონა და მხარი დაუჭირა ედვარდ შევარდნაძემ.

მართლაც, 1998 წლიდან კვლავ აღდგა ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების ტრადიცია და ის მეტნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა ახალი, 21-ე საუკუნის პირველ წლებამდე, 2004 წლიდან კი ე.წ. „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, საბო-

ლოდ ჩაკვდა. დღეს, როდესაც ნაციონალების ე.წ. პარტია ჩამოცილებულია ქვეყნის მმართველობიდან და დასახულია გარკვეული ღონისძიებები ტყის მეურნეობის გაძღოლის სრულყოფის მიზნით, მიგვაჩნია, რომ კვლავ საჭიროა აღდგეს ტყეების დათვალიერების კეთილშობილური ტრადიცია, რომლის წარმართვაში ლომის წილი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა შეიტანონ. უფრო მეტიც, მათ უნდა წარმართონ ეს პროცესი და საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობით

მხარში ამოუდგნენ ტყეების მართვის სახელმწიფო ორგანოებს გამოვლენილ დარღვევათა დროული აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. ტყეების დათვალიერების შედეგების საფუძველზე გამოვლინდება ტყეების აღდგენის, დაცვის და ტყის რესურსების გამოყენების სფეროში თავდადებული მეტყვეები, რაც თავის მხრივ, საფუძველად დაედება ამ მიმართებით რესპუბლიკის მოწინავეთა წარმოჩენას და ქვეყნის დამსახურებული მეტყვევის საპატიო წოდების მისაღებად მათ წარდგენას.

მაქსიმი ზელზინიძე

საქართველოს დამსახურებული მეტყვე

მიხეილ მურვანიშვილი - ტყეების აღორძინების დიდოსტატი, გამორჩენილი ქართველი მეტყვე და ამბღარი

(რამდენიმე ეპიზოდი მისი მოღვაწეობიდან)

საქართველოს ტყის მეურნეობის ერთ-ერთი მესაძირკველი – მიხეილ მურვანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენ ქვეყანაში ტყეების პირველი მასშტაბური გაშენება, დედა-ბუნების გაკეთილშობილების მიზნით ტყის მოვლა-დაცვის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება. მან სხვა მრავალ სიკეთეებთან ერთად, უდიდეს მეტყვემეცნიერ და დიდ პედაგოგ სოლომონ ქურდიანთან ერთად, პირველმა ააშენა გირჩსახდელი ქარხანა ლიკანში, გამოიყვანა პირველი თესლნერგი და გააშენა ფიჭვის ტყის მასივები სურამში და სრულიად ბორჯომის ხეობაში.

აი რა გვიამბო, მ. მურვანიშვილის დაკრძალვის დღეს, 1959 წელში, მისმა ყოფილმა თანამშრომელმა – ალექსანდრე გვიმრაძემ:

„მეოცე საუკუნის ოციან წლებში ბატონი მიხეილი მუშაობდა ბორჯომის ხეობაში – თორის სატყეოში ტყის გამგებლად. ეს ის პერიოდია, როდესაც სოფელ თორიდან ძირძველი მოსახლეობა – ქართველი ყურმაშილები და ხაჩიძეები გადაასახლეს მწირ მიწებზე, სოფელ ლარებში, ხოლო მათ ადგილას ჩაასახლეს ცარიზმის მიერ უკრაინიდან (კერძოდ, პოლტავიდან) გამოყრილი დაუმორჩილებელი გლეხობა. ერთმა გაჭირვებულმა გლეხმა, ყურმაშილების ოჯახიდან, ბატონ მიხეილს მოპარა მეწველი ძროხა. ბევრი ძებნის შემდეგ კვალი

მივიდა სოფელ ლარებში. მიხეილმა წაიყვანა ე.წ. „აბეშიკი“ (ტყის მცველი) და მიაკითხეს მომპარავს. ოჯახის პატრონს ცოლი გარდაცვლიდა და დარჩენოდა ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი. განრისხებული მურვანიშვილი დაემუქრა ქურდს, რომ ჟანდარმერიას გადასცემდა. ბავშვები ტირილითა და ხვეწნა-მუდართით შეევედრნენ, რომ მათი მამა ჟანდარმერიაზე არ გადაეცა. მურვანიშვილს შეეცოდა პატარები და უთხრა: „ამ ბავშვების გამო მიპატიებია, არ გადაგცემ სამართალს“. ტყის მცველმა ძროხას თოკი ჩააბა და წამოიყვანეს თორში. ნახევარი გზა რომ გაიარეს, მურვანიშვილი უცებ შეჩერდა, მაღლა ღმერთს ხელები ალაპრო და ასე იდგა დიდხანს ჩაფიქრებული, შემდეგ ტყის მცველს დააბრუნებინა უკან ძროხა. განცვიფრდა ტყის მცველი, ვერ მიხვდა რატომ აბრუნებდა უკან ძროხას, მაგრამ შეპასუხება ვერ შებედა და შეასრულა უფროსის ბრძანება. მიხეილმა უთხრა ქურდს: „აჰა, მიჩუქებია ეს ძროხა შენთვის, რომ შენი ობლები გზას არ ასცდნენ და შენნაირი ქურდები არ გაიზარდონო, ხოლო შენ ხვალ მოხვალ თორში, სამუშაოს მოგცემ და პატიოსანი შრომით არჩინე ობლები“. ქურდი გაოგნებული იყო, ხოლო გახარებული ბავშვები შემოეხვიენ და აღარ იცოდნენ მაღლობა როგორ გადაეხადათ ამ კეთილი და ღვთისნიერი კაცისათვის. მართლაც, მეორე დღეს ყურმაშილი მივიდა თორ-

ში. ბატონმა მიხეილმა სოფელ ციხის-ჯვარში სატყეოს შენობიდან გამოუყო ერთი ოთახი საცხოვრებლად, თავად კი გაამწესა კულტურების მუშად. გლეხი წელში გაიმართა, ბავშვები წამოიზარდნენ, მშრომელი და მუყაითები გახდნენ. ბედნიერი გლეხი დღე და ღამე მიხეილს ლოცავდა.

მისი კეთილშობილების კიდევ ერთი მაგალითი:

მიხეილ მურვანიშვილი მუშაობდა სურამის სატყეო მეურნეობაში ტყის გამგედ, ხოლო მიხეილ კვერნაძე მისი თანაშემწე იყო. ავად სახსენებელ ოცდაჩვიდმეტ წელს, ორივე მიხეილი სურამის სოფლების გაეწერებულ მიწებზე აშენებდნენ ტყის კულტურებს. მურვანიშვილს ხაშურის უშიშროებაში, ე.წ. „ჩეკაში“ უჩივლა ერთმა უგუნურმა სოფლის თავმჯდომარემ, ვითომდა მურვანიშვილი ხარჯავდა ზედმეტ თანხებს და ზიანს აყენებდა სახელმწიფოს. ხაშურის შინსახკომმა უმაღლეს დააპატიმრა მიხეილი. ამ ამბის გაგებისთანავე, სურამის მოსახლეობა დაირაზმა და მიადგა ხაშურის შინსახკომს, ასევე საქმეში ჩაერია სატყეო მეურნეობის მთელი კოლექტივი და მოითხოვეს მურვანიშვილის მიერ ჩატარებული სამუშაოების შემოწმება. შინსახკომმა გამოიწვია კომისია კოხლოვის ხელმძღვანელობით, რომელ-

მაც შეისწავლა გაშენებული ტყის კულტურების სამუშაოები და, რა თქმა უნდა, მათ ძალიან მოეწონათ მეტყვევთა ნამუშევარი. კოხლოვი მივიდა ხაშურის შინსახკომში და გაოცებულმა უთხრა: „რა გიქნიათ თქვე უღმერთოებო, როგორ დაგიპატიმრებიათ ეს შესანიშნავი მეტყვე. იგი პირველი რაციონალიზატორია, საბჭოთა კავშირში ტერასების სახით ტყე ჯერ არავის გაუშენებია და თქვენ კი ასეთ კაცს აპატიმრებთ“. შინსახკომმა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლა პატიმარი. მურვანიშვილმა დაუძახა მომჩივანს, მოსთხოვა პასუხი ცილისწამებისთვის და უთხრა, რომ შენ დაპატიმრების ღირსი ხარ ცრუ ბრალდებისთვის, მაგრამ რა ვუყო შენს ბავშვებს, ობლად შენზე უარესი ავაზაკები გაიზრდებიან და ამიტომ მათი ხათრით გაპატიობო. მომჩივანი მიხვდა საკუთარ შეცდომას და მხარში ამოუდგა მიხეილს ტყეების გაშენებაში.

მურვანიშვილი ობლების მიმართ განსკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, ხელმოკლე ოჯახებს ეხმარებოდა ბავშვების აღზრდაში, რაც მას დიდ სიხარულს გვრიდა და ამაყობდა კიდევ ამით.

ასეთი იყო ჩვენი დიდი პატრიოტი მეტყვე, ღვებენდარული ფეხბურთელის, დავით ყიფიანის დიდი ბაბუა, მიხეილ მურვანიშვილი.

რედაქტორის მინაწერი:

1970-იან წლებში, მთავრობის განკარგულებით, დაწესდა სატყეო მეურნეობის დარგში სპეციალური ჯილდო – მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრიზი და ფულადი პრემია სატყეო სანერგეების მოვლისა და ტყის კულტურების გახარების მაღალი პროცენტის მიღწევისათვის. წლების მანძილზე (1990 წლის ჩათლით), ამ საპატიო სიგელით (პრიზით) დაჯილდოვდა ათეულობით სატყეო მეურნეობის მოწინავე მუშაკი, რომელთა მარჯვენით შეიქმნა წლების მანძილზე მაღალპროდუქტიული, ხელოვნურად გაშენებული ტყეები. რატომღაც შემდგომში, ეს დიდებული წამოწყება მივიწყებული იქნა.

სარედაქციო კოლეგიის აზრით საჭიროა კვლავ აღდგეს უახლეს დროში ეს შესანიშნავი ტრადიცია.

**ალიონა ნინუა - რესპუბლიკის
დამსახურებული მემკვიდრე, სატყეო საქმის
დიდოსტატი და მოამბე**

(ეპიზოდები ღირსეული მამულიშვილის ცხოვრებიდან)

1941 წლის ზაფხულია. სამამულო ომის ქარცეცხლმა მოიცვა ქვეყანა. ბორჯომის ხეობაში, კერძოდ ბაკურიანშიც, სადაც მოღვაწეობდა ალიონა ნინუა, არმიაში იყო გაწვეული ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი, მოსახლეობას შიმშილობა დაემუქრა.

სწორედ იმ დროს მოეწვინა ბაკურიანს რაინდული სულის მქონე, 25 წლის მეტყვევ-ინჟინერი ალიონა ნინუა, რომელმაც თავისი უნარიანი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ადგილობრივ მოსახლეობას გაჭირვება. კერძოდ, მან შექმნა სატყეო მეურნეობაში დამხმარე მეურნეობა, მასში დაასაქმა ყველა, ვისაც შეეძლო ხელის განძრევა – შრომითი საქმიანობა; გლეხობას უხნავდა მიწის ნაკვეთებს; ეხმარებოდა პირუტყვისათვის საკვების დამზადებაში; სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახებს ტყიდან უზიდავდა შეშას, ეხმარებოდა მათ მოწეული კარტოფილით; კახეთში გადაჰქონდათ გარკვეული რაოდენობა და ცვლიდნენ ხორბალზე და სიმინდზე, რითაც მან ბევრი გაჭირვებული ოჯახი იხსნა შიმშილისაგან.

ერთხელ ალიონა ნინუასთან მივიდა მისი ახლო მეგობარი ვასილ ცხოვრებაშვილი და სთხოვა ერთ სერიოზულ საქმეში დახმარება. საქმე შემდეგში ყოფილა: მისმა ძმისშვილმა მიწერა წერილი ფრონტზე თავის მამას და აცნობა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე არხიპო თვაური ძალიან ავიწროვებდა.

გამწარებულმა ილომ მიატოვა თავისი ნაწილი და წამოვიდა არხიპო თვაურის მოსაკლავად. მან იმ მომენტში ვერ მოახერხა არხიპო თვაურის მოკვლა და იძულებული გახდა ტყეს შეფარებოდა, რადგან უკან ნაწილში რომ დაბრუნებულიყო, სამხედრო ტრიბუნალზე გადასცემდნენ და დახვრეტა არ ასცდებოდა. ამ საქმის მოგვარება ძნელი იყო, მაგრამ ალიონამ შინსახკომის უფროსის კოდუას მეშვეობით, შეძლო ილო ცხოვრებაშვილის გადარჩენა, ის ჩაბარდა მთავრობას, მიუსაჯეს ერთწლიანი პატიმრობა და გაამწესეს შრომით ბატალიონში.

აი კიდევ ერთი მაგალითი მისი კეთილი საქმისა, რომელიც მე მამბო ომის ინვალიდმა – როსტომ ჯეირანაშვილმა:

„ფრონტიდან დაინვალიდებული დაგბრუნდი, დაეკორწინდი და დავიწყე ჩემთვის სახლის აშენება. მთავრობამ გამომიყო სამშენებლო მასალები და, რა თქმა უნდა, 5 კუბმ ხე-ტყეც, რისთვისაც მეტყვევებმა მომიზომეს ორი ძირი ნაძვი. მეც მოვჭერი ხეები და მესამე ძირიც მივაყოლე, რის გამოც მამაჩემმა, ტყის მცველმა, არ დამზოგა და შემიდგინეს აქტი. მიუტანეს დირექტორს – ალიონა ნინუას. დირექტორი განრისხდა, როგორ თუ საკუთარ ინვალიდ შვილს აქტი შეუდგინეო. წაიყვანა სატყეოს უფროსი და ორივე ტყის მცველი, მიიყვანა ადგილზე და ნახა, რომ მესამე ძირი ხე მოჭრის დროს, მოუტეხავს დაცემისას ხეს, სამივე ძირი კარგად დაუმუშავებია როსტომს,

ტყეკავი იდეალურად გაუწმენდია და წამოულია. ა. ნინუამ აქვე მიანიშნა ხალხური შეგონება: „როდესაც კაცი სახლს აშენებს, კარგი მეტყვევ ვალდებულია ნაფოტი ესროლოს“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოეხმაროს სახლის მშენებლობაში. ხუთი კუბომეტრი, რა თქმა უნდა, სახლის მშენებლობას არ ეყოფა, დაუნომრეთ კიდევ ხუთი კუბომეტრი, გადაახდევინეთ ბაჟის ვალი და მიეცითო.

ბაკურიანის ტყეებში თავს აფარებდა სამხედრო დეზერტირთა ჯგუფი, რომელთა მეთაური იყო გიორგი გელაშვილი. სწორედ ყაჩაღთა ბანდის მეთაურის – გიორგი გელაშვილის შესახებ მიაგმო ალიოშა ნინუამ პირადად მე:

„ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა ორმა თანამშრომელმა მომიყვანეს გლეხი, რომელსაც უკანონოდ მოეჭრა ორი ძირი ნაძვის ხე, გაეხადა ყავრი, დაეტვირთა მანქანაზე და მიჰქონდა სურამში გასასყიდლად. ვხედავ ჩემს წინ დგას შუახნის მამაკაცი, შავგვრემანი, შავი ბრიალა თვალებით, კოპწიად გამოწყობილი გლეხურ ტანსაცმელში, მეტად ტანადი და შესანიშნავი გარეგნობის ვაჟკაცი. მეუბნება – ბატონო ალიოშა, მე ჩავიდინე დანაშაული დედაბუნების წინაშე, რომელსაც ჩემი შვილი, წლების მანძილზე, გულმოდგინედ იცავდა. ახლა ჩემი ვაჟკაცი, თავის ძმასთან ერთად ფრონტზეა, ისინი ფაშისტებს ებრძვიან, მათი პატარები კი მე დამრჩა მოსავლელად. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიჭირდა მათი რჩენა და ამიტომ ჩავიდინე ეს უღირსი საქციელიო.

მე ძლიერ მოვიხიბლე გლეხი კაცის იერით და საოცრად დახვეწილი სიტყვაპასუხით. დიდხანს ვიდექი მონუსხული. ამ დროს ჩემს მახსოვრობაში ამოტივტივდა სააკაძის და ყიზილბაშის ეპიზოდი, თუ როგორ არ მოკლა გიორგიმ იგი ბრძოლის ველზე. მან უთხრა თათარს – შენ ლაჩრულად სიკვდილის ღირსი არ

ხარ, მიჩუქებია შენთვის სიცოცხლეო. სწორედ ამან გამომაფხიზლა, უცებ მოებრუნდი ტყის მცველებისკენ და განრისხებულმა მივმართე: „თქვენ არაკაცებო! ეს რა გიქნიათ, ამის მეტი ტყის ქურდი ვერ ნახეთ, ახლავე დაუბრუნეთ ჩამორთმეული ყავარი, დაუტვირთეთ მანქანზე და უზრუნველყავით უსაფრთხოთ სურამში ჩატანა.“ გლეხს კი მივუბრუნდი და შევაგონე – რომ კარგი იქნებოდა, სანამ ამ საქმეს ჩაიდენდი, ჩემთან მოსულიყავი, მე აუცილებლად დაგეხმარებოდი.

მეორე დღეს დავიბარე სატყეოს უფროსი და ორივე ტყისმცველი, წავიყვანე დანაშაულის ადგილას. ვნახე, რომ სპიროს მართლაც მოეჭრა ორი ძირი ნაძვი, დაემუშავებინა ზედმიწევნით კარგად – ლამაზად ჩამოქერქილი ჯირკვები, ტოტები ინსტრუქციის შესაბამისად ლამაზად დაწყობილი, ყავრი ნარჩენები შეკრული კოდად და მოწყობილი ხურგების გვერდით, ერთი სიტყვით, ისეთნაირად დამუშავებული, რომ აღფრთოვანება ვერ დავმალე. ასე კარგად გამოცდილი მეტყვევც ვერ შეარჩევდა. ისღა დამრჩენოდა, რომ მეტყვევსთვის დამევალებინა ჯირკვების დანომრვა, ტყის საჭრელი ბილეთის გამოწერა (ბილეთის ფული მე გადავიხადე) და ბარათი ჩამებარებინა დამნაშავესათვის. შემდეგ მივმართე თანამშრომლებს, არსებული დაუწერელი კანონის შესახებ და მოუყევი ძმები ყარსელაშვილების ამბავი. (ყარსელაშვილები 1920-იან წლებში მუშაობდნენ წაღვერის სატყეოში, მათ შორის უფროსი – გოგი იყო წაღვერის უბნის გამგე), როგორ დასაჯეს საკუთარი ტყის მცველი, რომელმაც აქტი შეუდგინა დამნაშავეს და მისცა პასუხისგებაში. აი ეს ამბავიც:

ტყის მცველის ბიძაშვილი ტყეში წასულიყო ურმით თივის მოსატანად. დატვირთული ურმით უკან დაბრუნებულს გაუტყდა ურმის ღერძი. საწყაღმა

კაცმა, რის ვაივაგლახით დაცალა ურემი, გამოაძრო გატეხილი ღერძი, იქვე, ტყეში მოჭრა წიფლის ხე, გამოთალა ღერძი და დიდი გაჭირვებით გაუყარა ურემში, მარტო კაცმა დააყენა ურემი თვლებზე, დატვირთა და როცა დააპირა გზის გაგრძელება, წამოესწრო ტყის მცველი და შეუდგინა ოქმი. ოქმი გადასცა სასამართლოს, მაშინ ტყის მცველს უფლება ჰქონდა შედგენილი ოქმი პირდაპირ სასამართლოში მიეცა. მოსამართლემ დამნაშევე გლეხს ჯარიმა დააკისრა, რომლის გადახდა მისთვის შეუძლებელი იყო. განრისხებულმა გლეხმა, მეორე დღეს, აიღო ალესილი ცული და გამწვრებულმა იმავე უბანზე ჩაჩეხა ახალგაზრდა წიფლის ლატნარი. ეს ამბავი რომ შეიტყვეს ძმებმა ყარსელაშვილებმა, პირიქით, ტყის მცველი დაადანაშაულეს, შენ ასეთი უსულგულობით ტყეს ვერ შეინახავო და გააგდეს სამსახურიდან.

აქვე მინდა გავიხსენო პატარა ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან:

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს მოსკოვში ვიყავი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. სხვა ლექციებთან ერთად გვიკითხავდნენ უსაფრთხოების ტექნიკას. ლექტორი იყო სამამულო (მეორე მსოფლიო) ომისდროინდელი საბრძოლო გემის კაპიტნის თანაშემწე. მან გვიამბო ერთი შემთხვევის შესახებ, მოსკოვის მექანიზირებული სატყეო მეურნეობის, ხეტყის საზიდი მანქანის ავარიის შესახებ.

ხეტყით დატვირთულ მანქანას, ავტონსპექციის ჯიხურთან შეეჯახა მეორე მანქანა. ორივე მანქანა დაზიანდა. ავტონსპექტორთან შეთანხმებით მძღოლები მორიგდნენ, რომ მანქანებს შეაკეთებდნენ. ამ გარიგებას დათანხმდა

სატყეო მეურნეობის დირექტორიც. მე ეს არ მომეწონა და გავასაჩივრე სასამართლოში. სასამართლომ გაითვალისწინა მძღოლების შეთანხმება, მათი ოჯახების მდგომარეობა და მსუბუქი სასჯელი დააკისრა – ექვსი თვით იძულებითი სამუშაო. მე არ დამაკმაყოფილა სასამართლოს გადაწყვეტილებამ და გავასაჩივრე ზემდგომ ინსტანციაში. ზემდგომმაც ძალაში დატოვა პირველი სასამართლოს გადაწყვეტილება. და ასე, ოთხი წელი დამჭირდა, რათა საქმე მიმეყვანა ბოლომდე. ორივე მძღოლს ხუთ-ხუთი წელი მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა.

და ამას, ისეთი პათოსით ყვებოდა, თითქოს მას საბრძოლო გამარჯვება მოეპოვებინა. ამ დროის განმავლობაში, ორივე მანქანა უპატრონოდ იყო მიგდებული, გაიძარცვა, და საბოლოოდ, მისი ნარჩენები ჯართში იქნა ჩაბარებული. მაშინ გამახსენდა ალიოშა ნინუას დაუწერელი კანონის შესახებ და მივმართე ლექტორს – ბატონო პროფესორო, თქვენ უფრო მეტი დანაშაული ჩაგიდენიათ სახელმწიფოს, და თვით მძღოლების ოჯახების წინაშე. თქვენ რომ იმ დაუწერელი კანონის შესახებ გცოდნოდით, სახელმწიფოს ამდენი ზარალი არ მიადგებოდა. მან მომიგო – სამაგიეროდ სამართალი აღვადგინეო. ამის გაგონებაზე მთელი სამოცკაციანი აუდიტორია ფეხზე წამოდგა და ტაში დასცხო. შერცხვენილმა პროფესორმა სტაცა ხელი თავის პორტფელს და გავარდა აუდიტორიიდან. მას შემდეგ ის აუდიტორიაში აღარ გამოჩენილა. მეორე დღეს, კურსების ხელმძღვანელმა მითხრა – მართალია ლექტორი დაგვიფრთხეთ, მაგრამ მე თქვენი საქციელი მომეწონაო.

ლაგრენტი ზეღბინიძე - სიკეთის უემოქმედი (ნამდვილი ამბავი)

ბორჯომის ხეობაში, სოფ. ბაღანთაში ცხოვრობდა საკმაოდ შეძლებული სოფლის მეურნე – პაპა ლავრენტი ზეღბინიძე.

პაპა ლავრენტი იყო მეტად გონიერი, მუყაითი, თავდაუზოგავი შრომისმოყვარე, სოფლის დონეზე ყოველმხრივ განვითარებული და გათვითცნობიერებული გლეხკაცი. იგი თავის ხელით ამზადებდა ყოველგვარ საოჯახო შრომის იარაღებს. მისი დამზადებული – ფიწალი, ნიჩაბი და სხვა ინსტრუმენტი ერთ რამედ ღირდა, ზარმაც კაცსაც კი აამუშავებდა. სოფელში არ იყო არცერთი ოჯახი, ვისაც პაპა ლავრენტის მიერ დამზადებული აჯათი (ინსტრუმენტი) არ ჰქონოდა. იყო შესანიშნავი მეურნე და მეურმე. თავის ხელით ამზადებდა დიდს (საძნე) და ჩვეულებრივ ურმებს. მის მიერ გამართულ შავ გუთანს (დიდი გუთანი), რომელიც 40 სმ სიღრმეზე და 70 სმ ბელტს აბრუნებდა, სჭირდებოდა ცხრა უდელი ხარკამეჩი, მაგრამ ისე გამართავდა, რომ გუთნის დედა არ იყო საჭირო. რაც მთავარია, ყველას ასწავლიდა სოფლის მეურნეობის საქმიანობას, მას მუდამ საგსე ჰქონდა ჭირნახულით საგსე ბედლები (ამბრები), ჰყავდა ურიცხვი ცხვარ-ძროხა, ხარ-კამეჩი და ცხენ-ჯორი, მრავალი ფუტკრის ოჯახი, ერთი სიტყვით, საათივით აწყობილი სოფლის მეურნეობა. თავისი ალალი მარჯვენით მოწეული ქონება არ ენანებოდა და უხვად გაცემდა ხელმოკლე ოჯახებს.

პაპა ლავრენტი დიდათ ზრუნავდა ახალგაზრდების სწავლა-განათლების-

თვის. მან თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი გააგზავნა გიმნაზიაში სასწავლებლად. სხვა გლეხები, რა თქმა უნდა, შეგნებულად არ აგზავნიდნენ სასწავლებელში თავიანთ შვილებს, რადგან ოჯახში მუშახელი უფრო მეტად სჭირდებოდათ. პაპა ლავრენტის დაკვალიანებით, სწავლა-განათლებას გაჰყვა შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – გიორგი ზეღბინიძე. ის ბავშვობიდანვე ამუღავნებდა სწავლისადმი მისწრაფებას. პატარა გიორგი გადაშლიდა წიგნებს და საათობით ჩაჰკირკიტებდა. ეს რომ შეამჩნია პაპა ლავრენტიმ, დაუძახა გიორგის მამას ლადოს და უთხრა – შეხედე ერთი, როგორ წვალობს ყმაწვილი კითხვისათვის, დაუყოვნებლივ გააგზავნე სასწავლებელშიო. ლადო გაჯიუტდა – სასწავლებელში რომ გაგაგზავნო, მაგის შესაძლებლობა არ მაქვს, მეორეც, რომ გაგაგზავნო, ვინ მომეხმარება ყანის მოხვნაშიო. მაშინ პაპა ლავრენტიმ ლადოს მისცა ხუთი სული ცხვარი – გაყიდე და დაუქირავე მასწავლებელიო. მართლაც ძია ლადომ დაუქირავე მასწავლებელი, მასწავლებელს გასამრჯელოს კი პაპა ლავრენტი უხდიდა. პატარა გიორგი იმდენად მუყაითი აღმოჩნდა, დაეწაფა წიგნის კითხვას. მან მამამისი აიძულა ზურგზე აკიდებული ყმაწვილი წაეყვანა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში ეკლესია-მონასტრების შესასწავლად. იმ დროს ეკლესია-მონასტრებში ლიტერატურა იყო ნუსხა-ხუცური დამწერლობის. იმდენად დიდი იყო ყმაწვილი გიორგის ინტერესი, რომ მან ისე

შეისწავლა ნუსხა-ხუცური დამწერლობა, დამოუკიდებლად კითხულობდა საეკლესიო ლიტერატურას. ამ საქმეშიც, სამღვდლო ლიტერატურის შესწავლაში, პაპა ლავრენტიმ დიდად შეუწყო ხელი ყმაწვილ კაცს. სხვათაშორის, მიუხედავად იმისა, რომ პაპა ლავრენტიმ წერა-კითხვა არ იცოდა, მას იმ დროისათვის საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა ჰქონდა. მან უსასყიდლოდ გადასცა პატარა გიორგის თავისი წიგნსაცავი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული წმინდა სახარებასთან ერთად. მან ასევე სწავლას მოწყურებული ოთხი ახალგაზრდა დააფინანსა და გააგზავნა წინამძღვრიანთ კარის აგროტექნიკუმში სასწავლებლად – სამი ძმა მელიქიძე და მეოთხე, თავისი შვილი-შვილი ონისე მელიქიძე. სხვათა შორის, ოთხივე მათგანი წარჩინებული სტუდენტი იყო და საბოლოოდ დადგნენ სახელოვანი ვაჟკაცები. მათ ასწავლიდათ ილია ჭავჭავაძის მეფუტკრე დანიელ მასლოვი, სახელმძღვანელო პეტრე დონდუა. პეტრე დონდუას თან დაჰქონდა ონისე მელიქიძის სუფთა წერის საერთო რვეული, რომელშიც რაიმე შენიშვნა კი არა, მძიმეც კი არ ჰქონდა შესწორებული, მხოლოდ წითელი მელნით ეწერა ფრიადები. ეს რვეული პეტრე დონდუამ, ჩემ უფრო ძმას ნიკოლოზს, როცა ის სოფელში იყო ჩამოსული, აჩვენა და უთხრა – მე ამ ხნის პედაგოგი ვარ და ამისთანა ძლიერი და მუყაითი მოსწავლე არ შემხვედრიაო. სამწუხაროდ ოთხივე შესანიშნავი ახალგაზრდა მელიქიძეები შეიწირა დიდმა სამამულო ომმა: სამი ძმა ფინეთის ომში დაიღუპნენ, მეოთხე კი – საკმაოდ დიდი ჩინის სამხედრო მეთაური ონისე მელიქიძე დაიღუპა ლენინგრადის ბლოკადაში.

ახლა მე მოგიყვებით ერთ ეპიზოდს, რომელიც მეტად დამახასიათებელი იყო პაპა ლავრენტის სიკეთისა.

აი ეს ამბავიც: ერთ მშვენიერ დღეს,

პაპა ლავრენტი ამხედრებული თავის იორდა ბედაურზე, ეწვია სოფელ მზეთამხეს ურმის თვლების დეტალებისათვის მასალის შესაძენად. მან მისთვის საჭირო მასალა ვერ შეიძინა და დაღონებული ბრუნდებოდა უკან. მაგრამ უფრო მეტად იყო განაწყენებული იმის გამო, რომ არავინ მიიპატიჟა შინ, და არც წყალი არავინ შესთავაზა. პაპა ლავრენტიმ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და დანაღვლიანდა. ამ ფიქრში იყო, როცა სოფლის ბოლოში ერთმა გლეხმა გააჩერა და მიმართა – მგზავრი კაცი ხარ, ალბათ გეშეება კიდევ, შეისვენე, შემოდი ოჯახში, ლუკმა გატეხე, ერთი ჭიქა არაყი დალიე და მერე გააგრძელე შენი გზაო. პაპა ლავრენტის, რა თქმა უნდა, ძლიერ გაეხარდა, რადგან არ უნდოდა შერცხვენილი დაბრუნებულიყო თავის სოფელში. იგი შევიდა ქოხში და ნახა, რომ ეს გლეხი მეტად ღარიბად ცხოვრობდა. მის ქოხს არც ფანჯარა, არც იატაკი და არც ჭერი ჰქონდა, მარტო ქოხის ჩონჩხი იყო. პატარა მაგიდაზე იდგა ნახევარლიტრიანი პანტის არაყი და იღო მჭადის ნატეხი. პაპა ლავრენტიმ, რა თქმა უნდა, დალოცა მასპინძელი და პატარა ჭიქა არაყი გამოცადა. ამ დროს ორმა ახალგაზრდა ვაჟკაცმა, მხარზე გადადებული ხის დიდი ნულო დააგდეს ქოხის წინ, მოიწმინდეს სახეზე ოფლი და დასხდნენ ხეზე მოსასვენებლად. ამის შემყურემ, პაპა ლავრენტიმ მასპინძელს მიმართა – ალბათ ხარები არ გყავთ, ეს ვაჟკაცები მხრებით რომ ეზიდებიან ამხელა მორებსო. მასპინძელმა უპასუხა – მე ვარ შაქრო თელიაშვილი, ახალჩამოსახლებული ქართლიდან. ჯერჯერობით ამაზე მეტი არაფერი გამაჩნია, მეუღლე გარდამეცვალა და დამრჩა ხუთი ყმაწვილი, იმდენს ვმოულობთ, რომ მშვივრები არ დავიხოცოთო.

პაპა ლავრენტი ძლიერ შეწუხდა, შეეცოდა საწყალი კაცი და მიმართა – ბატონო შაქრო, გამაყოლე შენი ერთერთი

შვილი, მე მოგცემ ერთ უღელ კამეჩს, ფული გადამიხადე მაშინ, როცა შეძლებ მის გადახდას. ამ ამბით მეტად გახარებულმა შაქრომ გააყოლა მისი უფროსი შვილი – არჩილი. პაპა ლავრენტიმ მიიყვანა არჩილი თავის სახლში, გაუმასპინძლდა შესაფერისად და ღამე გაათენებინა. დილაზე, სანამ სტუმარს გაეღვიძებოდა, მან შეება ახლად დაგეშილი ერთი უღელი კამეჩი თავისი ორი უღელით, საურმე და ხე-ტყის საზიდი გრძელი უღლით, თავისი ხელით კოხტად დაწნული სამატებით. გადავიძებისთანავე ასაუზმა სტუმარი, კამეჩებზე გადაკიდებული პროდუქტებით სავსე ხურჯინით გამოისტუმრა და უთხრა – ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, და თუ ვერ შეძლებთ ფულის გადახდას, ნუ შეწუხდებით, მიჩუქებია თქვენთვისო.

გავიდა ერთი წელი და ეს ახალგაზრდა, იმავე კამეჩებით და ხილ-ბოსტნეულით დატვირთული ურმით მოადგა პაპა ლავრენტის სახლს და ფულიც ჩამოუტანა. პაპა ლავრენტი განცვიფრებული დარჩა და გახარებულმა უთხრა – შვილო, არჩილ, როგორ შეძელით ასე მოკლე დროში იმდენი დოვლათის დაგროვება, რომ ფულიც კი მომიტანეო. პაპა ლავრენტი, შენმა ნაჩუქარმა ღონიერმა კამეჩებმა შეგვაძლებინაო – უპასუხა არჩილმა – ეს კამეჩები ისეთი გონიერები და ჭკვიანები გამოდგნენ, ტყეში რომ დაუბამდით ორ კუბმეტრიან მორებს, თვითონვე მიდიოდნენ ბორჯომში ისე, რომ მათ გამძღოლი მეხრე არ სჭირდებოდათ. დალოცვილები ჩავიდოდნენ დაბაში, დაბის ბოლოს წყალზე უნდა გასულიყვნენ, რადგან მაშინ არ იყო საურმე ხიდი, წყალთან დაისვენებდნენ, მოშარდავდნენ, მერე წყალს დალევდნენ, ერთს დაიზმუვლებდნენ და დანიშნულების ადგილზე შეუსვენებლივ ჩადიდნენ. მთელი ჩვენი ოჯახი შენს სახელს ვფიცავთ. მთელი ზამთარი ხე-ტყეს

ვზიდავთ ბორჯომში „ველიკინიაზთან“ („ველიკი კნიაზი“ – დიდი მთავარი. ასე ეძახდა ბორჯომის მოსახლეობა შემოკლებით ველიკინიაზს). ჩარხის წყალზე მიხეილ რომანოვს ჰყავს საწყობის გამგე – ბებია. ბებია ჩარხის წყალზე ჩატანილ კუბურ მეტრ მორზე გვაძლევდა ოქროს თუმნიანს. ჰოდა მთელი ზამთარი ხუთივე ძმამ მუხლჩაუხრელად ვიმუშავეთ და შეუძლებელი შევეძელით, ავაშენეთ ორი კარგი სახლი, ორი ძმა დავაქორწინეთ და ამდენი ფულიც დავაგროვეთ.

პაპა ლავრენტიმ, სტუმრის საპატივსაცემოდ ცხვარი დაკლა, დაუძახა მეზობლებს და მათ ასე მიმართა – ჩემს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. ნახეთ, როგორ გამიმართლა, ფეხზე დადგა ერთი კარგი ქართული ოჯახი. მე ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვარ.

მეორე დილაზე, საუზმობისას არჩილს უთხრა – შვილო არჩილ, მე შენი კბილა ვაჟი მყავს და შენც ჩემ შვილად მიგიღეო. მართლაც შემდგომში, არჩილი და მამაჩემი გახდნენ დიდი მეგობრები. სანამ გაისტუმრებდა, პაპა ლავრენტიმ არჩილს ჰკითხა – ძროხა თუ გყავთო? არა, პაპა ლავრენტი, ძროხა ჩვენში ძალიან ძნელი საშოვარიანო – უპასუხა არჩილმა. მაშინ მიიყვანა პაპამ არჩილი ბოსელში და უთხრა – აარჩიე ერთი ძროხა თავისი ხბოთი და წაიყვანე, ძროხა მიჩუქნია თქვენთვის, თქვენ ეს დაიმსახურეთო. კამეჩების საფასური ხუთი თუმნიდან (მაშინ ასე ღირდა, უღელი კამეჩი ხუთი ოქროს თუმანი, ხოლო უღელი ხარი სამი თუმანი) გამოართვა ერთი უღელი ხარის საფასური, ორი თუმანი უკან დაუბრუნა და უთხრა – როცა ხუთივე ძმა წელში გაიმართებით, დაქორწინდებით, ქართულ ოჯახებს შექნით და გექნებათ ფული, მაშინ გადამიხდითო. გახარებული არჩილი ჩავიდა თავის ოჯახში და მამას და ძმებს ახარა – პაპა ლავრენტიმ მეწველი ძროხა გვაჩუქა, ფული ორი

თუმანი უკან დაგვიბრუნა – ჩემს სახელზე ღმერთმა მოგახმაროთო. გახარებული მამა და ძმები შეუდგნენ უფრო მეტი ენერჯით თავიანთ საქმიანობას. სხვათაშორის, მათი შთამომავლობიდან ერთერთმა ახალგაზრდამ ხოლა თედაშვილმა დაამთავრა უმაღლესი, მუშაობდა ბათუმის სახელგანთქმული ავეჯის ფაბრიკის დირექტორად. შემდეგ ჩამოვიდა ბორჯომში და წლების მანძილზე იყო სატყეო ტექნიკუმის დირექტორი, საიდანაც დააწინაურეს რაიკომის მერე მდივნად. შაქრო თედაშვილი და მისი შვილები ვერ ივიწყებენ ლავრენტი პაპას ამავს, ყოველ შემოდგომაზე ურმით დატვირთული ხილ-ბოსტნეულით და პანტის არაყით აკითხავდნენ მათ მზრუნველ ლავრენტი პაპას.

დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ. მე მაშინ სატყეო ტექნიკუმის სტუდენტი ვიყავი. მე და მამაჩემი ბორჯომში ბაზრის შესასვლელში ვიდექით. ამ დროს ჩვენთან მოვიდა ცალფეხა კაცი, სამამულო ომის ინვალიდი, თან ახლდა ჯანდონით საგსე ორი ახალგაზრდა. მამაჩემი გადაკოცნა, პატივი გვცა და მიგვიწვია სასადილოში, და თავის შვილებს ასე მიმართა – მათ სოფელში როცა მოხვდებით, ცარიელი ხელით არასოდეს მიხვიდეთ ამ კაცის ოჯახში. ამ კაცის მამამ პაპა ლავრენტიმ პაპაჩემს ერთი უღელი კამეჩი და მეწველი ძროხა აჩუქა და გადატაკებული ოჯახი ფეხზე დააყენაო. რა თქმა უნდა, მე ძალიან მესიამოვნა, პაპაჩემის მიერ გაწეული სიკეთის ესოდენ დაფასება.

ხშირად ხდებოდა, როდესაც გაჭირვების გამო ნივთების გასაყიდად მიმავალ გლეხებს პაპა ლავრენტი გააჩერებდა და ღირებულების ორმაგ ჭირნახულს (დეკა) აძლევდა. ასე მიმავალ მრავალშვილიან ტაბაწყურელ კაცს, რომელსაც ძირგავარდნილი ხის კასრი აეკიდა ზურგზე, გამოჰკითხა მისი ოჯახური

მდგომარეობის შესახებ, ძალიან შეეცოდა, გამოართვა კასრი და სამი კოდი დიკა მისცა (კოდი 20 კილო იყო), როდესაც ეს კასრი ერთი კოდიც არ ღირდა. გახარებულმა გლეხკაცმა პეტროსიანმა მოიკიდა ტომარა და სიხარულით გაემართა სახლისკენ. ეს ამბავი ოჯახში რომ გაიგეს, უსაყვედურეს პაპა ლავრენტის, რად გინდოდა ეს ძირგავარდნილი კასრი, ან ამდენი ხორბალი რატომ მიეციო. მან ასე უპასუხა – რა ვქნა, კაცს ძალიან უჭირს, შვილები შიმშილით ეხოცება, მე კი თავზე საყრელი ხორბალი მაქვს. რომ მეჩუქებინა, კაცი მათხოვრად ჩათვლიდა თავს. და ეს გავაკეთე, რომ კაცს დამცირებულად არ ეგრძნო თავი. არა უშავს, ღმერთი სიკეთეს გადაგვიხდისო.

და მართლაც, პაპა ლავრენტის ღმერთიც სწყალობდა. ხშირად ყოფილა რომ სოფლის ყანები დაუსეტყვია, პაპა ლავრენტის ყანებში ერთი კაკალი სეტყვაც კი არ ჩამოვარდნილა. ბეჯენცოვის დროს, როცა მაჰმადიანი ახალციხის ქართველები თავს ესხმოდნენ ქართულ სოფლებს, სოფლები სტოგებდნენ სახლ-კარს და გარბოდნენ თავის გადასარჩენად, გათათრებულ გლეხებს კი მიჰქონდათ სოფლის დოვლათი, და რა თქმა უნდა, ხარ-კამეჩი და ცხვარ-ძროხაც. ერთხელ, ღამით როდესაც პაპა ლავრენტის მიადგნენ ყანალები, ის არ გაქცეულა, გაულო მათ კარი, და მძარცველებმა, რაც კი ხარ-კამეჩი ჰქონდა, სულ გამორეკეს სოფლის გლეხების ხარ-კამეჩთან ერთად. მაგრამ პაპა ლავრენტის ხარ-კამეჩი გაიპარნენ, შევიდნენ მახლობლად მდგომ საბძელში, შეუღამისას კი მიადგნენ პაპაჩემის სახლის დიდ შესასვლელ ხის კარებს და რქებით დაუწყეს ბრახუნი. პაპა ლავრენტი გავიდა კარების გასადებად, ეგონა თათრები ისევ მობრუნდნენო, გააღო კარი და რას ხედავს, თავისივე ხარებს, შეცივებულები არახუნებენ რქებით კარებს. ასე გადარჩა

პაპა ლავრენტის ხარები, სხვისი ხარები კი ყველა გარეკეს სულწაწყმედილმა თათრებმა. ასე უხდიდა პაპა ლავრენტის უფალი სიკეთეს. აი, ასეთი კეთილი კაცი იყო ჩემი ლავრენტი პაპა.

გასული საუკუნის მიწურულს, ჩვენი უნიათო მთავრობის ხელმძღვანელობის წყალობით, ქართველი ერი ჩაფარდა დიდ განსაცდელში, ხალხი დარჩა უღუკმაპუროდ, შეიქმნა უმუშევრობა და მთელმა საზოგადოებამ, დიდმა და პატარამ ტყეს მიაშურა ლუკმაპურის საშოვნელად. სწორედ მიხედვით მურვანიშვილის, ალიოშა ნინუას და პაპა ლავრენტის მიერ გაკეთებულმა კეთილმა საქმეებმა შთამაგონა და მე და ჩემმა კოლექტივმა შევძელით, ბორჯომის ხეობის მოსახლეობა გვეხსნა შიმშილისაგან, ხოლო ახალქალაქის და წალკის რაიონის მოსახლეობა – სიცივისაგან.

საბედო მეურნეობის მუშაკების მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად დაგროვილი ფულით, ბაკურიანის მოსახლეობას გადაუხადეთ ერთი თვის სამყოფი პურის ფქვილის საფასური, ბაკურიანის საკრებულოში შემავალ პედა-

გოგებს და ბაგა-ბაღის მასწავლებლებს გადაუხადეთ ერთი თვის ხელფასები, ბაკურიანის საშუალო სკოლას შევეუძინეთ საკლასო ოთახის მერხები, სკამები და სხვა ინვენტარი, გადავარჩინეთ გაზეთი „ბორჯომი“ დახურვისაგან, კაჭრეთის წისკვილქარხნიდან მოვიტანეთ და ბაკურიანის მოსახლეობას დაუურიგეთ 25 ტონა დასაფქვადად გამზადებული ხორბალი, ხოლო ხაშურის რაიონიდან – 10 ტონა უმაღლესი ხარისხის ფქვილი, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ჩემი კოლექტივის თითოეულ წევრს. მათგან ბევრი დღეს ცოცხლები აღარ არიან. უფალსა ვთხოვ, შეიწყალოს და ნათელში ამყოფოს მათი სულები. ამინ!

მე მინდა მივმართო საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალთაობას, და უფრო მეტად ახალგაზრდა მეტყვევ-სპეციალისტებს, მიბაძეთ მურვანიშვილს, ნინუას და პაპა ლავრენტის, ამით საქართველო გაძლიერდება და გაბრწყინდება.

თქვენი კეთილის მსურველი და მონამორჩილი – მაქსიმე ზეღბინიძე.

V. საბჭოთა მატიანი

*ჭაღარა წარსული ყველა გარემოებისას რჩება უჩვეულოდ
საინტერესო ეპოქად ყველა მომავალი თაობებისათვის, რამეთუ იგი
წარმოადგენს ყველა შემდგომი პროგრესის საფუძველს.*

ფრ. ენგელსი

ნესტან ბაგაური, რეჟიაზ მობოლაძე

ისტორიის მწვანე ფურცლები ანუ რას მოგვითხრობენ მემატიანიები საბჭოთა და სამონადირეო საქმიანობის შესახებ ფარნავაზიდან პრტიანი საქართველოს დაულაძე

ტყის რესურსებით სარგებლობისა და მათი დაცვის შესახებ საქართველოში, ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, ფართო აუდიტორიისათვის მოთხრობა ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ ვაგრძელებთ რუბრიკას „ისტორიის მწვანე ფურცლები“ და წინამდებარე სტატიის შემდეგ, აღვადგინოთ სურათი ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით. წყაროები ასახავს პერიოდს ფარნავაზის მეფობიდან ერთიანი საქართველოს დაშლამდე (საქართველოში საბჭოთა საქმის ისტორიის შესახებ შუა საუკუნეების უცხოენოვანი ნარატიული წყაროებისა და ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ასევე ამ თემატიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემატურ რუბრიკებს სერიის ფარგლებში, მკითხველი იხილავს საგანგებო სტატიებში).

შუა საუკუნეების ქართველ მემატიანიებთან თხზულებებში ტყის რესურსების განკარგვისა თუ დაცვის შესახებ პირდაპირი მონაცემები მწირია. მთავარ წყაროდ უნდა ჩაითვალოს „ხელმწიფის კარის გარიგება“ (XIV ს.), რომელიც ნარა-

ტიულ წყაროთა შორის, საბჭოთა-სამონადირეო საქმისა და სამოხელეო სტრუქტურის შესახებ ერთადერთია: „...მას წელიწადის თავს დღეს მონადირეთუხუცესი ყვითლით ყაბარჩით შეიმოსების, სახელ-მოკლით, ტყავიანითა მოყვენთუს-ლითა, არა დია პრტყელად, თავსა და საყველოსა კარგისა ყვინდიხისა და მალად აშვერილსა, მჭლოდ შეკრულსა ქუდსა დაარქვამს. საღვინეთ წინ ქვე დასმენ მალლა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ. ამას წინათ, საღვინეთავე იმის კერძს, შორს, ადრე მკერვალთუხუცესი და ტყისმცველნი დასხდებიან. და მეხელადეთ-უხუცესნი დგანან. აღთვალენმათცა, და დასხდებიან მასვე ადგილსა, საცა დგებიან, და მონადირეთაცა...“ (ხელმწიფის კარის გარიგება. ე. თაყაიშვილის გამოცემა. ტფ. 1920. გვ. 1).

წყაროს ტექსტი ნაკლებია, მაგრამ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ტყისმცველნი მონადირეთუხუცესის სახელს ექვემდებარებოდნენ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ნადირობა შუა საუკუნეებში ერთ-ერთი

უმთავრესი მოვლენა იყო, რომელიც უკავშირდებოდა ტყის საფარს.

ამავე წყაროს მიხედვით, მონადირეები ბევრნი ყოფილან: მონადირენი კახეთს და იმერეთს ყველგან არიან, ორას სამოცი სახლი არისო. (ხკგ. გვ. 11). ი. ჯავახიშვილი ამის თაობაზე დასძენს: „ყურადღების ღირსია, რომ მონადირენი სახლობრივ ყოფილან ამ თანამდებობის აღმასრულებლნი. მონადირეებს ძაღლები უნდა გამოეკვებათ, გაეზარდათ და შესაფერისად გაეწვრთნათ. ამისათვის წესად იყო დადებული, რომ ყოველწლივ „ძაღლთა აღწერა“ უნდა მოესდინათ.“ (ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ტფ. 1928. გვ. 195.).

როგორც ჩანს, ძველ სამოხელეო აპარატში ტყისმცველთუხუცესის სახელიც არსებობდა. ამის შესახებ ი. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ტყის მცველნი“ მოხსენიებულნი არიან თამარ მეფის 1189 წ. სიგელში. ამ ტყისმცველთ თავიანთი უფროსიც ჰყოლიათ, რომელთაც სახელად „ტყისმცველთუხუცესი“ ეწოდებოდა. რაკი ეს უკანასკნელი უმაღლესი თანამდებობა ტყისმცველებზე უწინარესს საბუთში იხსენიება, ამიტომ თვით ტყისმცველთა თანამდებობაც თამარის მეფობამდისაც უნდა ყოფილიყო საქართველოში.“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაწილი I. ტფ. 1928. გვ. 196.).

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მონადირეთა და ტყისმცველთა ერთიან კონტექსტში მოხსენიებაზე ამახვილებს ყურადღებას ტყის მეურნეობისა და ბუნების დაცვის საკითხების მკვლევარი, პროფესორი იოსებ ყიფშიძე: „გარიგება ხელმწიფის კარისას“ ტექსტში (XIV ს.) ტყისმცველები მოხსენიებულნი არიან მონადირეებთან ერთად (ი. ყიფშიძე, სატყეო მეურნეობის ისტორიის საკითხები. თბ. 2013. გვ. 11).

ისტორიულ საბუთებში შემორჩენილ

უტყუარ მონაცემებს ტყესთან და მის რესურსებთან დაკავშირებით ჩვენ რუბრიკის მომდევნო სტატიებში შევეხებით სიღრმისეულად. რაც შეეხება ნარატიულ წყაროებს, მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში „ხელმწიფის კარის გარიგების“ ანალოგიური პირდაპირი მონაცემები არ მოგვეპოვება. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის არაპირდაპირი ინფორმაცია, რომელიც ტყისა და მისი ფუნქციური დანიშნულების შესახებ გაბნეულია ნარატიულ წყაროებში და ამ ცნობების ცალკე გამოყოფა და ერთიან კონტექსტში გააზრება არ მომხდარა.

„ქართლის ცხოვრებაში“ თავმოყრილი ავტორების თხზულებათა თვალის მიდევნებით ტყის საფართან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძებელია დავაჯგუფოთ სამ კატეგორიად: 1. კონკრეტული რეგიონის, თუ პუნქტის ტყის საფარის შესახებ ცნობები; 2. ტყე, როგორც ომიანობის დროს თავშესაფარი ადგილი და 3. ტყე, როგორც მეფეებისა თუ დიდებულებისათვის ნადირობის სივრცე. შევეცდებით, ამ კატეგორიების მიხედვით დავაჯგუფოთ ჩენტვის საყურადღებო წყაროების მონაცემები.

1. ნადირობდეს და იშვებდეს – ხელმწიფის კარის გარიგებიდანაც კარგად ჩანს, რომ მონადირეთუხუცესი შუა საუკუნეების საქართველოში მაღალი რანგის მოხელე იყო. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. ჯავახიშვილი, „ნადირობას ძველ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მარტო გასართობად არ ითვლებოდა: იგი ერთგვარი სამხედრო და სალაშქრო ვარჯიშობა იყო, როდესაც ადამიანის თვალი და ხელი მარჯვე სროლას, განსაცდელი გულითადად ატანას და მოქმედების მსწრაფლ სიმკვირცხლეს ეჩვეოდა (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაწილი I. ტფ. 1928. გვ. 195).

ნადირობის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ეხება მნიშვნელოვანი ისტორიული პირების, მეფეთა თუ დიდებულთა ნადირობას. სამეფო ნადირობის ამსახველი პასაჟების გალერეაში ერთ-ერთი პირველი ცნობა გვხვდება ლეონტი მროველთან (XI ს.) და ის უკავშირდება მეფე ფარნავაზს: „...ხოლო დედასა ფარნავაზისსა წარეყვანა ფარნავაზ, სამისა წლისა ყრმა, და შეღტოლვილ იყო კაკეასიად. და მუნ აღზრდილ იყო და მოსრულ იყო მცხეთას, მამულსა თსსა. ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მკვდარი შემმართებელი და მონადირე კელოვანი. და იმაღვიდა იგი სიკეთესა თუსსა აზონის შიშისაგან. ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა, და შეიყუარა იგი აზონმან მონადირეობისათუს.“ (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 40.). როგორც წყაროდან ჩანს, კარგი მონადირეობა გამორჩეული თვისება იყო, რომლითაც აფასებდნენ მეფეს.

ამავე ცნობას ამყარებს ლეონტი მროველი, როდესაც დასძენს: „ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიდომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირდალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა; და დღე იგი, მწუხრი, გარდავდა, და დაჯდა ირემსა მის თანა, რათა-მცა დაყო მუნ ღამე და დიდუულ-მცა წარვიდა.“ (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 40.). ამ შემთხვევაში ჩენტვის მნიშვნელოვანია არა ფარნავაზის გამეფე-

ბასთან დაკავშირებული გადმოცემა, არამედ ირემზე ნადირობის ის შთაბეჭედავი სცენა, რომელსაც მემატიაზე გადმოგვცემს, როგორ სდია მეფემ დიდმის ველიდან თბილისისაკენ ნადირს და როგორ მოინადირა ის, თავისი მაღალი სამონადირეო ოსტატობით.

ლეონტი მროველივე აღწერს საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მეფის, მირიანის ნადირობას: „დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე ნადირობად მუხნართ-კერძო, და მოუჭდა უჩინო იგი მტერი, ეშმაკი, და შთაუგლო გულსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა; და იგონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა და მახვლითამოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათა-მცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ. განვიდა თხემსა მთისასა“ (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 122-123). საგულისხმოა, რომ აქ დადასტურებულია რამდენიმე სანადირო ადგილი, სადაც ზაფხულის ჟამს მეფე მირიანი ნადირობდა: მუხნარის სანახები, თხოთის მთა, კასპი, უფლისციხე.

კიდევ ერთ სამეფო ნადირობასთან გვაქვს საქმე, როდესაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (XII ს.) აღწერს აჯამეთს მეფე გიორგი II-ის ნადირობას: „ხოლო მეფესა გიორგის მოეკსენა ნადირობა აჯამეთისა, არ-ლა-რას ზრუნვიდეს სხუასა, არ-ცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოურდა მუნ დღეინდელად დღემდე.“ (ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი. წგნ. ქართლის

ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 305). მართალია, მემატინე მეფე გიორგის უნიათობის ხაზგასასმელად თუ მისი ძის, დავითის (დავით IV აღმაშენებელი) მეტად განსაზღვრულად, აღნიშნავს, რომ ისე გაერთო მეფე გიორგი ნადირობაში, რომ გამოეპარა ვეჯინის ციხის თურქთაგან აღებო, მაგრამ აქ ჩვენთვის საგულისხმოა ნადირობის, როგორც პროცესის მნიშვნელობა და კიდევ ერთი სანადირო ადგილი – აჯამეთი.

თვით მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებლის ნადირობის შესახებ მისი მემატინე საგულისხმო ცნობებს გვაწვდის: „ოდეს-ცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენ-კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან; ეგრეთ-ღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა.“ (ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 308). ძალზე საინტერესოა, რომ დავითის საყვარელი სანადირო ადგილები ყოფილა ქართლის ჭალები, კონკრეტულად ნაჭარმაგევი, სადაც უხვად იყო ირემები და ეშუებიანი ცხოველები.

მეორე ადგილას კი მემატინე შემდეგს გადმოგვცემს: „ხოლო შემდგომად სერობისა, ნაცულად ძილისა ანუ სხ?სა რას-მე საქმისა, კუალად კითხვა წიგნთა. და რაჟამს თუალნი დაშურიან, სასმენელნი ანაცვალნის, სადა არა გარეწარად, არამედ ფრიად-ცა ფრთხილად ისმენნ წინაშე თუსსა მკითხველისასა, გამოეძიებნ, ჰკითხავნ, უფრო-ღა თუთ განმარტებნ ძალსა და სიღრმესა მათსა. და უსაკურველეს არს ესე: უწყით ყოველთა, თუ ვითარ სასწრაფო არს ყოველთა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებს შედგომილსათუსსა და წარტყუნულ ჰყოფს, და ნადირობასა შინა არა რასა

სხუასა, გარნა ხილვასა და დევნასა ნადირისასა; და თუ ვითარ ჭელთ იგდოს, მიმხედველ ჰყოფს. გარნა მისი გულს-მოდგინება ამას-ცა სძლედა, რამეთუ თუთ ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ჭელთა და, რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვის-მე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის. და ნუ უკუეჭონო, ვითარმედ ჭელითა ცალიერითა მოიქცის, ანუ ცუდად დაშურის. რამეთუ ვინ ჰგავნ ჭორციელი ანუ ვინ იხილა ესე-ოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა. მოსიმახოს ვინ-მე ითქმის ებრაელი მოისრობის და კეთილმმართველობისათვის აღექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევი კენტაგროსისგან განსწავლულად მოისრობისა ელენთა შორის, ხოლო ბარამ-ჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკურველთა, გარნა ჭეშმარიტად ვერ-ცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გუზილავს ჩუენ. (ბასილი ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 332). ამ ცნობის მიხედვით რამდენიმე მნიშვნელოვანი აქცენტის გამოყოფაა შესაძლებელი: 1. ნადირობის, როგორც პროცესის დიდი მნიშვნელობა, როგორ „დაიმონებს შედგომილსა“, რამხელა ხელოვნებაა ამისთვის საჭირო, ანუ „ვითარ სასწრაფო არს ყოველთა საქმე ნადირობისა“ და რამდენად საყოველთაოდ ცნობილია ეს ყოველივე; 2. დავითი ყოველთვის კითხულობდა, თვით ნადირობისასაც კიო. ამით ხაზგასმულია ისევე და ისევე ნადირობის პროცესის მნიშვნელოვანება; 3. რამდენად მაღალი დონის მონადირე და მოისარი იყო დავითი, როდესაც მას ადარებს მოსიმახოსს, ბარამ-ჯურს და აქილევს და მათზე უპირატესად მიიჩნევს.

თამარის მემატინე, „ისტორიანი და აზმანი შარავნდეთანის“ ავტორი (XIII ს.) უხვად გვაწვდის მეფე გიორგი III-ის

ნადირობასთან დაკავშირებულ ცნობებს. ერთ-ერთი პირველი ეპიზოდი უკავშირდება გიორგი III-ის მიერ ანისის შემოტვიცების ფაქტს (1161 წ.): „კუალადცა ინება შეყრად და გალაშქრებად, და მიმართა დიდად ქალაქად ანისად, რომელი ძუელ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო, ...ველთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თვისსა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთ-უხუცესისა და ამირ-სპასალარისა, თანაშემწეობითა სარგის მკარგრძელისათა და სხუათა თემისა დიდებულთა აზნაურთათა ურვაქმნილმან მოჰმართათუსთა სანადიროთა სათამაშოთა და გასახარებელთა. (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 381).

საყურადღებოა გიორგი III-ის ნადირობის ამსახველი სხვა ეპიზოდები: ლორესა და დმანისის მთებში ნადირობის შესახებ ცნობა: „და მიიწია წინაშე მეფისა, რომელი მცირედითა ლაშქრითა, მონადირე და მხიარული, დგა შორის მათა ლორისა და დმანისისათა. რომელსა წინაშე მოსრულ იყოცა მოციქული სულტნისა, კაცი მოგუ და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 389). იმერეთსა და აფხაზეთში მის მიერ ტყეთა მონადირება: მეფე გიორგი თ?თ მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მონადირის აღანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე

გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმიპიანითა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 391).

დემნა ბატონიშვილის აჯანყების წარმატებით ჩახშობის შემდეგ გიორგი მეფე გასცემს საჭურჭლეს და აქვეა აღწერილი მისი სანადირო ქორ-მეძებრების სიუხვე და თვალწარმტაცობა: „ამას ესე ვითარ სამარჯუებასა და ზეობასა განამრავლნა საჭურჭლენიცა, და დადვა თუთ მისით მონაგები და მისთა ტყუეთაგან მონაგები ციხესა შინა უჯარმოსასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა თუთ აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა. სანადიროთა ქორთა და ძაღლთა სიმრავლე და სიტურფე და მოკაზმულობა არაოდეს ვისგან ქმნილა, არცა წიად-მართ ყოფად არს.“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 393).

„შეებას, სიხარულსა და ნადირობაზე“ თხრობა ამავე წყაროში კიდევ ერთ ადგილას გვხვდება (იქვე, გვ. 388)

განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს მეფე თამარის დამოკიდებულება ნადირობის მიმართ. ამის თაობაზე შემდეგ ეპიზოდს გადმოგვცემს მისი მემბტიანე, ბასილი ეზოსმოდვარი (XII-XIII სს.): თამარი „...თვით წარუძღვის იორის პირი და მტკურის პირი მოინადირის მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდიან, ვიდრემდის თოვლმან არა დაამძიმის კარავი. მუნით სომხითს შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა. და ამას შინა თუ რამე სადით ესმის ანუ ნახიან, ყოვლად არა მომედგრდებოდეს განსუენებისა ძალითა, არცა რას დააცადებდეს, რომელიცა რა წინააღმდეგო მიც-

ნიან სამეფოსა და თამარისი. (ბასილი ეზოსმოძღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 495.). საინტერესოა, რომ ივრისა და მტკვრის სანახებში მხლებლებს თამარი თვით მიუძღვება სანადიროდ და საკმაოდ ხანგრძლივადაც რჩება იქ. „ვიდრემდის თოვლმა არ დაამძიმოს კარავი“.

საგულისხმო ეპიზოდია, როდესაც თამარზე გამიჯნურებული არზრუმის ამირა სალდუხის ძე მუტაფრადინი სტუმრობს საქართველოს სამეფო სასახლეს: “მპყრობელმან ამის მანსალდუხის ძის ძემან, სახელით მუტაფრადინ, ...სურვილითა და სმენასა ტურფოთა სახეთაგან ძლეული მოვიდა წინაშე თვითმპყრობელისა, ყოველთა მეფეთა უზეშთაეისისა ამის თამარისა სამფლობელოთ... და წესისაებრ სახლისა საკვლამწიფოსა მიეგებნეს დიდებულნი პატივითა და სიყუარულითა, მოიყვანეს სრად სამეფოდ, ...ამას ესრეთ სასიყუარულსა, პატივსა და ბოძებასა შინა დაყო ჟამი ზამთრისა სომხითს და ტვილისს მომწონებელმანლ სანადიროთა ქუეყანათა და მოყმეთა მანთუთ თავადის პატრონისამან, რომლისა სიკეთისა მითხრობა კაცთაგან შეუძლებელ არს და ჟამსა ღანუფობისასა თანაწარმტანელთა აჩუენეს საყოფნი სანადირონი, მინდორნი მოედანნი ქუემოკახეთისანი და რანისანი. და რანისა დიდებულნი მოყმენი და ლაშქარნი, განაღამცამომწონებელნი და მაქებელნი, იშუებდეს და იხარებდეს და აღიდებდეს მომლოდენი ჟამისა მის პატრონისა მათისა უკუდავ-ქმნილისანი.“ (ბასილი ეზოსმოძღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 417-418.). ჩვენს ყურადღებას იპყრობს „საყოფნი სანადირონი, მინდორნი მოედანნი ქუემოკახეთისანი და

რანისანი“, რომელნიც საპატიო სტუმარს უჩვენეს.

მეფე თამარის კეთილ სანადირო ადგილებში – გეგუთსა და აჯამეთში ნადირობის შესახებ მოგვითხრობს შემდეგი ცნობა: „ამათ ღლითი-ღლე წარმართებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრის-მპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ; უმეტეს შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა, ობოლთა და ქურივთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა. ამას შინა იშუებდეს და იხარებდეს სამეფოსა; ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს და განაგიან საქმენი მანდაურნი, და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო – გეგუთი და აჯამეთი. მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომხითს, და დადგიან ღურს; მოვიდიან ხარაჯითაგანძელნი და აღმართ-ქალაქნი.“ (ბასილი ეზოსმოძღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 467-468.).

ნადირობას, ბურთობისა თუ შვებალხენის კოტექსტში თამარის მემატიანე არაერთგზის ახსენებს (იქვე. გვ. 413, 419, 426, 437, 479.). ამასთან, როგორც ჩანს, ნადირობაში ხშირად მთელი სამეფო ოჯახი ერთვებოდა: „და თვთ იშუებდეს, იხარებდეს, ნადირობდეს და სუფევდეს ულუმპიანად და შუენიერად ბედიანნი და სუანნი თამარ და დავით ორთა შვილთა თანა, ნათელ-მოსილთა და ბრწყინვალეთა.“ (ბასილი ეზოსმოძღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 445-446.).

მეფე-მთავართა ნადირობისა და მათი, როგორც მონადირე-მოსიართა შესაძლებლობების შესახებ ცნობებს გვაწვდის არაერთი მემატიანე:

ჯუანშერი აღწერს, როგორ შეხვდა

წმიდა მამა დავით გარეჯელი ყარაიას ველზე კაკებზე მონადირე ადგილობრივ დიდებულს, ბუბაქარს: „...ველსა ყარაიასასა ბუბაქარ დიდებული, კაკაბთა ნადირობასა შინა, შეემთხვა წმიდასა [დავით გარეჯელს] და ენება მახვლითა მოკლვა, რომელსა ჳელი განმარტებული შეაჯმო და ვედრებითა მის-ვე წმიდისათა კუალად ეგო, ვითარცა უვნებელი. და ძენი ბუბაქარისნი, საპყარნი, წამსა შინა, ლოცვითა მისითა განკურნა. ხოლო ამის გამო განისმა ჳმა მისი და ფრიად მრავალნი ერნი დაემოწაფნეს, და მრავალნი ჯურღმულნი აღმოკუეთეს. (ჯუანშერი. წგნ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩი-შვილის გამოცემა. გვ. 209.).

თამარ მეფის მემატიახესთან, ბასილი ეზოსმოდვართან კი საინტერესო ცნობაა სარგის მკარგრძელივეთმოგუელისა და შალვა თორელის ნადირობის შესახებ ზემო ჯავახეთში:

„ზემოთ ჯავახეთი, სადა სარგის-მკარგრძელივეთმოგუელი და შალვა თორელი მონადირობდეს. ზედათარტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარე, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯუებული და ერთგული მეფეთა.“ (ბასილი ეზოსმოდუარი. ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008.გვ. 494).

XIV საუკუნის ანონიმი ავტორი, „შამთააღმწერლად“ წოდებული დავით ულუს შესახებ შემდეგს გვამცნობს: „ხოლო იყო ესე ლაშას ძე დავით ტანითა დიდ და ახოვან და სხვლ და მოისარი მაგრითა მშვლდითა, უმანკო, წრფელი, და მალე-მრწმენ, და შემნდობელ ბოროტის მყოფთა. და რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერთა ჰაეროვან და შუენიერ, და თმითა თხელ, ფერტითა მალე, მონადირე რჩეული და კეთილად მსროლელი ნადირთა.“ (ქამ-

თააღმწერელი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ.575).

ის, რომ მეფე-მთავართა ერთ-ერთ მთავარ და ჩვეულ საქმიანობას წარმოადგენდა ნადირობა, შამთააღმწერლის თხზულების შემდეგი პასაჟებიდანაც ნათლად ჩანს: დავით ნარინი შეპყრობილი იხილა ავაგ ათაბაგის მამულებში ნადირობას მყოფმა სუმბატ ორბელმა: „რამეთუ ლაშას ძე დავით ტვილისს იყო მას ჟამსა, და ვითარ მოიწია ნარინ დავით ქუეყანად ავაგ ათაბაგისა, შეურაცხითა შესამოსლითა, იხილა იგი მომავალი ნადირობას მყოფმან სუმბატ ორბელმან (იქვე).

არტაანში, გლინავის სანახებში ნადირობად მყოფი მურვანგურკელელი, მახუნჯაგის ძე შემოხვედრია მონღოლ სარდალს, აღ-თემურს (იქვე, გვ. 594).

შამთააღმწერლის თხრობით, სარგის ჯაყელის ვაჟი, ბექა მოისარი ნადირთა ჳელოანი ყოფილა: „ამათ ჟამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა, რომელნი მთავრობდეს სამცხეს. ხოლო საქმენი სარგისისნი ზემორე აღგვწერიან და შემდგომად ვაჳსენოთ ძე მისი ბექა. და იყო ესე ბექა ტანითა ახოვან, ფერთა ჰაეროვან, თმითა და თუალითაგრემან და შუენიერ, ბეჭითა და მკერდითა სრულ, ძალითა ძლიერ, ომსა შინა მჳნედ მბრძოლი, ცხენსა ზედა მჳნე და მოისარი ნადირთა ჳელოანი, გონებითა ფრთხილ, მაშენებელი ქუეყანათა, ეკლესიათა და მონასტერთა, და ღმრთის-მოსაგთა კაცთა პატივისმცემელ, მლოცავი, რომელ არა დააკლდის ცისკრის ლოცვათა, სამხრად და მწუხრად, ვითარ ტუბიკონიმოსცემდის. (იქვე. გვ 612). ამავე წყაროში დასტურდება რატი სურამელის ნადირობად ყოფნა (იქვე. გვ. 631).

ტყის საფარი, როგორც სახიზარი -

ტყის შესახებ ნარატიულ წყაროებში გაბნეული ცნობებიდან მეორე კატეგორია გახლავთ თხრობა ტყის სისშირისა თუ მისი თავშესაფრად გამოყენების თაობაზე. ამ შინაარსის ერთ-ერთი პირველი ცნობა გვხვდება ჯუანშერთან. ამ ცნობის მიხედვით, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, „კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტერისა მიერ. ხოლო დახი მეფე და დის-წული მისი გარდავიდეს კახეთად, და შედგეს ჳევსალოპატისასა, ქუეყანასა მას კლდითა მოზღუდვილსა“. (ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 217.).

ბუნებრივია, სახიზარი ყოველთვის განსაკუთრებული ძნელბედობის უამს იყო საჭირო. ამგვარ ძნელბედობათა შორის გამორჩეული იყო საქართველოს ისტორიაში მურვან ყრუს შემოსევები. ამ დროსაც მიუშურებია თავშესაფრად ქცეული უხვი ტყეებისათვის ჩვენს წინაპარს: „...ყოველნი მთავარნი და პატიახშინი, ნათესავნი ერის-თავთა და წარჩინებულთანი შეიმოტნეს კავკასიად, და დაიმაღლნეს ტყეთა და ღრეთა.

... და მოვიდა ქუეყანად არგუეთისა, და შეიცვეს ტყე და ველნი, მთანი და ბორცუნი, და შეეწყუდივნეს ჳელსა-წარმართთასა ერნი ქრისტიანეთანი, რამეთუ რომელნი-მე ტყეთა დაიმაღლნეს და რომელნი-მე მოსრნეს.“ (ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წგნ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. გვ. 234.).

უამთააღმწერელი გადმოგვცემს, თუ როგორ მიაშურეს ტყეებს მონღოლების შემოსევისას: „ხოლო ნოინნი ესე ზემო-ჳსენებულნი შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს, და მოეფინეს მსგავსად მკალთა-ოჭრებად და ჳოცად, და არსად იყო ლხი-

ნება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქუეყანა. მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აჭარისა, და ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა, და ვარამ გაგელი შეივლტოდა ქუთათისს, და ეგრეთვე ჳერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტან-კოლაელნი, ყოველნი ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიანთასა და მთიულეთს.“ (უამთააღმწერელი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 547-548).

მემატიანე აქვე აგრძელებს, თუ როგორ ძარცვავდნენ კახეთისა და ჳერეთის ტყეებს მონღოლები: „ხოლო ამათ ულხინებელთა რა ბოროტთა მოეცვა ქუეყანა, ძლიერნი ერისთავთა ერისთავნი და ვაზირნი განდგეს ურთიერთას, თავთა მათთა შემწყობელნი, რამეთუ მეფე რუსუდან ყოვლადვე დამკუდრდალიხთიქით და ვერცალიხთ-აქეთ გარდამოვიდის და ვერცაამიერნი ვაზირნი მის წინაშე მივიდიან უცალოებისა ძლით, გარნა ლტოლვილნი. და ესრეთ ურთიერთასე მზრახებელ იყვნეს და შეუოტქმელ რამეთუ ძლიერნი იგი საქართველოსანი და სახელგანსმენილნი უღონო იქმნეს ყოვლადვე ვერ შემმართებელნი ჳსენებადცა წყობისა მიყოფად თათართა, რამეთუ ჳერეთი და კახეთი ტყეთა მიერ ძლიერად იცვებოდეს. მაშინ მკუდრნი საქართველოსანი, სახელოვანნი და წყობათა შინა მჳნენი ერისთავნი, სრულიად სამოოჭრებასა მიეცნეს. ეგრეთვე აღმომართ ყოველნი მკუდროანნი.“ (უამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 548).

ცნობები ტყეთა სისშირესა და მცენარეულ საფარზე – შუა საუკუნეების ნარატიულ წყაროებში ხშირად გვხვდება პირდაპირი ინფორმაცია საქართველოს

ამა თუ იმ რეგიონის ტყის სიხშირეზე, მცენარეულ საფარზე, იქ გავრცელებულ ნადირზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგ მემატრიანეთა მონაცემები:

ლეონტი მროველი, როდესაც ჯავახეთში წმ. ნინოს შემოსვლაზე მოგვითხრობს, ფარავნის ტბას მოიხსენიებს მონადირეთა ტბად, რომელში დაჭერილი თევზითაც უმასპინძლეს წმ. ნინოს: „და წარმოვიდა მუნით წმიდა ნინო და მოვიდა ორბანთად, საზღვართა სომხითისათა, და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა. და თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მათა ჯავახეთისათა, სადა-იგი მიემთხვა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა კჭვან ფარავნა. ...და დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა. და მწყემსნიცა იყვნეს მას-ვე ადგილსა და კუმილვიდესსა კუმილაგსა „ღამისასა სამწყსოსა მათსა ზედა; და ხადოდეს ღმერთთა მათთა არმაზს და ზადენს, და აღუთქმოდეს მათ შესაწირავთა: „ოდეს მოვიდეთ მშვიდობით-ო“. (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 97).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფე დავითის მიერ სამშვილდის ადების შემდგომი ამბების თხრობისას განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მტკვრისა და ივრისპირეთის მცენარეული და ცხოველური საფარის შესახებ: „მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა. რამეთუ ვიდრე მოაქამოდესთუელთა ჩამოიარინ თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდვიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შეუნიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა

გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უსუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თუთო-ფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადვიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხ?, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულეგანება მათ თანა. თუსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიანცყთა და ალაფითა სავსეთა გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მათთა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთ-ვე ზაფხულისცა კჭონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შეუნიერთა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა, და ესე-ოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 315.)

უამთააღმწერელი კი საკმაოდ ვრცლად აღწერს აჭარისა და ნიგალისხევის ტყის საფარს: „და ვითარ მისჭირდა თეუდარს. ივლტოდა უცნაურად, რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისკვეით, რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან, და არა დასაჯერებელ არს კაცთაგან, უკეთუ ვისმე ეხილნეს მთანი იგი, რომელ წარვლნეს, რამეთუ ყოვლად შესაძრწუნებელ არს სლვა კაცისა, არა თუ ცხენისა, პირველ სიმძაფრითა და მერმე ტყისა სიჭშირითა და შქერთა და ეკალთა, რომელსა ბურწუმალეწოდების, განრთხმული ბრძღუმლითა რომელი ნადირთაგნცა უვალ იყო ადგილი რომელი შთავლეს. და იქმნა ესეცა, რომელ განვლეს ტყესა ერთსა, ქუეშეთ კლდიანსა და ზედათ მიწისა მცირისა მქონებელსა, და ზედა მოშენებულ იყო ტყე; გაღმართ განმავალთა წარუსქდა მთა იგი, ვითარცა ზუავი თოვლისა, კაცსა ვითარ ათასსა, დედაწყლისა მქონებელსა, და შთავიდა

?ევსააჭარისასა, და დაიპყრა ცხენი და კაცი და ყოვლად უჩინო ყო, და ესრეთ საწმალობელად მოისრვოდეს. და ესრეთცა ადგილსა მას სთხრიან მაჭარმლნი და ჰპოებენ სამკაუშლთადელათასა, ოქროსა და ვეცხლისათა. (უამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. წგნ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008. გვ. 602.).

ამრიგად, შუა საუკუნეების (IV-XV სს.) ქართულ ნარატიულ წყაროებში გაბნეული არაპირდაპირი ცნობების მიხედვით შესაძლებელია საქართველოში ტყით სარგებლობის, მისი გავრცელების არელებისა და ბინადრების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. ეს მონაცემები მოკლედ ასე კლასიფიცირდება:

1. ცნობები ნადირობის შესახებ. ამ ნაწილში საინტერესოა, მეფე-მთავართა ნადირობისა და მათი სამონადირეო უნარების თვალის მიდევნება. მემატეანეები, როგორც წესი, კარგ მოისრობასა და ნადირობაში გაწაფულობას აღმატებით ეპითეტებით პიროვნების შემკობისას იყენებენ, რაც ნადირობას, მაღალი რანგის საქმიანობად წარმოგვიჩენს.

2. ცნობები ტყის, როგორც სახი-

ზარის გამოყენების შესახებ. ამ ტიპის ინფორმაცია წარსულში საქართველოს ცალკეული რეგიონების ტყის მასივების სიხშირის შესახებ უმნიშვნელოვანესია.

3. პირდაპირი თხრობა ტყის მასივებისა და მისი ბინადრების შესახებ – ამ რანგის ინფორმაცია გაბნეულია, როგორც წინა ორი კატეგორიის პასაჟებში, ისე პირდაპირ ტყის საფარის შესახებ თხრობაში. ამ მიმართულებით დაკვირვება დარგის სპეციალისტებს საშუალებას მისცემს გააკეთონ შედარებითი ანალიზი: რამდენად შეესაბამება ისტორიულად დასახელებული სანადირო ადგილები დღევანდელ რეალობას? არის თუ არა ამ მიდამოებში გავრცელებული იგივე ფლორა და ფაუნა რაც იყო საუკუნეების წინ, თუ ეს რეალობა შეიცვალა, ისევე, როგორც ეს ყარაიას ველის შემთხვევაში გვაქვს, როდესაც წარსულში აქტიური სანადირო ველი ახლა უდაბნოდ არის ქცეული? და ბოლოს, ამ მონაცემების შეჯერებისას შესაძლებელია გაკეთდეს ანალიზი, თუ ვითარება შეცვლილია, რას შეიძლება ეს მიეწეროს: შემოსევებს, ბუნებრივ კატაკლიზმებს თუ ლანშაფტის ცვლას საუკუნეების განმავლობაში.

ამიერკავკასიაში ტყემოწყობის მატიანე *

შემუშავებულია საკავშირო გაერთიანება „ტყებროექტის“
ამიერკავკასიის ტყემოწყობის საწარმოში 1982-1983 წწ

*მატიანე რუსულ ენაზე შეადგინეს:
საქართველოს დამსახურებული მეტყევე, ამიერ-
კავკასიის ტყემოწყობის საწარმოს უფროსი – ღათუნიშვილი პ.ნ.
საქართველოს დამსახურებული მეტყევე – მიხაილოვი ი. ღ.
1982-1983 წწ*

სამეცნიერო-პრაქტიკული შურონალის „სატყეო მოამბის“ რედაქციის წინასიტყვაობა „ამიერკავკასიაში ტყემოწყობის მატიანეს“ ქართულ ენაზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

ტყე ჩვენი პლანეტის გეოგრაფიული
ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი ელემენტი
ა.

ადამიანი დასაბამიდან მჭიდროდ
დაუკავშირდა ტყეს. შეიძლება ითქვას,
რომ ტყეში დაირწა კაცობრიობის აკვანი.
ტყე წარმოადგენდა ადამიანის საიმედო
თავშესაფარს, საკვები და სამკურნალო
მცენარეული ნედლეულის მოპოვების
წყაროს, ხოლო ცეცხლის გაჩენის საი-
დუმლოების დაუფლების და სამეურნეო
(საყოფაცხოვრებო) საჭიროებისათვის
ხეტყეზე მოთხოვნილების ზრდის კვა-
ლობაზე, სათბობად და სამასალედ
სარგებლობისათვის – რესურსის მთავარ,
ძირითად წყაროს.

ამის გამო ადამიანი მუდამ ახორცი-
ელებდა სხვადასხვა ფორმით ტყის მოვ-
ლა-გაშენებას და მისი დაცვის ღონის-
ძიებებს.

დიდი ხანია ტყის რესურსებზე კა-
ცობრიობის მოთხოვნილებამ გადააჭარ-
ბა ამ მიმართებით ბუნების მწარმო-
ებლურ შესაძლებლობებს, რის გამოც
მეტად მწვავედ და მასშტაბურად დაისვა
საკითხი დედამიწის ამ „მწვანე ფილტ-
ვების“ შენარჩუნების, მისი უწყვეტად
გონივრული (რაციონალური), ეფექტური
გამოყენების და კვლავწარმოების ტემპე-
ბის დაჩქარების შესახებ.

ყოველივე ამისათვის აუცილებელი
გახდა სარწმუნო ინფორმაციის არსე-
ბობა, დროსა და სივრცეში ტყეების რაო-
დენობრივი და ხარისხობრივი მახასია-
თებლების შესახებ. ამ მიზნით ჩამოყა-
ლიბდა ტყემოწყობა – სატყეო-სამეურ-
ნეო საქმიანობის ხანგრძლივადიანი
მართვის სპეციალიზირებული სფერო
(დარგი), რომელიც უზრუნველყოფს ღო-
ნისძიებათა სისტემის შემუშავებას ტყის

* ნაშრომი სულ შეიცავს 84 გვ-ს. ამჯერად გთავაზობთ წინასიტყვაობას, შესავალს და I და II თავებს (დანარჩენი იხილეთ შემდეგ ნომრებში).

რესურსების რაციონალური გამოყენების, ტყეების პროდუქტიულობის ამაღლების, მათი კვლავწარმოების, დაცვის, მოვლის უზრუნველსაყოფად.

ტყეთმოწყობის სამუშაოები ამიერკავკასიაში, მ.შ. საქართველოში, დაიწყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში და მიმდინარეობს ამჟამადაც სხვადასხვა პერიოდულობით, შინაარსით, იურიდიული სტატუსით.

1970-იან წლებში სსრ კავშირის მთავრობის განკარგულებით წარმოება-დაწესებულებების მიერ შეიქმნა მათი მოღვაწეობის (ისტორიის) ამსახველი ნაშრომები ე.წ. „მატიანეს“ ფორმით. შესაბამისად სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ დავალებით განხორციელდა შესაბამისი კვლევითი-ანალიტიკური სამუშაოები მისდამი დაქვემდებარებულ ფილიალებში (საწარმოებში), მ.შ. ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმოში.

„ამიერკავკასიაში ტყეთმოწყობის მატიანე“ შემუშავდა 1982-1983 წლებში რუსულ ენაზე, კერძოდ ხელით საბეჭდ მანქანაზე დაიბეჭდა და აიკინძა რამდენიმე ეგზემპლარი.

საზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმო იურიდიულად არსებობდა სხვადასხვა ფორმით 1948 წლიდან, თუმცა „მატიანეში“ ფართოდ იქნა წარმოდგენილი 1948 წლამდე ამ მიმართებით განხორციელებული სამუშაოების ამსახველი მასალები.

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „სატყეო მოამბის“ რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა „მატიანეს“ ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება, რაც განხორციელდა 2017 წელს.

ქართულ თარგმანში (მთარგმნელი მარინე ამბარდნიშვილი) ზუსტად არის

დაცული დედნის თხრობის და მოვლენების გადმოცემის სტილი, ტერმინოლოგია.

ჟურნალის ფორმატის შეზღუდულობის გამო გადაწყვეტილი გვაქვს გამოვაქვეყნოთ ნაშრომის ძირითადი მონაკვეთები რამდენიმე ნომერში თანმიმდევრობით (2018-2020 წლებში).

ჟურნალ „სატყეო მოამბის“ რედაქციას ასევე განზრახული აქვს საჭირო ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში გააგრძელოს „მატიანე“ წარმოდგენილ ნაშრომში დასრულებული ეტაპის (1982-1983 წწ) შემდგომი პერიოდისთვის (1983-2018 წწ), რომელიც იყოფა შემდეგ ეტაპებად:

I. 1983-1991 წლები – (საბჭოური ხანის ბოლო პერიოდი);

II. 1992-2005 წლები – ტყეთმოწყობის სახელმწიფო სამსახურის საქმიანობა დამოუკიდებელი საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენლობაში;

III. 2006-2008 წლები – ტყეთმოწყობის სამსახურის საქმიანობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სივრცული ინფორმაციის ცენტრის შემადგენლობაში;

IV. 2009 წლიდან ტყეთმოწყობის სახელმწიფო სამსახური გაუქმებულ იქნა და შესაბამის სამუშაოებს ამჟამად ასორციელებენ დამოუკიდებელი კომპანიები და სხვადასხვა იურიდიული პირები. ეს პერიოდი მოიცავს 2009-2018 წლებს. (2018 წელს სრულდება ამიერკავკასიაში ტყეთმოწყობის სახელმწიფო სამსახურის დაარსებიდან 70 წელი).

განზრახულია ამ სახით „მატიანე“ გამოიცეს ცალკე წიგნად „სატყეო მოამბის“ ეგიდით კომბინირებული წესით რეზიუმეთი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

„ამიერკავკასიაში ტყეთმოწყობის მატიანეს“ შესახებ ცნობა მოგვაწოდა

ჟურნალ „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა, საქართველოს დამსახურებულმა მეტყევემ ლერი ჭოჭუამ, მანვე მოიძია „მატიანეს“ რუსული ტექსტი და მის ქართულ ენაზე თარგმნილ მასალას გაუკეთა რედაქტირება. მატიანეს გამოსაცემად მომზადებაში მნიშვნე-

ლოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა ელიზბარ მახუაშვილმა და გიორგი ღუღუნიშვილმა, რაზედაც დიდ მადლობას მოვასხენებთ მათ.

ჟურნალ „სატყეო მოამბის“ მთავარი რედაქტორი – რეზაზ ობოლაძე

ამიერკავკასიაში ტყეთმოწყოების მათიანე (შესავალი)

საბჭოთა სახელმწიფომ რევოლუციამდელი რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიიღო ტექნიკურად ჩამორჩენილი და მრავალ მესაკუთრეთა შორის დანაწილებული ტყის მეურნეობა.

მეფის რუსეთში ტყის მეურნეობის წარმოება ერთიან გეგმას არ ექვემდებარებოდა. ხაზინა, მამულები, სამთო ქარხნები, კერძო მფლობელები თავიანთი სურვილისამებრ განაგებდნენ ტყეს და ისე ჩეხავდნენ, რომ აღდგენაზე არც კი ზრუნავდნენ.

რუსეთში ტყის მეურნეობა ჩამოყალიბდა მნიშვნელოვნად გვიან დასავლეთ ევროპასთან შედარებით, ამიტომ რუსეთის ტყის მეურნეობის ორგანიზაციაში ბევრი რამ გადმოტანილი იქნა მზა სახით, განსაკუთრებით გერმანიიდან.

სულ მალე საზღვარგარეთიდან გადმოღებული ტყის მეურნეობის გაძლიერების წესების რუსეთის პირობებთან შეუსაბამობამ რუსი ტყეთმომწყოები აიძულა გამოემუშავებინათ ტყეთმომწყოების ისეთი ხერხები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდნენ რუსეთის ტყის მეურნეობის პირობებთან.

რუსეთის თეორიული ტყეთმომწყოების ფუძემდებელი იყო პროფესორი ა. ფ. რუდზკი. მისი განსაზღვრებით: „ტყეთ-

მომწყოება როგორც მეცნიერება წარმოადგენს მოძღვრებას ტყის მეურნეობის დაფუძნების, ტყეში წესრიგის დამყარების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ მეურნეობის მიზნები რაც შეიძლება სრულად იყოს მოღწეული“ (ა. ფ. რუდზკი, „რუსეთის ტყეების მოწყობის სახელმძღვანელო“, მე-2 გამოცემა, 1983 წ., გვ. 21).

სახალხო მეურნეობაში ტყეთმომწყოების თანამედროვე როლიდან გამომდინარე მისი არსი რამდენამდე სხვაგვარად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული:

„ტყეთმომწყოება, როგორც მეცნიერება, წარმოადგენს მოძღვრებას ტყის მეურნეობის მიზნობრივ ორგანიზაციაზე, ტყის ფონდის სახელმწიფო ინვენტარიზაციაზე და ტყის მეურნეობის წარმოების გრძელვადიან დაგეგმვაზე სამეურნეო ერთეულებში სახალხო-მეურნეობის გეგმის შესაბამისად“ (ა. ა. ბაიტინი, ო. ო. გერნიცი, გ. პ. მოტოვილოვი და სხვები, „ტყეთმომწყოება“, მე-3 გამოცემა, 1974 წ., გვ. 11).

ტყეთმომწყოება ორგანულადაა დაკავშირებული სატყეო ეკონომიკასთან და სატყეო-სამეურნეო პროფილის მრავალ სხვა დისციპლინებთან.

პეტრე პირველამდელ რუსეთში სახა-

**ტყეომოწყობის (გამოცემული)
ინსტრუქციების მოკლე
პირობილვა**

ზინო ტყით სარგებლობა არანაირი მითითებით არ ისაზღვრებოდა და არც კერძო მფლობელობაში არსებული ტყეებით სარგებლობის არანაირი წესები არ არსებობდა.

ქვეყანაში მოსახლეობის ზრდასთან ერთად ტყეები თანდათანობით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად იქცეოდა. ყველაზე მეტად იყენებდნენ „სოფლის მეურნეობის გაძღოლის ცეცხლოვან მეთოდს“ ანუ სახნავისა და ბოსტნისათვის ტყის უბნებს წვადნენ.

შედგად ქვეყნის შედარებით მჭიდროდ დასახლებულ ნაწილში შესამჩნევად შემცირდა ტყეების ფართობი, ამასთანავე ქალაქების ზრდასთან და სახალხო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით მერქანზე მოთხოვნილება წლიდან წლამდე იზრდებოდა.

ტყე თანდათანობით იძენდა წონად ეკონომიკურ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა ტყის მეურნეობა პრიმიტიულად იმართებოდა და ეფუძნებოდა ფეოდალური მიწათსარგებლობის პრინციპს: ტყის მეურნეობის გაძღოლის შესახებ ჩვენამდე მოღწეული პირველი დოკუმენტი არის „დაცვის სიგელი“ – ტროიცი-კი-სერგიევსკის მონასტრის ტყის აგარაკებში თავისუფალი ჭრის აკრძალვის შესახებ. ეს სიგელი განეკუთვნება 1485 წელს. (ფ.კ. არნოლდი, მეტყვეობის ისტორია რუსეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში. სანკტ-პეტერბურგი. 1895წ.).

სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ პეტრე პირველამდე რუსეთში ტყის მეურნეობის გაძღოლის წესების ან მითითებების შესახებ ტყეთა გამოკვლევის და გამოყენების შესახებ, არ შემონახულა. არ მოიპოვება კარტოგრაფიული მასალა, ტყეების არსებობის და მდებარეობის შესახებ.

1722-1723 წლებში პეტრე I-ის ბრძანებით ნაკრძალი ტყეების ობერვალდმეისტერებს (მეტყვეებს) მიეითათ განეხორციელებიათ ტყეების აღწერა, მაგრამ არა მარტო აღეწერათ, არამედ „ლანდრუკებიც შეედგინათ“. ამან სათავე დაუდო კარტოგრაფიული მასალის შედგენას.

ობერვალდმეისტერის (მეტყვეის) ინსტრუქციაში მოცემული იყო ურალის საქარხნო ტყეების 15-20 საუენი (30-40 მ) სიგანის ტყეკაფებად დაყოფის გეგმა.

თითოეული ტყეკაფი ემსახურებოდა ერთი ქარხნის მერქანზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

რა თქმა უნდა ეს ღონისძიება არ შეესაბამებოდა ტყეომოწყობას, თუმცა ეს ღონისძიება მიმართული იყო ტყითსარგებლობის რეგულირებისაკენ. ეს თითქოსდა იყო ტყეომოწყობის ჩანასახი.

უფრო გვიან, 1769 წელს მითითებული იყო, რომ ყველა სახაზინო და სახაზინო-გლეხთა ტყეები აზომილიყო და დაყოფილიყო 30 ტყეკაფად, 1782 წლის კანონით გაფორმდა ტყის კერძო მფლობელობა. ქვეყნის ყველა ტყეები დაყოფილი იყო ორ კატეგორიად: სახაზინო (სახელმწიფო) და კერძო მფლობელობის ტყეები.

ტყის მეურნეობისა და ტყეომოწყობის სახელმწიფო ორგანიზაციის საკითხები საკმაოდ ფართოდ და მეცნიერულ საფუძველზე განხილული იყო პროექტში „წესდება ტყეების შესახებ“ 1785 წელს (ეკატერინე II-ის ეპოქაში). „წესდების“ შედგენაში ძირითადი დამსახურება მიუძღვის იმ დროის გამოჩენილ მეცნიერს პ.ს. პალლასს.

წესდების მიხედვით ყველა ტყეები დაყოფილი იყო სამ ზოლად:

1. შავი ტყე – მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ჯიშები;
2. თეთრი ტყე – რბილმერქნიანი ფოთლოვანი ჯიშები;
3. წითელი ტყე – წიწვოვანი ჯიშები.

თითოეული ზოლისათვის მოცემული იყო მითითებები ტყის მეურნეობის გაძღოლის შესახებ.

ტყის მეურნეობის შედარებით უკეთესი ორგანიზაცია აღმოცენდა სამთომადნო ქარხნებისთვის ტყეების პირწმინდა ჭრებისას.

მთიანი ურალის ტყის მეურნეობაში უფრო ადრე არსებობდა ტყის მეურნეობის გაძღოლის მკაცრად განსაზღვრული სისტემა, დგინდებოდა ჭრისბრუნვა, ჭრის წესები, ტყის აღგენის ღონისძიებები.

1806 წელს გამოცემულ სამთომადნო ქარხნებისადმი მიჩენილი ტყეების შესახებ დებულებაში აღნიშნული იყო, რომ: „ნებისმიერ ქარხანას უნდა ჰქონდეს იმდენი ტყეაფი, რამდენიც სჭირდება და პირველად გაკაფული ტყის აღვილას აღმოცენდეს შეშისთვის ვარგისი ტყე, საიდანაც სხვათა მოჭრის მერე კვლავ მათი რიგიც დადგება“. ამრიგად, ტყის სარგებლობის ოდენობა განისაზღვრებოდა წლიური ტყეაფით, რაც ქარხნის მოთხოვნილებით დგინდებოდა, რათა საკმარისი ყოფილიყო „უწყვეტი მუშაობისთვის“.

თავისი შინაარსით ეს მოთხოვნილება შეესაბამებოდა საანგარიშო ტყეაფისა და მასთან დაკავშირებული ჭრისბრუნვის იმდროინდელ გაგებას.

„წესდებით ტყეების შესახებ“ შემოთავაზებული იყო სამთომადნო ქარხნების კუთვნილი ტყეებისდაყოფა 80 ნაწილად (იმ დროს მიღებული ჭრის ბრუნვის წელთა რაოდენობის მიხედვით).

1793 წელს გამოცემულ „სამთო ქარხნებისადმი მიჩენილი ტყეების დებულებით“ და „წესდებით ტყეების შესახებ“ დადგენილი იყო ტყეაფების დასაშვები ზომები და მათი განლაგება სივრცეში.

იმ დროს ჭრის ძირითად სახედ ითვლებოდა პირწმინდა ჭრები. დადგენილი იყო ტყეაფების სიგრძე და სიგანე, მოსაჭრელი ზოლების რაოდენობა. მითითებული იყო ტყეაფებზე 25-დან 50-მდე სათესლე ხეების დატოვება.

ტყის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1766 წელს დაწესებული საკარმიდამო, სახნავი, სათიბი და სხვა სავარგულების ტყეებისაგან გენერალურ გამიჯვნას მათი საზღვრების დადგენის მიზნით.

1826 წელს სახელმწიფო ქონების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტთან შეიქმნა სატყეო სამეცნიერო კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა ტყის მეურნეობის გაძღოლის წესების შედგენა.

1830 წელს გამოიცა იმ დროისათვის შესანიშნავი „ინსტრუქცია ურალის ქედის სამთო ქარხნების მიერ ტყეების მართვის შესახებ სატყეო მეცნიერების და კეთილი მეურნეობის წესების შესაბამისად“.

შემდგენელების მიერ გამოთქმული იყო სურვილი, რომ „მიესადაგოს სატყეო სინამდვილე რუსეთის მეცნიერების საჭიროებებს. შემოღებულ იქნას არა უცხოური, არამედ რუსული მეტყევეობა“.

რუსეთში სატყეო მეურნეობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1833 წელს ორგანიზებულ „სატყეო მეურნეობის წამახალისებელ საზოგადოებას“. 1833 წელის იანვარში ამ საზოგადოების სხდომაზე გადაწყდა სატყეო ჟურნალის გამოცემა (ტიტულარული მრჩეველი უხანცევი და მეცნიერ-მეტყევე გინდელმანი). ხაზინის მიერ ჟურნალის რედაქციის შესანახად გამოიყო ყოველწლიურად 8,0 ათასი რუბლი. დამტკიცდა

ჟურნალის პროგრამა შემდეგი სტრუქტურით:

– სატყეო-სამეურნეო მეცნიერებები: ტყის გაშენება, ტყის აღრიცხვა (ტაქსაცია);

– დამხმარე მეცნიერებები: სატყეო ბოტანიკა, სატყეო ენტომოლოგია, ტყეების ტოპოგრაფიული აღწერა;

– სატყეო მეცნიერებების ლიტერატურა – მეტყვევთა და სხვათა შრომები სატყეო საკითხებზე, განცხადებები და სხვა;

– ბუნების ღირსშესანიშნაობები: ბუნების უჩვეულო და იშვიათი მოვლენების აღწერა, გამოგონებები, ტყის სასარგებლო იარაღების, ხელსაწყოების მოდულების აღწერა;

– სხვადასხვა: სატყეო დაწესებულებების აღწერა, სტატიები ნადირობის შესახებ;

ჟურნალთან თანამშრომლობდა იმ დროისთვის ცნობილი, სატყეო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე ვ.ს. სემიონოვი. მან დაწერა სატყეო ტაქსაციისა და ტყის დაცვის პირველი სახელმძღვანელოები (1835-1846 წწ).

1851 წელს ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა და აღდგა მხოლოდ 1871-72 წლებში.

ოფიციალურ თარიღად, რომელმაც სათავე დაუდო ტყეთმომწეობას რუსეთში, მიჩნეულია 1840 წელი, როდესაც „მეცნიერების და კეთილი სატყეო მეურნეობის წესების“ მიხედვით პირველად განხორციელდა სატყეო ინსტიტუტის (ამჟამად ლენინგრადის აკადემია) ლისინსკის სასწავლო სატყეოს ტყეთმომწეობა 23,1 ათას დესეტინაზე ე.პ. პეტერსონის ხელმძღვანელობით.

თუმცა, როგორც წინამდებარე ნათქვამიდან ჩანს, ურალში თავისებური ტყეთმომწეობა გაცილებით ადრე, დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ჩაისახა.

მეფის რუსეთში ტყეთმომწეობის განვითარების საწყისი ეტაპი მიეკუთვნება გასული საუკუნის შუა ხანებს. სახაზინო და კერძო ტყეების მოწეობის პირველი გამოცდილების შემდგომ მე-XIX საუკუნის სატყეო მეურნეობის გამოცდილი თეორიტიკოსის და პრაქტიკოსის ფ.კ. არნოლდის მიერ 1845 წელს რუსეთში პირველად დამუშავდა და გამოიცა ტყეთმომწეობის ინსტრუქცია სახელწოდებით: „სწორი ტყის მეურნეობის წარმოებისათვის შერჩეულ ტყის აგარაკებში ტაქსაციური სამუშაოების ინსტრუქცია“.

ამ ინსტრუქციამ ტყის მეურნეობაში შემოიღო ტყეთმომწეობის პერიოდული მეთოდი. მისი ძირითადი იდეა მდგომარეობდა ჭრის ისეთი გეგმის და მოცულობის დადგენაში, რომელიც უზრუნველყოფდა ტყით მუდმივ და თანაბარ სარგებლობას ჭრისბრუნვის განმავლობაში. სარგებლობის გაანგარიშება და ჭრების განლაგება წარმოებდა არა წლების მიხედვით, როგორც იყო მიღებული ტყეკაფებად დაყოფის მეთოდით, არამედ ჭრისბრუნვის ნაწილების მიხედვით ან 3-6 პერიოდად მაღლარ მეურნეობებში 20-40 წლის ხანგრძლივობით და დაბლარ მეურნეობებში 5-10 წლის ხანგრძლივობით.

1854-56 წლებში ფ.კ.არნოლდმა გამოსცა ბროშურა „მეტყვევობის სახელმძღვანელო“, ხოლო 1894 წელს კი მანვე გამოსცა წიგნი „მეტყვევობის კურსი სატყეო სკოლების, ტყეთმფლობელებისა და მამულების მოურავებისათვის“. ამ წიგნში თავი ტყეთმომწეობის შესახებ მოცემული იყო გადამუშავებული სახით შესაბამისად სახაზინო ტყეების მოწეობის ახალი ინსტრუქციისა, რომელიც დამტკიცდა 1894 წლის აპრილში. 1899 წელს ხელახლა გადამუშავებული სახით გამოიცა იგივე წიგნი. ეს წიგნი მესამედაც გამოიცა, როგორც პოპულარული სახელმძღვანელო. მასში შემცირებული ფორმით

შეტანილი იყო მეტყვევების ყველა საკითხები. აქვე იყო განყოფილება „ტყეთმოწყობა“.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილობის გამო ბევრი თეორიული საკითხი გადმოღებული იქნა გერმანული ტყეთმოწყობიდან.

თუმცა რუსეთში სატყეო მეცნიერების განვითარების კვალობაზე წარმოიშვა რუსეთისთვის დამახასიათებელი თვითმყოფადი თეორიული დებულებები სატყეო ეკონომიკის, ტყის მეურნეობის ორგანიზაციის და ტყეების ინვენტარიზაციის შესახებ.

1845 წლის ინსტრუქცია უყენებდა დიდ მოთხოვნებს საველე ტაქსაციურ სამუშაოებს, იყო რთული, რაც რუსეთის ტყის მეურნეობის იმდროინდელ პირობებში არ ამართლებდა და ამას გარდა საჭიროებდა დიდ ფულად დანახარჯებს.

პრაქტიკა ითხოვდა ამ ინსტრუქციის გამარტივებას და ამიტომ 1859 წელს გამოიცა ახალი ინსტრუქცია „გამარტივებული წესები სახაზინო ტყეებისათვის“.

1870 წელს გამოიცა ინსტრუქცია 1859 წლის „გამარტივებული წესით“ მოწყობილი სატყეო აგარაკების რევიზიისათვის.

ამ ინსტრუქციამ ტყეთმოწყობის ტექნიკაში შეიტანა არსებითი გაუმჯობესება.

1884 წელს გამოიცა ახალი ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებდა ტყის აგარაკების 4 თანრიგად დაყოფას.

ტყეთმოწყობის არსებობის შემდგომი პერიოდი დაკავშირებულია სატყეო მეურნეობის გამოჩენილ მოღვაწესთან პროფ ა.ფ. რუდუკისთან, რომელმაც ტყეთმოწყობაში ადრე გამოყენებული პერიოდული მეთოდის ნაცვლად შემოიღო ახალი, პროგრესული მეთოდი – ხნოვანებითი კლასების მეთოდი, შემოიღო ახალი ცნებები, როგორცაა „სამეურნეო ნაწილი“, „მეურნეობა“, რომლებიც წარმოადგენენ ორიგინალურ სატყეო-

სამეურნეო ერთეულებს. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოაყენა იდეა ტყის ტიპების აუცილებელი გამოყენების შესახებ, რომელმაც კპოვა ბრწინვალე განვითარება მ. ფ. მოროზოვის და მისი ნიჭიერი თანამემამულე მოწაფეების შრომებში.

1888 წელს შემოღებულ იქნა „კერძო მფლობელთა აგარაკებისათვის მეურნეობის გამარტივებული გეგმების შედგენის წესები“, ხოლო 1889 წელს გამოიცა „დაცვითი ტყეების მოწყობის ინსტრუქცია“.

მორიგი 1894 წლის ინსტრუქცია და მომდევნო 1900 წლის ინსტრუქცია დაუბრუნდნენ ტყეთმოწყობის პერიოდულ-ფართობრივ მეთოდს.

რუსეთში კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების პერიოდში სატყეო მრეწველობისა და ტყეების სამრეწველო ათვისების ინტენსიურ ზრდასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განვითარდა ტყეთმოწყობა და ტყეების გამოკვლევა.

თუმცა მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მიზნად ძველებურად რჩებოდა ტყის მფლობელისათვის ტყიდან მუდმივად უდიდესი შემოსავლის მიღება.

1896 წელს გამოიცა კავკასიის სახაზინო ტყეების მოწყობის ინსტრუქცია.

ინსტრუქცია განხილულ და დამტკიცებულ იქნა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის მიერ 1896 წელს 27 თებერვალს.

სხვა ინსტრუქციებისგან განსხვავებით ტაქსაციურ აღწერებში აღინიშნებოდა მოსაჭრელი ხეების რაოდენობა ფართობის ერთეულზე ტყეების დაცვითი თვისებების დარღვევის გარეშე.

ინსტრუქცია ითვალისწინებდა პირვინდა და ამორჩევით ჭრებს.

ამორჩევით მეურნეობაში კორომები იყოფოდა 3 ჯგუფად:

ა) კორომები, სადაც სარეალიზაციოდ ვარგისი ხეები არ იყო;

ბ) კორომები, სადაც სარეალიზაციოდ ვარგისი ხეები იყო, მეტწილად წვრილმზომი;

გ) კორომები, სადაც სარეალიზაციოდ ვარგისი ხეები იყო, მეტწილად მსხვილმზომი;

წლიური საანგარიშო ტყეკაფი განისაზღვრებოდა მეორე და მესამე ჯგუფის ტყეების ფართობის გაყოფით მეურნეობის ბრუნვის სიდიდეზე. ტყეთმომწეობის რევიზია ხორციელდებოდა ტყეთმომწეობიდან 20 წლის შემდეგ.

1897 წელს გამოცემულ იქნა სპეციალური ინსტრუქცია ვრცელი ტყიანი სივრცეების გამოკვლევის სამუშაოთა საწარმოებლად. ამ ინსტრუქციის მიხედვით ტყეთმომწეობის სამუშაოებს აწარმოებდნენ ჩრდილოეთისა და ციმბირის ტყეებში. მეორე ამდაგვარი ინსტრუქცია გამოიცა 1907 წელს.

1908 წელს გამოიცა ტყეთმომწეობის მორიგი ინსტრუქცია.

პერიოდულ-ფართობრივი მეთოდის არასრულყოფილებამ, 1908 წელს გამოცემული ინსტრუქციით კორომთა ბონიტეტის კლასების მიხედვით კლასიფიკაციის დაუმუშავებლობამ, ასევე ამორჩევით მეურნეობებში ტყეთმომწეობის გაუმჯობესების აუცილებლობამ საფუძველი ჩაუყარა 1911 წელს ტყეთმომწეობის ახალი ინსტრუქციის გამოცემას. მეორედ ეს ინსტრუქცია მცირედი შესწორებებით გამოიცა 1914 წელს.

1911-1914 წლების ინსტრუქციამ ტყეთმომწეობაში შეიტანა ახალი ტექნიკური და ორგანიზაციული საფუძველები.

1911-1914 წლების ინსტრუქცია შედგენილი იყო პროფ. მ.მ. ორლოვის მიერ.

ინსტრუქცია იწოდებოდა ასე: „სატყეო დეპარტამენტის უწყების მიწათმომწეობისა და მიწათმოქმედების მთავარი სამმართველოს სახაზინო ტყეების მოწეობის, რევიზიის და კვლევის ინსტრუქცია“.

ამ ინსტრუქციით პირველად წამოყენებულ იქნა მოთხოვნა, რომ განისაზღვროს მთავარი სარგებლობის ოდენობა არა მარტო ფართობის, არამედ მასის მიხედვითაც და ასეთი განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნას ნორმალური მარაგის ერთ-ერთი მეთოდი (გაანგარიშების მეთოდი ეფუძნებოდა ნამდვილ და ნორმალურ მარაგთა შორის თანაფარდობას).

1911-1914 წლების ტყეთმომწეობის ინსტრუქციის მითითებათა თანახმად, კორომების სამეურნეო კლასიფიკაცია ტყეთმომწეობისას იწარმოებოდა მხოლოდ ბონიტეტის კლასების მიხედვით. ბონიტეტის განსაზღვრისათვის შემოღებულ იქნა სპეციალური ცხრილი (ბონიტეტების სკალა).

ტყეების კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით უარყოფილ იქნა. ცნება კორომების ვარგისიანობის შესახებ დაკავშირებული იყო მათი სიხშირის კოეფიციენტთან.

პრაქტიკაში დამკვიდრდა მტკიცე საფუძველები რაოდენობრივი აღრიცხვისათვის, რაც აუცილებელი იყო შემდგომი განზოგადობებისა და გაანგარიშებებში.

ტყეთმომწეობას ახორციელებდნენ ხნოვანებითი კლასების მეთოდით.

ამორჩევითი მეურნეობისთვის შემოღებულ იქნა ტყის ინვენტარიზაციის, მეურნეობის ბრუნვის და ტყით მთავარი სარგებლობის ახალი წესები.

რევოლუციამდელ ტყეთმომწეობის ინსტრუქციებში სამუშაოთა მოცულობა და შინაარსი განისაზღვრებოდა მოსაწყობი ტყის აგარაკების სამეურნეო მნიშვნელობით.

ყველა ტყე დაყოფილი იყო 6 თანრიგად ფასეულობის, შემოსავლიანობის და გასაღების შესაძლებლობის მიხედვით. უკანასკნელ, მე-6 თანრიგს მიეკუთვნა ტყეების ვრცელი სივრცეები გასაღების გარეშე ან/და უმნიშვნელო გასაღებით.

ეს ტყეები გამოკვლევას ექვემდებარებოდნენ მათი შემადგენლობის მიახლოებით დადგენის მიზნით.

ტყის აგარაკების სამეურნეო დანიშნულებისა და მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველოს წინადადებების საფუძველზე სატყეო დეპარტამენტი ტყეთმოწყობის სამუშაოებს ანაწილებდა სამმართველოზე სამუშაოთა მოცულობების, ტყეთმოწყობის პარტიების შემადგენლობის და აგრეთვე ტყეთმოწყობის რევიზორებზე მიმაგრებული რაიონების ჩვენებით.

ტყეთმოწყობის რევიზორები, შედიოდნენ რა სატყეო დეპარტამენტის უშუალო განკარგულებაში, იმყოფებოდნენ მათდამი მიმაგრებულ რაიონებში და ცხოვრობდნენ სამუშაოებიდან გამომდინარე მათთვის ხელსაყრელ ქალაქებში, სადაც იმყოფებოდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველო.

ტყეთმოწყობის რევიზორები იყვნენ ტყეთმოწყობის ყველა სახის სამუშაოების მუდმივი ხელმძღვანელები თავიანთ რაიონებში.

რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულურ მეურნეობაში ტყეთმოწყობის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაესაბუთებია და დაემტკიცებია რენტის ამოღების რაც შეიძლება მეტი ოდენობა და ამოღების წესები მოსაწყობი სატყეოდან ან ტყის აგარაკიდან.

ეს ძირითადი მიზანი განსაზღვრავდა ტყეთმოწყობის სამუშაოების შინაარსს.

„კაპიტალისტური ტყეთმოწყობა არ აყენებს და არც შეუძლია დააყენოს ტყის მნიშვნელობით განპირობებული ამოცანები როგორც საზოგადოებრივი ფაქტორისა, რომელიც ახდენს მრავალნაირ გაფლენას მთლიანად ქვეყნის მეურნეობის ბევრ უმთავრეს მხარეებზე“ (გ.პ. მოტოვილოვი. „სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის მეტყევეობითი საფუძვლები სსრკ-ში“. 1955წ გვ. 6).

ვ.გ. დოკუჩაევის, გ.ფ. მოროზოვის, გ.ნ. ვისოცკის და სხვების პროგრესული იდეები ტყის როლის როგორც გეოგრაფიული ფაქტორის შესახებ, რომელიც დადებით ზეგავლენას ახდენს როგორც მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ასევე გარემომცველ ბუნებაზე, მკვეთრად უპირისპირდება ტყეთა მფლობელების ვიწრო, კერძომესაკუთრულ ინტერესებს და ამიტომ ვერც იქნებოდა გამოყენებული ტყეთმოწყობით განსაზღვრული ქმედებები კაპიტალისტური სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისას.

ყველა ჩამოთვლილი ინსტრუქციების ეკონომიკურ საფუძვლებში ასახულია ტყის მეურნეობის კაპიტალისტური მეთოდის მანკიერება. რევოლუციამდელ პერიოდში ტყეთმოწყობა მოწოდებული იყო კაპიტალისტური სატყეო მეურნეობის მომსახურებაზე და ემორჩილებოდა მის ეკონომიკურ კანონებს, რომლებიც დაფუძნებული იყო ტყეების კერძო საკუთრებაზე, ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობებზე და ტყის სიმდიდრეთა დაუნდობელ ექსპლუატაციაზე.

სულ რევოლუციამდელ პერიოდში გამოცემული იყო საერთო ხასიათის 9 ინსტრუქცია და 12 ინსტრუქცია, რომლებიც ეხებოდა ტყეების ცალკეულ კატეგორიებს ან ტყეთმოწყობის სამუშაოების სახეებს.

რევოლუციამდელი ტყეთმოწყობის პრაქტიკის მნიშვნელობა საბჭოთა ტყის მეურნეობისათვის ფრიად პირობითია. გამოიყენება ცალკეული მიღწევები ამ პრაქტიკისა, რომელიც გამოხატავს რუსული ტყეთმოწყობის თვითმყოფადობის ძირითად მიმართულებას.

საბჭოთა ტყეთმოწყობა ვითარდებოდა და ვითარდება პრინციპულად სხვა საწყისებზე და ემსახურება სხვა მიზნებსა და ამოცანებს.

რევოლუციამდელ რუსეთში ტყეები უკიდურესად სუსტად იყო შესწავლილი.

ტყეთმოწყობა ხორციელდებოდა ძალიან ნელი ტემპებით.

1842 წლიდან 1909 წლამდე, ე.ი. 67 წლის განმავლობაში მოეწყო და გამოკვლეულ იქნა სახაზინო ტყეების 61 მლნ. ჰა, 1909 წლიდან 1913 წლის ჩათვლით – 71 მლნ. ჰა. განხორციელებული ტყეთმოწყობის სამუშაოთა შედეგად 1914 წლისათვის რუსეთში მოწყობილი იყო აღრიცხული ტყეების 24,5%.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ აღრიცხული ტყეების ფართობი 1914 წლის 01 იანვრისათვის 535 მლნ. ჰა-ს შეადგენდა, ანუ რამდენადმე ნაკლებს ფაქტიურ ფართობთან შედარებით. შედეგად ტყეთმოწყობის სამუშაოებმა მოიცვა ტყეების ნამდვილი ფართობის 10-15 %.

რევოლუციამდელ რუსეთში ითვისებდნენ ევროპული რუსეთის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრალურ, დასავლეთ, სამხრეთ და ურალისპირა რაიონების ტყეებს.

ტყის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას თან ახლდა ტყეების გაძლიერებული განადგურება.

მ.ა. ცვეტკოვის კვლევების თანახმად (1971 წლის სამუშაოთა კრებული გვ. 7, ტყის მეურნეობის შესახებ) „მხოლოდ რუსეთის ევროპულ ნაწილში XVII საუკუნის დამლევიდან 1914 წლამდე განადგურდა მიახლოებით 70 მლნ. ჰა ტყე. ამის შედეგად XVII საუკუნის დასასრულიდან 1914 წლამდე ტყიანობა შემცირდა 50%-დან 33%-მდე, ანუ 1,5-ჯერ. რუსეთში ტყეების განადგურებამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ სატყეო საქმის მოწინავე მოღვაწეები იძულებული იყვნენ დაეყენებინათ რუსეთის ცენტრალურ რაიონებში ტყეების შენარჩუნების საკითხი.“

ტყეების განადგურების მაგალითად გამოდგება უკრაინის ტყეები, რომელთა ფართობი „1861 წლიდან 1914 წლამდე

უკრაინის მაშინდელ გუბერნიებში 2,3 მლნ. ჰა-თი შემცირდა, ანუ 1/3-ით“.

მიწის კერძო საკუთრების პირობებში ტყეთა დაცვის ცალკეულ მცდელობებს არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ტყეებს ფრიად სუსტად ითვისებდნენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაანგრია ბურჟუაზიული წყობილება. მასთან ერთად ლიკვირებული იქნა ეკონომიკური საფუძვლები კაპიტალისტური ტყეთმოწყობისა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან ტყეების აღრიცხვასა და მოწყობას დიდი ყურადღება ეთმობოდა.

საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1918 წლის 27 მაისის ვ.ი. ლენინის მიერ ხელმოწერილ დეკრეტში ტყეების შესახებ ნათქვამი იყო, რომ „ტყეები მოწყობილ ინდა იქნას ტექნიკური თვალსაზრისით, უნდა იყოს ტყის მეურნეობის დაწვრილებითი ტექნიკური გეგმები და ამომწურავი საკადასტრო აღწერა“. დეკრეტის 76-ე სტატიაში მოცემული იყო დირექტივა ტყეების გაჩანაგებისაგან დასაცავად.

სოციალისტური ტყის მეურნეობის მიზანია ტყის სიმდიდრეთა ყოველმხრივი რაციონალური აღგენა და გაუმჯობესება, სახალხო მეურნეობის მერქანზე და ტყის სხვა პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნის განუწყვეტლივ დაკმაყოფილება, ტყეების მრავალგვარი დაცვითი და სასარგებლო ფუნქციების ყოველმხრივი გამოყენება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სატყეო მეურნეობა და ტყეთმოწყობა გადავიდნენ თავიანთი განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე, რომელიც სრულად პასუხობდა წარმოების სოციალისტური წესების ინტერესებს.

ძირეული ცვლილებები იქნა შეტანილი რუსეთის ტყის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საფუძვლებში, რამაც ახლებურად განსაზღვრა ტყეთმომწოდების როლიც.

1917-1925 წლებში ტყეთმომწოდება ფაქტიურად რეგლამენტირებული იყო 1911-1914 წლების ტყეთმომწოდების ინსტრუქციით.

კერძო საკუთრებაში არსებული ნაციონალიზებული ტყეების აღრიცხვისთვის 1918 წელს გამოიცა „ყოფილი კერძო საკუთრებაში არსებული ტყეების აღრიცხვისა და აღწერის წესები“. ეს ტყეები 1913 წლისთვის აღრიცხული იყო: მემამულეთა და ვაჭართა – 39 მლნ. ჰა; გლეხთა – 14 მლნ. ჰა; სამონასტრო, საეკლესიო და სხვა – 3 მლნ. ჰა.

1924 წელს გამოიცა „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოწოდების ინსტრუქცია“.

1926 წელს გამოიცა „რსფსრ-ს საერთო-სახელმწიფო ტყეების მოწოდების, რევიზიისა და სატყეო ეკონომიკური გამოკვლევის ინსტრუქცია“.

1926 წლის ინსტრუქციამ შეინარჩუნა რა ცნობილი მემკვიდრეობითი კავშირი 1914 წლის ტყეთმომწოდების ინსტრუქციასთან, შეიტანა მასში რიგი ცვლილებებისა და ახალი მომენტებისა. მასში ზუსტად განისაზღვრა ტყის მეურნეობის ცნების რაობა, ძირითადი ამოცანები, რასაც სახალხო მეურნეობა უყენებდა ტყის მეურნეობას და ტყეთმომწოდების საბოლოო მიზანი.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო მოუწოდებელი ტყეების უზარმაზარი ფართობი. ყოფილი კერძო საკუთრებაში მყოფი ტყეების საგეგმო მასალა განადგურებული იყო. მოუწოდებელი ტყეების ექსპლუატაცია მძიმე შედეგის მომტანი იყო მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ამიტომ სახალხო მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ტყეების სასწრაფოდ მოწოდება.

ამ ინსტრუქციაში დიდი ყურადღება დაეთმო მოსაწეობი სატყეოების ეკონომიკური პირობების შესწავლას, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების გამოვლენას, სატრანსპორტო გზების დახასიათებას და ა.შ.

ტყეების აღწერისა და კლასიფიკაციისათვის შემოღებულ იქნა ტყის ტიპები.

ინსტრუქციის მიერ აღიარებულ იქნა ტყეთმომწოდებისას აეროფოტოგადაღების მასალების გამოყენების აუცილებლობა. ტყეების მოწოდება განხილულ იქნა, როგორც საგანგებო დავალება, რაც თავისთავად მოითხოვდა განსაკუთრებულ მიდგომებს.

სპეციალური თავები მიეძღვნა ტყეების ეკონომიკურ კვლევას და ფართო ტყის ვრცელი მასივების ეკონომიკური კვლევის თავისებურებებს.

1926 წლის ინსტრუქციამ მთლიანად უარყო პერიოდულ-ფართობრივი მეთოდი და საბოლოოდ შემოღებულ იქნა ხნოვანებითი კლასების მეთოდი.

მასში განვითარებული იქნა სამეურნეო ნაწილების და მეურნეობების (სამეურნეო სექციები) ჩამოყალიბების საფუძვლები, დადგინდა ჭრისბრუნვის და მთავარი სარგებლობის ყოველწლიური ოდენობის დადგენის წესები.

1926 წელს ინსტრუქციის შემუშავებაში ჩართული იყვნენ ტყეების მმართველობისა და ტყეთმომწოდების პარტიების მთელი რიგი სპეციალისტები. ძირითად მასალად – გარდა 1914 წლის ინსტრუქციისა, გამოყენებულ იქნა პროფ. მ.მ. ორლოვის ტყეთმომწოდების ინსტრუქციის პროექტი.

1937-1947 წლების პერიოდში აღორძინდა პრაქტიკული ტყეთმომწოდება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული „მთავარტყისდაცვის“ სისტემაში.

1945 წლამდე ტყეთმომწოდებაში გამო-

იყენებოდა: „ტყეთმოწყობის საველე სამუშაოების ინსტრუქცია“ (1937 წ.) და „სატყეო მეურნეობის ტყეთმოწყობის სამუშაოების მიხედვით ტყისგვეგმების შედგენის დროებითი წესები“ (1938 წ.).

1946 წელს გამოიცა „წყალდამცავი ტყეების მოწყობისა და რევიზიის ინსტრუქცია“, რომელიც სსრკ სატყეო მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ რამდენიმე დამატებით 1950 წლამდე გამოიყენებოდა სსრკ სახელმწიფო ტყის ფონდის მთელს ტერიტორიაზე.

ამ ინსტრუქციას საფუძვლედ დაედო წყალდამცავი ზონის სხვადასხვა ნაწილისადმი დიფერენცირებული მიდგომა, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდის სამ ჯგუფად დაყოფა.

სსრკ სატყეო მეურნეობის სამინისტროსადმი სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა ტყის გადაცემასთან დაკავშირებით წარმოიშვა სსრ კავშირის ყველა ტყისათვის ერთიანი ტყეთმოწყობის ინსტრუქციის შემუშავების აუცილებლობა.

ასეთი ინსტრუქცია შემუშავდა და დამტკიცდა 1951 წლის 29 ივნისს.

საბჭოთა ტყეთმოწყობის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება სსრკ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ შექმნით, ანუ 1947 წლიდან.

ეს პერიოდი ხასიათდება დიდი მოცულობის ტყეთმოწყობის სამუშაოებით.

წარსულის გამოცდილებამ და ტყეთმოწყობის სამუშაოთა წლითიწლობით მზარდმა ტემპმა მოითხოვა ძირეული ცვლილებების შეტანა ტყეთმოწყობის სტრუქტურაში როგორც ორგანიზაციული, ასევე მეთოდური და ტექნიკური მიმართულებით.

1951 წლის ინსტრუქციის ძირითად თავისებურებებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ინსტრუქცია მოიცავს სსრკ სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა ტყეს;
- ინსტრუქციის ძირითადი დებუ-

ლებები დიფერენცირებულია არამარტო ტყის ჯგუფების მიხედვით, არამედ ტყის ცალკეული კატეგორიების მიხედვით (შუა აზიის მთის ტყეები, განსაკუთრებული დანიშნულების ტყეთა ცალკეული სახეები), რამდენადაც ტყეების მიკუთვნება რომელიმე ჯგუფზე ჯერ კიდევ არ წყვეტდა ტყეთმოწყობის ტექნიკური დეტალების საკითხს;

- ტყის მეურნეობის ორგანიზაცია მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული იმ რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების პერსპექტივასთან, სადაც ტყეთმოწყობა ხორციელდება;

- ინსტრუქცია ითვალისწინებს ტყეთმოწყობის მასალების უსწრაფეს განხილვასა და დამტკიცებას;

- ინსტრუქცია დიდ ყურადღებას უთმობს მოსამზადებელ სამუშაოებს;

- ინსტრუქცია თვლის აუცილებელ პირობად აეროფოტოგადაღებისა და აეროტაქსაციის ფართოდ გამოყენებას.

1951 წლის ინსტრუქცია მიუთითებს ტყეთმოწყობის სამუშაოების განხორციელების სრულყოფილ მეთოდებზე იმ დროის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის სატყეო დარგისადმი წაყენებული ამოცანების წარმატებით განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ წარმოების ყველა სფეროში და მათ რიცხვში ტყეთმოწყობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების მაქსიმალური დანერგვით.

ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა ახალი ინსტრუქციის შექმნის აუცილებლობა სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეების მოწყობისათვის. ასეთი ინსტრუქცია გამოიცა 1964 წელს.

ამ ინსტრუქციის ძირითადი დებულებები ითვალისწინებენ ტყეების ინვენტარიზაციისა და ტყეთმოწყობის პროექ-

ტების შემუშავების მეთოდების და ტექნიკური ხერხების შემდგომ სრულყოფას სატყეო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

1964 წლის ინსტრუქცია ითვალისწინებს აეროფოტოგადაღების მასალების ფართოდ გამოყენებას, რაც საშუალებას იძლევა არა მარტო დაზუსტებულ იქნას სხვადასხვა ფართობების საზღვრები, არამედ დადგენილ იქნას ხეწარბის ზოგიერთი ტაქსაციური მაჩვენებლები.

დაინერგა ასევე ინვენტარიზაციისა და საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების მექანიზებული შედგენისა და გამრავლების მეთოდები. ტყეთმოსწობის ინფორმაციის დამუშავებისას ფართოდ გამოიყენება ელექტრო-გამომთვლელი მანქანები.

1964 წელს გამოცემული ტყეთმოსწობის ინსტრუქცია ეფუძნება სოციალისტური სატყეო მეურნეობის გაფართოებულ აღწარმოებას და ტყის მეურნეობის დიფერენცირებულ ორგანიზაციას ბუნებრივი ზონებისა და ეკონომიკური რაიონების მიხედვით, ტყის ჯგუფებისა და ადგილსამყოფელის პირობების გათვალისწინებით.

ინსტრუქციაში ყურადღება ეთმობა ტყეების ყველა სასარგებლო თვისების კომპლექსურ გამოყენებასა და აღწარმოებას, არამარტო მერქნის მიღებისათვის, არამედ ყველა სხვა სახის სარგებლობისათვის, ასევე ტყეების დაცვითი როლის გამოყენებისათვის.

1964 წლის ტყეთმოსწობის ინსტრუქციის გამოსვლიდან გავიდა დროის მნიშვნელოვანი შუალედი (18 წელი). ამ პერიოდში გაიზარდა მოთხოვნილებები ტყის მეურნეობისადმი და თვით ტყეთმოსწობის სამუშაოებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

ტყის ტაქსაციის აერომეთოდების სფეროში მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა მეშვეობით შეიქმნა ტყეთმოსწობის წარმოების საფუძვლების ძირეული გარდაქმნის რეალური საფუძვლები და შემუშავდა ტყის ინვენტარიზაციის ახალი ტექნოლოგია, რომელიც ეფუძნება ნატურაში ტაქსაციისა და აეროფოტოსურათების კამერალური დეშიფრირების რაციონალურ თავსებადობას.

ამჟამად დგას კოსმოსური აეროფოტოგადაღების მასალების გამოყენების საკითხი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების (ეგმ) მიერ გადაწყვეტილ ამოცანათა ჩამონათვალი. ტყეთმოსწობის პროექტირებისათვის აუცილებელი თითქმის ყველა ცხრილი, სარგებლობის ოდენობის გათვლები და სხვა მასალები მუშავდება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მიერ.

გარდა ამისა, 1978 წლის 01 იანვრიდან მოქმედებაში შევიდა „სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სატყეო კანონმდებლობის საფუძვლები“ და ამიტომ მომწიფდა ტყეთმოსწობის არსებული ინსტრუქციის გადახედვის და ახალი ინსტრუქციის გამოცემის საკითხი, რომელიც აგებული უნდა ყოფილიყო „სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სატყეო კანონმდებლობის საფუძვლების“ ბაზაზე 1964 წლის ინსტრუქციისადმი ადრე მიღებული ცვლილებების გათვალისწინებით.

თავი II

ტყეთმოსწობის სამუშაოები ამიერკავკასიაში რეკონსტრუქციულ პერიოდში

ამიერკავკასიის მცენარეული სამყაროს შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად ამიერკავკასიის ბოტანიკური შესწავლა განხორციელდა მოგზაურ-მეცნიერის ტურნიფორის მიერ, რომელმაც ამიერკავკასიაში იმოგზაურა 1700-1702 წლებში (ტიფლისი, ეჩმიადინი, არაქსით არარატისკენ).

XIX საუკუნის დასაწყისში მეცნიერ-ბოტანიკოსმა მარშალ ბიბერშტეინმა პირველმა მოგვცა ცნობები კავკასიის ფლორის შესახებ (1808-1819 წწ).

1870 წლამდე პერიოდში კავკასიის ფლორას სწავლობდნენ მრავალი მკვლევარები, მათ შორის კასპიისპირეთი და ამიერკავკასია გამოკვლეული იყო ეიხვალდის, მოიერის, კოხის და რუპრეხტის მიერ. მათ მიერ ძალიან ბევრი გაკეთდა კავკასიის ფლორის შესწავლისათვის.

შემდეგი პერიოდი იწყება მედვედევის, ალბოვის, რადეს კლასიკური ნაშრომებით. ამ პერიოდს განეკუთვნება აგრეთვე ბუშის, ლიპსკის, კუზნეცოვის, ფომინის, პოვარნიცინის, ტროიცკის შრომები ამიერკავკასიის მცენარეულობის შესწავლის შესახებ.

მომდევნო პერიოდში ამიერკავკასიის ფლორას განსაკუთრებულად ინტენსიურად სწავლობდნენ. ამ პერიოდს მიეკუთვნება გულისაშვილის, დოლუხანოვის, მახათაძის, სახოკიას, მაცაშვილის, პრილიპკოს, კეცხოველის, თუმაჯანოვის და სხვათა შრომები.

ამ პერიოდში ხორციელდებოდა ამიერკავკასიის მცენარეული სამყაროს არა მარტო ბოტანიკურ-გეოგრაფიული კვლევები, არამედ გეობოტანიკური კვლევებიც, რომლებიც მოიცავდნენ მთელ კავკასიას.

უნდა ითქვას, რომ კავკასიის – კერძოდ ამიერკავკასიის მცენარეული სამყაროს საწყისი ძალიან ძველია, მისი ასაკი მომდინარეობს მესამეული პერიოდის სიღრმიდან.

კავკასიონის მთიანი სისტემის ფერდობზე ტყეების უხვად გავრცელებამ განაპირობა ტყის მეურნეობის ორგანიზაციის და ტყეების დეტალურად შესწავლის აუცილებლობა.

ტყის მეურნეობა კავკასიაში ხორციელდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ამ ტყეების შესწავლას და მათში სწორი ტყის მეურნე-

ობის განხორციელებას ჰქონდა უმნიშვნელო წარსული.

მკითხველის რევოლუციამდელი ეპოქის ტყის მეურნეობის ორგანიზაციის, ტყეთმოწყობის სამუშაოთა დაგეგმვისა და წარმოების საკითხებისადმი გაცნობის მიზნით „ამიერკავკასიაში ტყეთმოწყობის ისტორიის“ მატინეს ავტორები სთავაზობენ კავკასიაში რევოლუციამდელი პერიოდის ტყის მეურნეობის და ტყეთმოწყობის ისტორიის მოკლე ნარკვევს.

სატყეოებად და სატყეო აგარაკებად დაყოფილი ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ყარსის ოლქის ყველა სახაზინო ტყეები ადმინისტრაციული თვალსაზრისით შედიოდნენ კავკასიის მეფისნაცვალთან არსებულ „სახელმწიფო საკუთრების მთავარი სამმართველოს“ გამგებლობაში.

ამ სამმართველოსთან არსებობდა „სატყეო ნაწილის სამმართველო“, რომლის შტატში ირიცხებოდა 14 სპეციალისტი.

თითოეული გუბერნიის ადგილობრივ „სახელმწიფო საკუთრების სამმართველოში“ არებობდა „სამმართველო“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავარი მეტყევე. მართვის აპარატი კი შედგებოდა ორი – უფროსი და უმცროსი სატყეო რევიზორისგან და ერთი საქმეთა მწარმოებლისაგან.

1875 წელს დამტკიცდა „ინსტრუქცია სახელმწიფო საკუთრების სამმართველოსთან არსებული მეტყევე რევიზორებისათვის“.

1879 წლის სექტემბერში დამტკიცებულ იქნა სპეციალური ინსტრუქცია „ამიერკავკასიის მხარის მეტყევე კონდუქტორებისათვის“.

ამ ინსტრუქციაში განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული „დაკვირვებოდნენ ამორჩევითი წესით ხეების ჭრის წარმოებას“.

მომდევნო წლებში ადმინისტრაციული აპარატის რეორგანიზაციის შედეგად მიწისა და ტყის ყველა საკითხებს განაგებდა „მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო საკუთრების სამინისტროს კავკასიაში რწმუნებულის კანცელარია“. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო საკუთრების სამინისტროსთან არსებობდა „სატყეო დეპარტამენტი“.

1888 წელს სატყეო დეპარტამენტმა გამოსცა ცირკულარი (21/V-1888 წ. №1537), რომლითაც დამტკიცდა „დებულება ტყეების დაცვის შესახებ“, გათვალისწინებული იყო, რომ ყოველ გუბერნიაში „სახელმწიფო საკუთრების სამმართველოსთან“ ჩამოყალიბებულიყო „ტყეების დაცვის კომიტეტი“, რომლის ვალდებულება იქნებოდა მეთვალყურეობა ტყეებზე (მეტყველებისა და სატყეო რევიზორების მიერ), ტყის ჭრის წესების დაცვაზე, ასევე განსაკუთრებულად დაცვითი მნიშვნელობის ტყის უბნების გამოვლენაზე.

ცირკულარში კერძოდ ნათქვამი იყო, რომ აუცილებელია მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ტყეების მეტად საშიში განადგურების შესახებ, სახელდობრ იმ ტყეებისა, რომლებიც „ტყის დაცვის კომიტეტის“ მოთხოვნით და „დებულების“ თანახმად უნდა ირიცხებოდნენ დაცვით თანრიგში. „ტყის დაცვის კომიტეტს“ მიუთითეს, რომ მოეპოვებინა ცნობები გუბერნიის ფარგლებში ტყის ისეთი აგარაკების შესახებ, რომლებიც მიესადაგებოდა დასაცავ ტყეთა თანრიგს.

„ტყის დაცვის კომიტეტები“ არსებობდნენ ტიფლისის, ქუთაისის, ბაქოს და სხვა გუბერნიებში.

„ტყის დაცვის კომიტეტების“ ორგანიზაცია იყო დროული ზომა, რადგან იმ დროს ტყის მეურნეობა ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი დარღვევებით.

საარქივო მასალებში შემონახული ტყის რევიზორების პატაკების მიხედვით

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ტყეები დაუნდობლად ნადგურდებოდა. ასე მაგალითად: ვარციხისა და აჯამეთის ტყის აგარაკების 1878 წლის სამეურნეო აღწერაში ნათქვამია, რომ ტყის ამ ნაკვეთებში კორომები დაუნდობლად ნადგურდება.

სატყეო რევიზორების პატაკებიდან ჩანს, რომ სატყეოებში უხეშად ირღვეოდა ტყის ჭრის წესები.

სატყეო რევიზორების ინსტიტუტი შენარჩუნდა 1917 წლამდე.

მეტყვეთა კორპუსისადმი ბოლო 1914 წლის 4 აგვისტოს ბრძანების თანახმად მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების კავკასიის სამმართველოსადმი დაქვემდებარებული სატყეოები სარევიზიო რაიონების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ბაქოს გუბერნიაში და დაღესტნის ოლქში – 6 სატყეო;
2. ელიზავეტოპოლის გუბერნიაში – 13 სატყეო;
3. ტიფლისის გუბერნიაში – 22 სატყეო;
4. შავი ზღვა-ყუბანის რაიონში – 5 სატყეო;
5. ქუთაისის გუბერნიაში – 16 სატყეო;
6. ერევან-ყარსის რაიონში – 5 სატყეო.

სულ კავკასიაში იყო 67 სატყეო, რომლებსაც ემსახურებოდა 7 სატყეო რევიზორი.

რევიზორებს ევალებოდათ ტყის მეურნეობის სწორად წარმართვაზე ზედამხედველობა, რათა არ დაეშვათ ტყეების, განსაკუთრებით დაცვითი მნიშვნელობის ტყეების მტაცებლური განადგურება.

1896 წელს გამოცემული კავკასიის ტყეების ტყეთმოწყობის ინსტრუქციის ძირითადი დებულებების თანახმად კავკასიის ყველა ტყეები დაყოფილ იქნა ორ თანრიგად – I თანრიგს მიეკუთვნა ისეთი

ტყეები, რომლებსაც ამჟამადაც და შემდგომშიც ექნებოდა გასაღება, II თანრიგის კი – გასაღების არმქონე ტყეები, რომელთაც არც შემდგომში ექნებოდა გასაღება.

პირველ რიგში ეწყოფოდა I თანრიგის ტყეები.

ტყეთმოწყოების რევიზორები ადგილობრივი „სამმართველოების“ თანხმობით „კავკასიის მხარის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის რწმუნებულთან“ დასამტკიცებლად ყოველწლიურად წარმოადგენდნენ ტყეთმოწყოების სამუშაოთა მოცულობას.

კავკასიის ყველა ტყეები დაყოფილი იყო ტყეთმოწყოების ორ რაიონად: XIII – რაიონი დასავლეთის და XIV – აღმოსავლეთის.

დასავლეთის რაიონში შედიოდა შავი ზღვის მთელი სანაპირო სოხუმამდე, მათ შორის გუდაუთა და გაგრა, სტავროპოლის მხარე, კრასნოდარის მხარე და ყუბანი მთლიანად. ტყეთმოწყოების სამუშაოებს უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობდა ტყეთმოწყოების რევიზორი ნოიშევსკი.

აღმოსავლეთის რაიონში შედიოდნენ: ახერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ყარსის ოლქი. ტყეთმოწყოების სამუშაოებს 1917 წლამდე ხელმძღვანელობდა ტყეთმოწყოების რევიზორი მ.ა. ტრონოვი.

სამუშაოებს აწარმოებდნენ ტყეთმოწყოების პარტიები, რომელთა რაოდენობა წლების მიხედვით განსხვავებული იყო სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე და ასევე ტაქსატორებისა და მზომავების (ტყეთმოწყოების პარტიების „ჩინები“) მიხედვით.

ასე მაგალითად, ტყეთმოწყოების რევიზორის მარკგრაფის მიერ „კავკასიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო საკუთრების სამინისტროს რწმუნებულთან“ წარდგენილი პატაკიდან ჩანს, რომ 1884 წლიდან 1889 წლამდე ტყეთმოწყოების პარტიებში მუშაობდა:

1884 წ	1885 წ	1886 წ	1887 წ	1888 წ	1889 წ
11 კაცი	15 კაცი	14 კაცი	12 კაცი	12 კაცი	12 კაცი

1889 წელს სოხუმის სატყეოში ძვირფასმერქნიანი ბზის ტყეების მოსაწყოებად მუშაობდა სპეციალური ტყეთმოწყოების პარტია.

ამ დროს ბზის ტყეებში ტყეთმოწყოების სამუშაოთა წარმოების გამოცდილება და ძვირფასი ტყის მასივების მოწყოების არანაირი ინსტრუქცია არ არსებობდა. ამიტომ 1889 წელს ტყეთმოწყოების საცდელი სამუშაოები განხორციელდა ოჩამჩირის სატყეოში ძვირფასმერქნიანი ტყეების მცირე ფართობზე. 1890 წელს კი სამუშაოები დაიწყო სოხუმის სატყეოს ბზიფის ხეობის ბზის კორომებში.

სამუშაოები ხორციელდებოდა ტყეთმოწყოების პარტიის მიერ 6-7 კაცის შემადგენლობით (უფროსი ტაქსატორი პლევაკო, ტაქსატორების. ბაქრაძე, გურსკი, მალევიჩი და სხვები). სამუშაოები მიმდინარეობდა თითქმის სამი წელი. ჩატარეს დეტალური ინსტრუმენტალური გადაღება ბზის ტყეების ყველა უბნისა. ტყეთმოწყოების სამუშაოებში წვლილი შეიტანა ტყეთმოწყოების რევიზორმა მედვედევმა. ამ უკანასკნელის ძალისხმევით შედგენილ იქნა ძვირფასი ტყის მასივების ტყეების ტყეთმოწყოების სპეციალური ინსტრუქცია.

რეგულაციის წინა წლებში ტიფლისის, ქუთაისის, ერევნის, ბათუმის გუბერნიებში ორგანიზებულ იქნა 4 ტყეთმოწყოების პარტია.

წარსულ წლებში ჩატარებული ტყეთმოწყოების სამუშაოთა დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამუშაოებს აწარმოებდნენ ტყის ცალკეულ ნაკვეთზე და არა მთლიანად სატყეოში, როგორც მსხვილ სამეურნეო ერთეულში, რაც იმით აიხსნება, რომ

სახაზინო ტყეების მოწყობაზე უმნიშვნელო სახსრები გამოიყოფოდა.

რევოლუციამდელ პერიოდში ტყეთმოწყობის შესრულებული სამუშაოების მოცულობა განიხილება 1870 წლიდან 1917 წლის ჩათვლით.

ამ პერიოდში ჩატარებული ტყეთმოწყობის სამუშაოთა დაწვრილებითი საარქივო მონაცემები სამწუხაროდ არ არის შემონახული და ამიტომ იძულებული ვართ დავაკმაყოფილოდეთ მცირე მონაცემებით, რომლებიც კავკასიაში ჩატარებული ტყეთმოწყობის სამუშაოებზე მიახლოებულ წარმოდგენას შეგვიქმნიან.

1870 წელს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველომ მიიღო გადაწყვეტილება ბორჯომის, დიდიქანის, ლენქორანის და ლორეს სატყეოებში ტყეთმოწყობის დაწყების შესახებ 1871 წელს მივლინებულ იქნა სათადარიგო მეტყევე (ტაქსატორი) სიღნაღის სატყეოს ცალკეული სატყეო აგარაკების, შირაქის ქვესატყეოს და ბელოკლიუჩანსკის სატყეოს ტყეების მოსაწყობად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული მანგლისის ფიჭვის კორომზე.

1875 წელს მოეწყო აბასთუმნის სატყეო. ტყეთმოწყობა ითვალისწინებდა ამ სატყეოს საკურორტო მნიშვნელობას და თერმული წყლების აუზში განლაგებული ამ ტყეების განსაკუთრებულ წყალდამცავ მნიშვნელობას.

გამოჩენილმა მეცნიერმა პროფ. ვირხოვმა 1881 წელს მოინახულა რა აბასთუმანი, თვლიდა, რომ აბასთუმანი თავისი კლიმატური მონაცემებით წარმოადგენს საუკეთესო კლიმატურ სადგურს ფილტვებით დაავადებულთათვის.

1880 წელს სწავლული მეტყევის მედვედევის ხელმძღვანელობით განხორციელებულ იქნა მაღალხარისხოვანი სამუშაოები გურიის და რაჭის სატყეოების ძვირფას ტყის მასივებში.

ამავე წლებში მოეწყო ერევნის სა-

ტყეოს ტყეები და დაწყებულ იქნა ბათუმის გუბერნიისა და საზოგადოებრივი ტყეების მოწყობა.

1895-96 წლებში მოეწყო ფსოუს აგარაკი მდ. ფსოუს აუზში 24,2 ათას დესეტინაზე და მზიმთის – 46,0 ათას დესეტინაზე.

1897 წელს მოეწყო ბაღდათის ტყის აგარაკი ბაღდათის სატყეოში 31,7 ათას დესეტინაზე (34,5 ათასი ჰა), მათ შორის წიწვოვანი ჯიშების – 10,7 ათას დესეტინაზე. აღსანიშნავია, რომ დიდ ფართობზე აღმოჩენილ იქნა ნაძვის ლაფანჭამია. მეტყევეს მიეთითა, რომ მოცილებინა დაზიანებული ნაძვის ხეები.

ამავე წლებში მოეწყო სახაზინო ზურნაბადის ტყის აგარაკი ელიზავეტოპოლის სატყეოში 50,2 ათას დესეტინა ფართობზე.

დიდი ყურადღება დეთმო საადგილმამულო უწყების ბორჯომის „მამულის“ მოწყობას. კავკასიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველოს მითითებით 1900 წელს გაგრძელდა 1898-1899 წლებში დაწყებული ბორჯომის ტყეების მოწყობა. სამუშაოებს აწარმოებდა 2 ტაქსატორი და 5 მეგემაგი.

სატყეო დეპარტამენტს 1900 წლის 14 დეკემბრის წერილით აცნობეს, რომ ტყეთმოწყობის სამუშაოები ბორჯომის სატყეო მამულში დამთავრდა.

1897 წელს მოეწყო კარაკლისის სახაზინო ტყის აგარაკი 7,3 ათას დესეტინაზე.

1898 წელს დაიწყო აღსტაფის, დიდიქანის და ახალციხის სატყეოების მოწყობა, 1899 წელს კი ეს სამუშაოები გაგრძელდა.

1899-1900 წლებში მოეწყო კახეთის, კარდენახის ტყის მასივები და ჯაგისმონის სატყეო აგარაკი. მანამდე, 1898 წელს ტყეთმოწყობის სამუშაოები განხორციელდა ბელოკლიუჩინსკის სატყეოს დარბაზისა და პრიტიუსკის ტყის აგარაკებში.

კავკასიაში მიწათმოქმედებისა და სა-

ხელმწიფო ქონების სამინისტროს რწმუნებულის მიერ შემოთავაზებული იყო (24.12.1897 წლის წერილი), რომ დამთავრებულიყო დაწყებული სამუშაოები ელიზავეტოპოლის სატყეოში და გაგრძელებულიყო დაწყებული სამუშაოები დილიჯანის სატყეოში ტარსაიჩაის, ზემო ქარავანსარაის და ქვემო ქარავანსარაის აგარაკებში 55,0 ათას დესეტინა საერთო ფართობზე, ასევე სამუშაოები დაეწყოთ სიღნაღის სატყეოში 43,0 ათას დესეტინა ფართობზე, ჭიათურისა და ვაზიანის სატყეო აგარაკებში.

ტყეთმოწყობის სამუშაოებში დიდი მონაწილეობა მიიღეს სწავლულმა მეტყევეებმა გამრეკელმა და მედვედევმა, რომლებიც იმ დროს ხელმძღვანელ პოსტებს იკავებდნენ კავკასიის მიწათმოქმედების სახელმწიფო ქონების სამმართველოში.

1878 წელს მათი მონაწილეობით შედგენილ იქნა ბორჯომის მამულის სამეურნეო გეგმა, და საერთოდ, მათ მიერ განხორციელებული იყო დიდი სამუშაოები ტყის მეურნეობის ორგანიზაციისათვის.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყომათი სამუშაოები XIX საუკუნის ბოლოს, როცა მოეწყო ბევრი ტყეს მასივები, მათ შორის: ბზიფის ტყის მასივი, ძვირფასი ბზის ტყეები, სოხუმის ტყე მასივები, ერევნის სატყეო, ბათუმის ტყეები.

მედვედევმა და გამრეკელმა შეიმუშავეს „სტატისტიკური აღრიცხვისა და გეგმის შედგენის ინსტრუქცია“.

შედგენილ იქნა მითითებები ტყეთმოწყობის განხორციელებისათვის ცალკეული ობიექტებისათვის ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

სატყეოს ტექპერსონალის მიერ ტყეთმოწყობის ინსტრუქციის, სპეციალური მითითებების, ასევე სამეურნეო საკითხების უკეთ ათვისების მიზნით, ყველა ეს მასალა გამრეკელოვის მიერ გადაითარგმნა ქართულ ენაზე.

საქართველოში გამარტივებული წესებით მოეწყო ტიფლისის ქვესატყეოსა და თელავის სატყეოს აგარაკები (ზემო და ქვემო ხოდაშენი, თელავის, შალაურის, კალაურის, შაშიანის, ურბნათუნის და სხვა), თიანეთის ქვესატყეოს აგარაკები (პანკისის, ორვილის, ილტოს, ივრის, ერწოს და სხვა).

დიდი რაოდენობით აგარაკები მოეწყო ღუშეთის სატყეოში, ახალქალაქის ქვესატყეოში, რომელიც დაუნდობლად იჩეხებოდა, ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთი აგარაკი (რომელიც მეფე სოლომონს ეკუთვნოდა), აჯამეთის, ვარციხის, ქვემო ჩირის აგარაკები, რომლებიც მაშინ ერთიან ტყის მასივს წარმოადგენდა.

მოეწყო ზოგიერთო ტყის აგარაკები გორის გუბერნიაში, ასევე რაჭის ზონაში – სადმელის, გლოლის, ჭიორის, ღების აგარაკები და სხვა.

ტყეთმოწყობის სამუშაოები დიდ ფართობზე წარმოებდა ყარსის ოლქში, საროყამიშში და არდაგანში. მხოლოდ 1886-1888 წლებში მოეწყო 153,0 ათასი დესეტინა. ტყეთმოწყობის პარტიის მუშაკთა დამოწმებით ამ ადგილებში სამუშაოები წარმოებდა რთულ, განსაკუთრებულად არასახარბილო და სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში.

1900 წლის ანგარიშის მონაცემებიდან ჩანს, რომ ტყეთმოწყობის სამუშაოები დასრულებულ იქნა:

- ბორჯომის მამულში;
- სიღნაღისა და ახალციხის მაზრების დაცვით აგარაკებში;
- ყაზახის მაზრის ელიზავეტოპოლის გუბერნიის ქარავანსარაისა და ჩურუსლანის სატყეოს აგარაკებში;
- ახალციხის მაზრის ჯელისმანის ტყის აგარაკში.

ამავე დროს დამთავრდა ტყეთმოწყობის სამუშაოები აღსტაფის სატყეოს ჯავის აგარაკში 50,0 ათას დესეტინაზე და დილიჯანის სატყეოს ტარსაჩაის აგარაკში 30,0 ათას დესეტინაზე.

გარდა ამისა ტყეთმოწყობის სამუშაოები დამთავრდა შამშადინის სატყეოში ჰასანის სატყეოს აგარაკში 8,9 ათას დესეტინაზე და თაუზის ტყის აგარაკში 33,8 ათას დესეტინაზე.

1900 წლის აპრილში ჩატარდა ყუბანისა და შავი ზღვის გუბერნიების მეტყევეთა ყრილობა. ყრილობაზე განიხილეს ტყის მეურნეობის გაძღოლის, ტყეთმოწყობის საკითხები, კერძოდ, განიხილეს მთიან პირობებში ამორჩევითი ჭრების საკითხი.

ყრილობის დადგენილებაში ჩაიწერა: „ამორჩევით ჭრებისას ფერდობების გადარეცხვისა და მანვე შედეგების თავიდან ასაცილებლად მოსაჭრელი ხეები შერჩეულ იქნას ზომიერი რაოდენობით და შესაძლოდ თანაბარი რაოდენობით მოსაჭრელ ფართობზე. წინასწარი დადაღვა აუცილებელია.“

კავკასიაში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო საკუთრების სამინისტროს რწმუნებულისადმი „სამმართველოს“ უფროსის 1903 წლის დეკემბრის მოსხუნებიდან ირკვევა, რომ ტყეთმოწყობის სამუშაოები 1904 წელს დაიგეგმა 269,2 ათას დესეტინაზე, მათ შორის:

- ოჩამჩირის სატყეოში - 130,5 ათას დესეტინაზე;
- რაჭის სატყეოში - 20,4 ათას დესეტინაზე;
- მარტყოფი-იორის სატყეოს კარუხის სატყეო აგარაკში - 0,5 ათას დესეტინაზე;
- ახალციხის სატყეოს, ჭობოროჩაის სატყეო აგარაკში - 2,8 ათას დესეტინაზე;
- სვანეთის სატყეოში - 115,0 ათას დესეტინაზე.

1902 წელს ტყეთმოწყობის სამუშაოები წარმოებდა 48,6 ათას დესეტინა ფართობზე, მათ შორის:

ტიფლისის გუბერნია
- ახალციხის მაზრა. ქობლიანის სატყეო

გოდერძის აგარაკი - 1,7 ათასი დესეტინა;

უტყისუბნის აგარაკი - 1,6 ათასი დესეტინა;

- გორის მაზრა. გორის სატყეო ახალდაბის აგარაკი - 0,7 ათასი დესეტინა;

- თელავის მაზრა.

ფშაველის აგარაკი - 23,0 ათასი დესეტინა;

ბაქოს გუბერნია

- კუბის მაზრა. იალამის აგარაკი - 8,0 ათასი დესეტინა;

- გეოქაის მაზრა. პირამაშინის აგარაკი - 13,6 ათასი დესეტინა;

1904-1909 წლებში მიერკავკასიაში განხორციელებული ტყეთმოწყობის სამუშაოების შესრულების მონაცემები არ შემონახულა.

1909 წელს ტყეთმოწყობის სამუშაოები წარმოებდა შემდეგ გუბერნიებსა და ოლქებში:

- დაღესტნის ოლქი და ბაქოს გუბერნია - 30 ათასი დესეტინა;

- ტიფლისის გუბერნია - 27,1 ათასი დესეტინა;

- ყარსის ოლქი - 26,9 ათასი დესეტინა;

- თერგის ოლქი - 8,0 ათასი დესეტინა;

- ყუბანის ოლქი - 8,4 ათასი დესეტინა;

- ელიზავეტოპოლის გუბერნია - 12,7 ათასი დესეტინა;

1910 წელს ტყეთმოწყობის სამუშაოები წარმოებდა კავკასიის ტყეთმოწყობის აღმოსავლეთ რაიონში 69,0 ათას დესეტინაზე, დასავლეთ რაიონში კი - 27,8 ათას დესეტინაზე. მათ შორის:

- ერევნის სატყეოში - 13,8 ათას დესეტინაზე;

– გაგრის სატყეოში – 14,0 ათას დესეტინაზე.

„რწმუნებულის“ მიერ 1911 წლის 10 მაისს რევიზორ ტრონოვისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ 1911 წელს ტყეთმომწეობის სამუშაოები ხორციელდება:

– ლენქორანის სატყეოში – 3,0 ათასი დესეტინა;

– ელიზავეტოპოლის სატყეოში, ზურნაბადის აგარაკში – 25,6 ათასი დესეტინა;

– ახალციხის სატყეოში – 28,0 ათასი დესეტინა;

– გალღიდაჩანის აგარაკში – 6,6 ათასი დესეტინა;

– შაგალინის აგარაკში – 5,6 ათასი დესეტინა;

– ბელოკლუჩინსკის სატყეოში – 17,6 ათასი დესეტინა;

– ბზიფის აგარაკში – 57,2 ათასი დესეტინა;

– საირმეში – 12,4 ათასი დესეტინა; 1911 წელს ტყეთმომწეობის XIV რაიონში (ტყეთმომწეობის რევიზორი – მ.ა. ტრონოვი) მოწეობილ იქნა:

– ზურნაბადის სატყეოში სეიფადორის აგარაკში – 8,3 ათასი დესეტინა;

– ახალციხის აგარაკის რევიზია – 25,5 ათასი დესეტინა;

– სტავროპოლის გუბერნიის წყალდაცვითი აგარაკების რევიზია და მოწეობა – 10,0 ათასი დესეტინა;

– ელიზავეტოპოლის სატყეოში, ზურნაბადის აგარაკი – 8,2 ათასი დესეტინა;

– სტავროპოლის სატყეო – 5,3 ათასი დესეტინა;

– კრესტიანსკის წყალდაცვითი აგარაკი – 3,9 ათასი დესეტინა;

1912 წელს აღმოსავლეთის ტყეთმომწეობის რაიონში მოეწეო 5 სატყეო 280,7 ათასი დესეტინა საერთო ფართობით.

– ვლადიკავკაზის სატყეო – 173,4 ათასი დესეტინა;

– სტავროპოლის სატყეო – 48,4 ათასი დესეტინა;

– ლენქორანის სატყეო – 8,8 ათასი დესეტინა;

– ელიზავეტოპოლის სატყეო – 25,6 ათასი დესეტინა;

– თალიშის სატყეო – 24,5 ათასი დესეტინა.

სამუშაოებს აწარმოებდა სამი ტყეთმომწეობი პარტია.

კავკასიის აღმოსავლეთის ნაწილის ტყეთმომწეობის რევიზორის 1917 წლის დეკემბრის მოხსენებიდან ჩანს, რომ 1909-1916 წლების, ანუ 8 წლის განმავლობაში ტყეთმომწეობის სამუშაოებმა მოიცვა 222,7 ათასი დესეტინა ფართობი, მათ შორის:

– ტიფლისის გუბერნია – 26,8 ათასი დესეტინა

– ელიზავეტოპოლის გუბერნია – 81,6 ათასი დესეტინა;

– ბაქოს გუბერნია – 114,3 ათასი დესეტინა.

ამავე წლებში ტყეთმომწეობის სამუშაოები განხორციელდა ბორჯომის ხეობის ტყეებში – წალვერის, ბაკურიანის და ახალციხის სატყეოებში. ეს სამუშაოები განხორციელდა ახალი, 1911 წლის ინსტრუქციის მიხედვით.

1909-1916 წლების პერიოდში ყარსის ოლქის, არდაგანისა და სოროყამიშის ტყის მასივების, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ტყეების მნიშვნელოვანი ფართობი მოიცვა ტყეთმომწეობის სამუშაოებმა, რომლებიც განხორციელებული იყო კავკასიაში ბაზირებული ტყეთმომწეობის პარტიების მიერ. 1914 წელს თურქეთთან საომარი მდგომარეობის გამო ყარსის, არდაგანის და სოროყამიშის ოლქებში ტყეთმომწეობის სამუშაოები შეჩერდა.

1917 წელს მოეწეო გავაზის აგარაკი 23,7 ათას დესეტინაზე (25,8 ათასი ჰა)

და ტყეთმოწყოობის სამუშაოები დასრულდა საირმეში 9,5 ათას დესეტინაზე.

ამ მცირე ნარეკვევით ვამთავრებთ რევოლუციამდელ ეპოქაში ამიერკავკასიაში ტყის მეურნეობის და ტყეთმოწყოობის ორგანიზაციის, ტყეთმოწყოობის შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენს მიერ გამოყენებული იყო ვრცელი საარქივო მასალები, რომლებიც ეხებოდა ამ საკითხებს და რაც იყო მიკვ-

ლეული საარქივო მასალებში, კპოვეს ასახვა ნარეკვევში.

კავკასიაში რევოლუციამდელ პერიოდში წარმოებულ სამუშაოთა უფრო სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მატიანეში შეგვეტანა როგორც საცნობარო მასალა, ზოგიერთი მონაცემები ამიერკავკასიაში სატყოებისა და სატყეო აგარაკების ფართობების შესახებ. ეს მონაცემები კი ასეთია.

ცხრილი1

ტყეების განაწილება სატყეოების მიხედვით
1882 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

გუბერნიებისა და სატყეოების დასახელება	სატყეო აგარაკების რაოდენობა	ფართობი, ათასი დესეტინა	
		საერთო	სატყეო
ტიფლისის გუბერნია			
ახალციხის სატყეო	14	25,8	21,5
ახალქალაქის სატყეო	12	14,6	6,3
აბასთუმნის სატყეო	18	34,6	26,8
თეთრიწყაროს სატყეო	11	21,1	20,2
გორის სატყეო	39	24,7	24,3
დუშეთის სატყეო	10	49,0	49,0
ალაზნისგალმა სატყეო	7	62,2	46,2
ყარაის სატყეო	7	17,0	9,8
ლორეს სატყეო	12	53,6	45,3
მარტყოფის სატყეო	10	15,6	13,0
საგურამო-გლდანის	8	17,0	16,6
თიანეთის სატყეო	31	138,4	138,4
სიღნაღის სატყეო	8	60,4	56,0
შირაქის სატყეო	13	17,0	17,0
ჯამი	200	551,0	490,4

ცხრილი 2

ტყეების განაწილება სატყეოების მიხედვით
1912 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

გუბერნიებისა და სატყეოების დასახელება	სატყეო აგარაკების რაოდენობა	ფართობი, ათასი დესეტინა	
		საერთო	ტყის
ქუთაისის გუბერნია			
ქუთაისის სატყეო	11	8,8	3,7
ტყიბულის სატყეო	17	10,0	5,6
ბაღდათის სატყეო	3	59,6	52,2
შორაპანის სატყეო	23	23,6	19,5
რაჭის სატყეო	19	124,9	49,3
სამეგრელოს სატყეო	14	53,5	31,6
გურიის სატყეო	21	77,6	49,3
სვანეთის (ჩუბისხევის აგარაკი)			
სოხუმის სატყეო	5	74,8	40,2
ოჩამჩირის სატყეო	11	225,5	112,2
ბათუმის სატყეო	20	110,3	62,5
ზემო აჭარის სატყეო	10	86,8	49,7
ართვინის სატყეო	25	350,7	92,7
ჯამი	180	1321,1	638,5

ცხრილი 3

ტყეების განაწილება გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით
1912 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

გუბერნიებისა დამაზრების დასახელება	ფართობი, ათასი დესეტინა	
	საერთო	ტყის
ერევნის გუბერნია		
ერევნის მაზრა	22,2	15,7
ეჩმიადინის მაზრა	32,6	11,0
დარაჩიჩაგის მაზრა	8,3	6,4
ჯამი	63,1	33,1
ბაქოს გუბერნია		
ლენქორანის მაზრა	213,3	107,9
ბაქოს მაზრა	4,9	4,9
შემახის მაზრა	27,7	14,7
კუბის მაზრა	148,1	63,1
გეოკჩაის მაზრა	46,5	30,0
ჯამი	440,5	220,6
ელიზავეტოპოლის გუბერნია		
ყაზახის მაზრა	178,0	126,1
ელიზავეტოპოლის მაზრა	86,1	57,8
ჯევაქშირის მაზრა	51,4	29,3
შუმის მაზრა	52,1	28,4
ნუხის მაზრა	104,7	70,4
არეშის მაზრა	14,0	5,5
ჯებრაილის მაზრა	24,9	15,3
ჯამი	511,2	332,8
სულ	1014,3	586,5

ამიერკავკასიაში მენშევიკებისა და მუსავატელების მმართველობის წლებში ტყეთმოწეობის სამუშაოები შემცირდა და მათი მოცულობა უმნიშვნელო იყო.

საქართველოში მოეწყო მხოლოდ ატენის სატყეო, ჩათახის სატყეო აგარაკი და სხვა უმნიშვნელო ფართობის ობიექტები.

ტყეთმოწეობის რევიზორის მ.ა. ტრონოვის მოხსენებიდან ირკვევა, რომ 1918

წელს ტიფლისის გუბერნიაში უნდა დამთავრებულიყო გოდერძის სატყეო აგარაკის მოწეობა 2,6 ათას დესეტინაზე, თაუზის – 21,0 ათას დესეტინაზე, კიუჩუგუტის – 7,0 ათას დესეტინაზე და ბაქოს გუბერნიაში შარდინის სატყეო აგარაკში 12,0 ათას დესეტინაზე და საგარაუდოდ იგეგმებოდა აღსტაფის სატყეოს მოწეობა 36,0 ათას დესეტინაზე.

**საქართველოში ტყის მრეწველობის
ჩასახვის და განვითარების მოკლე
ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი
(1875-1975 წლები)**

მთავარი რელაქტორისაბან: საქართველოს სატყეო მრეწველობის ცნობილმა სპეციალისტმა, შესანიშნავმა სამეურნეო ხელმძღვანელმა და მეცნიერმა ანტონ კოსიმ აღნიშნული ნაშრომი შეადგინა რუსულ ენაზე, მანქანზე ხელით ნაბეჭდი სახით გაამრავლა და 1970-იანი წლების მეორე ნახევარში გაავრცელა სატყეო მეურნეობის და ტყის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებზე, და ასევე ცალკეული ეგზემპლარები საჩუქრად გადასცა სატყეო დარგის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და მეგობრებს.

ამჯერად, აღნიშნული ნარკვევი ბეჭდური ფორმით პირველად გამოიცემა ქართულ ენაზე და მიგვაჩნია, რომ მისი გაცნობა დიდ სარგებლობას მოუტანს საქართველოში სატყეო საქმის ისტორიით და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და დარგის მეცნიერ-მუშაკებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, მომავალ თაობებს.

რუსულიდან თარგმნა მარინე ამბარღნიშვილმა.



საქართველოში ეკონომიკის განვითარების ყველა ეტაპზე ხე-ტყის მრეწველობას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ი.ს. მედვედევის (1882 წ.) მონაცემების მიხედვით მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ტყეების ფართობი 2998 ათ. ჰა-ს შეადგენდა; აქედან 55% სახაზინო, ანუ სახელმწიფო საკუთრება გახლდათ, 45% კი – მეტწილად ძვირფასმერქნიანი ტყეთა მასივები, კერძო მფლობელებს ეკუთვნოდა.

იმ დროში მერქნის და ტყის სხვა რესურსების გამოყენებას ვიწრო მომხმარებლური ხასიათი ჰქონდა, ტყეები ზოგჯერ სპეციალურად ნადგურდებოდა კიდევ სახნავ-სათესი მიწების გაფაროების მიზნით.

ხე-ტყის დამზადება შედარებით ინტენსიურად წარიმართებოდა მდ. მტკვრის

აუზში გავრცელებულ წიწვიან ტყეებში, ამჟამინდელი ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონებში.

სამშენებლო ტყეს მდ. ქვაბლიანზე მორებად, ხოლო მდ. მტკვარზე ტივების სახით აცურებდნენ, ქ. ბაქომდე კი – დახერხილი სახით გადაჰქონდათ.

მდ. მტკვარზე ხე-ტყეს თბილისამდე ტივების სახით 1926 წლამდე, ზაჰესის ჰიდროელექტროსადგურის აშენებამდე, აცურებდნენ, რის შემდეგ კაშხალმა ამ საქმიანობას გზა გადაუკეტა.

საერთოდ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი 1880-იანი წლებიდან, კაპიტალისტური წარმოების წესის შემოჭრის კვალობაზე.

ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რკინიგზის მშენებლობამ, შემდგომში კი ძვირფასმერქნიანი ხე-ტყის მასალის საერთაშორისო ბაზრებზე, ძირითადად, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების ბაზარზე გატანამ.

1871 წელს დამთავრდა თბილისი-ფოთის რკინიგზის მშენებლობა, 1888 წელს საქსპლუატაციოდ გადაეცა თბილისი-ბაქოს რკინიგზა, ასევე სამტრედიის-ბათუმის რკინიგზის ხაზი, რის შედეგადაც დიდი მოთხოვნა გაჩნდა შპალებზე, გადასათრევ ძელებზე და გზის სხვა აღჭურვილობაზე.

ამ მიზნით ბოლნისის, თეთრიწყაროს რაიონებში და კახეთის ტყეებში დიდი ოდენობით ამზადებდნენ მუხისა და თელის სახეობის შპალებს ფართოლიანდაგიანი რკინიგზისათვის. შპალებს ამზადებდნენ, ასევე, აჯამეთის მუხნარებსა და საქართველოს ქვედა ზონის ტყეებშიც.

1885-90 წლებში გერმანელმა ხე-ტყის მრეწველმა ზეზემანმა გორის რაიონში დაიწყო ატენის ხეობის ფიჭვნარების ექსპლუატაცია. აქედან ხე-ტყე გაჰქონდათ სპეციალურად გაყვანილ ვიწროლიან-

დაგიანი რკინიგზით თავდაპირველად სოფ. ატენამდე, სადაც ხე-ტყის სახერხი ქარხანა მდებარეობდა, ხოლო შემდგომში ქ. გორამდე, სადაც აღნიშნული ქარხანა გადაიტანეს. ამ ქარხანაში მზადდებოდა ფიჭვის შპალები ფართოლიანდაგიანი რკინიგზისათვის, და ასევე იხერხებოდა სხვადასხვა სორტიმანტებად.

ბევრ ადგილას შპალების წარმოების თანადროულად საკასრე მასალაც მზადდებოდა, მ.შ. აჯამეთის ტყეებში სპეციალურად ამზადებდნენ ფიცარს საღვინე კასრებისათვის.

აფხაზეთის მაღალმთიან ტყეებში დიდი რაოდენობით მზადდებოდა ყავარი, რომელიც საპალნით ჩამოჰქონდათ ბარში.

აჭარისა და და გურიის ქვედა ზონის, ასევე კახეთის ტყეებში მზადდებოდა კაკლის, მუხის, ჭადრის, ნეკერჩხლის, ბოყვის, ანუ მთის ნეკერჩხლის ძვირფასი მერქანი, რასაც ანათალი ფანერის საწარმოებლად იყენებდნენ.

კოლხეთის დაბლობის ტყეებში შერჩევით იჭრებოდა იფანი, თელა, მუხა, საურმე თვლების რკალისათვის, ასევე დასახერხად.

ხე-ტყის დამზადებას მხოლოდ ამ ჩამონათვალისათვის (შპალები, ყავარი, კასრის ფიცარი, საფანერე და სხვ.) საძიებო ხასიათი ჰქონდა. ჭრიდნენ გარკვეული სახეობების საუკეთესო ხეებს, რის გამოც ტყეები ჩანაგდებოდა, უფასურდებოდა და ნადგურდებოდა, განსკუთრებით ქვედა ზონაში. თუ ამ საკითხს რეტროსპექტულად განვიხილავთ, ა.ს. მარჯანიშვილის აზრით (1959 წლის ხელნაწერი), საქართველოს ტერიტორიის ბევრ ადგილას „ტყიანი ადგილების მხოლოდ სახელებიდა შემორჩა. მაგ.: მუხრანი, მუხური (მუხნარი), წაბლის-ხევი, კოპიტნარი, ძელქვიანი, ბროწეულა, ბიჭვინთა, შინდისი და სხვ.“

აფხაზეთის ტყეებსა და სვანეთის

წიწვოვან ტყეებში დიდტანიან ხეებზე ამჟამადაც შეინიშნება წარსულში გაკეთებული ჭდეები, რითაც მიენიშნებოდა მერქნის სწორშრიანობა და ვარგისიანობა ყავრისათვის. ის ხეები, რომლებიც ამისთვის რაღაც მიზეზით გამოუსადეგარნი აღმოჩნდნენ, ნაჭდევე ლპებოდა და ხეც უფასურდებოდა. შემდგომში ყავრის დამზადების ადგილები ძვირფასმერქნიანი ტყეების დაავადების კერებად გადაიქცა.

რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო ახლომდებარე ტყეების მტაცებლურ გამოყენებას.

ერთიც უნდა აღინიშნოს: ხე-ტყის მრეწველობის შემდგომი განვითარება მხოლოდ რკინიგზის ქსელის გაფართოებას არ უკავშირდება.

XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში კაპიტალის მფლობელი ადგილობრივი ხე-ტყის მრეწველები და უცხოელი კონცესიონერები ისწრაფოდნენ მთებისკენ, სადაც ეგულებოდათ ვრცელი სოჭნარ-ნაძენარების საუკუნოვანი მწიფე მერქნის მარაგები და ხე-ტყის დასაცურებლად ვარგისი მდინარეები.

იმ დროს ყველაზე მსხვილ მეწარმეთაგან შეგვიძლია დავასახელოთ:

– იტალიური ფირმა „ბრ. სბროევაკო“, რომელმაც ხე-ტყის დამზადება და დაცურება გაზარდა მდ. ცხენისწყლის აუზში. ქვემო სვანეთის ტყეებში იტალიელთა თანადროულად ხე-ტყეს ამზადებდნენ ხე-ტყის მრეწველები მეგროვი და ხოროში;

– აფხაზეთში, კერძოდ კოდორის ტყეებში ხე-ტყის დამზადება დაიწყო ხე-ტყის მრეწველმა მაქსიმოვმა. მან ამ საქმეში დიდი კაპიტალი ჩაღო, მაგრამ მთელი რიგი მიზეზთა გამო საქმიანობა შეაჩერა.

– გაგრის რაიონში ხე-ტყეს ამზადებდა პრინცი ოლდენბურგსკი. შემდგომში აქ ჩამოყალიბდა „გაგრის სატყეო-საექსპორტო საზოგადოება“ ხე-ტყის

მრეწველი ბალაშოვის მეთაურობით, რომელმაც შექმნა ხე-ტყის ჩამოზიდვის (ჩამოტანის) სისტემა და ფლობდა ხე-ტყის სახერხ დანადგარებს;

– ზემო სვანეთის ქვედა ზონის ტყეებში ხე-ტყეს ამზადებდა და მდ. ენგურზე აცურებდა ვინმე არამიანცი;

– გურიაში, სურების ტყიან აგარაკზე ხე-ტყეს ამზადებდა ხე-ტყის დამამზადებელი ფრანგული ფირმა. ამავე რაიონში ხე-ტყეს ამზადებდა მსხვილი მეწარმე ლოლობერიძე;

– კოლხეთის დაბლობზე საუკეთესო ტყეებს ჩეხდნენ ადგილობრივი მრავალრიცხოვანი ხე-ტყის დამამზადებლები: ნაკაშიძე, ქავთარაძე, ხოშტარია, დიღია, გაბელია, საზოგადოება „ოქროს საწმისი“ და სხვა;

– რაჭის წიწვიან ტყეებში ხე-ტყეს ამზადებდნენ ადგილობრივი ხე-ტყის დამამზადებლები – მოსეშვილი და მოსიძე;

ბორჯომის საუფლისწულო წიწვოვან ტყეებში ხე-ტყის დამზადებას მეტნაკლებად მოწესრიგებული ხასიათი ჰქონდა.

ამრიგად, ხე-ტყის დამამზადებლები მიზანდასახულად ითვისებდნენ ხე-ტყის დასაცურებლად ვარგისი მდინარეების აუზში მდებარე ვრცელ სოჭნარ-ნაძენარებს. ასეთ მდინარეებს მიეკუთვნებოდა მტკვარი, რიონი, ცხენისწყალი, ენგური, კოდორი, ბზიფი, ასევე სუფსა და ჭოროხი.

მტკვარზე და რიონზე ხე-ტყეს ტივებად აცურებდნენ, დანარჩენ მდინარეებზე კი მორებად.

ხე-ტყის მორებად დაცურებისთვის ვარგისმა მთის მდინარეებმა ხე-ტყის მრეწველებს საშუალება მისცა მიმდებარე ტყეები აეთვისებინათ დიდი კაპიტალ-დაბანდებებისა და, რაც მთავარია, ძვირადღირებული სატყეო გზების გაყვანის გარეშე.

ამ მდინარეთა და მათ შენაკადთა

ხეობებამდე პრიმიტიული საურმე გზებითა და ბილიკებით გადაჰყავდათ მუშები და ხე-ტყის დამზადების ადგილებამდე გადაჰქონდათ მათთვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგე.

შემდგომში მაღალმთის ტყეებიდან ამავე ბილიკებით საპალნით გამოჰქონდათ ყავარი, საკასრე ფიცრის გასაკეთებელი ნაპობები, ბზა და სხვა ძვირფასი მერქანი.

ამრიგად, მთის წიწვოვან ტყეებში შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ხე-ტყის დამზადებამ საურმე გზების გაყვანა განაპირობა. ბზიფის, კოდორის, ენგურის, ქვემო სვანეთის, სადმელის ტყის ვრცელ მასივებში, სადაც ბევრი მწიფე და გაფუჭებული მერქანი დაგროვდა, საქართველოს გასაბჭოებამდე, თითქმის ყველგან საურმე გზები და ბილიკები იყო. ასეთი ბილიკები დღემდე შემორჩენილია.

ნიშანდობლივია, რომ ხე-ტყის მრეწველობა ასე ცალმხრივად, დიდი კაპიტალდაბანდებების გარეშე ნორმალურად ვერ განვითარდა და ამიტომ, თითქმის 1914-1918 წლების იმპერიალისტურ ომამდე საქართველოში ხე-ტყის, როგორც სამასალე მერქნის, ისე შეშის დამზადების მოცულობის დონე დაბალი იყო.

1913 წელს გამოიტანეს შემდეგი რაოდენობის ხე-ტყე: სამასალე – 160,0 ათ. კუბმ, შეშა – 110,0 ათ. კუბმ, ე.ი. სულ – 270,0 ათ. კუბმ.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914-1918 წლები) საქართველოში ხე-ტყის დამზადება არ შეწყვეტილა, და ასევე მუშაობდნენ ხე-ტყის სახერხი ქარხნებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროის განმავლობაში ხე-ტყის დამზადების და გამოტანის მოცულობების შესახებ რაიმე სანდო მონაცემები არ არსებობს.

ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისთვის (1921 წ. თებერვალი) ხე-ტყის დამზადება სრულიად შეჩერებული იყო. უცხოურმა ფირმებმა და კომპანიებმა საქმიანობა

შეწყვიტეს. მდ. ცხენისწყალზე არსებული ჯებირები გაპარტახდა, საურმე გზები და ბილიკები გაფუჭდა, დასაცურებლად გამზადებული ხე-ტყის შტაბელები მდინარეთა ნაპირზე უპატრონოდ დარჩა და მათი დამპალი მერქნის ნაშთები მრავალი წლის შემდეგაც ჩანდა კოდორის, სადმელის და ქვემო სვანეთის ტყეებში.

გარდა აღნიშნულისა, იმდროინდელი სტატისტიკური ცნობებით საქართველოს ტერიტორიაზე სულ განლაგებული იყო 68 ერთეული ხე-ტყის სახერხი დანადგარი, აქედან:

ტფილისის გუბერნიაში – 17 ერთეული,

ქუთაისის გუბერნიაში – 42 ერთეული,

სოხუმის ოკრუგში – 9 ერთეული.

ხსენებული დანადგარების გარდა, ტფილისში შემორჩა დაზგები ანათალი ფანერის დასამზადებლად. ამის გარდა, იყო ასევე პატარა ფაბრიკა, რომელიც გრეხილ სკამებს ამზადებდა.

მცირე სახერხი დანადგარები და ჩარჩო-ხერხებით აღჭურვილი ქარხნები განლაგებული იყო ხე-ტყის დასაცურებლად ვარგისი მდინარეების შესართავებთან, რკინიგზებთან და მასთან ახლომდებარე მსხვილ დასახლებულ პუნქტებში.

ზემოთ ხსენებული გორის ხე-ტყის სახერხი ქარხნის (ზეზემანის) გარდა მოცულობით (სიმძლავრით) გამოირჩეოდა იტალიური ფირმის „სბროვეაკო“ ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც მდებარეობდა მდ. ცხენისწყლის პირას მდ. რიონის შესართავის ახლოს სოფ. საჭილაგოში. საჭილაგოს ქარხანა აღჭურვილი იყო 4 ჩარჩო-ხერხით და 2 შპალგატერით, რომლებზედაც იწარმოებოდა სატარე ფირფიტა, რასაც იტალიელები ხილის ექსპორტისათვის იყენებდნენ. ამ ქარხანას საკუთარი სარკინიგზო ჩიხი ქონდა, დაცურებული ხე-ტყის შესაკაგებლად კი ხიმინჯებიანი ჯორგსაჭერი.

ბორჯომის საიმპერატორო მამულში ორი ხე-ტყის სახერხი ქარხანა მდებარეობდა, სადაც წიწვიან მცენარეთა მერქანს ხერხავდნენ. საჭირო ხე-ტყეს კი მდ. მტკვარზე აცურებდნენ, ასევე გამოჰქონდათ ცოცხალი გამწვევი ძალით, ე.წ. საჭაპანო ტრანსპორტით.

სოფ. ბაღდათის ზემოთ, საუღელტეხილო გზასთან, მოქმედებდა ერთი ჩარჩო-ხერხის მქონე კაკასხიდის ქარხანა.

მდ. ენგურის ნაპირას, ქვემოწელში, დღევანდელი რკინიგზის სადგურის ზემოთ მუშაობდა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც ორი ჩარჩო-ხერხი ფუნქციონირებდა. დასახერხ მორებს კომბინირებულად – მორებად აცურებდნენ დროებით ჯვორგსაჭერამდე და შემდეგ სოფ. ჯვარიდან ტივებით გადაჰქონდათ.

მდ. ბზიფის ქვემოწელში, მარცხენა ნაპირზე იმ დროს, და შემდგომაც, მოქმედებდა ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატი.

ბევრი მცირე სამხერხაო განლაგებული იყო კოლხეთის დაბლობზე და გურიის ქვედა ზონაში – ნატანებში, ლანჩხუთში, ფოთში, ყუღევეში, ანაკლიაში, ასევე სოხუმში. რამდენიმე სახერხი დანადგარი იყო თბილისშიც, სადაც მდ. მტკვარზე დაცურებული ხე-ტყე იხერხებოდა.

იმისათვის, რათა სრულად დავახასიათოთ საქართველოში გასაბჭოებამდე პერიოდის ხე-ტყის მრეწველობა, აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ რეზონანსული მერქნის დამზადება-დამუშავების ზოგიერთი საკითხიც.

საქართველოში უხსოვარი დროიდან ამზადებდნენ ხალხურ მუსიკალურ საკრავებს, როგორც სიმებიანს, ისე დასარტყამს – ჩონგური, ფანდური, დოლი და სხვ., რომელთა დამზადებისთვისაც გამოიყენებოდა ცაცხვის, თუთის, ნეკერჩხლის, ნაძვის, პანტის და სხვათა მერქანი.

რეზონანსულ მერქანს საწარმოო

მნიშვნელობა მას მერე მიეცა, რაც რუსეთში კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება განვითარდა. ოქტომბრის რევოლუციამდე ეს წარმოება გერმანელი კაპიტალისტების, ფორტეპიანოს ფაბრიკების მფლობელების ხელში იყო (დიდერიკსი, ბეკერი, ოფენბახი, რენიში, რატკე და სხვ.), რომელნიც 1917 წლამდე მთელ რუსეთში ყოველწლიურად 12 ათასზე მეტ როიალსა და პიანინოს აწარმოებდნენ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ფედერაციაში მკვეთრად შემცირდა მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება, რადგან ამ პერიოდში ქვეყნის მთელი ძალისხმევა უფრო საარსებო პრობლემებისადმი იყო მიმართული. 1923-1927 წლებში წარმოებული იყო მხოლოდ 400-700 ცალი როიალი და პიანინო, და ისიც წარსული წლებიდან შემორჩენილი რეზონანსული მერქნის ბაზაზე.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში ეკონომიკის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, გაიზარდა მოთხოვნილება მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. 1928 წელს გამოშვებულ იქნა 1909 ცალი როიალი, 1929 წელს – 2,0 ათ. ცალი, 1932 წელს – 6,0 ათ. ცალი, 1934 წელს – 8,0 ათ. ცალი, II ხუთწლედის დასასრულს კი – 30,0 ათ. ცალი.

რეზონანსული მერქნის იმპორტი ვალუტით შეუძლებელი იყო. სწორედ ამ დროს გამჟღავნდა ის გარემოება, რომ საქართველოს და კავკასიის სხვა რეგიონების ტყეები მდიდარი გახლდათ რეზონანსული მერქნით. ამას ბიძგი მისცა შემთხვევამ, როცა 1908 წელს, ბორჯომის სატყეოში კავკასიური ნაძვისაგან საცდელად დაამზადეს რეზონანსული ფირფიტები და პეტერბურგში ფირმა „დიდერიკსი“ გააგზავნეს. დამზადებულმა სამმა როიალმა იმპორტული მასალისაგან დამზადებული როიალების კონკურსზე

პირველი ადგილი დაიკავა. ამ შემთხვევამ დაადასტურა მეტყვევთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტყეებში, გარემო პირობების მრავალფეროვნების გამო, რეზონანსული მერქნის დიდი მარაგები უნდა ყოფილიყო.

ბელგიურმა კომპანიამ, იმ დროის მონაცემებზე დაყრდნობით, I მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე, დაიწყო გზების მშენებლობა ბალდათის რაიონში რეზონანსული მერქნის დამზადების მიზნით. 1914 წელს ეს სამუშაოები შეჩერდა.

საქართველოში მოგვიანებით, 1932 წელს, დაიწყო კვლევითი-საძიებო სამუშაოები რეზონანსული მერქნის გამოსავლენად, მაგრამ სამწუხაროდ, ეს საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, თუმცა დადგინდა, რომ მხოლოდ სამ რაიონში – მაიაკოვსკის (ბაღდათის), ადიგენისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იყო 63, ათ. კუბ.მ. რეზონანსული სოჭისა და ნაძვის მერქნის მარაგი. გაირკვა ისიც, რომ საქართველოს სხვა რაიონებშიც იყო შესაძლებელი რეზონანსული მერქნის დამზადება, კერძოდ, ზემო და ქვემო სვანეთის ტყეებში, ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვრცელ სოჭნარ-ნაძნარებში.

რეზონანსულ მერქანს მაღალი ფასი ჰქონდა ბაზარზე. იმ დროს, როცა ნაძვის 1 კუბმ მერქნის გასაყიდი ფასი 31 მან. იყო, რეზონანსული მერქნის 1 კუბმ – 50 მან. 30 კაპ. ღირდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ყველა ნაციონალიზებული ტყეები, სატყეო და სამონადირეო მეურნეობები თავმოყრილი იქნა რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში. 1923 წელს დაფუძნდა სახელმწიფო ხე-ტყის მრეწველობის ტრესტი „საქტყემრეწვი“, რომლის ფუნქციებში შედიოდა რესპუბლიკაში ხე-ტყის მრეწველობის აღდგენისა და განვითარების ხელის შეწყობა. ამ დროიდან ხე-ტყის მრეწვე-

ლობა უფრო მეტად და მეტად ვითარდება.

ტყის აღდგენა უნდა დაწყებულიყო ჭრაგავლილ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადების პარალელურად. 1922-23 წლებში დამზადდა მხოლოდ 31,0 ათ. კუბმ ხე-ტყე, 1923-1924 წლებში უფრო ნაკლები – 28,0 ათ. კუბმ, 1924-25 წლებში კი სწრაფად იმატებს – 105,0 ათ. კუბმ-მდე.

მომდევნო წლებში ხე-ტყის გამოტანის ტემპები ასე გამოიყურება:

1925-26 წწ. – 140,0 ათ. კუბმ;

1926-27 წწ. – 242,0 ათ. კუბმ;

1927-28 წწ. – 210,0 ათ. კუბმ;

1928-29 წწ. – 286,0 ათ. კუბმ;

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 7-8 წელიწადში ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის დონემ 70%-ით გადააჭარბა გასაბჭოებამდე პერიოდს. რა თქმა უნდა, ხე-ტყის დამზადების ზრდა საჭიროებდა სათანადო სამშენებლო სამუშაოებს, თუმცა ხე-ტყის საზიდი გზები თელიანი ტრანსპორტისათვის ვარგისი არ იყო. ტყეში მექანიზმები არ ჰქონდათ, თუმცადა გაჰყავდათ ხის ვიწროლიან-დაგიანი გზები (ე.წ. „Дековилки“) ცხენის ან ხელით წვევისათვის, მშრალი ან სველი ხის ღარები, უფრო ფართოდ გავრცელებული იყო მიწისზედა დაცურების სხვადასხვანაირი ხერხი, რომელმაც არანაკლები ზიანი მიაყენა ტყის ნიადაგებსა და მცენარეულ საფარს.

ამ პერიოდში თანდათანობით განაახლა მუშაობა ძველმა ხე-ტყის სახერხმა ქარხნებმა, (საჭილაგოს, კაკასხიდის, ყულევის და ზოგიერთმა სხვა ხე-ტყის სახერხებმა) მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ იწყება ახალი ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოების მშენებლობაც.

1926 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბორჯომის საკასრე ფიცრის ქარხანა, რომელიც წიფლისგან აწარმოებდა საკასრე ფიცარს შიდა ბაზრისთვის, ასევე

ციმბირული ნაღების კარაქის საექსპორტოდ საჭირო კასრებისათვის.

ამავე წელს მწყობრში ჩადგა მარელების გრეხილი ავეჯის ფაბრიკა. 1930-იან წლებში მისი პროდუქციის ნაწილი საექსპორტოდ იგზავნებოდა.

1926 წელს ამუშავდა ბათუმის ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც წარსულში როტშილდის ქარხნის საამქრო იყო. 1927 წელს თბილისში ამუშავდა ორი ფაბრიკა. 1928 წელს გაგრაში ამუშავდა ჟოეკარის ავეჯის ფაბრიკა.

ეს ექვსი საწარმო ნამდვილად იყო რესპუბლიკის ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის პირმო.

პირველ რიგში დაისახა გზები მერქნის უფრო ღრმა მექანიკური დამუშავებისათვის და, ამავდროულად, სათავე დაედო აქამდე სამრეწველო მიზნით გამოუყენებელი წიფლნარების სამრეწველო ექსპლუატაციას. უფრო მკვეთრი გარდატეხა ხე-ტყის მრეწველობის განვითარებაში 30-იან წლებში მოხდა, როცა წარმოების რაოდენობრივი ზრდის თანადროულად ყურადღება გამახვილდა ხარისხის მაჩვენებლებზეც.

1929 წელს სახელმწიფო ტყეების ნაწილი გადაეცა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, რისთვისაც ორგანიზებული იქნა მის დაქვემდებარებაში საკურორტო ტყეების მთავარი სამმართველო. მას მიეკუთვნა მდ. მტკვრის აუზში მდებარე ყველა ტყის მასივი. სატყეოებში ხე-ტყის დამზადების საქმიანობა აღიკვეცა. ხე-ტყის დამზადების ოპერაციებს ამიერიდან აწარმოებდა „საქტყეპროსტი“ რომელიც ხე-ტყის დამზადების ტემპს სისტემატურად ზრდიდა, და უკვე II ხუთწლედის დასაწყისში, 1933 წელს, ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვამ 337 ათ. კუბმ-ს მიაღწია.

შემდგომში სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს მოცულობა რამდენადმე შემ-

ცირდა და წლების განმავლობაში სტაბილურად 250-260 ათ. კუბმ შეადგენდა.

მეორე მსოფლიო ომის წინ, 1941 წელს, ხე-ტყის დამზადების მოცულობა 264 ათ. კუბმ-ით განისაზღვრებოდა.

ხე-ტყის დამამზადებელ წარმოებაში ამ პერიოდში უფრო პრიორიტეტული ხდება ხარისხობრივი მახასიათებლები. კერძოდ,

– მეტი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ძვირფასმერქნიან ჯიშებს;

– სტიმული ეძლევა წიფლნარების სამრეწველო მიზნით გამოყენებას;

– ტყეში მერქნის დამზადებისას, თრევისას და გამოტანისას თანდათან ფეხს იკიდებს სხვადასხვა მექანიზმები და სატრანსპორტო საშუალებები;

– ფართო გასაქანი ეძლევა კოლხეთის დაბლობის მურყნარების სამრეწველო ათვისებას.

ძვირფასმერქნიანი ჯიშების (კაკალი, ჭადარი, თელა, პანტა, ნეკერჩხალი, მთის ნეკერჩხალი, ანუ იგივე ბოყვი, ბზა და სხვათა) ხე-ტყის დამზადება საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ 1880-იან წლებში, როცა სათანადო დაზგა-დანადგარები შემოიტანეს ანათალი ფანერის საწარმოებლად. ამ ჯიშების მერქნის დამზადება შეზღუდული იყო და, ძირითადად, მზადდებოდა საფანერედ ვარგისი კაკლის მერქანი, რასაც გლეხებისაგან ყიდულობდნენ. საბჭოურ პერიოდში ამ ჯიშების მერქნის დამზადება დაიწყო 1925 წლიდან, როცა საერთაშორისო ბაზარზე დაიწყო მისი გატანა. თავდაპირველად უპირატესად კაკლისა და ბზის მერქანს ამზადებდნენ, შემდგომში სახეობრივი შემადგენლობა წლიდან წლამდე ფართოვდებოდა

1928-1935 წლებში კაკლისა და ბზის გარდა სამრეწველო მიზნით ამზადებდნენ: პანტის, მთის ნეკერჩხლის, ანუ ბოყვის, თელის, ჭადრის, წაბლის, წყავის და სხვათა მერქანს.

ასე გაგრძელდა 1935 წლამდე, რის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიებზე სამრეწველო მიზნით ძვირფასმერქნიანი სახეობების მერქნის დამზადება აიკრძალა. 1936 წელს დამზადდა მხოლოდ 3 ათ. კუბმ და ამის შემდგომ ამ ჯიშების უკონტროლო დამზადება შეწყდა.

საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის ოსტორიაში ე.წ. „ძვირფასმერქნიანი ჯიშების ათწლედი“ დაკავშირებულია უპირველესად ექსპორტთან.

ქვეყნის ინტენსიურად განვითარებადი მეურნეობა პირველი ხუთწლეულების დროს მოითხოვდა სავალუტო რესურსების დაგროვებას და ამის გამო საქართველოს ხე-ტყის მრეწველობამ ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა.

1926 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ გაიტანეს 403,2 ათ. მანის ღირებულების ძვირფასმერქნიანი ჯიშები. მომდევნო წლებში სატყეო პროდუქციის ექსპორტი მკვეთრად იზრდება და უკვე 1930 წელს 2165 ათ. მანის მიაღწია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1929 წლამდე გაჰქონდათ მხოლოდ ძვირფასმერქნიანი ჯიშების პროდუქცია. საექსპორტო ძვირფასმერქნიან ჯიშებში ჭარბობდა კაკალი და ბზა. კაკალი გაჰქონდათ თლილი ძელების, ხოლო ბზა მორების სახით.

იმ პერიოდის ექსპორტის დასახასიათებლად მოვიტანთ საქართველოდან გატანილი ხე-ტყის პროდუქციის ნომენკლატურას 1929 წლისთვის:

კაკლის ძელი – 7754 ტონა;

კაკლის ნუერი – 137 ტონა;

ბზა – 611 ტონა;

ბოყვი ანუ მთის ნეკერჩხალი – 162 ტონა;

წყავი – 325 ტონა;

პანტა, თელა და სხვ. – 200 ტონა;

ანათალი ფანერა – 416 ათ. ფურცელი;

წიფლის ფიცარი – 1241 კუბმ;
წიფლის საკასრე ფიცარი – 46423 ცალი;

სულ თანხა – 1928,4 ათ. მანეთი;

იმის გამო, რომ ექსპორტში სოჭისა და წიფლის ხვედრითი წილი გაიზარდა, კაკლის საექსპორტო დამზადება თანდათანობით შემცირდა და 1933 წლისთვის სრულიად შეწყდა მისი მარაგის ამოწურვის გამო.

1939 წლისთვის ხე-ტყის საექსპორტო პროდუქცია ასეთი შემადგენლობით ხასიათდებოდა:

დახერხილი სოჭი – 5051 კუბმ;

დახერხილი წიფელი – 7780 კუბმ;

მურყნის კუნძი – 448 კუბმ;

ანათალი ფანერა – 710, 0 ათ. ფურცელი;

ბზა – 283 ტონა;

კაკლისა და თელის ნუერი – 250 ტონა;

სულ თანხა – 1366,3 ათ. მანეთი.

საქართველოს ხე-ტყის პროდუქცია საზღვარგარეთის ბაზრებზე ძვირად ფასობდა, და ეს ბაზარიც სისტემატურად ფართოვდებოდა.

საქართველოს ხე-ტყის პროდუქცია გადიოდა შემდეგ ქვეყნებში:

დახერხილი წიფელი – პალესტინა, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, გერმანია, სირია და ეგვიპტე;

დახერხილი სოჭი – იტალია;

ბზა – საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი;

კაკლის ნუერი – ავსტრია და გერმანია;

ანათალი ფანერა – ინგლისი, თურქეთი, პოლონეთი და აშშ-ც კი.

საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტი შეწყდა 1936 წელს და იმ დროიდან ხე-ტყის მრეწველობა მთლიანად გადავიდა სახალხო მეურნეობის შიდა საჭიროების დაკმაყოფილებაზე.

1920-იანი წლების შუა პერიოდამდე

წიფლის მერქანი სამრეწველო მიზნით საერთოდ არ გამოიყენებოდა. სხვათა შორის, საქართველო ყოველთვის იყო და დღემდე რჩება ყველაზე მდიდარ რესპუბლიკად წიფლის მარაგის მიხედვით.

წიფლნარი ტყეების მერქნული პოტენციური სსრ კავშირის მასშტაბით შემდეგნაირად გამოიყურება (რესპუბლიკების მიხედვით):

საქართველო – 191,0 მლნ. კუბმ – 37%;

რსფსრ – 176,0 მლნ. კუბმ – 34%;

უკრაინა – 90,0 მლნ. კუბმ – 17,4%;

აზერბაიჯანი – 47,0 მლნ. კუბმ – 9,1%;

სომხეთი – 13,0 მლნ. კუბმ – 2,5%;

სულ სსრკ-ში – 517,0 მლნ კუბმ – 100%.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად თანდათანობით გამოვლინდა აღმოსავლური წიფლის მაღალი ფიზიკო-მექანიკური თვისებები და, აქედან გამომდინარე, მისი სამრეწველო მნიშვნელობაც გაიზარდა და მთელ რიგ წარმოებებში მყარად დამკვიდრდა. საქართველოში მისი სამრეწველო მიზნით ექსპლუატაცია დაიწყო ბორჯომის, ბაკურიანის, უფრო გვიან კი ქარელის რაიონში – გვერდინეთის ტყეებში (საკასარე ფიცარი). ამავედროულად (1925 წ.) დაიწყო წიფლის ტყეების ექსპლუატაცია ხარაგაულის რაიონში (გრეხილი ავეჯისათვის). სამხრეთ ოსეთისა და მაიაკოვსკის (ბაღდათის) რაიონში ორგანიზებული იყო შპალების წარმოება. დაიწყო წიფლის ტყეების სამრეწველო ჭრა ახლომდებარე კახეთის ტყეებშიც, თიანეთის რაიონში, საიდანაც იზავენებოდა მორები დასახერხად მცხეთის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, თბილისში საავიჯო დეტალების, სასოფლო-სამეურნეო და ავტომანქათმშენებლობის დეტალების დასამზადებლად.

წიფლის ტყეების გაზრდილ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით სამასაღე

მერქნის საერთო მოცულობაში იზრდება ფოთლოვანი ჯიშების ხვედრითი წილი.

ტყის ახალი მასივების ათვისებას და ხე-ტყის დამამზადებელ ძველ რაიონებში მუშაობის განახლებას თან სდევდა მსხვილი კაპიტალდაბანდებები, რაც უპირველესად მიმართული იყო ხე-ტყის სახიდი გზების მშენებლობისაკენ. კერძოდ ამ პერიოდში შენდება 23 კმ სიგრძის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა ახმეტის ტყის მასივში, ასეთივე 15 კმ სიგრძის რკინიგზა გაკეთდა კოლხეთის დაბლობის ტყეებში; ხე-ტყის სახიდი გზები გაჰყავთ ბორჯომის, გვერდინეთის, სამხრეთ ოსეთის ტყეებში; განახლდა ხე-ტყის დაცურება, ამასთან დაკავშირებით კეთდება კაპიტალური დამჭერი დანადგარები ხე-ტყის დასაცურებლად ვარგის მდინარეებზე – მდ კოდორზე კოდორის ხე-ტყის სახერხ ქარხანამდე, მდ. ცხენის-წყალზე საჭილაგოს ქარხანამდე, სვანეთში გაკეთდა მორების დასაცურებლად 6 კმ სიგრძის წყლიანი დარი, ასევე აშენდა უამრავი, მეტ-ნაკლებად მცირე ზომის სატყეო ობიექტები.

1932 წელს საქართველოში ხე-ტყის გამოზიდვაზე გამოჩნდა ავტომანქანები, რამაც ძირუღლად, ეფექტურად და სწრაფად ჩაანაცვლა ცოცხალი გამწვევი ძალა.

1933 წელს გამოჩნდა სამამულო წარმოების თვლიანი ტრაქტორები, თუმცა მთაგორიან პირობებში ხე-ტყის სათრევედ მათი გამოყენება ვერ მოხერხდა და ამიტომ, ძირითადად, მეორეხარისხოვან დამხმარე სამუშაოებისათვის გამოიყენებოდა.

1935 წლიდან ხე-ტყის სათრევედ ასევე იყენებენ მუხლუხიან ტრაქტორებს, რის შემდეგ თანდათანობით ტრაქტორით თრევა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ხე-ტყის სახიდ ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე გამწვევად იყენებდნენ შედარებით მძლავრ ორთქლმავლებს, ასევე მოტომავლებს.

მორე მსოფლიო ომის დამდეგს, 1941 წლისათვის, ხე-ტყის დამზადების ძირითადი ოპერაციები მექანიზებული იყო:

მოზიდვა – 2,6%;

გამოზიდვა – 53,2%;

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანქანატრატორები მთებში მუშაობისთვის არ იყო მისადაგებული, ამიტომაც თავდაპირველად ხე-ტყის მანქანებით გამოტანას თან სდევდა გარკვეული სიძნეულებები. ხე-ტყის დამზადებაზე მექანიზაციის დონე თანდათანობით იზრდებოდა და მხოლოდ სამამულო ომმა შეაფერხა ეს პროცესი, რადგან ძირითადი ტექნიკური საშუალებები ფრონტზე იქნა გადასროლილი.

კოლხეთის დაბლობის დიდ სივრცეებზე, მდ. რიონის ქვემოწელში უხსოვარი დროიდან გაგრცელებულია მურყნარები, რომელთა ქვედა საზღვარი შავ ზღვამდე ჩამოდის. მათი მისაღვომობის გამო ეს ტყეები მუდმივად და ინტენსიურად გამოიყენებოდა, განსაკუთრებით მდ. რიონის, მდ. ხობისწყლისა და სხვა მცირე მდინერეების სიახლოვეს, ასევე პალიასტომის ტბის მიდამოებში.

მურყნარები სწრაფადმზარდი ამონაყარით, მუდმივად თვითგანახლებადი იყო და ამრიგად, საუკუნეების განმავლობაში ადვილად ხელმისაწვდომი მერქნის უმრეტ წყაროს წარმოადგენდა.

საერთოდ კოლხეთის დაბლობში გაგრცელებული ტყეების ათვისებაში რამდენიმე ეტაპი გამოირჩევა.

შორეულ წარსულში მეტწილად იჭრებოდა მაგარმერქნიანი ფოთლოვანი სახეობის ხეები – იფანი, თელა, მუხა, რცხილა, რომლებიც ცალკეულად ან ჯგუფურად, კურტინების სახით გვხვდებოდა მურყნარებში. ამ ჯიშის მერქანს იყენებდნენ მშენებლობაში, სხვადასხვა სამეურნეო ნაკეთობების დასამზადებლად და სათბობად. მაგარმერქნიანი ჯიშების რაოდენობრივი შემცირების

გამო მურყანი თანდათანობით იქცა სამშენებლო მასალად და სათბობი შეშის მოპოვების წყაროდ.

როგორც ზემოთ იყო მითითებული, ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე კოლხეთის ტყეების პერიმეტრზე განნდა ხე-ტყის სახერხი მცირე დანადგარები, ამიტომ უპირველესად, იჭრებოდა მაგარმერქნიანი ჯიშის ხეები, შემდეგ კი მურყანიც.

ტრესტი „საქტყემრევი“ 1920-იანი წლებიდან დასაწყისშივე შეუდგა კოლხეთის ტყეების სამრეწველო ექსპლუატაციას. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში, მურყანის კორომები გამოიყენებოდა მხოლოდ სათბობად, და მხოლოდ 1920-იან წლებში იწყებენ მურყანის მეტად მსხვილი და უკეთესი ხარისხის მერქნის გამოყენებას შეწებილი ფანერის საწარმოებლად (ბათუმის ფანერის ქარხანა).

დიდი სამამულო ომის დროს კოლხეთის მურყნარების გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ასეთია ძირითადი ფაქტორები, რამაც საფუძველი დაუდო საქართველოში ხე-ტყის დამამზადებელი წარმოების შემდგომ განვითარებას.

ახალი სანედლეულო ბაზების ათვისებასა და ხე-ტყის დამზადების გაფართოების პარალელურად მიმდინარეობდა ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეების ზრდა. ამ მიზნით მიმართული იქნა მსხვილი კაპიტალდაბანდებები.

პირველი ხუთწლეულის გეგმით, 1930-იან წლებში, თითქმის ყოველწლიურად, მწყობრში დგებოდა ხე-ტყის დამამუშავებელი ახალი და რეკონსტრუირებული ძველი საწარმოები:

– 1928 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა ზუგდიდის (ყოფ. შამგონის) ხე-ტყის სახერხი ქარხანა;

– 1929 წელს – მცხეთისა და კოდორის ხე-ტყის ქარხნები. მცხეთის ქარ-

ხანას ნედლეული დაცურებითა და რკინიგზის საშუალებით მიეწოდებოდა, შემდგომში კი – ავტოტრანსპორტით თიანეთის წიფლნარებიდან;

– 1930 წელს – ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი;

– 1931 წელს – წულუკიძის ხე-ტყის სახერხი ქარხანა გრეხილი ავეჯის საამქროთი;

– 1932 წელს – გვერძინეთის საკასრე ფიცრის ქარხანა;

– 1934 წელს – მუშაობა განაახლა კალდახეარის ხე-ტყის სახერხმა ქარხანამ;

– 1939 წელს – საექსპლუატაციოდ გადაეცა ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ორი ჩარჩო-ხერხით და ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი.

ამავდროულად თბილისში ფართოდება ავეჯისა და ანათალი ფანერის წარმოება.

ამრიგად, საქართველოში სამამულო ომის წინ მნიშვნელოვნად გაფართოვდა ხე-ტყის დამამუშავებელი დარგის საწარმოო სიმძლავრეები და ძირითადი ფონდები. მერქნის ღრმა მექანიკური დამუშავების (მრავალფეროვანი ავეჯი, საკასრე ფიცრის წარმოება, სამშენებლო მასალები და სხვ.) გარდა, დაიწყო მერქნის ქიმიური დამამუშავება ენგურის ცელულოზა-ქარხნის კომბინატში, რამაც სათავე დაუდო მერქნის ნედლეულის უფრო მეტად პროგრესულ გამოყენებას.

სამამულო ომის დროს ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ საწარმოს მუშაობა არ შეუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ ნედლეულითა და მატერიალური რესურსებით მომარაგება ხშირად გამწვავებული იყო.

მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები თადაუზოგავად შრომობდნენ, თავდაცვის დავალებებს ასრულებდნენ და თავიანთი პროდუქციით უზრუნველყოფდნენ მოსახლეობას, სკოლებს, საავადმყოფოებს

და იმ დროის გადაუდებელ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ. სამამულო ომის წინ, 1941 წლის დასაწყისში, საქართველოს სსრ სატყეო-მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში ჩამოყალიბდა ორი ტრესტი: „Грузлесдрев“ – ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოების ბაზაზე და „Грузлесзаг“ – ტყემრეწვეურნეობის ბაზაზე.

ომის პერიოდში, რამდენიმე წლის განმავლობაში, სახელმწიფო ხე-ტყის დამზადების მოცულობის ზრდა შეფერხდა, ხე-ტყის მრეწველობის მუშაობის მიმართულება კი – სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო შეიცვალა.

იმ დროს თავდაცვის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება განსაზღვრავდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობას, მათ შორის ხე-ტყის მრეწველობასაც. მნიშვნელოვნად შემცირდა შიდასამრეწველო ხასიათის პროდუქციის წარმოება და მშენებლობაში ხე-ტყის გამოყენება. სამასალე მერქნით უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ თავდაცვაზე მომუშავე საწარმოები. სამასალე ხე-ტყის გატანამ ომის დროს შეადგინა 160-200 ათ. კუბმ წელიწადში.

ამავდროულად გაიზარდა მოთხოვნილება შეშაზე – არმიის შენაერთები, ჰოსპიტლები, საავადმყოფოები, სკოლები, საცხოვრებელი, მოსახლეობა, ყველა ითხოვდა შეშას, ამიტომ ხე-ტყის დამზადებაში სამასალე მერქნის მოცულობა შემცირდა, შეშის კი გაიზარდა.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდა შეშას ამზადებდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, „თბილტყესათობი“, „საქკომუნალ-მომარაგება“ და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები, ასევე კოლმეურნეობები.

ამასთანავე, საქართველოს ხე-ტყის მრეწველობა სამამულო ომის დროს ღირსეულად ასრულებდა სხვადასხვა

სპეციალურ თავდაცვით დავალებებს. ომის იმ წლებში, როცა რესპუბლიკა მთლიანად მოწყვეტილი იყო გარედან შემოსატანი ხე-ტყის წყაროებს, თავდაცვითი ორგანიზაციები შეუწყვეტლივ მარაგდებოდნენ ადგილობრივად დამზადებული ხე-ტყის მასალით.

აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამამულო ომის დროს, სრულიად მოულოდნელად, დიდი როლი შეასრულა მურყანმა (თხმელამ). ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტები, ასევე ჭიათურის მარგანეცის საბადო გაჩერების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა შემოტანილი საბიჯგე ხე-ტყის უქონლობის გამო და მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ტყეებში არსებული მურყნისაგან მაღაროს ბიჯგების დამზადებამ იხსნა მდგომარეობა. ამის გარდა, იმ დროს გაირკვა, რომ მურყნის შპონი არის საუკეთესო ჩასაფენი მასალა აკუმულატორებში. ბათუმის ხე-ტყის გადამამუშავებელ ქარხანაში დაიწვეს ასეთი შპონის დამზადება, რაც თვითმფრინავებით გადატანდათ სატანკო აკუმულატორების მწარმოებელ ქარხანაში.

როგორც ცნობილია, ომის შემდგომ წლებში მთელი ქვეყნის ეკონომიკა მკვეთრად იზრდება, მათ შორის საქართველოს ხე-ტყის მრეწველობაც. ამასთანავე მისი მკვეთრი აღმავლობა ხასიათდება არამარტო წარმოების მოცულობის ზრდით, არამედ, უმთავრესად, ტექნიკური დონის ამაღლებით.

1947 წელს რესპუბლიკიდან გაიტანეს 588 ათ. კუბმ ხე-ტყე, 1950 წელს – 1146 ათ. კუბმ, 1955 წელს – 1107 ათ. კუბმ, 1960 წელს კი – 1243 ათ. კუბმ-მდე გაიზარდა.

ამრიგად, ომის შემდგომი 15 წლის მანძილზე ხე-ტყის გატანა 2-ჯერ, და მეტჯერაც გაიზარდა.

შემდგომ წლებში რესპუბლიკაში ხე-ტყის დამზადების მოცულობა თანდათანობით შემცირდა. ამის მიზეზი საქართველოს

მთის ტყეების საკურორტო და დაცვითი დანიშნულებით უპირატესი გამოყენების აუცილებლობამ განაპირობა. დაჩქარდა ტექნიკური პროგრესი. რესპუბლიკის ხე-ტყის მრეწველობა ყოველწლიურად მარაგდებოდა უახლესი და მრავალფეროვანი ტექნიკით.

თუ მხოლოდ ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს განვიხილავთ, რომელიც დაახლოებით 410 ათ. კუბმ ხე-ტყეს აწარმოებდა, მის დაქვემდებარებაში მყოფი ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებები შეადგენდა:

ავტომანქანები – 370 ცალი, მათ შორის ხე-ტყის გადამტანი – 278 ცალი; მორსათრევი ტრაქტორები – 132 ცალი;

მტვითავი ამწეები – 30 ცალი; გადასატანი ელექტროსადგურები – 12 ცალი;

ბენზინზე მომუშავე და ელექტროხერხები – 1000 ცალი.

ამას გარდა, კოლხეთის დაბლობის ტყეებში მუშაობდა 8 მოტომავალი.

სარემონტო-მექანიზირებულ სახელოსნოებში დადგმული იყო 25-ზე მეტი ჩარხი მეტალის დასამუშავებლად. ზოგიერთ ოპერაციებში გამოიყენებოდა ჯალამბრები და მექანიზაციის სახვა საშუალებები.

იმ დროს ხე-ტყის დამზადების ცალკეული ოპერაციების დროს მექანიზაციის დონე ხასიათდებოდა ასეთი მაჩვენებლებით:

ხის წაქცევა და დამორვა – 95%;

მორთრევა – 98%;

გამოტანა (გამოზიდვა) – 100%;

დატვირთვა ზედა საწყოებში – 75%;

დატვირთვა ქვედა საწყოებში – 71%

თუ 1930-იან წლებში ხე-ტყის დამზადებისას „გაბატონებული“ იყო ცული, ხერხი, ხელით შრომა და ხარკამეხის ძალა, 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხე-ტყის დამზადების წარმოების

ენერგოშეიარაღებამ თითოეულ მუშაზე შეადგინა 30 ცხენის ძალაზე მეტი მექანიკური ძალის გამოყენებით, ხოლო ფონდალჭურვილობამ 6,0 ათ.მანეთს მიაღწია (თითოეულ მუშაზე).

ხე-ტყის დამზადების მოცულობების უთანაბრობას ცალკეული პერიოდების მიხედვით გაველენა არ მოუხდენია რესპუბლიკაში ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოების ზრდაზე. ადგილობრივ და, ძირითადად, შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე ხე-ტყის დამამუშავების პროდუქციის წარმოება აღმავლობით ვითარდება. ამავდროულად, ხარისხობრივი და სტრუქტურული მაჩვენებლები უმჯობესდება.

ომის შემდგომ წლებში დიდი ყურადღება დაეთმო მოქმედი ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოების რეკონსტრუქციას, მათი საჩარხო პარკის განახლებას, მოდერნიზაციას და ტექნოლოგიის სრულყოფას. ამასთანავე, გრძელდება საწარმოო სიმძლავრეების განუხრელი ზრდა, განსაკუთრებით საავეჯო წარმოებაში. მწყობრში ჩადგა ახალი ფაბრიკები: ახალდაბის, ქუთაისის, ბათუმის, თბილისის საავეჯო კომბინატი, თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ასევე ხე-ტყის სახერხი და ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნები სოხუმში, სადმელში, სამტრედიაში და ბზიფზე.

**საქართველოს სს „Минлесдревпром“-ის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები
1966-1975 წლებში**

მაჩვენებლების დასახელება	საზომი ერთეული	1965 წლის ანგარიში	1970 წლის ანგარიში	1975 წლის გეგმა	% შედარება 1975 წლის 1965 წელთან
1	2	3	4	5	6
ხე-ტყის გამოტანა, მათ შორის სამასალე მერქანი	ტ. კუბმ	564,7	441,2	400,0	70,8
დახერხილი ხე-ტყე	ტ. კუბმ	427,9	328,4	280,0	65,4
ავეჯი	მლნ. მანეთი	158,2	174,0	136,0	86,1
ანათალი ფანერა	1 მ ²	21,05	32,8	58,0	277,6
შეწებილი ფანერა	1 კუბმ	18,000	14,800	18,500	100,3
მერქნის ფილები	1 კუბმ	3,6	5,7	-	-
პარკეტი	1 მ ²	0,6	4,2	6,0	10-ჯერ
სასქონლო პროდუქცია	მლნ. მანეთი	-	883,7	800,0	-
სახალხო მოხმარების საქონელი	მლნ. მანეთი	53,2	69,2	96,5	181,0
სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რაოდენობა	მლნ. მანეთი	22,1	34,3	66,0	300,0
სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რაოდენობა	კაცი	10717	11585	11423	106,6
ძირითადი საწარმოო ფონდები	ტ. მანეთი	-	42980	58980	-
დანახარჯები სასქონლო პროდუქციის 1 მან-ზე	-	-	94,43	92,2	-
ფონდუკუგება	მანეთი	-	1,61	1,64	-
მუშის კომპლექსური გამომუშავება	კუბმ	-	201	210	-
გამომუშავება ერთ მუშაკზე	მანეთი	492,4	6433	8060	104,0

ამრიგად, საქართველოს ხე-ტყის დამამუშავებელ წარმოებაში უწყვეტად იზრდება საწარმოო სიმძლავრეები, ტექნოლოგიების სრულყოფა, სისტემატურად ფართოვდება ნაწარმის ნომენკლატურა.

ომის შემდგომ წლებში შეიქმნა რამდენიმე მსხვილი ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში (რუსთავი, თბილისი), კომუნალური მეურნეობის სამინისტროში და ზოგიერთ სხვა უწყებაში. თუმცა ყველა ეს საწარმო შემოტანილ ნედლეულზე მუშაობდა. გორის შპალსაქდენთი ქარხანა ამუშავებდა შემოტანილ შპალებს და ბოძებს.

ხე-ტყის დამამუშავებელი წარმოება ბოლო ათწლეულში ხასიათდება სტრუქტურული განვითარებითა და, მეტ-ნაკლებად, ტექნიკური პროგრესის გზას ადგას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოყვანილია მათი საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები.

მოტანილი მონაცემები თვალსაჩინოდ მიუთითებს, რომ:

1. მიუხედავად ხე-ტყის მოცულობის შემცირებისა, ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის სასქაონლო პროდუქციის მოცულობა ათწლეულში გაიზარდა 81,0%-ით, რაც განპირობებული იყო ხე-ტყის დამამუშავების გაფართოებითა და გაღრმავებით, ამავდროულად წარმოების სტრუქტურული ცვლილებებით.

2. სასაქონლო პროდუქციის ზრდა ძირითადად განაპირობა ავეჯის წარმოების განუხრელმა ზრდამ, რაც ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის საერთო ზრდის მაჩვენებელია, და რაც სრულიად კანონზომიერია.

* * *

აუცილებელია თუნდაც სულ მოკლედ განვიხილოთ ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ისტორია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქაღალდი არ იწარმოებოდა. არქივმა შემოინახა დოკუმენტი, რაც ადასტურებს, რომ 1898 წელს კერძო პირები გეგმავდნენ საწარმოს დაარსებას, სახელწოდებით „კავკასიის პირველი საწერი ქაღალდის ფაბრიკა“, მაგრამ წესდების დამტკიცების მერე საქმე წინ არ წასულა.

საქართველოს სსრ-ში ცელულოზა-ქაღალდის წარმოება მრეწველობის სრულიად ახალი დარგია და მისი ჩამოყალიბება 1930-იანი წლების II ნახევარში იწყება.

იმ პერიოდში რესპუბლიკაში მუშაობდა ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ორი საწარმო – თბილისის ქაღალდის ფაბრიკა, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1936 წელს, და ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, რომელიც გაიხსნა 1939 წელს.

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი ამუშავდა წარმოების განსაზღვრული მოცულობით. მას ეკუთვნოდა ცელულოზის ქარხანა ორი სახარში ქვაბით, რომელთა წლიური წარმადობა 19 ათ. ტონა იყო წელიწადში და ერთი ქაღალდის მწარმოებელი მანქანა-დანადგარი, რომლის წლიური წარმადობა შეადგენდა 11,5 ათ. ტონას წელიწადში (საწერი და ტიპოგრაფიული ქაღალდი).

ქართველი ხალხის კულტურის დონის ზრდამ, სახალხო მეურნეობაში ქაღალდის და მუყაოს ნაწარმის გამოყენების სისტემატურმა მატებამ განაპირობა რესპუბლიკაში ცელულოზა-ქაღალდის წარმოების განუხრელი განვითარების აუცილებლობა.

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი ფართოვდებოდა, წლიდან წლამდე იზრდებოდა პროდუქციის მოცულობა და ფართოვდებოდა გამოშვებული ნაწარმის ნომენკლატურა.

იმჟამად კომბინატს ეკუთვნოდა: პერიოდული მუშობის ცელულოზის სახარში სამი ქვაბი, რომელთა საერთო წარმადობა 40 ათ. ტონა ცელულოზაა წელიწადში, მერქნის დამაქუცმაცებელი ქარხანა 7-11 ათ. ტონა მერქნის მასის წარმოებით, მათეთრებელი განყოფილება ცელულოზის გასათეთრებლად ოთხი მათეთრებელი გორგოლაჭით და ოთხი ქაღალდის დამამზადებელი დანადგარი. მაკულატურის მექანიკური დამუშავებისთვის შეიქმნა ახალი საამქრო, რაც საშუალებას იძლეოდა წელიწადში 12,0-13,0 ათ. ტონა მაკულატურული მასა წარმოებულყო. ამუშავდა ახალი საამქროები საკვები საფუარების, სასკოლო რვეულების, მუყაოს, სულფიტური ღურდოს კონცენტრაციების საწარმოებლად, გაფართოვდა წარმოებული ქაღალდის ასორტიმენტი. 1969 წელს კომბინატში ამუშავდა მუყაოს დამამზადებელი ახალი მანქანა, რომლის სიმძლავრემ შეადგინა 20 ათ. ტონა წელიწადში.

თბილისის ქაღალდის ფაბრიკა განსაზღვრული იყო მხოლოდ თამბაქოს მრეწველობისათვის საჭირო სამუნდშტუკე, სადასტე და შესახვევი ქაღალდის საწარმოებლად. ქაღალდის საამქროში ფუნქციონირებდა ქაღალდის მწარმოებელი ერთი მანქანა. ფაბრიკა თავდაპირველად ნედლეულად იყენებდა შემოტანილ სულფიტურ გაუთეთრებელ ცელულოზას, ნუქრისაგან დამზადებულ შესახვევ ცელულოზას, მერქნის მასას და მაკულატურას.

ფაბრიკამ შემდგომში გააფართოვა წარმოებული პროდუქციის მოცულობა და ნომენკლატურა და აწარმოებდა სატარე მუყაოს, წყალგაუმტარ მუყაოს, სამუნდშტუკე ქაღალდს, სადასტე ქაღალდს, შპალერს, შესახვევ ქაღალდს. პროდუქციის მთლიანი მოცულობა შეადგენდა 8-9 ათ. ტონას წელიწადში.

ბოჭკოვანი ნახევარფაბრიკატების

ზრდასთან დაკავშირებით ბუნებრივია, რომ გაიზარდა მოთხოვნილება ხე-ტყის ნედლეულზე. ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ხე-ტყის ნედლეულით მომარაგების საკითხის გადაჭრას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა მიენიჭა. ამ მიმართულებით დიდი სამუშაო შეასრულა ხე-ტყის მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. პირველად ჩვენს ქვეყანაში ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში ნედლეულად გამოიყენეს მურყნის მერქანი, რაც ადრე მხოლოდ შეშის დასამზადებლად იხმარებოდა. დადგინდა, რომ კოლხეთის დაბლობის მურყნარების მერქნის მთლიანი მარაგის 15% შეიძლებოდა გამოყენებულიყო ცელულოზა-ქაღალდის წარმოების დამატებითი ნედლეულის წყაროდ.

ხე-ტყის მრეწველობის განვითარების ყველა ეტაპზე სხვადასხვა ფორმით გადაწყვეტილი იყო საკადრო საკითხი.

საქართველო ტყიანობის დონით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა (36,7%). ამიტომ ტყეები ყველა დროში ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდსა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

XIX საუკუნის დასასრულს, როცა ტყე თანდათანობით ხდება კაპიტალისტური მრეწველობის ექსპლუატაციის ობიექტი, იქმნება შპალების მთელეთა არტელები (ბოლნისის, თეთრიწყაროს, გორის რაიონებში), მეტივეების არტელები (მდ. მტკვარზე, მდ. რიონზე, მდ. ცხენისწყალზე და სხვ.), ვითარდება ხისმჭრელთა საშოვარზე სიარული, წასვლა.

არტელის უფრო მეტად გამოცდილი წევრები, რომლებსაც პრაქტიკულად ათვისებული ჰქონდათ ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების ოპერაციების მთელი სირთულე, იყვნენ ამ საქმის ხელმძღვანელები. საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზეც კი, ეს გამოცდილი პრაქტიკოსები კიდევ დიდხანს იყვნენ ხე-ტყის დამზადების საქმის

ერთადერთი მცოდნენი და ორგანიზატორები. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში მსხვილი ხე-ტყის მრეწველობა ვერ შეიქმნებოდა, თუ თანამდევად არ გადაიჭრებოდა ხე-ტყის მრეწველობის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პირველსავე წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სატყეო განყოფილება, შემდეგ სატყეო განყოფილება იხსნება პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც. 1920-იანი წლების შუახანებში ეს განყოფილებები ყოველწლიურად ამზადებდა 30-40 საკმაოდ მაღალ კვალიფიციურ სატყეო სპეციალისტს.

ჩვენში უმაღლესი სატყეო სკოლა დამკვიდრდა და პირველი პრაქტიკული შედეგიც აჩვენა. აღსანიშნავია, რომ პირველ ხანებში ამ სკოლის კურსდამთავრებულები იყვნენ განსაზღვრული პროფილის სატყეო-სამეურნეო მიმართულების სპეციალისტები.

მზარდი ხე-ტყის მრეწველობა დაუინებით ითხოვდა სატყეო-ტექნიკურ კადრებს. ამასთან დაკავშირებით, 1932 წელს ორივე სატყეო განყოფილების ბაზაზე იქმნება დამოუკიდებელი სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი ხუთი ფაკულტეტით, რომელიც ფუნქციონირებდა 1938 წლამდე. თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა გამოუშვა:

სატყეო მეურნეობის ინჟინერი – 377 სპეც;

მერქნის მექანიკური დამუშავების ინჟინერი – 397 სპეც;

მერქნის ქიმიური დამუშავების ინჟინერი – 24 სპეც;

ხე-ტყის სამეურნეო და მრეწველობის ინჟინერ-ეკონომისტი – 96 სპეც;

ხე-ტყის ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტი – 481 სპეც;

სულ – 1375 სპეციალისტი

ახალგაზრდა კადრები თავის დროზე გახდნენ წამყვანი ძალა ხე-ტყის მრეწველობის ძირეული გარდაქმნისა და ტექნიკური აღჭურვილობის საქმეში.

საქართველოს სსრ-ში ჩამოყალიბებულ უმაღლეს სატყეო სკოლაში თავი მოიყარეს სატყეო საქმის საუკეთესო მუშაკებმა, რომლებიც არა მარტო სწავლავანათლების პროცესს ხელმძღვანელობდნენ, არამედ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსაც უძღვებოდნენ.

როგორც კადრების მომზადებას, ისე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს საწყის ეტაპზე ჰქონდა მხოლოდ მკვეთრად განსაზღვრული სატყეო-სამეურნეო მიმართულება.

სამეცნიერო-კვლევითმა სამუშაოებმა თემეტიკის გაფართოებით დიდი მასშტაბები შეიძინა, თუმცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეტყვეობის მიმართულებით ვითარდებოდა. სამეცნიერო შრომები ხე-ტყის მრეწველობის შესახებ დროდადრო გამოჩნდებოდა და არც ჰქონდა რაიმე გავლენა.

ამ შრომებიდან აუცილებელია გავიხსენოთ:

ლ. ზაკტრეგერის – აღმოსავლური წიფელი, 1936 წ;

გ. ავალიანის – „ავეჯის წარმოება“, 1937 წ.

ნ. ზაკლინსკის „რეზონანსული მერქნის შესახებ საქართველოს ტყეებში“ – დაახლოებით იმავე წლებში, და ზოგიერთი სხვა შრომებიც.

1930-იანი წლების დასაწყისში ტფილისში იქმნება ამიერკავკასიის სატყეო მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი („ЗАКНИЛИ“), რომელმაც ცოტა ხანს იარსება და საქმიანობა შეწყვიტა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ „ЗАКНИЛИ“ სატყეო-სამრეწველო ინსტიტუტად იწოდებოდა, მაშინდელი კადრების ძალისხმევით,

შრომები სატყეო-სამეურნეო მიმართულების იყო.

ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია სასორტიმენტო ცხრილების შედგენაში კავკასიური სოჭისთვის, აღმოსავლური ნაძვისთვის, აღმოსავლური წიფლისთვის და რცხილისთვის. ეს ცხრილები პირველად გამოქვეყნდა ტფილისში 1932 წელს, შემდგომში ახლიდან შედგა და გამოიცა 1954 წელს. ამ ცხრილებს ამჟამად დიდი პრაქტიკული და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

„ЗАКНИЛИ“-ში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ და კვლევით საქმიანობას ეწეოდნენ: პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, როსტოვცოვი, ლევ ზაკტრეგერი, ბიძინა გულისაშვილი, იაროშენკო, ზაკლინსკი, ჩხუბიანიშვილი, ნიკოდიმ ბრეგვაძე და იმ დროის სატყეო მრეწველობის სხვა მუშაკები.

ხემოთ ნახსენებ სასორტიმენტო ცხრილების შედგენას ხელმძღვანელობდა პროფ. ა.ვ. ტიურინი, მოწვეული მეცნიერ მუშაკების – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ბ.ი. ივანენკოს და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის კ.ბ. ლოსიცკის მონაწილეობით.

სატყეო მრეწველობის დარგში გეგმიური და მიზანმიმართული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაიწყო საკმაოდ გვიან ომის შემდგომ პერიოდში, როცა ტექნიკურმა პროგრესმა მოითხოვა მრავალი ტექნიკური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სხვა საკითხის მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტა,

1958 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დაეკისრა რთული ამოცანა – ხე-ტყის მრეწველობის მუშაობის გარდაქმნის საქმეში მეცნიერების როლის გაზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-

რესის, მეცნიერებისა და ტექნიკური თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში განიცდიდა დიდ სიძნელებებს, რაც დაკავშირებული იყო სამეცნიერო კადრების ნაკლებობასთან, ტექნიკურ საშუალებებთან და სხვ.

შემდგომში ეს სიძნელებები წარმატებით იქნა დაძლეული, კერძოდ, თანამშრომელთა (მეცნიერ-მუშაკთა) კონტიგენტმა 100 ერთეულს გადააჭარბა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამუშაო პირობები: აშენდა მრავალსართულიანი კორპუსი, რომელშიც განთავსდა 12-მდე სამეცნიერო-კვლევითო ლაბორატორია, მ.შ.

1. ხე-ტყის რესურსების ლაბორატორია;
2. ხე-ტყის ტრანსპორტის ლაბორატორია;
3. ავეჯის წარმოების ლაბორატორია;
4. მერქნის მექანიკური ტექნოლოგიის ლაბორატორია;
5. მერქნის ქიმიური ტექნოლოგიის ლაბორატორია;
6. ხე-ტყის მრეწველობის ეკონომიკის ლაბორატორია;
7. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ლაბორატორია;
8. საზომი ტექნიკის ლაბორატორია;
9. მართვის სისტემების ლაბორატორია;
10. საკონსტრუქტორო ბიურო;
11. საექსპერიმენტო ლაბორატორია;
12. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილება, ბიბლიოთეკა და კინოფოტოლაბორატორია.

მოეწყო თანამედროვე დონეზე აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი (კლუბი).

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

გარდა ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში დაარსდა სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო (СПКТБ). ხე-ტყის მრეწველობას ასევე ემსახურებოდა საკავშირო საპროექტო ორგანიზაციის „Гипролестранс“-ის საქართველოს ფილიალი.

ამ ნარკვევის დასასრულს სასურველია დასახედდეს იმ ადამიანთა გვარსახელები, რომლებიც თავდაუზოგავად იღწვოდნენ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის ჩამოყალიბებასა და მისი შემდგომი განვითარებითვის. ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, ბევრი დამსახურებულ პენსიაზეა, ბევრი მათგანი კი ამჟამადაც იღწვის (იგულისხმება 1970-იანი წლები).

რამდენსაც გავისხენებ, ვასახელებ:

1. სოლომონ ქურდიანი
2. პავლე ვინოგრადოვ-ნიკიტინი
3. ალექსი როსტოვცევი
4. ივანე როშჩინი
5. ვლადიმერ ავალიანი
6. ძმები ილია და ლევ ზაკტრეგერები
7. ვარლამ ძნელაძე
8. ნიკო კიკნაძე
9. ნიკოდი ბრეგვაძე
10. ვიქტორ გუდიაშვილი
11. სამსონ ბაქრაძე
12. იოსებ ბეთანელი
13. მიხეილ ნანეიშვილი
14. ილია ივანოვი
15. ანტონ კოსი
16. გიორგი სერებრიაკოვი
17. ზაქარია ჩხუბიანიშვილი
18. ლავრენტი ჩუბურდანიძე
19. გიორგი ჯაბუა
20. დავით თავხელიძე
21. ვასილი კოსტანტინაშვილი
22. ბიძინა გულისაშვილი
23. რევაზ ახვლედიანი
24. ნიკოლოზ მარგველაშვილი
25. დიმიტრი საბაშვილი

26. ალექსანდრე მარჯანიშვილი
27. ივანე გორდეზიანი
28. ვახტანგ ეპიტაშვილი
29. იასონ აბაშიძე
30. ივანე წერეთელი
31. რომან ერისთავი
32. ივანე სიხარულიძე
33. პროკოფი ღვალაძე
34. არსენ ცისკარიძე
35. ალექსანდრე ფირცხალავა
36. სოლომონ მანია
37. ჯოტო მანია
38. ვლადიმერ ვარაზაშვილი
39. დომენტი ეძგერაძე
40. აკაკი ხუბულავა
41. ვლადიმერ რიაზანცევი
42. სემიონ ბადალოვი
43. ბორის სალაყაია
44. კონსტანტინე ტიმოფეევი
45. მიხეილ დვალი
46. ალექსანდრე კვარცოვი
47. გიორგი მენაბდე
48. დავით არველაძე
49. მიხეილ ხუნდაძე
50. ვლადიმერ გოცირიძე
51. დიმიტრი ანდრონიკაშვილი
52. ამბაკო გიორგობიანი
53. ნესტორ კეჭაყმაძე
54. ნიკოლოზ აფაქიძე
55. დავით კალანდაძე
56. გიორგი რაზმაძე
57. ალექსანდრე ბუაძე
58. ლეონიდე ბერეზოვსკი
59. ვასილ სანაკოევი
60. დავით მინდაძე
61. პარმენ მუსერიძე
62. სურენ ვართანოვი
63. სერგო კიკნაძე
64. ვახტანგ მაყაშვილი
65. ალექსანდრე ვაჩნაძე
66. სპირიდონ ქარჩავა
67. გიორგი პაპიევი
68. ალექსანდრე ყარაევი
69. ვლადიმერ თოდუა

70. ვალერიან მარღანია
 71. გივი ჭანტურია
 72. არკადი ავაქოვი
 73. ისააკ ცალკინი
 74. მიხეილ ლასურაშვილი
 75. გერასიმე ფერაძე
 76. გერონტი ხვედელიანი
 77. შოთა ბერიძე
 78. დავით გორგიაშვილი
 79. ირაკლი ბენდუქიძე
 80. ივანე ღვინერია
 81. ალექსანდრე ჭელიძე
 82. პლატონ ჭყონია
 83. დავით ზაგერი
 84. ვასილ არდიშვილი
 85. სილოვან მახვილაძე
 86. დავით ჩიქოვანი
 87. ფარნაოზ მაისურაძე
 88. გრიგოლ მდივანი
 89. ილიკო ბუზიაშვილი
 90. გრიგოლ ჩიკვაძე
 91. მიხეილ გურამოვი
 92. გრიგოლ დლონტი
 93. გრიგოლ მაცაბერიძე
 94. არჩილ ცაგარეიშვილი
 95. ნიკოლოზ ტყეშელაშვილი
 96. ლევან ჯუღელი
 97. ტიტე წერეთელი
 98. ვასილ ჭანკვეტაძე
 99. კაზიმირ ფირკო
 100. დარჩო აბუაშვილი
 101. კალისტრატე კვიციანი
 102. აბელ ჯაფარიძე
 103. შოთა მონადირაშვილი
 104. მიხეილ ჩხეიძე
 105. ოთარ გამცემლიძე
 106. ვლადიმერ (ლადო) სულავა
 107. გიორგი (ხუტა) ხუფენია
 108. გიორგი ბერძენიშვილი
 109. ეპიფანე კაცაძე
 110. ვასილ (ვასო) ქარჩავა
 111. პეტრე დუნდუა
 112. გიორგი (ჟორა) გიორგობიანი
 113. ირაკლი ჩიჩუა
 114. შოთა ჯაოშვილი
 115. გიორგი ზახაროვი
 116. ნოდარ ქვარაია
 117. ვიქტორ სუმბაძე
და ა.შ.
- დანარჩენი მომდევნო თაობებმა გა-
აგრძელონ (ან. კოსი).

VI. საქართველოს ტყვეების და სატყეო საქმის ამაგდართა სსოვნა

ალექსანდრე მარჯანიშვილი

საქართველოს მეტყევე-სპეციალისტთა პირველი თაობის (1920-იანი წლები) თვალსაჩინო წარმომადგენელი, სატყეო მეურნეობის და ტყის მრეწველობის დარგების გამოჩენილი სამეურნეო ხელმძღვანელი, დიდებული მოქალაქე და მამულიშვილი.



ალექსანდრე სიმონის ძე მარჯანიშვილი დაიბადა 1905 წელს ქ. ქუთაისში. იქვე წარმატებით დაასრულა კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო ქ. თბილისში, სადაც ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიულ ფაკულტეტთან, დიდი ქართველი მეტყევის – სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანის მიერ ახალგაზსნილ სატყეო-სამეურნეო განყოფილებაზე (1923 წ.).

ა. მარჯანიშვილი 1928 წელს ამთავრებს აღნიშნულ უნივერსიტეტს და მუშაობას იწყებს თბილისის სატყეოში

ტყის კულტურების საცდელ უბანზე მეტყევის თანაშემწედ. აქედან მალევე გადაყავთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ტყის გაშენების ინსტრუქტორად.

1932 წლის აგვისტოში ა. მარჯანიშვილი უკვე ინიშნება ხელმძღვანელ თანამდებობაზე – ქუთაისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორის მოდგილედ. ერთი წლის შემდეგ კი გადაყავთ ხაშურში, სატყეო კომბინატის დირექტორად.

უკვე ამ ეტაპზე ა. მარჯანიშვილის ნაყოფიერი მუშაობა, უნარიანი სამეურნეო მუშაკის რანგში, შეუმჩნეველი არ რჩებათ დარგის ხელმძღვანელობას და მას 1935 წელს აწინაურებენ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის კომისარიატში სატყეო მეურნეობის განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1937-1940 წლებში ა. მარჯანიშვილი თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორია, ხოლო 1941-1942 წლებში ის მოღვაწეობს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საკურორტო ტყეების მთავარ სამმართველოში.

მეორე მსოფლიოს (სამამულო) ომის უმძიმეს პერიოდში – 1942 წელს, ა. მარჯანიშვილი ინიშნება საქართველოს სატყეო მრეწველობის კომისიის მოადგილედ, ხოლო სახალხო კომისარიატების სამინისტროთა სახით ფორმირების შემდეგ არის (1946-1947 წლები) რესპუბ-

ლიკის ტყის მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

1947 წელში რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს შექმნის დღიდან, ა. მარჯანიშვილი ინიშნება მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე, სადაც მუშაობს 1952 წლის აგვისტომდე.

1952-1956 წლებში ის მთავარი ინჟინრის რანგში, განაგრძობს მუშაობას ტრესტ „საქტყეში“, ხოლო 1956-1968 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეფერენტია.

1958 წელს შეიქმნა თბილისის ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის დირექტორად წარდგენილ და დამტკიცებულ იქნა ა. მარჯანიშვილი. 1959 წელში ის გადაიყვანეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო 1964 წელს დაინიშნა „საქტყეკვალდმომარაგების“ მთავარი სამმართველოს უფროსად. აქ მან ნაყოფიერად იმოღვაწა 1976 წლამდე, რის შემდეგ გავიდა პენსიაზე, თუმცა სამსახურეობრივი საქმიანობა არ შეუწყვეტია: მუშაობდა თბილისის ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ, ისტიტუტ „საიუზგიპროლესსოხის“ საქართველოს ფილიალის მთავარ სპეციალისტად.

ალექსანდრე მარჯანიშვილი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გამოირჩეოდა იშვიათი ანალიტიკური აზროვნებით, კერძოდ, მის მიერ 1950-იან წლებში შეიქმნა სპეციალური დაზგა-დანადგარი ეკალიპტების სარგავი მასალის (ტყის კულტურების) გახარების მაღალი დონის მიღწევის მიზნით, ნათესარების დაზგისიანების ოპერაციის მექანიზირებულად წარმოებისათვის (საავტორო მოწმობა №91554, რომელიც თარიღდება 1950 წლის 23 მაისით). მასვე ეკუთვნის რაციონა-

ლიზატორული წინადადება „საქართველოს ტყეებში ტყეთსარგებლობის გადიდების შესახებ“.

1957 წელს სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა გამგეობამ გამოსცა ალექსანდრე მარჯანიშვილის მიერ შედგენილი „ტყის დამზადების ცნობარი“ (ტირაჟი 500 ცალი), რომელიც გამოსვლის დღიდან რესპუბლიკის ყველა მეტყევე-სპეციალისტის და ხეტყის მრეწველობის მუშაკთა მაგიდის წიგნად იქცა და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

1961 წლის აგვისტოს თვეში ალექსანდრე მარჯანიშვილმა გამოაქვეყნა ჟურნალში „საქართველოს ეკონომიკა“ სტატია „საქართველოს სსრ ტყის მეურნეობის მართვის სისტემისათვის“ (განხილვის წესით), რომელმაც დარგის სპეციალისტთა და მეცნიერ-მუშაკთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. წერილში ბალტიისპირეთის, კერძოდ, ლატვიის რესპუბლიკის მაგალითზე, შესანიშნავადაა დასაბუთებული ადგილებზე ტყის მეურნეობის და სატყეო-სამრეწველო საქმიანობის ერთობლივად, კომპლექსური გაძღოლის ეფექტიანობა, რაც ლატვიაში 1959 წლიდან განხორციელდა და პრაქტიკულად ფრთები შეესხა პრინციპს „ტყეს ერთი პატრონი“. აღნიშნულ პუბლიკაციაში წამოყენებულია ნოვატორული წინადადება ჩვენს რესპუბლიკაშიც (საქართველოში) ტყის მეურნეობის მართვის კომპლექსურ საწყისებზე გადაყვანის შესახებ. ამის განხორციელება საქართველოში ნაწილობრივ მოხერხდა 1963-1965 წლებში, როდესაც სამრეწველო-ამორჩევითი ჭრების წარმოება დაექვემდებარა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, თუმცა ამას არ მოყოლია ადგილებზე კომპლექსურ სატყეო მეურნეობათა შექმნა და ტყის მეურნეობის და

ხეტყის დამზადების წარმოების ერთობლივი ფუნქციონირება.

ამ საქმის პრაქტიკული ხორცშესხმა დაიწყო უფრო გვიან, 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ეკოლოგიური მიზანშეწონილობის გამო, რესპუბლიკაში მთავარი სარგებლობის ჭრები შემცირდა 535 ათას კუბმ-მდე და მისი წარმოება გადმოვიდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში, ხოლო 1978 წლიდან ახლადშექმნილი სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ ფორმირებული იქნა კომპლექსური, მექანიზირებული სატყეო მეურნეობები ამბროლაურში, საჩხერეში, ახმეტაში, ახალციხეში, წალენჯიხაში და სხვა რეგიონებში. ასე, რომ ალექსანდრე მარჯანიშვილის მიერ წამოყენებულმა ნოვატორულმა წინადადებებმა მაინც გაიკვლია გზა წლების შემდეგ და დამკვიდრდა ტყის მეურნეობის და ხეტყის მრეწველობის წარმოების პრაქტიკაში.

ალექსანდრე მარჯანიშვილის მაღალნაყოფიერი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა რესპუბლიკის მაშინდელი მთავრობის მიერ, კერძოდ, 1961 წლის ივნისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას მიანიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება, ხოლო 1965 წელში დაბადებიდან 60 წელან დაკავშირებით, სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათის დაჯილდოვდა საქართველოს სსრ პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

P.S ალექსანდრე მარჯანიშვილის შესახებ ცნობები მოიძია და რედაქციას გადმოსცა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, მეტყევე-ინჟინერმა ლამარა არგანაშვილმა, რისთვისაც მას ვუხდით დიდ მადლობას.

რევაზ ობოლაძე

დიმიტრი (კონდრატი) საბაშვილი (1909-1994)

ხე-ტყის მრეწველობის დარგის დეველოპმენტული გამოჩენილი ხელმძღვანელი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სატყეო მეურნეობის და ხეტყის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების დამაარსებელი და გამგეობის თავმჯდომარე ათეული წლების მანძილზე.



მან სახელოვანი გზა განვლო რიგობითი ინჟინრიდან საქართველოს სატყეო, ცელულოზა-ქადალდის და ხეტყის გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობამდე. ყველგან გამოირჩოდა საქმის ღრმა ცოდნით, ენციკლოპედიური განათლებით, მაღალი პროფესიონალიზმით. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით საქართველოში დაპროექტდა და საფუძველი ჩაეყარა, აშენდა არაერთი სატყეო-სამრეწველო მეურნეობა, საავეჯო და ხის დამამუშავებელი საწარმოები, რომლებმაც მტკიცე საფუძველი ჩაუ-

ყარეს საქართველოში ხეტყის მრავალდარგოვან ინდუსტრიას და განაპირობეს საერთოდ, საქართველოში სატყეო საქმის ინტენსიური განვითარება.

დიმიტრი ივანეს ძე საბაშვილი (ნათლობის სახელი კონდრატე, ახლობლები კი მას მიტუმას ეძახდნენ) დაიბადა 1909 წლის 2 ნოემბერს ოზურგეთში. მისი ქალიშვილის ქალბატონ მანანას მიერ მოწოდებული ინფორმაციით საბაშვილების გურული შტო სოფ. დვაბბუში იყო დამკვიდრებული. ისინი ოდითვე სასულიერო პირები ყოფილან, ხოლო დიმიტრის მამამ – ივანე საბაშვილმა საზოგადოებრივი მოღვაწეობა აირჩია. მან თავის დროის შესაბამისად შესანიშნავი განათლება მიიღო, ფლობდა თავისუფლად რუსულ, ფრანგულ და თურქულ ენებს. მუშაობდა ფოსტის უფროსად ოზურგეთში, ნატანებში და შემდეგ ართვინში (დღევანდელი თურქეთი). ოჯახი გვიან შექმნა. მეუღლე ელისაბედი, ოფიცრის – იოსებ გოგოლაშვილის ქალიშვილი, ქმარზე გაცილებით ახალგაზრდა იყო. მათ ხუთი შვილი ეყოლათ – ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ოჯახს ვაჟიშვილის – დიმიტრის დაბადებამდე ორი ქალიშვილი ჰყავდა და ვაჟის შექმნამ განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია.

დიმიტრის წერა-კითხვა ბებიამ – დედის დედამ, სოფიო მიქელაძემ შეასწავლა. შვიდი წლისა იყო, როდესაც შეიყვანეს სკოლაში ქალაქ ართვინში, სადაც მამამისი ფოსტა-ტელეგრაფის გამგედ მუშა-

ობდა. ართვინში მისი სწავლა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან 1918 წელს ართვინი თურქებმა დაიკავეს. მათ დიმიტრის მამას შესთავაზეს ადგილზე დარჩენა, მაგრამ მან უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, თურქები მას მაინც დაეხმარნენ ფოსტისა და ოჯახის ქონების ტრანსპორტირებაში. ოჯახი დაბრუნდა ოზურგეთში, სადაც დასახლდნენ საკმაოდ დიდ სახლში (ადგილმამულში).

დიმიტრი 14 წლისა იყო, როდესაც მოულოდნელად დედა გარდაეცვალა. ეს ხანა უმძიმესი იყო მთელი საქართველოსათვის. მკვიდრდებოდა საბჭოური წყობა და უკვე ხანში შესულს და მეუღლის გარდაცვალებით განადგურებულ დიმიტრის მამას ივანეს, უკვე სამსახური აღარ ჰქონდა. დედის გარეშე დარჩენილი ბავშვების მოვლა და აღზრდა მოუწია უფროს ქალიშვილს – ოლიხკას, რომელიც იმ დროს 19 წლისა იყო. ამიტომ დიმიტრიმ ადრე დაიწყო შრომა. ის იყო ცეცხლფარეშის დამხმარე, შემდეგ ჩაღანდრობდა – ცხენით გადაჰყავდა ბახმაროზე დამსვენებლები და მიღებული გასამრჯელოთი მნიშვნელოვნად ეხმარებოდა ოჯახს. ასე შრომობდა ის 1925 წლამდე. ოზურგეთის სკოლის დამთავრების შემდეგ, უფროსი დის ხელშეწყობით, დიმიტრი ჩადის თბილისში და 1926 წლიდან იწყებს სწავლას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტზე. ამთავრებს მას 1931 წელს წარჩინებით, რის შემდეგ იწყება მისი მრავალმხრივი შრომითი საქმიანობა სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის მრეწველობის სხვადასხვა ობიექტებზე. ამავე პერიოდში დიმიტრიმ შექმნა ოჯახი ვალენტინა ჯავრიშვილთან ერთად. მათ შეეძინათ ორი ქალიშვილი – ალა და მანანა, ხოლო მათგან სამი შვილიშვილი – დიმიტრი გუგუნავა, ირინე ხოჭოლავა და ქეთევან ტატიშვილი. მოესწრო სამ შვილთაშვილს – დიმიტრის, ქეთის და სანდროს.

იყო ერთგული და ყურადღებიანი მეუღლე, მამა, ბაბუა.

მოდვაწეობის ყველა უბანზე დიმიტრი დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით უდგებოდა თავის საქმიანობას. კერძოდ, მუშაობდა ინჟინრად საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტში; იყო საქ. სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის საცდელ-სასწავლო სატყეო მეურნეობის დირექტორი; საქ. მთავარი ხე-ტყის მომარაგების სამმართველოს უფროსი; სატყეო მრეწველობის მინისტრის მოადგილე 1951 წლიდან. მისი აქტიური მონაწილეობით და ძალისხმევით ჩატარდა ურთულესი სამუშაო, მიმართული სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, რესპუბლიკის ხეტყით მომარაგებისა და გაპარტახებული მეურნეობის აღსადგენად.

1949 წლიდან პირადად ხელმძღვანელობდა არსებული ტყემრეწვეურნეობების რეკონსტრუქციას და ახალი ობიექტების შექმნას. 1950-1951 წლებში მისი მონაწილეობით მდ. ენგურზე, პირველად საბჭოთა კავშირში, აშენდა უნიკალური და ორიგინალური კონსტრუქციის მოწყობილობა, რომელმაც ძირფესვიანად გააუმჯობესა ხეტყის ტრანსპორტირება მთის მდინარეებზე. ეს პროექტი იყო მეტყევეების, კონსტრუქტორების, მეცნიერებისა და მშენებლების საერთო მაღალნაყოფიერი შრომის შედეგი და წარდგენილი იქნა სახელმწიფო პრემიაზე.

შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც დ. საბაშვილის ხელმძღვანელობით და აქტიური პირადი მონაწილეობით შესრულდა, იყო ამიერკავკასიაში უდიდესი აგეჯის კომბინატ „განთიადის“ მშენებლობა.

ამის შემდეგ მან განჭვრიტა, რომ ტყისა და ხეტყის გადამუშავების მრეწველობის წინსვლისათვის აუცილებელი იყო ახალი პერსპექტიული გეგმებისა და თანამედროვე პროექტების შექმნა და ის დაბეჯითებით მოითხოვდა საქართველოში სპეციალი-

ზებული საპროექტო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. მისი თხოვნა გაითვალისწინეს და შეიქმნა საპროექტო ინსტიტუტი „საქტემრეწვპროექტი“. დ. საბაშვილი, მისი პირადი თხოვნით, განთავისუფლდა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან და დაინიშნა ახლად შექმნილი საპროექტო ინსტიტუტის პირველ დირექტორად, სადაც იგი მუშაობდა 1957 წლიდან 1968 წლამდე. ამ პერიოდში მისი აქტიური ხელმძღვანელობით, მაღალპროფესიონალებისაგან შემდგარი კოლექტივის მიერ, შეიქმნა მრავალი მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებელი პროექტები.

1968 წელს დიმიტრი საბაშვილი გადაყვანილ იქნა რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ, სადაც მუშაობდა 1978 წლამდე.

პენსიაზე გასვლის შემდეგ მოღვაწეობდა სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მთავარ სპეციალისტად. იყო მრავალი წლის მანძილზე საქართველოს სსრ ხეტყის მრეწველობის და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

პეტრე დუნდუა, ბორის ბოქოლიშვილი, თენგიზ შჩანეიშვილი, მერაბ დვალი, შორა ბიორბობიანი, ედვარდ ლოხანიძე, დავით ბიბაური, ზაურ ბალამუარაშვილი, რევაზ ობოლაძე, რევაზ ჩაბელიშვილი.

მისი შრომა და მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებული. მიღებული აქვს მრავალი ორდენი, მედალი და საპატიო სიგელი.

გარდაიცვალა 1994 წლის მარტში.

დღეს, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოში სატყეო ინდუსტრია ვეღარ დგას სათანადო დონეზე და ის დაქსაქსული და დეცენტრალიზებულია მრავალ კერძო მეწარმეთა შორის, რესპუბლიკაში სატყეო საქმის კვლავ ასაღორძინებლად მეტად საშური საქმეა სათანადო ყურადღება იქნეს მიმართული იმ პიროვნებათა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელთა დაუღალავი, მუხლმოუსრელი შრომა-გარჯით იქნა შექმნილი 1930-1990 წლებში საქართველოში ტყის რესურსების გამოყენების და აღდგენის რაციონალური ინდუსტრია, მოწინავე, რესურსდამზოგი ტექნოლოგიები.

სწორედ ამ დიდებული საქმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახლდათ დიმიტრი საბაშვილი, რაც არ უნდა დავიწყოს და აუცილებელია გაითავისოს ქართველ მეტყევეთა (ტყის მუშაკთა) ახლანდელმა და მომავალმა თაობებმა.

ნუგზარ გერსამია

საქართველოს დამსახურებული მეტყვე

ვალერიან ალექსის ძე მარღანია (1913-1988)

ბუნების დიდი ქომაგი, რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის და ტყის მეურნეობის დიდი მოამაგე, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მეტყვე ინჟინერი, მეორე მსოფლიო (დიდი სამამულო) ომის აქტიური მონაწილე, „ალექსანდრე ნეველის“ ორდენის კავალერი, „საბრძოლო დამსახურების“, „მოსკოვის დაცვისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „გერმანიის აღებისთვის“ და სხვადასხვა ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მინიჭებული ორდენებისა და მედლების კავალერი, „მე-16, მე-11 გვარდიის არმიის ვეტერანის“ საპატიო ნიშნისა და სიგელების მფლობელი.



ვალერიან ალექსის ძე მარღანია გავიცანი 1960 წელს მოსკოვში, ბიძაჩემის-გიორგი (ჟორა) ლავრენტის ძე გერსამიას (საქართველოს ქალაქისა და ხეტყის მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი) მოსკოვში მივლინებაში ყოფნის დროს. ბიძაჩემი ხშირად ჩამოდიოდა მოსკოვში, როდესაც მე (ნუგზარ გერსამია) და ჩემი უმცროსი ძმა კარლო, 1960-იან წლებში ვსწავლობდით მოსკოვის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში.

1960 წლის მარტია. ბიძაჩემი ჩამოსულა მოსკოვში, შეგვატყობინა და თავისთან

დაგვპატიჟა, დათქმულ დროზე მე და კარლო მივედით სასტუმროში. რომ შევედით ბიძასთან, უცხო კაციც დაგვხვდა – მხარბუჭიანი, მაღალი ტანის, ძალიან ელეგანტური, სიმპატიური პიროვნება. მისაღმების შემდეგ ბიძამ გაგვაცნო მისი მეგობარი – ვალერიან მარღანია, რომელიც წარმოშობით აფხაზეთიდან იყო და იმხანად მუშაობდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად.

ბიძამ ახლად გაცნობილ პირთან ერთად დაგვპატიჟა იქვე რესტორანში, სადაც ორ საათზე მეტ ხანს ვიყავით. ბევრი ვისაუბრეთ. ბატონ ვალერიანს ძალიან ესიამოვნა, როცა ვუთხარით, რომ ბებიაჩემი – მარღანია მისი მეზობელი სოფლიდან იყო.

ვალერიან მარღანია დაიბადა 1913 წლის 1 ნოემბერს აფხაზეთში სამურზაყანოს (გალის) სოფელ გუდავაში, შექლებული აზნაურის ოჯახში. სოფელი გუდავა არა მარტო გალის რაიონის, არამედ საქართველოს ერთერთი უძველესი დასახლებაა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოიხსენიება. შავი ზღვის გუდავის სანაპირო ანდამატივით იზიდავს ადამიანებს, რადგან ზღვა სუფთა და მარჩხა, სანაპირო კი ქვიაშიანი, ღორ-

ლიანი და განიერია. საქართველოში პირველად გუდავაში მოეწყო ე.წ. „პლია-ჟი“, სადაც დასვენების საუკეთესო პირობები იყო შექმნილი. ზღის სანაპიროს გასდევს ტყის ზოლი, რომელის უმეტეს ნაწილს ფლობდა გუდავაში მცხოვრები ვალერიან მარღანიას ბაბუა კვაჯი მარღანია.

ბატონმა ვალერიანმა ბავშვობა გაატარა სოფელში, სადაც ოჯახს მამა-პაპისეული დიდი სახლ-კარი ჰქონდა ფართო ეზოთი, რომელსაც ტყე ეკვროდა. ვალერიანის ბაბუის ფართო, სუფთა, კოპწია ეზოდან ჩრდილოეთით მოჩანდა კავკასიონის მთავარი ქედი თავისი უმშენიერესი ლანდშაფტით, მთებით, რომელიც წელიწადის ყველა დროში თოვლითაა დაფარული.

1922-1924 წლებში ბატონი ვალერიანი სწავლობდა ჯერ თბილისის აფხაზ ბავშვთა სახლ-ინტერნატში, ხოლო შემდეგ, 1924-1925 წლებში, – სოხუმის მე-2 შრომის სკოლაში. 1926-1929 წლებში – ოჩამჩირის რუსულ სკოლაში, ხოლო 1929-1930 წლებში – სოხუმის სამშენებლო სასწავლებელში.

1933 წელს ჩაირიცხა და 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი მერქნის მექანიკური დამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

1938-1939 წლებში ბატონი ვალერიანი მუშაობდა ტულის ავეჯისა და ფურნიტურის ფაბრიკის საამქროს უფროსად; 1939-1941 წლებში – მოსკოვის ავეჯის ექსპერიმენტალური საამქროს უფროსად.

1941 წლის 28 ივნისში ბატონი ვალერიანი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. სამხედრო საქმიანობა დაიწყო მე-16 არმიაში: იყო ბატალიონის მეთაურის მოადგილე, ხოლო შემდგომში საინჟინრო-სასანგრო ბატალიონების მეთაური. იგი სამჯერ დაიჭრა ფრონტზე, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს დემობილიზებული იქნა ვიცე-პოლკოვ-

ნიკის წოდებით, რის შემდეგაც უბრუნდება თავის პროფესიულ საქმიანობას და 1947 წელს ინიშნება საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს „საქტყეშემის“ ტრესტის ინჟინრად.

1948-1952 წლებში – თბილისის ფანერის (ფირფიცარის) ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელია, ხოლო 1952-1954 წლებში – თბილისის მშენებარე ავეჯის კომბინატის დირექტორი;

1954-1961 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად.

1961-1963 წლებში იყო გაგრის „ტყე-მრეწვემეურნეობის მთავარი ინჟინერი, ხოლო შემდეგ ამავე მეურნეობის დირექტორი.

1963-1965 წლებში მუშაობდა პროექტის მთავარ ინჟინრად საკავშირო ინსტიტუტ „სოიუზგი პროლესტრანსის“ საქართველოს ფილიალში.

1965-1977 წლებში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილეა, 1977-1980 წლებში კი – აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი.

1980-1988 წლებში მუშაობდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პორპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველოს უფროსად.

1988 წლის ოქტომბრის თვეში ბრმა შემთხვევამ სიცოცხლე უეცრად მოუსწრაფა: სოხუმში მანქანა დაეჯახა და მიღებულმა ტრამვამ უდროოდ იმსხვერპლა. ამქვეყნიური ცხოვრებიდან წავიდა ენერგიით სავსე, კაცთმოყვარე, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, ბუმბერაზი ადამიანი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება უანგაროდ და თავდადებით მოახმარა თავის სამშობლოს, ქართველი და აფხაზი ხალხისადმი დაუშრეტელ

შრომა-გარჯის საქმიანობას. თავისი კაცურკაცობა, სამართლიანობა, კაცთ-მოყვარეობა, სიცოცხლის ბოლო წუთზეც არ დაუკარგავს ბატონ ვალერიანს. როცა მისი ორგანიზმი სიკვდილს ებრძოდა, მან მოიკრიბა ძალღონე და დაიბარა, იცოდეთ ყველამ, მძღოლი უდანაშაულოა, მე უნებ-ლიეთ დავარდვიე მოძრაობის წესი და მძღოლი ჩავაყენე გამოუვალ მდგომარეობაში.

ბატონი ვალერიან მარღანია დაკრძალულია თბილისში.

ბოლო დღეს უამრავმა ხალხმა გააცილა ბატონი ვალერიანი, მათ შორის ბევრი იყო მისი მშობლიური აფხაზეთიდან. არ მოიძებნება პიროვნება, ვისაც შეხება ჰქონია სატყეო სისტემასთან და პირადად ბატონ ვალერიან მარღანიასთან, რაიმე აუცილებელი თქვას მასზე. იგი იყო უაღრესად საინტერესო და კომუნიკაბელური პიროვნება, ინტელიგენტი, დიდი მეტყველებელი, სპეციალისტი, ბუნების ჭეშმარიტი ქომაგი. ახალგაზრდების თაყვანისმცემელი, სტუმართმოყვარე, პრინციპული, სამართლიანი, გააჩნდა იუმორის განსაკუთრებული გრძობა, კარგი მეოჯახე, კარგი ამხანაგი, კარგი ხელმძღვანელი.

როცა ვ. მარღანია ჩვენი მინისტრი გახლდათ, ერთ-ერთ კოლეგიის სხდომაზე მეუბნება, – ნუგზარი, უნდა გესტუმრო, უნდა ვნახო შენი სატყეო მეურნეობა და გუდავის ხე-ტყის დამზადების უბანი. დაუთქვით დრო და ადგილი შესახვედრად. გალის სატყეო მეურნეობა ამზადებდა ყველაზე მეტ ხე-ტყეს, წლიურად 35000 კუბ.მეტრს. დამზადება მიმდინარეობდა სამ უბანში. მე მაშინვე მივხვდი, თუ რატომ, მაინცდამაინც, აინტერესებდა მინისტრს ბატონ ვ. მარღანიას გუდავის უბნის ნახვა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი გვითქვამს.

დანიშნულ დღეს სოფ. აჩიგვარაში, საიდანაც მოდიოდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გუდავის დამზადების უბნი-

საკენ, დავხვდით მინისტრს და მის მოადგილეს მატონ დუშელი შონიას. ჩავსხედით თბომაგალში და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით გავემგზავრეთ გუდავის ხე-ტყის დამზადების უბანში. ორნახევარი კილომეტრის გავლის შემდეგ ვნახეთ დიდი აბრა წარწერით, რომ აქ იწყებოდა 1978 წლის ტყეკაფი. გამოჩნდა შტაბელებად დაწყობილი დამზადებული ორმეტრიანი საქმიანი და საშეშე მერქანი, მიმდინარეობდა ხე-ტყის დამზადება. ტრაქტორებს, სპეციალურ ხე-ტყის საზიდებს რკინიგზის ხაზამდე გამოჰქონდათ შტაბელებად დაწყობილი მერქანი. იმ ადგილებიდან, რომელიც ძლიერ დაჭაობებული იყო, გამოზიდვა მიმდინარეობდა ცოცხალი გამწვევი ძალის დახმარებით (კამეჩები და ცხენები).

რკინიგზის ორივე მხრიდან ხდებოდა გამოზიდული ხე-ტყის დატვირთვა რკინიგზის პლატფორმებზე. აქვე იწყებოდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალური ხაზის გაგრძელება. იქვე რკინიგზის შტოზე ეყენა 10 საცხოვრებელი ვაგონი, სადაც მუშები ცხოვრობდნენ მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში. აქ ნახახით აღფრთოვანებული მინისტრი მეუბნება: „ნუგზარ, ეს ყველაფერი კარგია, რომ ასე გვაქვს აწყობილი დამზადება-გამოზიდვის საქმე, მაგრამ მე, პირადად, ცოტა ნაწყენი დავრჩი იმით, რომ მარღანიების ნაქონი ტყეები სულ მოგიჭრიაო“. მე ხუმრობით ვუპასუხე, რომ ერთის მაგივრად, 10 ძირს დაგახვედრებთ-მეთქი (გამომდინარე იქიდან, რომ გაკაფული მურყანი (თხმელა) მომავალ წელს 10-12 ამონაყარს იძლევა, რომლის მოჭრა შესაძლებელია ყოველ 10 წელიწადში). შემდეგ მინისტრი მომიბრუნდა და მეუბნება: – „ნუგზარ, კარგი იქნება, თუ ახალ გაშენებულ ტყეკულტურასაც მაჩვენებო“. „ახლავე ბატონო, ოღონდ ჩექმები უნდა ჩავიცვათ, ისე ვერ გავაღოთ“ – ვუპასუხე. „ახლა ჩექმები საი-

დან მოვიტანოთ“. ჩვენ გვაქვს-მეთქი. ძალიან მოეწონა ჩემი წინდახედულობა მინისტრს. ყველამ ჩავიცვიოთ ჩექმები და ფეხით გავემართეთ ტყეკულტურების დასათვალიერებლად. ყველა მუშასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და განვაგრძეთ გზა. დაახლოებით 500 მეტრის გავლის შემდეგ მივაღექით 2 ჰექტარიან ჭადრის ტყეკულტურას, რომელიც წინა წელს იყო გაშენებული. ახალგაზრდა ჭადრის კულტურები ჯარისკაცებივით იყვნენ ჩამწკრივებული და გახარების მაჩვენებელი 100% იყო. იქვე იყო წარწერა გაკეთებული, რომ ჭადრის კულტურა 2 ჰა-ზეა გაშენებული (3,5X3,5 მეტრზე) 1977 წლის შემოდგომაზე, სულ 1570 ძირი. 300 მეტრში ვნახეთ იფნის კულტურა 100%-იანი გახარებით (წარწერით იფნის კულტურა გაშენებულია 1976 წლის გაზაფხულზე 1 ჰა-ზე 2,5X2,5 მეტრზე, სულ 1600 ძირი).

მინისტრს ძალიან მოეწონა ჩემი გაშენებული ტყეკულტურები და მომმართა: „ნუგზარ, შენს მიერ გაშენებულ ტყეკულტურებზე რასაც ამბობდნენ, მართალი გითხრა არ მჯეროდა და ვფიქრობდი, ცოტა გაზვიადებული არის მეთქი, მაგრამ არ ვყოფილვარ მართალი. რაც მე დღეს ვნახე, ეს არის ტყეკულტურების გაშენების კლასიკური ნიმუში. ეს ტყეკულტურები ცოცხალ ძეგლს წარმოადგენენ და უნდა ვანახოთ ყველას. ეს სამუზეუმო ექსპონატივითაა და ამით უნდა ვიამაყოთ. ნუგზარ, კანონზომიერია, რომ ამ უბანში, მარღანიების ყოფილ ტყის ფართობებზე, შენ წარმართავ მუშაობას, შენ ხომ ბებია მარღანია გყავდა. ყველაფრისთვის დიდ მადლობას გეუბნები, მაგრამ მაქვს ერთი თხოვნა, შენ ხომ არ იცი, შემთხვევით, ის ადგილი, სადაც ბაბუაჩემი – კვაჯი სახლობდაო“. „როგორ არ ვიცი, ბატონო ვალერიან, აქედან კილომეტრნახევარში იქნება“ ? ვუპასუხე. გადაწყვიტა წავსულიყავით და გაუღექით გზას.

მანძილი ბაბუას ნასახლარამდე შემჩნევლად გავლიეთ და მივაღექით ნასახლარს, სადაც ბუხრის ნარჩენები და სახლის ბეტონის საძირკვლები იყო შემორჩენილი, მემამიანე ამ საქმისა. ტერიტორია თხემელით იყო დაფარული. მინისტრს თვალები ცრემლებით ავესო.

ჩვენებმა სახელდახელოდ ამ ბუნების წიადში სუფრა გაშალეს. მინისტრს ძალიან გაეხარდა ჩემი წინდახედულობა. სუფრის თამადად დუშელი შონია ავირჩიეთ. თამადამ სუფრა ღია ცის ქვეშ წესების სრული დაცვით წარმართა, მოიხსენიეს მინისტრის ბაბუა კვაჯი მარღანია. მინისტრს თვალები ცრემლებით ევსება, ძალიან კარგ ხასიათზეა და მეუბნება: „ნუგზარ, დიდი მადლობა იმისთვის, რომ პირადად მე მაჩუქე ეს ბედნიერი დღე, რომელიც ჩემი ცხოვრების მანძილზე არ დამავიწყდება“. დიდად ნასიამოვნებმა დატოვა ბატონმა ვალერიანმა იმ დღეს გუდავის ხე-ტყის დამზადების ტერიტორია. ჩემი ღრმა რწმენით მიწის ყოვილმა ჩამოიყვანა მინისტრი გუდავაში იმ დღეს ყველაზე მეტად. ამის შემდეგ კიდევ მრავალჯერ მოინახულა ბატონმა ვალერიანმა გალის სატყეო მეურნეობა.

ბატონი ვალერიან მარღანია განუზომელი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა. ის წარმოადგენდა ადამიანის საუკეთესო თვისებების ნიმუშს, რომელთანაც ორგანულად იყო შერწყმული თავდაბლობა, ჰუმანურობა და თავაუღებელი შრომისმოყვარეობა. მის მიერ გავლილი გზა მისაბაძია ყველა თაობის ადამიანისათვის და შესანიშნავი მაგალითია სამშობლოსათვის უანგარო სამსახურისა.

ბატონმა ვალერიან მარღანიამ ცხოვრების ყველა ეტაპზე, სამსახურსა თუ მის მიღმა, ღირსეული მამულიშვილის სახელით იცხოვრა.

უფალმა ნათელში ამყოფოს ამ დიდსულოვანი, კეთილი ადამიანის სული! ამინ!

ბ ა მ ო თ ხ ო მ ე ბ ა

მ ა ყ მ ა ლ ა კ უ ჭ ა მ ა



მერვე ათეული წლის ასაკში, ამასწინათ, ჯერ კიდევ შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე წავიდა ამ ქვეყნიდან საქართველოს მეტყვევთა მესამე თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი, მეტყვევქალთა კოლორიტული პიროვნება, რესპუბლიკის დამსახურებული მეტყვევ-ენერი, საქართველოს ბიზნესის აკადემიის აკადემიკოსი მაყვალა კუჭავა.

მაყვალა იასონის ასული კუჭავა დაიბადა 1938 წელს ხონის რაიონის სოფ. ქვიტირში. 1954 წელს წარმატებით დაამთავრა ქ. თბილისის მე-13 საშუალო სკოლა, რის შემდეგ საქართველოს ბუნების, ტყის მრავალფეროვნების შეცნობის სიყვარულმა, მისი შესწავლისადმი დიდმა სურვილმა შთააგონა სწავლა გაეგრძელებინა საქართველოს სასოფლო-სამე-

ურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე.

აღნიშნულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ის აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა საორგანიზაციო, შემოქმედებით საქმიანობაში. წლების მანძილზე გახლდათ ფაკულტეტის სტუდენტთა ორგანიზაციის მდივანი, ინსტიტუტში სტუდენტთა საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1960 წლიდან დაწყებული, ოთხი წლის მანძილზე მუშაობდა ამიერკავკასიის ტყეთმცოდნეობის საწარმოში, საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ფილიალში.

1964-1983 წლებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე რესპუბლიკურ სატყეო ორგანიზაციებში, კერძოდ: წარმართავდა კრწანისის ტყეპარკის მშენებლობას, იყო „საქტყეთესლის“ მთავარი ინჟინერი, დირექტორი. 1983 წლიდან კი – საქართველოს ტყის ჯიშთა თესლების საკონტროლო ზონალური სადგურის დირექტორი.

ბოლო ათეულ წლებში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში ტყის თესლების დამზადების და საზღვარგარეთის ქვეყნებში მისი რეალიზაციის კომერციულ საქმიანობას. არჩეული იყო საქართველოს ბიზნესის აკადემიის აკადემიკოსად.

მას კიდევ ჰქონდა ამ ხაზით ახალი, ნოვატორული მიმართულებების დანერგვის და ბიზნეს საქმიანობის გაფართოების საინტერესო პროექტები, რომელთა

განხორციელება, სამწუხაროდ არ დას- – ქალიშვილი, შვილიშვილი, მეგობართა
ცალდა. წრე, რომელთაც მუდამ ეხსომებათ მისი
მაყვალა კუჭავამ დატოვა შესანიშ- ნათელი სახე.
ნავი ოჯახი, დიდებული შთამომავლობა

**ქურნალ „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის, ახლო მეგობრების
და თანაკურსელთა სახელით:**

**ლაშრა ნაჭყებია, ნათია იორდანიშვილი, ეთერ რეხვიაშვილი,
ნათია ღუბიაწერი, ნანა ჩხეიძე, მარინე სუჯაშვილი, ლამარა
არბანაშვილი, მადლენა კიღურაძე, მერაბ დვალი, ბიძინა თაგაძე,
ბურამ ხურციძე, ელიზბარ ლომინაძე, ბურამ ბერიშვილი,
მანთანა მარდიაშვილი, დემნა ბლიაძე, თამაზ ქურდიანი, ანორ
ადეიშვილი, ლერი ჯოჯუა, რევაზ ობოლაძე, ბობი ახობაძე,
სულიკო ჯაყელი, ჯონი ბეშერიძე, ბურამ ორჯონიკიძე, ჯიმშერ
ბაბუნაძე, მურმან ქვანაშვილი, თენგიზ მეთრეველი**

VII. საოცრებათა სამყაროში

ხ. იანკოვსკი

კონსტანტინე იანკოვსკის რამდენიმე ეკოლოგიური ნარკვევი (მტიუდი) ტაიგის საოცარ ბუნებაზე და მის აღამიანებზე

(რუსულიდან თარგმნა და შესავალი დაურთო მარინე ამბარდნიშვილმა)

თვით კ. იანკოვსკის შესახებ

კონსტანტინე დიმიტრის ძე იანკოვსკი [1904-1983] ცხოვრობდა ირკუტსკის ოლქის ტაიშეტის რაიონის სოფელ შიტკინოში. იკვლევდა ტაიგის ბუნებას. მისი ნარკვევები და მოთხრობები იბეჭდებოდა გაზეთებში: «Советская молодежь», «Восточно-Сибирская правда», «Уральский следопыт» და სხვ. გამოიცა მისი სამი წიგნი: «На речке Бобровой», «Таежное сердце» «Дикие камни».

კონსტანტინე იანკოვსკი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ის იმ დროს, ჯერ კიდევ სტუდენტი, მონაწილეობდა ტუნგუსკის მეტეორიტის II საძიებო ექსპედიციაში და როცა მონაწილეებს შორის განხეთქილება მოხდა, ის ერთადერთი დარჩა გადამწვარ ტაიგაში ექსპე-

დიციის ხელმძღვანელ ლეონიდ კულიკთან სურსათ-სანოვავის გარეშე.

ერთხელ ნადირის ძიებისას უჩვეულო ლოდს წააწყდა. იქნებ კოსმოსური სტუმრის ნაშთი იყო. სურათი გადაუღო და მისკენ მიმავალი ბილიკი დაიმახსოვრა, მაგრამ დიდი სამამულო ომის მერე ამ ადგილას ტყე აღმოცენდა და ლოდს ვეღარ მიაგნო. ამ ლოდს ჩურგიმის ლოდი ეწოდა ნაკადულ ჩურგიმის სიახლოვის გამო. ქ. ტომსკის ახალგაზრდა მეცნიერთა ექსპედიცია ცდილობდა ამ ლოდის პოვნას, მაგრამ ამაოდ. 1965 წელს კ. იანკოვსკიმ მეტეორიტის დაცემის ადგილას მოაწყო ბავშვთა ექსპედიცია, მაგრამ ლოდისკენ მიმავალ ბილიკს ვერ მიაგნეს.

ტუნგუსკის მეტეორიტის II საძიებო ექსპედიციის მონაწილეებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა, სურსათი არ ჰყოფნიდათ, ამიტომ ახალგაზრდა გამყოლი კ. იანკოვსკი ნადირობდა კიდევც.

ექსპედიციის მონაწილეებს შორის, მეტეორიტის დაცემის ადგილის განსაზღვრის გამო, მოხდა განხეთქილება. მხოლოდ კ. იანკოვსკიმ უერთგულა ცნობილ მეცნიერ ლეონიდ კულიკს. ისინი ვანავარაში დაემშვიდობნენ ერთმანეთს. კონსტანტინე დიმიტრიე-



სურ. 1. კონსტანტინე იანკოვსკი
მეუღლესთან ელენა რაზუმოვსკაიასთან ერთად



სურ. 2. ჩურგიმის ლოდი

ვინს ხელფასი არ მოუთხოვია, იცოდა რა, რომ ექსპედიციას ამისი სახსრები არ ჰქონდა. კულიკს უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ფული ცოლმა გამოუგზავნა. კ. იანკოვსკი ყოველგვარი საარსებო სახსრების გარეშე დარჩა. ის მდინარე კამენნაია ტუნგუსკის ნაპირას ქარაფის ქვეშ დასახლდა ჩალის ქოხში ძაღლთან ჩუმ-ჩოკთან ერთად. ამ მდგომარეობიდან იხსნა ტუნგუსკის მეტეორიტის I ექსპედიციის მონაწილე მონადირემ ვასილი კიტინაძე.

როცა კონსტანტინ იანკოვსკი, მშვიერი და უფულოდ, ტაიშეტიდან მეტეორიტის ექსპედიციის ბანაკში მარტოდ დარჩენილ კულიკთან ბრუნდებოდა, ერთ ტაიგურ სოფელში შეხვდა ელენა რაზუმოვსკაიას. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულ მეგობრებად დარჩნენ.

კონსტანტინე იანკოვსკი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. იგი იბრძოდა ორიოლ-კურსკის რკალზე, მეთაურობდა ბატარეას. იგი ომიდან თითქმის ხეიბარი დაბრუნდა, მას ხელები უკანკალებდა. ექიმებმა წოლა ურჩიეს. როცა ჰოსპიტალიდან დაბრუნდა, ცოლმა ტაიგაში წაიყვანა. ტაიგამ კონსტანტინ დმიტრიევიჩს სულიერი წონასწორობა აღუდგინა. ის ომის შესახებ არასოდეს ჰყვებოდა.

კ. იანკოვსკის დიდი ღვაწლი მიუძღვის სიასამურის ბინადრობის ადგილე-

ბის შესწავლასა და დაცვაში, ასევე რუსეთის დასავლეთ რაიონებიდან აღმოსავლეთ ციმბირში თავების გადმოსახლებაში. ამისთვის მან შეისწავლა მათი ახალი ბინადრობის ადგილები.

კ. იანკოვსკისთან პრაქტიკას გადიოდნენ სტუდენტი მეტყვევები, სწავლული მონადირეები. ის მათ თავის ტაიგელ ქალ-ვაჟებს ეძახდა და ფინანსურადაც ეხმარებოდა. სტუდენტი პრაქტიკანტები იანკოვსკებისგან სწავლობდნენ ადამიანურ ურთიერთობებს, სიკეთეს, სათნოებას და წლების განმავლობაში არ ივიწყებდნენ მათ ტაიგელ მამას.

კ. იანკოვსკი სიცოცხლის ბოლომდე აწარმოებდა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს. სახლთან ეზოში მოწყობილი ჰქონდა მეტეოროლოგიური მოედანი. ის წინასწარმეტყველებდა ამინდს.

სიცოცხლის მეტი ნაწილი კ. იანკოვსკიმ ტაიგაში გაატარა. მას საკვები მიჰქონდა ნადირ-ფრინველთათვის, ქოხებთან რგავდა ყვავილებს, სასტიკი იყო ბრაკონიერების მიმართ. ამბობენ, რომ იგი დათვის ელაპარაკებოდა, რომელიც მისი მონადირული ქოხის სიახლოვეს ბინადრობდა. „ბერიკაცო! ისევ მოხვედი? მელოდები?“ და დათვიც პასუხად ჩაიბურტყუნებდა. ისინი ერთსა და იმავე ნაკადულის წყლით სარგებლობდნენ. როცა ჩურგიმის ლოდის მოსაძებნად ბავშვთა ექსპედიცია მოაწყო, დათვმა იქაც მიაკითხა და მთელი ღამის განმავლობაში მათ ბანაკს გარს უვლიდა, მერე კი ტორებით კოცონი ჩააქრო. ექსპედიციის ხელმძღვანელის ა. მელნიკოვას თქმით კონსტანტინ დმიტრიევიჩმა დათვს, როგორც ძველ ნაცნობს ისე მიმართა: – აქ შენი ადგილი არ არის, ბავშვებს ნუ აშინებო! და ისიც მიბრუნდა და დაგვშორდა.

კ. იანკოვსკისთვის მთელს აღმოსავ-

ჩუბიძის ლოდი

ლეთ ციმბირში ყველაზე ძვირფასი და ახლობელი იყო შიტკინის 40 კვ. კმ ფართობის სამონადირეო უბანი. აქ პრაქტიკას გადიოდნენ სტუდენტები, სწავლული მონადირეები. აქ მდებარე ქოხს ხშირად სტუმრობდნენ მეცნიერები, ტურისტები. მას კ. იანკოვსკი თვალისწინებით უფროსი იდებოდა. როცა ხე-ტყის დამამზადებლებისგან გაიგო, რომ ამ სამონადირეო უბნის ნაწილი უნდა გააკაფულიყო, მან ხელმძღვანელ ორგანოებს შესთავაზა, რომ შიტკინოს ტაიგის ეს უბანი ნაკრძალად გამოეცხადებინათ, სამეცნიერო დაკვირვებების გასაგრძელებლად, მაგრამ კ. იანკოვსკი ამას ვეღარ მოესწრო.

კ. იანკოვსკის დარჩა სახლი, რომლის კარები მის სიცოცხლეში ღია იყო ადამიანებისა და ნადირ-ფრინველებისთვისაც კი. ფრთოსნებისთვის იდგა მაგიდა საკვებისთვის, მასთან ბინადრობდნენ ბიბლიოთეკის კატა პაწაწო, იყვნენ მიტოვებული კატებიც. მისი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ ახალგაზრდები.

შიტკინოში იანკოვსკებმა დარგეს ვაშლის ხეები. არავის სჯეროდა, რომ ციმბირის მკაცრ პირობებში ვაშლის ხეები გაიხარებდნენ, მაგრამ კლიმატს შეეგუენ და ნაყოფიც მოისხეს. სოფლის ბაეშეები პირს იტკბარუნებდნენ ამ ხეთა ნაყოფით, კენწეროებზე კი ნაყოფს ჩიტებს უტოვებდნენ. შემდგომ ვაშლის ნერგები მთელ სოფელში გაახარეს.

ხალხი არ ივიწყებს „ცოცხალ ლეგენდას“ კონსტანტინ დიმიტრის ძე იანკოვსკის და მის წიგნებს. ჟურნალის მკითხველს ამჯერად ვთავაზობთ კ. იანკოვსკის რამდენიმე ეკოლოგიურ ეტიუდს ციმბირის ბუნების საოცრებათა შესახებ.

და აი, მარტო დავრჩი, და როგორც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მარტოობას არც კი ვგრძნობ. ალბათ იმიტომ რომ მარტო არ ვარ, ჩემთან ჩუმ-ჩოკია. სიმღერით ვღვები და შორეული ექოც თითქოს მიმომღერებს. ჩუმ-ჩოკს ველაპარაკები და ისიც თავდახრილი მისმენს. მუქი თაფლისფერი თვალებით ყურადღებით მიცქერის. მეჩვენება, რომ მისი ღრენა და მრავალნაირი წმუკუნი მესმის კიდევ.

იმდენი საქმე მქონდა დავალებული, რომ არ მოვიწყენდი. სინჯები უნდა გადამეტანა ნავმისადგომ ხეშმომში. ეს ქოხი თვალწარმტაცი ტაიგური მდინარის პირასაა, ექსპედიციის ბანაკიდან 7 კმ-ის დაშორებით. სამხრეთის ჭაობისკენ მიმავალი ბილიკი განაკაფივით უნდა გამეფართოებინა ასე, 1 კმ-ის მანძილზე. უნდა მომეწესრიგებინა ბანაკის ტერიტორია. მოთრეული მორები შტაბელებად უნდა დამეწყო მომავალი მშენებლობისათვის. რამდენიმე გველგესლა უნდა დამეჭირა და სპირტში ჩამედო. კიდევ ჰერბარიუმი, კიდევ და კიდევ...

როცა ამ დავალებებს ლეონიდ ალექსევიჩის თანდასწრებით ვკითხულობდი, მედიმებოდა.

– რატომ იღიმები? – მკითხა კულისკმა.

– ამ ორ კვირაში ვერ მოვასწრებ!

– ვიცი, მაგრამ ორი კვირა ცოტა არაა, თუმცა მჯერა, რომ ბევრს მოასწრებ.

და მეც მოვასწარი. განსაკუთრებით გამიჭირდა მორების შტაბელებად დაწყობა. მერე თვითონვე გამიკვირდა ეს როგორ შევძელი.

დრო გადიოდა. ყოველდღიურად ველოდებოდი თვითმფრინავს, რომელსაც ცნობილი პოლარელი მფრინავი ჩუხნოვსკი მართავდა. დავალებული მქონდა

სტოიკოვიჩის მთაზე მოედანი გამესუფთავებინა, სასიგნალო ბოძი დამედგა და ყოველდღიურად შემემოწმებინა ქარს რომ არ წაექცია.

ასე გაიარა ორმა კვირამ. არც თვითმფრინავი მოფრენილა და არც კულიკი გამოჩენილა, თუმცა დამპირდა, რომ 12-15 დღეში დაბრუნდებოდა. დარჩენილი სურსათი, ძირითადად ფქვილი ილეოდა. ამიტომ დღიური ულუფა შევამცირე. ამაშიც თანხა უნდა გადამეხადა. ლეონიდ ალექსევიჩის მიერ დატოვებული რამდენიმე ვაზნა უკვე დავხარჯე. ერთადერთი ვაზნადა შემოვინახე იმ შემთხვევისთვის, თუ ნადირს მშვიდობიანად ვერ მოვიშორებდი.

დიდი ფიზიკური დატვირთვის გამო შიმშილმა თავისი კვალი დამამჩნია. სურავანდი შემეყარა. დავალებების შესრულება მიძნელდებოდა. დრო გამოვყავი ნადირობისთვის. ვცდილობდი გზაში მენადირა, როცა ხუშმოდან ვბრუნდებოდი, სადაც ყოველდღიურად სინჯები გადამქონდა. ცოტა დენთი მქონდა დარჩენილი, მქონდა ფისტონები, საფანტი გამითავდა. სადამოობით თიხის „საფანტებს“ ვაკეთებდი, ვაშრობდი და ვაზნებს ვტენიდი, ქაღალდში ვახვევდი, გასროლისას ლულა რომ არ დაზიანებულყო. ასეთი საფანტით მიზანს ვერ ვადწევდი. ჩუმ-ჩოკი დაჭრილ ნადაირევს ეძებდა და მოჰქონდა.

იმ დღეს ხუშმოში არ წავსულვარ. ძალიან მშოიდა და ნადირობა გადავწყვიტე. სოხატინოს სოპკაზე ბილიკით ავედი. ჩუმ-ჩოკი გაუჩინარდა, ნადირს ეძებდა. უცებ ძირკვზე დიდი, მურა გველგესლა შევნიშნე, მზეზე თბებოდა. ასეთი ჩვენს კოლექციაში არც გვქონდა. სპეციალური დასაჭერი ჯოხი თან მქონდა. გამეხარდა იქვე ჩუმ-ჩოკი რომ არ იყო, რადგან თვალის დახამხამებაში გველს გაუსწორდებოდა. გველგესლა სწრაფად დავიჭირე და ზურგჩანთაში ჩავისვი.

ბილიკს კიდევ ცოტა ხანს მივუყ-

ვებოდი, მერე ნაკადულ ჩურგიმის მხარეს გადავუხვიე. გველგესლა მოუსვენრობდა, მერე დამშვიდდა და თავს ხანდახან შემახსენებდა ხოლმე. ნელა მივდიოდი იმ იმედით, რომ რაღაც ნადირს გადავაწყდებოდი. უცებ ჩემი ყურადღება უჩვეულო ქვის ლოდმა მიიპყრო. იმ მეტეორიტებს ჰგავდა, რომლებიც ლენინგრადიდან გამოშვავრების წინ ვნახე.

– ნამდვილად მეტეორიტია! – ვთქვი ჩემთვის. – ლეონიდ ალექსევიჩისთვის სიურპრიზი იქნება.

ლოდთან მივირბინე. ირგვლივ შემოვუარე. ლოდი სიგრძით ორი მეტრი იქნებოდა, მეტრზე მაღალი და მეტრზე განიერი. ლოდის ზედაპირზე კომპასი დავდე. ისარი დატრიალდა, მერე ჩვეული მდებარეობა მიიღო და გაჩერდა. ლოდის ჩადრმაგებებშიც იგივე მოხდა. ვცადე მონადირის დანით გამეკაწრა, მაგრამ ქვა ძალიან მაგარი აღმოჩნდა.

– არა, ეს მეტეორიტი არ არის. უჩვეულო, მაგრამ მაინც ქვაა.

გაწბილებული ცრუ მეტეორიტს დავშორდი, გამოვხედე. – არა, ნამდვილად მეტეორიტია! კულიკი კი ამბობდა, რომ ტუნგუსკის მეტეორიტი აუცილებლად რკინის უნდა ყოფილიყო, რადგან პომსვინიეკეს კომეტას უკავშირდებოდა.

გადავწყვიტე ლოდისთვის ფოტო გადამეღო. ჩემი ყუთი-ფოტოაპარატი სულ თან დამქონდა. ფირებიც შემიცოტავდა, ამიტომ მხოლოდ ერთხელ გადავიღე.

ვერაფერი მოვინადირე. ხელი მომეცარა, მაგრამ თიხა ტყვია ხომ არ იქნებოდა.

როცა ლოდს ვათვალიერებდი, ჩუმ-ჩოკმა მოირბინა, აფორიაქებული იყო, იყნოსავდა და ვერ ხვდებოდა, თუ პატრონს რა აინტერესებდა.

როცა ლოდს მოვცილდი, ჩუმ-ჩოკი ნადირის მოსაძებნად გავეშვი, ისიც გაიქცა, მაგრამ იმ დღეს მასაც არ სწყალობდა ბედი.

ბილიკზე გამოვედი. საათს დავხედე. მეტეოროლოგიურ დაკვირვებადმდე ჯერ კიდევ ადრე იყო. სწორედ ამ დროს კისერზე ცივი ვიგრძენი. გველი ჩემს მკერდზე ცოცავდა და ავად სისინებდა. ვიდექი და არ ვინძრეოდი, ველოდი მიწაზე როდის ჩამოსრივდებოდა. ქვემოთ მის სამკუთხა თავს და ორკაპა ენას ვხედავდი.

უცებ ბილიკზე ჩუმ-ჩოკი გამოჩნდა. ძალი დაჟინებით უყურებდა ჩემს მკერდს. გველგესლა დაიკლაკნა და კისერზე კული შემომხვია. ჩუმ-ჩოკი ნელ-ნელა მომიახლოვდა. ვშიშობდი ძალის ამ მოქმედებით გველი სულ არ გამძვინვარებულებიყო და ვუჩურჩულე: – არ შეიძლება! – თან ხელი ნელა ავწიე, მინდოდა გველი მომეშორებინა, უმოქმედობა აღარ შეიძლებოდა.

დრო ვიხელთე და გველს, როგორც მახსოვს, კისერში ხელი ვტაცე და მთელი ძალით მოვუჭირე. უცებ ჩუმ-ჩოკი საშველად გამოიქცა, მკერდზე მეცა და წამაქცია. წამოვხტი და დავინახე გველგესლას როგორ უსწორდებოდა.

თითში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. ორი პატარა წითელი წერტილიც შევნიშნე, სჩანს გველმა კბენა მოასწრო. დანა ამივიდე, გავიჭერი და ჭრილობიდან სისხლი ამოვიწოვე. ვაზნიდან დენთი გადმოვყარე და თითთან ასანთით ავიფეთქე. ნაკბენს ზემოთ ხელი მჭიდროდ შევიკარი. სანამ ექსპედიციის ბანაკს მივალწევდი, ხელი უკვე გამისივდა და გამიწითლდა. გამახსენდა კულიკის ნათქვამი: – „გველმა თუ გიკბინა, ცუდი არ იქნება სპირტს თუ დაღევ.“ გველების საკონსერვაციოდ სუფთა სპირტი მქონდა და დავლიე. იქამდე კი დღიურში ჩავწერე ამ წარუმატებელი დღის ამბები. დიდხანს მეძინა. საშინელმა წყურვილმა გამადვიბა. წყალი დავლიე და ისევ გავაგრძელე

ძილი. თორმეტი საათი მაინც მეძინა. დასიებული თითი თითქმის დამიცხრა, მხოლოდ სიწითლე დამრჩა და დამწვარი ადგილი მტკიოდა. ჩუმ-ჩოკმა არ დამტოვა და სულ ჩემს გვერდით იწვა.

... ლოდის სურათი კარგი გამოვიდა. ორი ცალი დავბეჭდე – ერთი ექსპედიციისთვის, მეორე ჩემთვის.

კულიკმა კეუმში წასვლიდან ერთი თვის მერე ექსპედიციის ბანაკში ორი ხნიერი ანგარელი გამოგზავნა. მათი მოსვლისას უკვე ფეხზე ძლივს ვიდექი, როგორც მითხრეს, სახეზე მკვდრისფერი მედო.

ანგარელის მოტანილ წერილში ლეონიდ ალექსევიჩი მთხოვდა, რომ ბანაკში ყველფერი ისე დამეტოვებინა როგორც იყო, ვანავარაში მივსულიყავი და იქ დავლოდებოდი. მინაწერში კი ეწერა: – „აეროფოტოგადაღება არ იქნება.“

თავდაპირველად ჩაი ავადუღეთ. ანგარელები საგზლით – კვერებით და ხმიადებით გამიმასპინძლდნენ. მომეჩვენა, რომ ასეთი გემრიელი ჯერ არაფერი მეჭამა. მრავლისმნახველმა ანგარელებმა მითხრეს: „ცოტა-ცოტა მიეჩვიე. ახლა აღარ იშიმშილებ.“

ვანავარაში ორი ცხენით დავბრუნდით. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გზის უმეტესი ნაწილი უნაგირზე ვიჯექი, თვითონ კი მონაცვლეობით სხდებოდნენ ცხენზე. მაძლარი ჩუმ-ჩოკი წინ მიგვიძლოდა. მე უკანა ცხენით მივდიოდი და ხშირად ჩემთან ბრუნდებოდა.

რამდენიმე დღის მერე ბანაკში ლეონიდ ალექსევიჩთან ერთად დავბრუნდი. მორების შტაბელებთან რომ გაირა, მან შემომხედა და მითხრა:

- ეს შენ დააწყვე?! ერთმა?
 - არა, ორივემ, ჩუმ-ჩოკთან ერთად.
- გამეღიმა.

– მხნედ ხარ კოტოკ! – ასე მეძახდა ლეონიდ ალექსევიჩი მას მერე, რაც ბანაკში ორნი დავრჩით და როცა კარგ გუნებაზე იყო.

– ვიყავი და ვიქნები. მხოლოდ ვადა მომეცი.

არაფერი უთქვამს, უმალ შემოტრიალდა და თავისი ქოხისკენ გაემართა. ან კი რა უნდა ეთქვა...

ფოტოსურათს დახედა და აღელვებულმა მკითხა:

– შენ ტუნგუნსკის მეტეორიტის ნატეხი ნახე? იპოვე?!? და როცა გაიგო, რომ ლოდს მაგნიტური თვისებები არ ჰქონდა, დამშვიდდა.

– მეც ამას ვფიქრობდი. შენი ნაპოვნი ლოდი მეტეორიტს არ უკავშირდება. მე ხომ გეუბნებოდი, რომ მეტეორიტი რკინის იყო.

მინდოდა კულიკს ეს ლოდი ენახა, რადგან ქვის მეტეორიტს ჰგავდა.

– კარგი, წავიდეთ.

მაგრამ მეორედ ნახვის საშუალება აღარ მომეცა.

როცა ამ ლოდისადმი გულგრილობა დავინახე, მეც აღარ დავინტერესდი. რა ვიცოდი მაშინ, თუ შემდგომში მისი ძებნა დაგვჭირდებოდა, როგორ ვინანებდი და ჩემს თავს დავამუნათებდი, შეუპოვრობა რომ არ გამოვამჟღავნე!

ტაიგაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში სამხრეთის ჭაობის დასავლეთ ნაწილს ვიკვლევდით. ამ დროისათვის კულიკი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ გიგანტური მეტეორიტის ნამტვრევები უნდა ყოფილიყო არა ჩრდილო-დასავლეთის ტორფიანი ჭაობების ძაბრისმაგვარ კრატერებში, არამედ სამხრეთის ჭაობის დასავლეთის ნაწილის ფსკერზე.

ლიუჩეტიკანი ¹.

მთელი საღამო წერილებს ვწერდით. შემთხვევით უნდა გვესარგებლა და „ღიდ მიწაზე“ გასაგზავნი წერილები ვანაერში მიმავალი მოხუცი ევენკი ლიუჩეტიკნისთვის უნდა გაგვეტანებინა. მალე გაზაფხულდებოდა, ტაიგის მდინარეები აბობოქრდებოდნენ, წყალი კონცხებს გადაუვლიდა, დაბლობებს დატბორავდა, გაზაფხული ვის სად მოუსწრებდა, იქ უნდა დაეცა და როცა აბობოქრებული მდინარეები დამშვიდდებოდნენ, ტაიგის გზა მაშინ გაიხსნებოდა.

უკვე კარგად დაბინდებულიყო, როცა წერილები გულმოდგინედ შევფუთე და ექსპედიციის ღონიერი ცხენი კარკო შევკაზმე. კულიკმა მშვიდობიანი გზა მისურვა და მზრუნველობით დამარიგა. კულიკი ფრთხილი იყო, განსაკუთრებით ჩურგიმის ნაკადულებზე, ჩანჩქერთან გადასვლისას. ცხენზე აგმხედრდი და კარკომაც პირველ დაბლობზე გამიყვანა. მალე ფენილზე გადავედით. ცხენი ნალებს ფრთხილად ადგამდა. მალე ტაიგაში ხეობის ახლოს განაკაფ ბილიკზე გავედით. აქ შავ კლდეებს შორის მომწვედელი ნაკადულები ჩანჩქერად გადადიოდნენ. კარკომ სვლა შეანელა, ხეობის ირგვლივ ციკაბო ფერდობით უნდა შემომეველო.

ყურებაცქვეტილი კარკო ფრუტუნებდა, ვეებერთელა მინაყინს მიუყვებოდა, ფეხებს ფრთხილად ადგამდა, ლოდებს შორის მქუხარე ნაკადულები გადაიარა და ჩორთით განაგრძო გზა. სულ მალე ნავმისადგომ ხუშმოში ქოხთან მივედით. ცხენს უნაგირი მოვხსენი.

ქოხის პირდაპირ მდელიოზე პატარა კოცონი ენთო. ლიუჩეტიკანი ფეხმორთხმული იჯდა ირმის ტყავზე და მოუშო-

¹. ლიუჩეტიკანი – ანუ გარუსებული. ადგილობრივი ევენკი ილია პოტაპოვიჩ პეტროვი - რომელმაც მეტეორიტის დაცემის ადგილას უმეგზურა კულიკს.

რებლად ჩიბუხს ეწეოდა. მისი მნახველი ვერ დაადგენდა რამდენი წლისა იყო. არც თვითონ იცოდა. დამჭკნარი სახე ნაოჭებით ჰქონდა დაღარული. ვიწრო თვალები უციმციმებდა. ნიკაპზე წვერი ოდნავ ემჩნეოდა, ცოტა მეტი თმა ჰქონდა ზედა ტუჩზე, რაც უღვაშებს არც ჰგავდა. როცა ასაკს შეეკითხებოდნენ, გაიღმებდა და ამ დროს სახე უფრო უნაოჭდებოდა.

– ბევრი. – იტყოდა ხოლმე.

– რამდენი?

– არ ვიცი.

– იქნებ ოთხმოცის. – თავს დააქნევდა.

– იქნებ ოთხმოცდაათის. – კვლავ ეთანხმებოდა ლიუჩეტკანი.

– იქნებ ასის?

– ნიმაღი? – იქეთ შეეკითხებოდა.

– იქნებ ნიმაღი.

როცა ასზე მეტს ეტყოდნენ, მოხუცი ევენკი არ ეთანხმებოდა.

– ასის, მეტი არა.

– ამით მთავრდებოდა საუბარი ლიუჩეტკანის ასაკის შესახებ.

როცა წყალი აღუდდა ქვაბში ჩაის ფილის მოზრდილი ნაჭერი ჩავაგდე, ვიცოდი, რომ ევენკებს მაგარი ჩაი უყვარდათ. მაგიდაზე ორცხობილები, შაქარი და შესქელებული რძის ქილა დავალაგე.

– ილია პეტროვიჩ, ქოხში შემოდით, ჩაი დაგლიოთ.

– აქ სჯობს, უფრო გაგემრიელდება.

– მომიგო ლიუჩეტკანმა. ის რუსულ და ევენკურ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა. მეც ხალისით გავიტანე მოსაკითხი, რადგან კოცონთან ჯდომა მიყვარდა.

ღრუბლები ჩრილოეთისკენ მიჰქროდნენ და ისე ჩანდა, რომ ცოტა ქვემოთ თუ დაეშვებოდნენ, მდინარის ნაპირას მღვარ ლარიქსებისა და ნაძვების კენწეროებს წამოედებოდნენ.

– ასეთ ღრუბლებს ქარი მოერეკება, ქარი კი სითბოსაც მოიტანს. უნდა ვიჩქაროთ, გზა ჩაიკეტება. – თქვა დაფიქრე-

ბულმა ლიუჩეტკანმა და ფინჯანში სურნელოვანი ჩაი დაისხა.

– ღიას, გაზაფხული კარს მოგვადგა. – მივუგე და საუბარი გავაბით.

ამის გამო, რომ ილია პოტაპოვიჩი ხშირად ურევდა რუსულ და ევენკურ სიტყვებს, ძნელი გასაგები იყო, თუ რას ამბობდა. ამის შესახებ მას ვკითხე.

– შეგნებულად ვიქცევი ასე. – გაიცინა. – აქ როგორ უნდა იცხოვრო, რომ ჩვენი ენა არ გესმოდეს. რასაც ვერ გაიგებ, მკითხე. სწრაფად ისწავლი.

ენის სწავლის ეს მეთოდი მომეწონა. პირველ გაკვეთილზე ბევრი სიტყვა ვისწავლე და გულმოდგინედ ჩავიწერე ბლოკნოტში.

რაზე აღარ ლაპარაკობდა ლიუჩეტკანი. სულ ერთი და იმავე თემას, მეტეორიტის ძიების საკითხს ვუბრუნდებოდი. მეც ფრიად მოხარული ვიყავი, რადგან მოხუც ევენკს ბევრი საყურადღებო რამ უნდა სცოდნოდა ტუნგუსკის საოცრების დაცემის შესახებ.

– როგორი დიდი საზრუნავი აქვს გრძელ ლიუჩას (რუს). – ასე ეძახდა კულიკს. – ციდან ცეცხლი ღმერთმა ოგდიმ გამოგვიგზავნა. ტაიგა გაანადგურა. ცუდად მოიქცა. ტაიგა მდიდარი იყო. ლიუჩას რა ესაქმება? – ევენკი გაჩუმდა.

მინდოდა მეთქვა მეტეორიტს რომ ვეძებდით, მაგრამ ლიუჩეტკანმა თხრობა გააგრძელა.

– იმ წელს ამ ქოხიდან ცოტა მოშორებით ჩვენი ჩუმი იდგა. ცეცხლი კინაღამ არ მოგვწვდა. სამი დღით ადრე იქიდან ავიყარეთ და წამოვედით. ამან გადაგვარჩინა. წამოვედით თუ არა, ცეცხლმა ყველაფერი გაანადგურა.

ვიჯექი და ვუსმენდი თუ როგორ აიყარნენ იქედან, როგორ დაეხოცათ აკულინასა და ივანეს უამრავი ირემი, ჩუმი ჩიტვით რომ გაფრინდა ქარისგან, ქარი როგორ მიაქროლებდა, ივანე შიში-

საგან რომ დამუნჯდა, მასთან მყოფ ვასილის კი ძლიერ შეეშინდა. ყველაფერი ნახა და მოისმინა.

იმ ღამეს ლიუჩეტიანისგან ბევრი რამ გავიგე. მითხრა, რომ ტუნგუსკის საოცრებასთან მრავალი წელი აკავშირებდა და გული იმ ადგილისკენ მიუწევდა.

უნდა დაგვეძინა, ლიუჩეტიანსაც უნდა დაესვენა, წინ დამქანცველი გზა ედო.

კარკოს წყალი დაგალევიანე და ქოხთან დავაბი, ძლიერი ქარისგან რომ დამეცვა.

– ილია პეტროვიჩ, წავიდეთ დავიძინოთ.

ევენკს გაეცინა. ჩემი ნათქვამი გაიგო.

– ქოხში დახუთულობაა. – ირმის ტყავი დაფერთხა, დაიფინა და კოცონისკენ ზურგით დაწვა, მკერდზე და თავზე ძველი პარკა გადაიფარა.

– ღამე მშვიდობისა ილია პეტროვიჩ!

– შენც მშვიდად იძინე.

ღუმელი გავახურე, თავქვეშ უნაგირი დავიდე და თაროზე მოხერხებულად მივწევი...

ქარმა გამადვიბა. – „მოხუცი ევენკი როგორღა იქნება? – გამიელვა თავში.

ლიუჩეტიანს ეძინა. კოცონი ჩანავლუბულიყო. ფრთხილად, რომ არ გამეღვიძებინა, გადმოვარდნილი პარკა გადავაფარე. კარკოსთან მივედი. ცხენი მშვიდად ახრამუნებდა თივას, და რა მიცნო, წყნარად დაიჭიხვინა.

ქარი ძლიერდებოდა, გუგუნებდა, მაგრამ ეს არ იყო ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი, სითბო და ტენი მოჰქონდა.

– „გზა ჩაიკეტება! – გამახსენდა ევენკის ნათქვამი. დიახ, ამ ქარით გაზაფხული მოფრინდა. ეს წელი ჩვენთვის უჩვეულო იყო. ამ ქარს პირველად ლენინგრადში შევხვდით, როცა ექსპედიციისთვის ვემზადებოდით და თბილი წვიმით სადგურში გაგვაცილა, ტაიშეტში დაგვეწია, მაგრამ

გავასწართ და აი, ამჯერად მესამეჯერ ვხვდები უკვე დიდი საიდუმლოს ქვეყანაში. ქარისკენ შევტრიალდი და მისი თბილი, ნაცნობი სუნთქვა ვიგრძენი.

– სალამი გაზაფხულო! კიდევ ერთხელ სალამი!“ – წარმოვთქვი ხმამაღლა. ქარი პასუხის ნიშნად ალერსით მიწეწავდა თმას.

ლიუჩეტიანი დილაუთენია გაუდგა გზას. წერილების დასტა ტაიმენის გამოყვანილი ტყავის ჩანთაში ჩადო და პონიაგაზე მიიმაგრა.

მოხუცს მაგრად ჩამოვართვი ხელი.

– შემოდგომამდე დაიცადე, მოვალ და ლოდის მოძებნაში მოგეხმარები. უნდა მივეხმაროთ გრძელ ლიუჩას, რუს ახალგაზრდებს. რამდენს აიტანთ. – მითხრა გამოთხოვებისას ლიუჩეტიანმა.

– მდინარის მოსახვევში უკანასკნელად დავინახე ევენკი. ის შეჩერდა, თოფი ასწია და დამშვიდობების ნიშნად ჩვენი თოფების ხმა ერთმანეთში შეერწყა.

ნადპის „ცრემელები“

თითზე უმნიშვნელო ჭრილობა მქონდა, სისხლი ბევრი არ დამიკარგავს, მაგრამ მესამე დღეს გამისივდა და იდაყვამდე გამიწითლდა, გამაცხელა კიდევ. პაპამ შემნიშნა, რომ უქეიფოდ ვიყავი, თუმცა არ ვიმჩნევდი.

– რატომ მაშინვე არ მითხარი? რა შეგემთხვა? ? მოღუშული ათვალიერებდა ჩემს ხელს და თავისი დაძარღვეული, ძლიერი ხელით გადააბრუნა. – ხედავ? დოლივით დაგჭიმვია, მადაც დაგეკარგა, გაცხელებს.

იოლი სათქმელია: „რატომ არ მითხარი?“ როგორ ვეტყოდი, როცა პაპის მიერ დავალებული საქმეები მემამყებოდა. რა არ შეემთხვევა ადამიანს. თუ ვეტყოდი, მარტოს აღარ გამიშვებდა და ისევ მასთან ერთად ვივლიდი ყველგან. ვერც ვიცრუებდი. სჯობდა არ მეთქვა იმ იმედით,

რომ ჭრილობა მალე შემეხორცდებოდა, მერე კი ყველაფერს მოვუყვებოდი.

აი, რა შემემთხვა: პაპამ მე, ჯერ ისევ ბიჭს ნადირისთვის დაგებულ მახეების შემოწმება მანდო. მახეში გაბმული ციყვები მხარზე გადაკიდებულ ტომარაში კოხტად უნდა ჩამეწყო და თან, სადაც საჭირო იყო სატყუარები დამელაგებინა. სატყუარად სურნელოვანი ზეთა სოკოები არყის ხის ქერქისგან გაკეთებულ ხოკერში მეწყო. რა თქმა უნდა, მახეები უნდა გამესწორებინა. საქმეს კარგად გავართვი თავი. მახეების გაკეთებას თითქმის მოვრჩი და მიხაროდა, რომ ციყვებით სავსე ტომარა დამძიმდა. ბოლოს დარჩენილ უკანასკნელ მახეს როცა მივუახლოვდი, თავდაყირა დაკიდებული ციყვი დავინახე. ციყვი უკანა ფეხებით გაბმულიყო. მკვდარი მეგონა, მაგრამ მიახლოვებისას გატოკდა და რადგან ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, უნდა მომეკლა. პაპა როგორ ხოცავდა ნადირს, არ მქონდა ნანახი, მაგრამ მონადირეებისგან მსმენოდა, რომ ამის გაკეთება ძნელი არ იყო. ვიდეკი და ციყვს ვუყურებდი. ნამდვილი მონადირეული სქელყუიანი დანა ქამარზე მეკიდა, მაგრამ ხელი დანისკენ არ გამიწვევია. მახეს მივუახლოვდი და ავწიე. ციყვი თოვლზე დაეცა. დავიხარე. არ გატოკებულა. მინდოდა ამეყვანა და გამეთბო, რადგან ვხვდებოდი, რომ თითები გაყინული ექნებოდა. ხელი შევასხე თუ არა, კბილები თითში ჩამასო. ხელი გამოვტაცე. ციყვი თითზე დამეკიდა. პირი ფრთხილად გავაღებინე და როგორც კი თითი გავინთავისუფლე, ხელიდან გამისხლტა. ცოტა ხნით შეყოვნდა, მერე ისკუპა და შორს გადახტა, ალბათ თავი მხნედ იგრძნო და თვალის დახამხამებაში ტაივის უღრანში გაუჩინარდა. ნაკბენიდან სისხლი გამოვიწოვე, გადავაფურთხე და გზა განვაგრძე. ჭრილობა მტკიოდა, თუმცა სისხლი აღარ მომდიოდა.

აი ყველაფერი ის, რაც იმ დღეს შემემთხვა. პაპას მოვუყევი თუ მახეები სად გავასწორე, სად სატყუარები გამოცვალე, სად და როგორი კვალი შევნიშნე, ასევე მოვუყევი ტაიგური ახალი ამბები, მაგრამ ციყვის თავგადასავალი დავუმალე. რატომ? არ ვიცი. ხომ ვიცოდი, რომ პაპას არ ეწყინებოდა ციყვი ცოცხალი რომ გავუშვი, თვთონაც გულჩვილი იყო ნადირის მიმართ და ხშირად იტყოდა ხოლმე: „თუ ხოცავ, ისე დახოცე, რომ ნადირი არ დაიტანჯოს.“ ალბათ მისგან გააკიცხვას მოვერიდე იმის გამო, რომ ციყვს ხელი წავატანე და ამის შემდეგ მარტოს აღარ გამიშვებდა დაგებულ მახეების შესამოწმებლად. არ გაფრთხილდი და ჭრილობაში ინფექცია შემეჭრა ალბათ მაშინ, როცა, ტკივილის მიუხედავად, ნადირის გატყავებაში მივეხმარე. ჭრილობა გამეხსნა, ხელი მიხურდა.

– რატომ მაშინვე არ მითხარი ციყვმა რომ გიკბინა. – თავი გადააქნია პაპამ. – ღრმად უკბენია. კარგია, რომ ხელი სულ არ გაგისივდა.

პაპა ქოხიდან გამოვიდა. მე ძელსკამზე მივწექი, თავიც მტკიოდა. თითქოს სიზმარში ჩამესმა ამბარის კიბის საფეხურებმა რომ გაიჭრაჭუნა, მერე კი პაპას ხმაზე გამოვერკვიე.

– ბალო, ხედავ, როგორ გაგამწარა. არაფერია, მალე გამოკეთდები. აბა, სარკმელთან ახლოს დაჯექი და ხელი გამომიწოდე!

მე ძელსკამზე მისკენ გადავინაცვლე, პაპას ხელი გავუწოდე, თან სარკმელში ვიყურებოდი.

მდინარის გაღმა ნაპირზე ფიჭვნარს ჩამავალი მზის სხივები დაჰნათოდა, მოვარდნილი ქარისგან ხეები კენწეროებს აქანავებდნენ, შრიალებდნენ და თითქოს ჩურჩულებდნენ.

– პაპა რაზე ჩურჩულებენ?

– რაზე მეკითხები? – შეშფოთდა პაპა, მაგრამ მიხვდა რაზეც ვეკითხებოდი.

– რაზე? რაზე და როდის დაიძინებ. მზეც მშვიდობიან ღამეს გისურვებს. ხეებიც ხომ კეთილნი არიან.

თითში მკვეთრი ტკივილი ვიგრძენი.

– არაფერია ბაღლო, ცოტაც მოითმინე. გამოკეთდები. აი, ახლა ჭრილობაზე ტაიგურ უებარ წამალს წავისვამ. – მაწყნარებდა პაპა და თავისი მონადირული დანა გვერდზე გადადო. – მერე მღელოს ბალახის ჩაის დაგალევინებ, ტაიგის ნადირ-ფრინველის ამბებს გაიმბობ და შენც ჩაგეძინება, დილით თავს უკეთესად იგრძნობ. იქნებ მერე იმ ციყვის ამბავიც მიაგზო. ახლა კი დაწექი, მე კი ამბარში წავალ და „უკვდავების“ წყალს მოვამზადებ.

თითი კი უფრო ამტკივდა. თავიც მტკიოდა. მივწექი. თავზე ცივის შეხებამ გამომაფხიზლა. პაპა შუბლზე ცივ ტილოს მადებდა.

– როგორ იტანჯები! აბა, დალიე!

ძლივს წამოვიწიე, პაპამ როგორც პატარა ბავშვს ისე დამალევინა ის „უკვდავების“ წყალი.

– ბაღლო, ახლა კი ეცადე, იქნებ დაიძინო!

– პაპა! შენ ხომ ტყისა და ნადირ-ფრინველის ამბები უნდა გეამბნა ჩემთვის. უკეთესად ვარ. – და ლოგინიდან წამოვდექი.

– უკეთესად! ხედავ, როგორი სულსწრაფი ხარ, უკეთესობა ჯერ ადრეა, გაიმბობ, შენ კი ჩაგეძინება.

და პაპამ როგორც კი ნაძვის შესახებ დაიწყო ლაპარაკი, მაშინვე ჩამეძინა.

დილით თავი შედარებით უკეთესად ვიგრძენი. თავი ოდნავ მტკიოდა, სიცხე-მაც დამიკლო, თითში ტკივილს თითქმის აღარც ვგრძნობდი, ჭრილობაც დამიცხრა.

პაპა მახეების შესამოწმებლად აღარ წასულა. ჩემი და თავის ტანსაცმელი აკემსა. ჩაის და სადილს ამზადებდა, შემას ჭრიდა, ლოგინთან ჩამომიჯდებოდა და თავის დიდ, კეთილ ხელს თავზე მადებდა.

– აი, რა არის „ნაძვის ცრემლები“.

– განა ხეები ტირიან?

– შენ როგორ გეგონა? წუხელ „ნაძვის ცრემლებზე“ გაიმბობდი, მაგრამ უცებ ჩაგეძინა. აბა, მისმინე და კარგად დამახსოვრე, როცა გაიზრდები სხვებსაც მოუყევი და დაეხმარე.

და მიაგზო, თუ რატომ ტირიან ხეები.

– „ცრემლი“ თითქოს ყველას ერთნაირი აქვს, ნაძვის ცრემლი კი სამკურნალოა. ღრმა ჭრილობაც რომ გქონდეს, წაისვამ და სიცხე გაგივლის, გადამდებ სენსაც გააუვნებლებს. ოღონდაც სახვევი არ უნდა მოიხსნა, თვითონვე მოგძვრება მაშინ, როცა სამკურნალო ძალას სულ გასცემს, მერე კი შენვე გადაწყვიტე მკურნალობა უნდა გააგრძელო თუ არა. „ნაძვის ცრემლები“ დაჩირქებულ ჭრილობასაც კი მოარჩენს. აი, როცა „ნამტირალე“ ნაძვს შევნიშნავ, გვერდს ვერ უვლი და ფრთხილად ვაგროვებ. ოღონდ მხოლოდ ყველაზე გამჭვირვალე ყვითელი ცრემლები უნდა მოაგროვო. ზოგჯერ ცრემლები ჩამოეღვენთება, ასეთიც სამკურნალოა. თეთრი და მყიფე ცრემლები სამკურნალო არაა. „ნაძვის ცრემლები“ ამბარში ყოველთვის შენახული მაქვს და ხალხსაც ვურიგებ.

მაღე სულ გამოგჯამრთელდი და მახეების შესამოწმებლად კვლავ მარტო მივდიოდი. ციყვის ამბავი პაპას დაწერილებით ვუამბე. არ მისაყვედურა ციყვი ცოცხალი რომ გაგუშვი. ჩაფიქრდა და მერე მითხრა:

– არაფერია, სიკეთე გაგიკეთებია რომ არ მოკალი. ე. ი. ჯერ დრო არ იყო. ნადირ-ფრინველის დახოცვა არც მე მეხალისება. მათდა საბედნიეროდ ზოგჯერ თოფი გიმტყუნებს კიდევ. ამის შემდეგ ჩახმახს ვერც გამოვწვივ, დიდ ნადირს კი არ უნდა ააცილო.

გავიდა წლები. „ნაძვის ცრემლებმა“ საპატიო ადგილი დაიკავა საოჯახო აფთიაქში. სულ თან დამქონდა მოგზა-

ურობისას და ექსპედიციაშიც. ბევჯერ ჩემს თანამგზავრებსაც გაეუწიე დახმარება. არაერთხელ გამომიყენებია, ომშიც ბლომად წავიდე და ჩემს ფრონტის ამხანაგებსაც უშველა, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა ბატალიონის მედპუნქტში სწრაფად ვერ მიხვიდოდი – „ნაძვის ცრემლებით“ გაუღენთილი სახვევი მჭიდროდ ჰქონდათ შემოსხვეული და ჭრილობას დაბინძურებისგან იცავდა.

ერთხელ ომის შემდეგ ტაიგაში დათვმა დამტორა, სისხლძარღვები დამიზიანა და სისხლისგან ვიცლებოდი. ნაძვის „ცრემლები“ აფთიაქში გამოიღია. ლენა ნაძვებისკენ გაიქცა, ხავსითა და ფესვებით პეშვისოდენა „ცრემლები“ მოაგროვა და ჭრილობაზე დამადო. რამოდენიმე დღის შემდეგ დამოუკიდებლად სიარული შეეძელი და ჩვენც ტაიგიდან

გამოვედით. ჩვენი სოფლის საავადმყოფოში გავიცდნენ, თუ ასე სწრაფად როგორ მომიშუშდა ასეთი ღრმა ჭრილობა.

უნდა აღვნიშნო, რომ „ცრემლები“ დიდი ხნის განმავლობაში ფორმას და ფერს არ კარგავს, თუმცა მყიფეობა და ხმარებისას იბნევა. გადავწყვიტე, რომ სამკურნალო თვისებების შესანარჩუნებლად „ცრემლები“ „დამეკონსერვებინა“ და სპირტი იმდენი დავასხი, რომ თაფლის სისქის გამხდარიყო.

სოჭის „ცრემლები“ უფრო თხევადია და ცუდად ეკვრის, ამიტომ სახვევი იხსნება.

როცა ტაიგაში შევდივარ, ნაძვის „ცრემლებს“ ყოველთვის ვაგროვებ და მახსენდება პაპის ნაამბობი ნაძვისა და ტაიგის უებარი „წამლის“ შესახებ.

VIII. ანალიზი

ბინის სუპერპროექტი

მეტყველის ცნობარი



სუის შოპინსა და ალდგენის ღონისძიებების
პრაქტიკული სახელმძღვანელო



გამოცემა მომზადებულია სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBIS) პროექტის მხარდაჭერით.

გამოცემის ავტორია – საქართველოს დამსახურებული მეტყვევე მარინა სუპერპროექტი.

„მეტყველის ცნობარი“ წარმოადგენს ტყის მოვლისა და ალდგენის ღონისძიებების პრაქტიკულ სახელმძღვანელოს და მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, მეთოდოლოგიას, წესს და ინსტრუქციას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება პრაქტიკოს მეტყვევეებს ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

